

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2008, №7

ს ა მ ს ა ხ უ რ ი დ ა ნ
გ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა

1. გათავისუფლება პირადი განცხადების საფუძველზე
2. გათავისუფლება რეორგანიზაციის და შტატების შემცირების გამო
 - იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება
 - მერის კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლები შტატების შემცირებასთან დაკავშირებით
 - პოლიციის თანამშრომლის სამსახურიდანა შტატების შემცირების გამო
 - რეორგანიზაციის გამო სამსახურიდან გათავისუფლება (წინაპირობები)
 - სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო
 - სამხედრო მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნა
3. გათავისუფლება სამსახურის ლიკვიდაციის გამო
4. სამსახურიდან გათავისუფლება ატესტაციის შედეგების გამო

1. გათავისუფლება პირადი განცხადების საფუძველზე

განჩინება

#ბს-434-417(კ-08)

11 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ხმ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასისა და სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 6 ივლისს ნ. მ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განცხადებით, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2002 წლის 13 დეკემბრის #52-კ ბრძანებით 2002 წლის 12 დეკემბრიდან იგი დაინიშნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სტატისტიკის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე 6 თვის საგამოცდო ვადით. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2003 წლის 6 ივნისის #42-კ ბრძანებით კი მოსარჩელე 2003 წლის 12 ივნისიდან, საგამოცდო ვადის გასვლასთან დაკავშირებით, დაინიშნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სტატისტიკის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. 2006 წლის 27 ივნისს ახალციხის რაიონის გამგეობის საფინანსო განყოფილების თანამშრომელმა მოსარჩელეს გადასცა ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის #კ-6/8 ბრძანება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სტატისტიკის დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოს - ახალციხის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის - ნ. მ-ძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. აღნიშნულ ბრძანებაში მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველად მითითებული იყო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 95-ე მუხლი (საკუთარი ინიციატივის საფუძველზე). მოსარჩელემ აღნიშნული ბრძანება უკანონოდ მიიჩნია და განმარტა, რომ მას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადება არ დაუწერია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის #კ-6/8 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოგვიანებით, მოსარჩელემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა და დამატებით იძულებით გაცდენილი დროის ხელფასისა და სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება და გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 ივლისის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სტატისტიკის დეპარტამენტი ჩაება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

საქალაქო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ ნ. მ-მე 2002 წლის 12 დეკემბრიდან დაინიშნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სტატისტიკის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე 6 თვის საგამოცდო ვადით, ხოლო საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2003 წლის 6 ივნისის #42-კ ბრძანებით 2003 წლის 12 ივნისიდან საგამოცდო ვადის გასვლის შემდეგ, დაინიშნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სტატისტიკის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სტატისტიკის დეპარტამენტში ჩატარებულ სახელმწიფო მოხელეთა ატესტაციის შედეგად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2006 წლის 3 ივნისის #48 ოქმის შესაბამისად, ნ. მ-მეს, რომელსაც იმ დროისათვის ეკავა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სტატისტიკის დეპარტამენტის ახალციხის ტერიტორიული სამმართველოს უფროსის თანამდებობა, გასაუბრების შედეგად მიეცა უარყოფითი შეფასება. საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ ჩათვალა, რომ იგი არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას და სამსახურიდან უნდა გათავისუფლებულიყო. იგივე რეკომენდაცია იქნა მითითებული ნ. მ-ძის საატესტაციო ფურცელში. ატესტაციის შედეგების მიხედვით, ნ. მ-ძის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი გადაწყვეტილების მიღებამდე, 2006 წლის 15 ივნისს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სტატისტიკის დეპარტამენტის

კანცელარიაში (სარეგისტრაციო ნომერი - 1039/ს) ახალციხის სამმართველოს უფროსის - ნ. მ-ძის სახელით შევიდა იმავე წლის 14 ივნისით დათარიღებული განცხადება ეკონომიკური განვითარების მინისტრის სახელზე, რომლითაც ნ. მ-ძე ითხოვდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას. ხსენებული განცხადება იმავე დღეს გადაეგზავნა ეკონომიკური განვითარების მინისტრს. 2006 წლის 22 ივნისს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მიერ გამოცემულ იქნა №კ-6/8 ბრძანება და «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად (საკუთარი ინიციატივის საფუძველზე), ნ. მ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ სსიპ «ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» 2006 წლის 10 ნოემბრის #4558/01 საექსპერტო დასკვნით დადგენილი იყო, რომ ნ. მ-ძის სახელით ეკონომიკური განვითარების მინისტრის სახელზე წარდგენილ 2006 წლის 14 ივნისის განცხადებაზე არსებული ხელმოწერა შესრულებული იყო არა ნ. მ-ძის, არამედ სხვა პირის მიერ.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნ. მ-ძის გათავისუფლების შესახებ ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის #კ-6/8 ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დადგენილი იყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველები, კერძოდ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილი იყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად იყო დარღვეული მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ ეწინააღმდეგებოდა კანონს, რადგან «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის და ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 13 ივლისის #1-1/846 ბრძანებით დამტკიცებული ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სტატისტიკის დეპარტამენტის დებულების თანახმად, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის დანიშვნისა და გათავისუფლების უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა ეკონომიკური განვითარების მინისტრს, ხოლო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 95-ე მუხლის თანახმად, პირადი განცხადება წარმოადგენდა პირის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერ საფუძველს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ბრძანების გამოცემისას ასევე არ დარღვეულა მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რადგან ეკონომიკური განვითარების მინისტრს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ნ. მ-ძის სახელით წარდგენილი განცხადების განხილვისას არ გააჩნდა რაიმე ფაქტობრივი ან იურიდიული საფუძველი, შემოწმებინა მისი ხელმოწერის სისწორე და განმცხადებლის ნების გამოვლენის ნამდვილობა. შესაბამისად, მას არ წარმოშობია ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულება.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებით დადგენილი იყო, რომ ნ. მ-ძის 2006 წლის 19 ივნისით დათარიღებული წერილი, რომლითაც იგი ეკონომიკური განვითარების მინისტრს აცნობებდა სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირთა მიერ მის მიმართ განხორციელებული უკანონო მოქმედებების შესახებ და მიუთითებდა, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლებას აპირებდნენ, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კანცელარიაში შევიდა 2006 წლის 3 ივლისის (სარეგისტრაციო ნომერი - 634/7-6) - ეკონომიკური განვითარების მინისტრის მიერ ნ. მ-ძის გათავისუფლების შესახებ 2006 წლის 22 ივნისის #კ-6/8 ბრძანების გამოცემიდან 10 დღის შემდეგ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის #კ-6/8 ბრძანების ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით დადგენილი არც ერთი საფუძველი.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს მთლიანად უარი უნდა თქმოდეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რადგან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მოხელე იმ შემთხვევაში ექვემდებარებოდა სამსახურში აღდგენას, თუ მისი გათავისუფლება არაკანონიერად იქნებოდა აღიარებული. იმავე კანონის 112-ე მუხლის თანახმად კი სამსახურში იძულებით არყოფნის პერიოდის ხელფასი აუნაზღაურდებოდა მხოლოდ უკანონოდ გათავისუფლებულ მოხელეს. ამასთან, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაკმაყოფილებული ვერ იქნებოდა მოსარჩელის მოთხოვნა საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება ნ. მ-ძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განჩინებით ნ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს. საქალაქო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევების გარეშე, ამასთან, არსებითად სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებით უდავოდ დადასტურებული იყო, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სტატისტიკის დეპარტამენტში ჩატარებულ სახელმწიფო მოხელეთა ატესტაციის შედეგად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2006 წლის 3 ივნისის #48 ოქმის შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სტატისტიკის დეპარტამენტის ახალციხის ტერიტორიული სამმართველოს უფროსს - ნ. მ-ძეს ატესტაციის შედეგად მიეცა უარყოფითი შეფასება. საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ ჩათვალა, რომ იგი არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას და უნდა გათავისუფლებულიყო. იგივე რეკომენდაცია იქნა მითითებული ნ. მ-ძის საატესტაციო ფურცელში. სტატისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებით, საქალაქო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხული დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრის - ვ. მ-ძის ჩვენების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ნ. მ-ძისათვის ცნობილი გახდა რა ატესტაციის შედეგები, სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას სთხოვა, რომ მისი გათავისუფლება არ მომხდარიყო ატესტაციის შედეგების მიხედვით და იგი სამსახურიდან გაეთავისუფლებინათ პირადი განცხადების საფუძველზე. აღნიშნული თხოვნით ნ. მ-ძემ არაერთხელ მიმართა სატელეფონო საუბრების დროს პირადად ვ. მ-ძეს, ბოლო სატელეფონო საუბარი მასთან ნ. მ-ძის ინიციატივით 2006 წლის 15 ივნისს შედგა, რა დროსაც ნ. მ-ძე დაინტერესდა, მიიღეს თუ არა სტატისტიკის დეპარტამენტში მისი განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლისა და 105-ე მუხლის პირველი ნაწილების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე გარემოებად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ნ. მ-ძის სამსახურიდან გათავისუფლდა საკუთარი ინიციატივით მისივე წერილობითი განცხადების საფუძველზე, რადგან მას არ სურდა სამსახურიდან გათავისუფლება დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო - ატესტაციის შედეგების საფუძველზე, რაც «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების დამოუკიდებელ საფუძველს წარმოადგენდა, ხოლო ის გარემოება, რომ ასეთი საფუძველი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნ. მ-ძის მიმართ გააჩნდა, საქმის მასალებით უტყუარად იყო დადასტურებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, საქმეში არსებული ხელწერის ექსპერტიზის დასკვნის მიუხედავად, მიიჩნია, რომ ნ. მ-ძის განცხადება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, წარმოადგენდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 95-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძველს პირის საკუთარი ინიციატივით სამსახურიდან გათავისუფლებისათვის, რადგან მასში გამოვლენილი იყო ნ. მ-ძის თავისუფალი ნება მოპასუხესთან არსებული საჯარო, შრომითი სამართალურთიერთობის შეწყვეტისაკენ, რაც მას მანამდე არაერთხელ ჰქონდა დაფიქსირებული სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელ მუშაკებთან პირად და სატელეფონო საუბრებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნ. მ-ძის განცხადების განხილვისას არ არსებობდა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების საფუძველი. სააპელაციო სასამართლო ასევე დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ არ არსებობდა ნ. მ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის #3-6/8 ბრძანების ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, დადგინდად მიიჩნია ის ფაქტიც, რომ 2008 წლიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - სტატისტიკის დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების ახალი სამტატო ნუსხის მიხედვით, ახალციხის სამმართველოს უფროსის თანამდებობა აღარ არსებობდა, რადგან მოხდა ტერიტორიული ორგანოების შერწყმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განჩინება ნ. მ-ძემ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ იგი უკანონოდ იქნა გათავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის #კ-6/8 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანების გამოცემას საფუძვლად დაედო პირადი განცხადება, რომელსაც სხვა პირი აწერდა ხელს. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო ბრძანების გამოცემისას არ დარღვეულა მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რადგან ეკონომიკური განვითარების მინისტრს არ გააჩნდა რაიმე ფაქტობრივი ან იურიდიული საფუძველი, შემოწმებინა ნ. მ-ძის ხელმოწერის სისწორე და განმცხადებლის ნების გამოვლენის ნამდვილობა, თუმცა, კასატორის მტკიცებით, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ვალდებული იყო, ჩატარებინა ადმინისტრაციული წარმოება მას შემდეგ, რაც ნ. მ-ძემ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა მას იმის თაობაზე, რომ მის მიმართ დევნას ახორციელებდა სტატისტიკის დეპარტამენტის კადრების სამმართველოს უფროსი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილი იყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად იყო დარღვეული მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამდენად, კასატორის განმარტებით, აღნიშნული განცხადების საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილი იყო. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არსებით დარღვევად ითვლებოდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ იმ ფაქტზე მსჯელობისას, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სტატისტიკის დეპარტამენტში ჩატარებულ სახელმწიფო მოხელეთა ატესტაციის შედეგად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2006 წლის 3 ივნისის #48 ოქმის შესაბამისად, ნ. მ-ძეს მიეცა უარყოფითი შეფასება, არ გაითვალისწინა, რომ მას არანაირი შეტყობინება არ მიუღია აღნიშნულის თაობაზე და ვერც მოპასუხებ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება მოცემული შეფასების ნ. მ-ძისთვის გაცნობის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 მაისის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. მ-ძის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 2 მაისის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 26 ივნისამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის განჩინებით ნ. მ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 11 სექტემბერს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ ნ. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ნ. მ-ძემ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2002 წლის 13 დეკემბრის #52-კ ბრძანებით 2002 წლის 12 დეკემბრიდან დაინიშნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სტატისტიკის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე 6 თვის საგამოცდო ვადით. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2003 წლის 6 ივნისის #42-კ ბრძანებით ნ. მ-ძემ, საგამოცდო ვადის გასვლასთან დაკავშირებით, 2003 წლის 12 ივნისიდან დაინიშნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სტატისტიკის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის #კ-6/8 ბრძანებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად (საკუთარი ინიციატივის - პირადი განცხადების საფუძველზე), ნ. მ-ძემ გათავისუფლდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სტატისტიკის დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოს - ახალციხის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან. ნ. მ-ძემ სტატისტიკის დეპარტამენტში ეკონომიკური განვითარების მინისტრის სახელზე 2006 წლის 15 ივნისს წარდგენილი განცხადებით მოითხოვა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება. იუსტიციის სამინისტროს «ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» 2006 წლის 10 ნოემბრის #4558/01 საქესპერტო დასკვნის თანახმად, ნ. მ-ძის სახელით ეკონომიკური განვითარების მინისტრის სახელზე წარდგენილ 2006 წლის 14 ივნისის განცხადებაზე არსებული ხელმოწერა შესრულებულია არა ნ. მ-ძის, არამედ სხვა პირის მიერ. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სტატისტიკის დეპარტამენტში ჩატარებული სახელმწიფო მოხელეთა ატესტაციის შესახებ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2006 წლის 3 ივნისის საატესტაციო ფურცლისა და #48 ოქმის შესაბამისად, საკონკურსო-

საატესტაციო კომისიამ ჩათვალა, რომ ნ. მ-მე, რომელსაც იმ დროისათვის ეკავა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სტატისტიკის დეპარტამენტის ახალციხის სამმართველოს უფროსის თანამდებობა, არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას და სამსახურიდან უნდა გათავისუფლებულიყო.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალებით მიხედვით, უდავოდ დადასტურებულად მიაჩნია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სტატისტიკის დეპარტამენტში ჩატარებულ სახელმწიფო მოხელეთა ატესტაციის შედეგად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2006 წლის 3 ივნისის #48 ოქმის შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სტატისტიკის დეპარტამენტის ახალციხის ტერიტორიული სამმართველოს უფროსს - ნ. მ-მეს ატესტაციის შედეგად მიეცა უარყოფითი შეფასება.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იგი უკანონოდ იქნა გათავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის #3-6/8 ბრძანების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. მ-მის ნება რეალურად მიმართული იყო სამსახურიდან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე გათავისუფლებისაკენ. აღნიშნული დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მთელი რიგი მტკიცებულებებით, კერძოდ, პირველ ყოვლისა, ნ. მ-მის მიერ სტატისტიკის დეპარტამენტში ეკონომიკური განვითარების მინისტრის სახელზე 2006 წლის 15 ივნისს წარდგენილი განცხადებით, რომლითაც მან მოითხოვა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება. სტატისტიკის დეპარტამენტში ნ. მ-მის მიერ ხსენებული განცხადების წარდგენა მტკიცდება ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოწმის - სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრის - ვ. მ-მის განმარტებით, იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს ვ. მ-მესთან რამდენჯერმე ჰქონდა სატელეფონო საუბარი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების მოსარჩელის მხრიდან წარდგენის შესახებ - ნ. მ-მე აპირებდა განცხადების დაწერას და თავისი სურვილით სამსახურიდან წამოსვლას, რის შემდეგაც მოსარჩელემ ითხოვა სამსახურიდან გათავისუფლება პირადი განცხადების საფუძველზე. ამდენად, ნ. მ-მის აღნიშნული განცხადების საფუძველზე გამოიყენა ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის #3-6/8 გასაჩივრებული ბრძანება, რომლითაც «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად (საკუთარი ინიციატივის - პირადი განცხადების საფუძველზე), ნ. მ-მე გათავისუფლდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სტატისტიკის დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოს - ახალციხის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან. ხსენებული გარემოება ასევე მტკიცდება მესამე პირის - სტატისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლის - გ. გ-მის მიერ საქალაქო სასამართლოში გაკეთებული განმარტებით იმის შესახებ, რომ ატესტაციის შედეგად არადაამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემდეგ, ნ. მ-მემ რამდენჯერმე ითხოვა სამსახურიდან გათავისუფლება პირადი განცხადების საფუძველზე, რის გამოც არ არსებობდა ამ განცხადებაზე ხელმოწერის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძველი, ხოლო დასახელებული განცხადების ამავე დეპარტამენტში შესვლის დღეს, აღნიშნულის თაობაზე ნ. მ-მემ სადამოს 11 საათზე დაურეკა გ. გ-მეს და ამდენად, ნ. მ-მემ პირადი განცხადება წარადგინა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რაზეც იგი ტელეფონით უკავშირდებოდა გ. გ-მესა და ვ. მ-მეს, ხოლო გ. გ-მემ ეკონომიკური განვითარების მინისტრს გადაუგზავნა ნ. მ-მის ხსენებული განცხადება. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს, აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მესამე პირის - სტატისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლის განმარტებაც, რომ ნ. მ-მე თვითონ სთხოვდა მათ, რომ სამსახურიდან გათავისუფლებინათ არა ატესტაციის შედეგების გამო, არამედ მისივე განცხადების საფუძველზე.

გარდა ამისა, სამსახურიდან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე გათავისუფლების შესახებ ნ. მ-მის მიერ ნების გამოვლენა ასევე მტკიცდება მესამე პირის - სტატისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლის - გ. გ-მის მიერ სააპელაციო სასამართლოში გაკეთებული განმარტებით, რომ სამსახურიდან პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლება შედიოდა ნ. მ-მის ინტერესებში, ამოღებული იყო სატელეფონო ზარები და მოწმეებიც იყვნენ დაკითხული იმის შესახებ, რომ ნ. მ-მე ძალიან ხშირად უკავშირდებოდა მათ და აინტერესებდა, შესული იყო თუ არა უკვე ამ დეპარტამენტში მისი განცხადება, ხოლო სტატისტიკის დეპარტამენტმა ამ საქმის განხილვისას, სასამართლოს მიერ მხარეთათვის მორიგებისათვის მიცემულ ვადაში, ნ. მ-მეს შესთავაზა სამსახური და შეიძლებოდა მომხდარიყო მხარეთა მორიგება, თუმცა ნ. მ-მე აღნიშნული შეთავაზების შემდეგ, მათ არ დაკავშირებია.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს და კასატორის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, იუსტიციის სამინისტროს «ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» 2006 წლის 10 ნოემბრის #4558/01 საექსპერტო დასკვნის თანახმად, ნ. მ-მის სახელით ეკონომიკური განვითარების მინისტრის სახელზე წარდგენილ 2006 წლის 14 ივნისის განცხადებაზე არსებული ხელმოწერა შესრულებულია არა ნ. მ-მის, არამედ სხვა პირის მიერ, მაგრამ ნ. მ-მის მხრიდან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების ნების გამოვლენა სარწმუნოდ მტკიცდება ზემოხსენებული მტკიცებულებებით, რის გამოც სასამართლოს ვერ შეეძინა შინაგანი რწმენა, რომ დასახელებული განცხადება ნ. მ-მეს არ წარუდგენია და სამსახურიდან

საკუთარი ინიციატივის საფუძველზე გათავისუფლების შესახებ ნება არ გამოუვლენია. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელე ნ. მ-მ ვერ გააბათილა ზემოთ მოხსენიებული მტკიცებულებებით დადასტურებული გარემოება - სამსახურიდან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე გათავისუფლების შესახებ ნების გამოხატვა და არ წამოუყენებია აღნიშნულის საწინააღმდეგო რაიმე დასაბუთებული არგუმენტაცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის #კ-6/8 ბრძანების სამართლებრივ საფუძველად მიეთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 95-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირი საკუთარი ინიციატივით თავისუფლდება სამსახურიდან, თუ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე მოხელე ან დაწესებულება დააკმაყოფილებს მის წერილობით განცხადებას. ამდენად, ნ. მ-მ სტატისტიკის დეპარტამენტში 2006 წლის 15 ივნისს წარდგენილ განცხადებაში გამოხატა ნება საკუთარი ინიციატივით სამსახურიდან გათავისუფლებისა და მოპასუხესთან არსებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისაკენ. შესაბამისად, სახეზე არ არის ნ. მ-მის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის #კ-6/8 ბრძანების ბათილად ცნობის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, რის გამოც ნ. მ-მის სასარჩელო განცხადება უსაფუძველოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიაჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია საქართველოს კანონმდებლობა და საქმეზე მიიღო დასაბუთებული და კანონიერი განჩინება, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. მ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. გათავისუფლება რეორგანიზაციის და შტატების შემცირების გამო

პოლიციის თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნა შტატების შემცირების გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-632-602(კ-07) 10 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 29 დეკემბერს ი. ზ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

სასარჩელო განცხადებაში მითითებულია, რომ ი. ზ-შვილი 1994 წლის ივნისიდან მუშაობდა თბილისის მთაწმინდის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოში არასრულწლოვანთა ინსპექტორად, ხოლო 1993 წლიდან - უფროს ინსპექტორად.

2004 წლის 21 ივლისიდან ი. ზ-შვილი აღარ ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, ვინაიდან გამოუცხადეს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მიმდინარეობდა რეორგანიზაცია და აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში. მას გათავისუფლების შესახებ ბრძანება არ ჩაბარებია და მისთვის უცნობია გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი.

მოსარჩელის მითითებით, მისი მრავალჯერადი პატაკების შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და მთაწმინდა-კრწანისის შინაგან საქმეთა სამმართველოდან მიღებული

პასუხების საფუძველზე მისთვის ცნობილი გახდა, რომ გათავისუფლებულია სამსახურიდან არასრულწლოვანთა ინსპექციის სამტატო ერთეულების შემცირების გამო. მოსარჩელის განმარტებით, არასრულწლოვანთა ინსპექციის სამტატო 5 ერთეული შემცირდა 3 ერთეულამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, 5 ინსპექტორიდან სამსახურში უნდა დარჩენილიყო 3, რომლებსაც ექნებოდათ სამსახურში დარჩენის უპირატესი უფლება. მოსარჩელის მოსაზრებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მოხელე არ შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ იგი თანახმაა, დაინიშნოს სხვა თანამდებობაზე, სხვა თანამდებობა კი მოპასუხის არ შეუთავაზებია. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის განმარტებით, სრულიად უკანონოა სამსახურიდან მისი გათავისუფლება შტატების შემცირების მოტივით. ამასთან, იგი სარგებლობდა სამსახურში დარჩენის უპირატესი უფლებით, ვინაიდან ყოველთვის ერთგულად და მაღალკვალიფიციურად ასრულებდა მის სამსახურებრივ მოვალეობას.

საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 8 თებერვლის სხდომაზე ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქმეზე მოპასუხედ ცნობილი იქნა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 6 ივნისის განჩინებით საქმეში მოცემულ მესამე პირად ჩაება ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ი. ზ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ზ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აპელანტმა დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა 2004 წლის 10 ივლისის #361 და 2004 წლის 27 ნოემბრის #1916 კმ ბრძანებების არაკანონიერად აღიარება, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახდო საქმეთა პალატის 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. ზ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ი. ზ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ზ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასაჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 29 მარტის განჩინებით ი. ზ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახდო საქმეთა პალატის 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით ი. ზ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ი. ზ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 27 ნოემბრის #1916 კმ ბრძანება ი. ზ-შვილის საქართველოს სამხედრო ძალების თადარიგში დათხოვნის ნაწილში და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევა არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შედეგად შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ი. ზ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, ი. ზ-შვილის სარჩელი სამუშაოზე აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2004 წლის 10 ივლისის #361 ბრძანების მე-3 პუნქტის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოსა და დაქვემდებარებული რაიონული სასამართლოებისა და განყოფილებების რიგითი და ოფიცერთა პირადი შემადგენლობა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში. ამავე ბრძანების მე-4 პუნქტით, ბრძანება ძალაში შევიდა 2004 წლის 12 ივლისიდან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს 2004 წლის 27 ნოემბრის #1916 კმ ბრძანებით «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 67-ე მუხლის «ვ» პუნქტით (შტატების შემცირებით), ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამსახურის განყოფილებაში მყოფი ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამმებრო განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის ყოფილი ინსპექტორი პოლიციის კაპიტანი ი. ზ-შვილი

დათხოვნილ იქნა საქართველოს სამხედრო ძალების თადარიგში, 2004 წლის 12 ნოემბრიდან, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის განკარგულებაში ყოფნით 2004 წლის 12 ნოემბრამდე, 2004 წლის გამოუყენებელი შვებულების 30 დღის ფულადი კომპენსაციის ანაზღაურებით. დასახელებული ბრძანების საფუძველს წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს 2004 წლის 10 ივლისის #361 საორგანიზაციო-საშტატო ბრძანება და «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების მე-12 მუხლი.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მთაწმინდა-კრწანისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამმებრო განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციაში საშტატო რიცხოვნობა 6 ერთეულიდან შემცირდა 2 ერთეულამდე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 67-ე მუხლის «ვ» პუნქტის შესაბამისად, უმცროს, უფროს და უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის პირები შინაგან საქმეთა ორგანოებიდან შეიძლება დაითხოვონ სამხედრო ძალების თადარიგში შტატების შემცირებით - შტატების შემცირებასთან დაკავშირებით სამსახურში გამოყენების შეუძლებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ნორმა გამორიცხავს პირის უპირობო დათხოვნის შესაძლებლობას, ანუ იმისათვის, რომ პირი დათხოვნილ იქნეს შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, უნდა მოხდეს შტატების შემცირება, მისი დასაქმების (შინაგან საქმეთა ორგანოების სპეციფიკის გათვალისწინებით მისი გამოყენების) შეუძლებლობის მომენტი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება გამოცემული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დასახელებული ნორმის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, ვინაიდან ვერც საქმეში არსებული მტკიცებულებებით და ვერც მოწინააღმდეგე მხარის ახსნა-განმარტებით ვერ იქნა დასაბუთებული შტატების შემცირების მიუხედავად ი. ზ-შვილის დასაქმების შესაძლებლობა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ბრძანება მიღებული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულებით, მუშაკის სამსახურიდან დათხოვნისას დადგენილი პროცედურული საკითხების უგულვებელყოფით, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა სცილდებოდა სასამართლოს კომპეტენციას და იგი ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებას განეკუთვნებოდა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და სადავო საკითხის - მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის გადაწყვეტლად ბათილად ყოფილიყო ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 27 ნოემბრის #1916 პმ ბრძანება ი. ზ-შვილის საქართველოს სამხედრო ძალების თადარიგში დათხოვნის ნაწილში და დავალებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზემოაღნიშნული გარემოებების გამოკვლევა-შეფასების შემდეგ.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ი. ზ-შვილს უნდა ანაზღაურებოდა გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე პერიოდის იძულებითი განაცდური ხელფასი. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ მუშაკის გათავისუფლება სამსახურიდან, მოცემულ შემთხვევაში კი ი. ზ-შვილის გათავისუფლების განკარგულება ამ ეტაპზე ბათილად არის ცნობილი და შესაბამისად, ხელფასის გაუცემლობის საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივებით:

ი. ზ-შვილი 2004 წლის 10 ივლისის #361 ბრძანების საფუძველზე საშტატო-საორგანიზაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების მე-12 მუხლის თანახმად, რაც ითვალისწინებს მოსამსახურის კადრების განკარგულებაში ყოფნას არაუმეტეს 4 თვის ვადით. 4 თვის გასვლის შემდეგ 2004 წლის 27 ნოემბერს გამოიცა შინაგან საქმეთა მინისტრის #1916 პმ ბრძანება ი. ზ-შვილის შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის თაობაზე, «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 67-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტის საფუძველით, რაც ითვალისწინებს მოსამსახურის დათხოვნას შტატების შემცირების გამო.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმის მსვლელობისას სასამართლოში წარადგინა საშტატო-საორგანიზაციო ბრძანებები, რომლებიც ადასტურებს, რომ ნამდვილად მოხდა შტატების შემცირება. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სასამართლომაც დადასტურებულად მიიჩნია, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო არ გაითვალისწინა და მიუთითა «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში

სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 67-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტზე, რომელშიც მითითებულია შტატების შემცირებასთან დაკავშირებით სამსახურში გამოყენების შეუძლებლობაზე. დასახელებული ნორმა სასამართლომ არასწორად განმარტა.

სადავო ბრძანების ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით, კასატორი აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში სასამართლოს უნდა გამოეყენებინა ბრძანების გასაჩივრების პერიოდში მოქმედი «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლი და ხანდაზმულობის ვადა აეთვალია ბრძანების გამოცემის მომენტიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ი. ზ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევასთან დაკავშირებით. ი. ზ-შვილის სამხედრო ძალების თადარიგში დათხოვნის დროისათვის მოქმედი «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელეს უფლება ჰქონდა კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაესაჩივრებინა სასამართლოში სამსახურებრივ საკითხზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება ან მოქმედება. 2005 წლის 24 ივნისის კანონით ცვლილება შევიდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონში და 127-ე მუხლს დაემატა 2¹ მუხლი, რომლის თანახმად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადის ათვლა განისაზღვრა კანონმდებლობით დადგენილი წესით აქტის გაცნობიდან. მიუხედავად ამისა, ის გარემოება, რომ სადავო ბრძანება 2005 წლის 24 ივნისის კანონით «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანამდე გამოიცა, არ ნიშნავს, რომ მანამდე სხვაგვარი წესი მოქმედებდა. სადავო პერიოდში მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რომელიც საჯარო მოხელეთა მიმართ გამოიყენებოდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე, მუშაკის მიერ სამუშაოდან დათხოვნის ბრძანების გასაჩივრების შესაძლებლობა განსაზღვრული იყო სწორედ დათხოვნის ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე არ დასტურდება ი. ზ-შვილისათვის გასაჩივრებული ბრძანების ჩაბარება, რის გამოც კასატორის მსჯელობა სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა.

რაც შეეხება სარჩელის არსებით მხარეს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული სარჩელი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2004 წლის 10 ივლისის #361 ბრძანებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოსა და დაქვემდებარებული რაიონული სამმართველოებისა და განყოფილებების რიგითი და ოფიცერთა შემადგენლობა, მათ შორის, ი. ზ-შვილი, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს 2004 წლის 27 ნოემბრის #1916 კმ ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყოფი ი. ზ-შვილი დათხოვნილ იქნა საქართველოს სამხედრო ძალების თადარიგში «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 67-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტის (შტატების შემცირება) საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში შტატები რეალურად შემცირდა, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მთაწმინდა-კრწანისის შინაგან საქმეთა სამმართველოს არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციაში საშტატო რიცხოვნობა 6 ერთეულიდან შემცირდა 2 ერთეულამდე. აღნიშნულ გარემოებას არც მხარეები ხდიან სადავოდ.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება პოლიციის თანამშრომლებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი «პოლიციის შესახებ» კანონის 22-ე მუხლის რედაქცია პოლიციის თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის ერთ-ერთ დამოუკიდებელ საფუძველად ითვალისწინებდა შტატების შემცირებას. იგივეს ითვალისწინებდა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 67-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტი.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ი. ზ-შვილის მიმართ ადმინისტრაციას ჰქონდა სხვა თანამდებობის შეთავაზების ვალდებულება და გასარკვევი იყო იმავე ან სხვა სამუშაო ადგილზე დასაქმების შესაძლებლობა. სპეციალური კანონმდებლობა - «პოლიციის შესახებ» კანონი სადავო ბრძანების გამოცემისას არ ითვალისწინებდა შტატების შემცირების შემთხვევაში შტატგარეშედ დარჩენილი თანამშრომლისათვის სხვა თანამდებობის შეთავაზების ვალდებულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. ზ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამხედრო მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნა

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ბს-808-770(2კ-07) 27 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ჩინჩალაძე,
ნ. ქადაგიძე**

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. გ-შვილმა, ა. ლ-იანმა, ა. მ-შვილმა, ა. ჩ-შვილმა, გ. რ-ავამ და სხვებმა 13.04.06 წ. სასარჩელო განცხადებით მიმართეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და თავდაცვის მინისტრის 16.03.06 წ. #556 ბრძანების გაუქმება, პირვანდელ თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენა და მოსარჩელეთათვის სახელფასო, სამივლინებო, სანივთე და სხვა სახის დავალიანებების ანაზღაურება მოითხოვეს.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ მუშაობდნენ სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობებზე. თავდაცვის მინისტრის 14.11.05 წ. #313 ბრძანებით გაუქმდა სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი, შტატი #2/308-51,65 სამხედრო მოსამსახურის რიცხოვნობით და აღნიშნული ბრძანებით 14.11.05 წ. გაუქმებული საშტატო სტრუქტურის ბაზაზე ჩამოყალიბდა სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი, შტატი #2/310-51,55 სამხედრო მოსამსახურის რიცხოვნობით. თავდაცვის მინისტრის 16.03.06 წ. #556 ბრძანებით მოსარჩელები ამოირიცხნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო. მოსარჩელეთა მოსაზრებით, აღნიშნული რეორგანიზაცია რომც მომხდარიყო, ადმინისტრაციას გათავისუფლებამდე უნდა შეეთავაზებინა მათთვის სხვა, ტოლფასი თანამდებობა, რაც არ მომხდარა, ასევე დაუშვებელი იყო მივლინებაში მყოფი პირების გათავისუფლება მათ გამოცხადებამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.07.06 წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელებს: ჯ. გ-შვილს, ა. ლ-იანს, ა. მ-შვილს, ა. ჩ-შვილს, მ. ტ-შვილს, ვ. გ-შვილს, მ. ბ-ძეს, მ. ყ-შვილს, ნ. ო-შვილს, ი. ბ-შვილს, ზ. კ-ძეს, ნ. ბ-შვილს, კ. გ-შვილს, კ. გ-შვილს, ი. მ-ძეს, გ. რ-ავას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. რ-ავამ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის IV სამმართველოში უფროსი ოფიცრის თანამდებობაზე კადრების დარგში აღდგენა, განაცდურის სრული ოდენობით ანაზღაურება და გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდის სამუშაო სტაჟში ჩათვლა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.05.2007 წლის გადაწყვეტილებით გ. რ-ავას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.07.06 წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. რ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო

საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი თავდაცვის მინისტრის #556 ბრძანება გ. რ-ავას შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში დათხოვნის შესახებ და დაევალა თავდაცვის სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლის შემდეგ, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გ. რ-ავას სამხედრო სამსახურში დასაქმების შესახებ.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის #609 ბრძანებულების «სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» მე-9 თავის მე-6 პუნქტის თანახმად, ოფიცრის თანამდებობიდან გადაყენება კადრების განკარგულებაში გადაყვანით არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს. ამდენად, სპეციალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო სამხედრო მოსამსახურის უპირობო დათხოვნას. სასამართლომ მიიჩნია, რომ კადრების განკარგულებაში პირის ყოფნის ვადის დაწესება კანონმდებლის მიერ ემსახურებოდა დათხოვნილი მოსამსახურის შეიარაღებული ძალების სისტემაში შემდგომი დასაქმების საკითხის გადაწყვეტას. აღნიშნულს ადასტურებს ისიც, რომ საქართველოს პრეზიდენტის # 609-ე ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების მე-9 თავის მე-6 მუხლის შესაბამისად, სამხედრო სამსახურიდან დასათხოვ ოფიცერს დათხოვნის წინ ეძლევა კუთვნილი შვებულება, რის შემდეგაც იგი იგზავნება სამხედრო-საეიშო კომისიაზე სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის დასაგენად, რაც მოსარჩელეთა მიმართ არ განხორციელებულა.

სასამართლოს მოსაზრებით, წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ მოპასუხის მიერ სრულყოფილად იქნა გამოკვლეული და გამორიცხული აპელანტის სამუშაოზე უპირატესი დარჩენის უფლების არსებობა, რის გამოც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც იგი ბათილად იქნა ცნობილი სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ახალი აქტის გამოცემა. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება მისი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის მე-4 სამმართველოში უფროსი ოფიცრის თანამდებობაზე კადრების დარგში აღდგენის შესაძლებლობის შესახებ და აღნიშნული საკითხი დატოვა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადასაწყვეტად. რაც შეეხება განაცდურის ანაზღაურებას და გაცდენილი დროის წელთა ნამსახურობის სტაჟში ჩათვლას, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული მოთხოვნა მოცემულ საქმეზე დავის საგანს არ წარმოადგენდა, ხოლო სააპელაციო სასამართლომ დავის საგნის გაზრდის შეუძლებლობის გამო, სააპელაციო პალატა არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა აღნიშნულ საკითხზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.05.07 წ. გადაწყვეტილება თავდაცვის სამინისტრომ 26.07.07 წ. და გ. რ-ავამ 03.08.07 წ. საკასაციო წესით გაასაჩივრეს და აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვეს. ამასთან, თავდაცვის სამინისტრომ გ. რ-ავასათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო გ. რ-ავამ მისი სასარჩელო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თავდაცვის სამინისტრომ მიუთითა, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, არასწორად განმარტა კანონი, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. სამხედრო სამსახური არის სპეციფიკური სამსახური, რომელიც რეგულირდება სპეციალური კანონებით, ამდენად გაურკვეველია, თუ რის გამო იქნა გამოყენებული სასამართლოს მიერ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი, ამასთანავე, სასამართლოსთვის უცნობი იყო დარჩენილ სამტატო ერთეულებზე დანიშნული თანამშრომლების უპირატესი დარჩენის უფლების შესახებ. სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა საქართველოს პრეზიდენტის 26.10.98 წ. #609 ბრძანებულების მე-9 თავის მე-6 მუხლი, ვინაიდან აღნიშნული ნორმა არ ზღუდავს ადმინისტრაციას, რომ კადრების განკარგულებაში გადაყვანილი მოსამსახურე დაითხოვოს ოთხ თვემდე ვადის გასვლამდე, გ. რ-ავა კი ამ ვადის გასვლასთან დაკავშირებით იქნა გათავისუფლებული.

გ. რ-ავამ საკასაციო საჩივარში მიუთითა, რომ დაზვერვის დეპარტამენტის IV სამმართველოში რეორგანიზაციის შემდეგ დარჩა უფროსი ოფიცრის თანამდებობა. კანონმდებლობა ავალდებულებდა ადმინისტრაციულ ორგანოს მისთვის სანაცვლო თანამდებობის შეთავაზებას სამხედრო წოდებისა და თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით. აღნიშნულს ადგილი არ ქონია, რითაც მნიშვნელოვნად შეილახა მისი უფლებები. კასატორის განმარტებით, კადრების განკარგულებაში სამხედრო პირის გადაყვანის მიზანს წარმოადგენს საჭირო კადრების შერჩევა და იმ თანამდებობაზე გამწესება, რომელსაც ისინი კვალიფიკაციით შეესაბამებიან. რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ სამინისტროში არ ჩატარებულა კონკურსი, ატესტაცია რისი წარუმატებლად გავლაც, მოსარჩელის აზრით, შეიძლება გამხდარიყო მისი ახალ თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველი. მას არ უსარგებლია კუთვნილი შვებულებით და არ ჩატარებია სამედიცინო გამოკვლევა, რაც დაადგენდა მის ვარგისიანობას ახალი თანამდებობის დასაკავებლად, რითაც დაირღვა პრეზიდენტის #609-ე ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების მე-9 თავის მე-6 მუხლი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს თავად უნდა მიეღო გადაწყვეტილება მისი სამუშაოზე აღდგენის შესახებ. გაუგებარია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს უარი განაცდურის ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ სასამართლოს წარმოებაში არსებობს სხვა საქმე, სადაც დავის საგანს

წარმოადგენს სამსახურის პერიოდში წარმოშობილი დავალიანების დაფარვა. კასატორი მიიჩნევს, რომ განაცდურის ანაზღაურება და გაცდენილი დროის შრომის საერთო სტაჟში ჩათვლა წარმოადგენს უკანონოდ გათავისუფლებული პირის სამსახურში აღდგენის თანამდევ შედეგს, შესაბამისად, აღნიშნული საკითხები ერთად უნდა იქნეს გადაწყვეტილი სასამართლოს მიერ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გ. რ-ავას უარი უნდა ეთქვას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.05.07 წ. გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, გ. რ-ავას სარჩელი თავდაცვის მინისტრის 16.03.06 წ. #556 ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოსარჩელე გ. რ-ავა თავდაცვის მინისტრის 14.11.05 წ. #313 ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში. გ. რ-ავას აღნიშნული ბრძანება არ გაუსაჩივრებია სასამართლოში, შესაბამისად, მას სადავო არ გაუხდია მისი კადრების განკარგულებაში გადაყვანა რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით.

თავდაცვის მინისტრის 16.03.06 წ. #556 ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყოფი გ. რ-ავა დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის (რეორგანიზაცია და შტატების შემცირება) საფუძველზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 09.11.05 წ. #313-ე ბრძანებით 2005 წლის 14 ნოემბრიდან გაუქმდა სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი, შტატი #2/308-51,65 სამხედრო მოსამსახურის რიცხოვნობით, გაუქმებული საშტატო სტრუქტურის ბაზაზე ჩამოყალიბდა სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი, შტატი #2/310-51,55 სამხედრო მოსამსახურის რიცხოვნობით. ხსენებული ბრძანება არ გასაჩივრებულა. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რეორგანიზაცია და შტატების შემცირება წარმოადგენს არა სამხედრო მოსამსახურის სამუშაოდან გათავისუფლების უპირობო საფუძველს, არამედ მხოლოდ კადრების განკარგულებაში გადაყვანის საფუძველს, რის შემდგომაც ადმინისტრაციას ევალება 4 თვის ვადაში შესთავაზოს სამხედრო მოსამსახურეს კვალიფიკაციის გათვალისწინებით ახალი თანამდებობა. სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტი სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დამოუკიდებელ საფუძველად ითვალისწინებდა რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებას. აღნიშნული საფუძველი გათვალისწინებულია აგრეთვე პრეზიდენტის 26.10.98 წ. #609-ე ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების მე-9 თავის მე-4 მუხლით. დაუსაბუთებელია კასატორ გ. რ-ავას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციას მისი გათავისუფლება შეეძლო მხოლოდ კონკურსის ან ატესტაციის არადაამკაყოფილებლად გავლის შემთხვევაში. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს სამსახურიდან დაითხოვენ სამსახურებრივი შეუსაბამობის გამო. ამგვარად, რეორგანიზაცია, შტატების შემცირება და სამსახურებრივი შეუსაბამობა გათავისუფლების სხვადასხვა საფუძველია და ეს უკანასკნელი პირველის წინაპირობას არ წარმოადგენს.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კადრების განკარგულებაში მუშაკის ოთხ თვეზე მეტი ვადით გადაყვანის დაუშვებლობა მისი სამსახურში აღდგენის საფუძველია. საქართველოს პრეზიდენტის 26.10.98 წ. #609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტის თანახმად, ოფიცრის თანამდებობიდან გადაყენება კადრების განკარგულებაში გადაყვანით არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს. ხსენებულ ნორმამი საუბარია რეორგანიზაციასთან და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით სამხედრო სამსახურიდან დასათხოვ ოფიცერზე, რაც გამორიცხავს კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ თანამდებობაზე დანიშვნის ვალდებულებას. ამდენად, კადრების განკარგულებაში მყოფი პირის სავალდებულო წესით სამსახურში დანიშვნას მითითებული დებულება არ ითვალისწინებს. აღნიშნული არ არის გათვალისწინებული აგრეთვე «სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» კანონით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირის სამსახურში მიღება დაწესებულების ადმინისტრაციის ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებათა წრეს განეკუთვნება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ თავდაცვის მინისტრის 09.11.05 წ. #313-ე ბრძანებით გაუქმდა სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი, შესაბამისად, დისკრეციის სფეროს განეკუთვნება არა გათავისუფლების, არამედ დანიშვნის საკითხის გადაწყვეტა, რის გამოც უსაფუძველოა გ. რ-ავას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო აქტთან დაკავშირებით სააპელაციო პალატის მითითება იმის შესახებ, რომ აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების

ფარგლებში, რომლის პირობებშიც გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა სრულყოფილად გამოკვლეული არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება - გ. რ-ავას სამუშაოზე უპირატესი დარჩენის უფლების არსებობა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააკველიციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციის ვალდებულებას შეთავაზოს დასათხოვ სამხედრო პირს სანაცვლო სამსახური ადასტურებს საქართველოს პრეზიდენტის 26.10.98 წ. #609-ე ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტი, რომელიც მოითხოვს დასათხოვი პირისათვის შვებულების მიცემასა და საექიმო კომისიაზე გაგზავნას სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის დასადგენად. დასათხოვი პირისათვის შვებულების მიცემის ვალდებულება ემსახურება იმას, რომ დათხოვნის წინ სამხედრო მოსამსახურემ ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული საშვებულებო დახმარებით და სხვა შეღავათებით. დასათხოვი ოფიცრის საექიმო კომისიაზე გაგზავნა მიზნად ისახავს ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენას, რათა მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის სურვილის შემთხვევაში ხელმძღვანელობას ჰქონდეს ინფორმაცია სამხედრო სამსახურისათვის მოსამსახურის ვარგისიანობის შესახებ. კადრებში გადაყვანილი მოსამსახურის დასაქმების საკითხის გადაწყვეტა ხელმძღვანელობის ფართო დისკრეციის სფეროს განეკუთვნება, ხელმძღვანელობას არ ეკისრება სხვა თანამდებობის შემოთავაზების ვალდებულება. რაც შეეხება სამსახურიდან დათხოვნას, აღნიშნულისათვის კანონმდებლობის მიხედვით საკმარისი საფუძველია რეორგანიზაცია და შტატების შემცირება. ამდენად, შვებულების მიცემა და საექიმო კომისიაზე გაგზავნა არ წარმოადგენს სამსახურიდან გათავისუფლების წინაპირობას, შესაბამისად მათი დაუცველობა ვერ გახდება პირის სამუშაოზე აღდგენის საფუძველი.

საკასაციო სასამართლომ თავდაცვის მინისტრის სადავო ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველად მიიჩნია მოსარჩელის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის დროისათვის მოქმედი «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლისა და შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელისათვის სხვა თანამდებობის შეთავაზების, მისი სამუშაოზე უპირატესი დარჩენის საკითხის გამორკვევის გარეშე გამოცემა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხის გარკვევა არ წარმოადგენდა ხსენებული ბრძანების გამოცემის სავალდებულო პირობას. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა მოხელისათვის სხვა თანამდებობის სავალდებულო შეთავაზებას, სადავო ბრძანების გამოცემის დროისათვის, 23.13.05 წ. კანონით შეტანილი ცვლილების შედეგად გაუქმდა, ამასთანავე «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება სამხედრო მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. გ. რ-ავას, როგორც სამხედრო მოსამსახურის მიმართ ვრცელდებოდა სამსახურიდან დათხოვნის სპეციალური კანონმდებლობის ნორმები, რაც გამორიცხავს მის მიმართ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონისა და შრომის კანონთა კოდექსის ნორმების გამოყენებას. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონი არ ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურის სამსახურში უპირატესი დარჩენის უფლებას და შტატების შემცირების შემთხვევაში შტატგარეშედ დარჩენილი მოსამსახურისათვის სხვა თანამდებობის შეთავაზების ვალდებულებას.

საკასაციო პალატა იზიარებს გ. რ-ავას საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იძულებითი განაცდურის გადახდა არ ხდება გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის გარეშე. მიუხედავად ამისა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს. ვინაიდან არ არსებობს სადავო აქტის - თავდაცვის მინისტრის 16.03.06 წ. #556 ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის საფუძველი, შესაბამისად საფუძველს მოკლებულია განაცდურის სრული ოდენობით ანაზღაურებისა და სამსახურში აღდგენამდე განვლილი პერიოდის სამუშაო სტაჟში ჩათვლის შესახებ მოთხოვნა, რის გამოც გ. რ-ავას მართებულად ეთქვა უარი სარჩელის ამ ნაწილის დაკმაყოფილებაზე, მით უფრო, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენდა გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა და სამსახურში აღდგენა (28.07.06 წ. სასამართლო სხდომაზე დაკმაყოფილდა მოსარჩელეების შუამდგომლობა და საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო და განხილულ იქნა მოსარჩელეების მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, რომელიც განხილულ იქნა იმავე სხდომაზე), ხოლო სსსკ-ის 381 მუხლის თანახმად, დავის საგნის გადიდება არ დაიშვება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს გ. რ-ავას მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. რ-ავას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.05.07 წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გ.რ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თავდაცვის მინისტრის #556-ე ბრძანება და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლის შემდეგ თავდაცვის სამინისტროს დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გ. რ-ავას სამხედრო სამსახურში დასაქმების შესახებ. ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. რ-ავას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მერის კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლები შტატების შემცირებასთან დაკავშირებით

განჩინება

#ბს-492-469(23-07) 28 თებერვალი, 2008წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ბრძანებების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, თანამდებობებზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 28 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს დ. გ-ძემ, ჟ. ც-ძემ, მ. ჯ-იამ, ნ. ლ-ძემ, დ. ჭ-ძემ, მ. ბ-ძემ, თ. ბ-იდი, ი. ჩ-ძემ, ნ. ფ-ძემ, ე. ა-ძემ, რ. ს-ძემ, მ. ბ-ძემ და მ. ა-იამ მოპასუხეების - ქ. ქუთაისის მერიისა და სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულების, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე, ამავე ინსპექციის 2006 წლის 30 აგვისტოს #35 ბრძანების მათი სამუშაოდან დათხოვნის ნაწილში ბათილად ცნობა, თანამდებობებზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

მოსარჩელები წლების მანძილზე მუშაობდნენ სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციაში სხვადასხვა თანამდებობებზე და წარმოადგენდნენ საჯარო მოსამსახურეებს. «ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ» ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულებისა და «ადგილობრივი თვითმმართველობის ქუთაისის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ» სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანების საფუძველზე, ამავე ინსპექციის უფროსის 2006 წლის 30 აგვისტოს #35 ბრძანებით, სამსახურის ოპტიმიზაციის შედეგად შტატების შემცირების მოტივით, «საჯარო მოსამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე, 108-ე და 109-ე მუხლების გამოყენებით, 2006 წლის 1 სექტემბრიდან დათხოვნილ იქნენ: დ. გ-ძე - ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის ექიმი-ინსპექტორის თანამშრომლის, ჟ. ც-ძე - კვების ჰიგიენის ექიმი-ინსპექტორის თანამშრომლის, მ. ჯ-ია - ინჟინერ-დოზიმეტრისტის, ნ. ლ-ძე, დ. ჭ-ძე, მ. ბ-ძე, თ. ბ-იდი და ი. ჩ-ძე - კვების ჰიგიენის ლაბორანტის, ნ. ფ-ძე, ე. ა-ძე, რ. ს-ძე და მ. ბ-ძე - კომუნალური ჰიგიენის ლაბორანტის, ხოლო მ. ა-ია - შრომის ჰიგიენის ლაბორანტის თანამდებობებიდან. სადავო ბრძანებაში მიეთითა, რომ მოსარჩელებს უნდა გასწორებოდათ საბოლოო ანგარიში და მისცემოდათ ორი თვის თანამდებობრივი სარგოს კომპენსაცია.

მოსარჩელეთა მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ბრძანებები კანონსაწინააღმდეგოა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს. კანონის აღნიშნული ნორმის მოთხოვნები დაირღვა ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის

18 ივლისის #341 განკარგულებისა და სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანებისას გამოცემისას, რამდენადაც აღნიშნული ადმინისტრაციული აქტები არ შეიცავს იმის დასაბუთებას, თუ რამ განაპირობა სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის რეორგანიზაცია და ამავე ინსპექციის მუშაკთა შტატების შემცირება.

სადავო აქტების გამოცემით დაირღვა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებს და თანამდებობათა დასახელებას ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის საკრებულო. აღნიშნულ საკითხზე ქ. ქუთაისის საკრებულოს გადაწყვეტილება არ მიუღია, რის გამოც ქ. ქუთაისის მერიამ ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის თანამდებობათა დასახელების დამტკიცებისას გადაამეტა თავის უფლებამოსილებას.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. ამავე პუნქტის თანახმად, როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. 97-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას. მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება ამავე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გაფრთხილების ვადის გასვლიდან პირველივე დღეს, ხოლო თანამდებობის შემცირების შესახებ მოხელეს უნდა ეცნობოს ერთი თვით ადრე. მოცემულ შემთხვევაში მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ მოსარჩელებს რაიმე შეტყობინება ადმინისტრაციისაგან არ მიუღიათ.

სამუშაოდან მოსარჩელეთა უკანონოდ გათავისუფლებას ადასტურებს ადმინისტრაციის მიერ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა. კანონის დასახელებული ნორმის მიხედვით, შტატების შემცირების გამო, სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა თანამდებობრივი სარგო, რაც არც ერთ მათგანს არ მიუღია. მათ ასევე არ მიუღიათ წლების მანძილზე დაგროვილი შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რაც სარჩელზე დართული მტკიცებულებების გათვალისწინებით 96288 ლარს შეადგენს.

საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 იანვრის სხდომაზე მოსარჩელეთა წარმომადგენელმა სარჩელი დააზუსტა და განმარტა, რომ დ. ჭ-მე მოითხოვდა მხოლოდ სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას, ი. ჩ-მე - მხოლოდ სამსახურში აღდგენას, ხოლო დანარჩენი მოსარჩელები - სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციას დაევალა მოსარჩელე ჟ. ც-ძის სასარგებლოდ 643 ლარის, მ. ჯ-იას სასარგებლოდ - 738 ლარის, ნ. ლ-ძის სასარგებლოდ - 572,50 ლარის, დ. ჭ-ძის სასარგებლოდ - 45 ლარის, მ. ბ-ძის სასარგებლოდ - 701 ლარის, თ. ბ-იდის სასარგებლოდ - 377,50 ლარის, ე. ა-ძის სასარგებლოდ - 269,50 ლარის, რ. ს-ძის სასარგებლოდ - 87,10 ლარის, მ. ბ-ძის სასარგებლოდ - 599 ლარის და მ. ა-იას სასარგებლოდ - 327,50 ლარის გადახდა. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინოდა მიიჩნია, რომ ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულებით «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად: 1. დამტკიცდა ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის სტრუქტურა; 2. სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსს დაევალა, სტრუქტურის შესაბამისად, დებულებიდან გამომდინარე, უზრუნველყო სამშატო განრიგის დამტკიცება. ამავე განკარგულების მე-4 პუნქტით განისაზღვრა კანონით დადგენილი წესით განკარგულების ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში გასაჩივრების წესი. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ განკარგულება გამოცემული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ხოლო რაც შეეხებოდა 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ დასაბუთებას და სარეზოლუციო ნაწილს, ამ შემთხვევაში გასთვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ განკარგულება შეეხებოდა მასზე თანდართული სტრუქტურის დამტკიცებას. მასში, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მიეთითა ის საკანონმდებლო ნორმა, რის საფუძველზეც აღნიშნული აქტი გამოიცა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» პუნქტის თანახმად, იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, მერი ახორციელებს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას, გამოსცემს შესაბამის ბრძანებებს (განკარგულებებს), ხელმძღვანელობს ქალაქის მთავრობის საქმიანობას. სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექცია არის ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახური, რომელიც შექმნილია ამავე კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის

საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ მათთვის დელეგირებულ უფლებამოსილებათა განუხორციელებლობის შემთხვევაში ამ უფლებამოსილებებს ახორციელებენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ ქ. ქუთაისის მერიამ სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო ინსპექციის თანამდებობათა დასახელებით და დამტკიცებით გადაამეტა თავის უფლებამოსილებას.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან შტატების შემცირების გამო. ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულების დანართის თანახმად, სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო ინსპექცია განისაზღვრა 20 საშტატო ერთეულით, ანუ შემცირდა 37 ერთეულით.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების შტატებს ამ დაწესებულების დებულების საფუძველზე ამტკიცებს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ შემთხვევაში სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის ბრძანება ამავე ინსპექციის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ გამოცა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 ნაწილის და ამავე ინსპექციის დებულების მე-5 მუხლის «თ» პუნქტის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2006 წლის 30 აგვისტოს ბრძანებით შტატების შემცირების გამო, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე, 108-ე და 109-ე მუხლების საფუძველზე, მოსარჩელები 2006 წლის 1 სექტემბრიდან გათავისუფლდნენ თანამდებობიდან, გაუსწორდათ საბოლოო ანგარიში და მიეცათ ორი თვის თანამდებობრივი სარგოს კომპენსაცია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შტატების შემცირებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, რის შესახებაც მოსარჩელები გაფრთხილებული იყვნენ 2006 წლის 31 ივლისს, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 108-ე მუხლის თანახმად, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა გაფრთხილებას ხელი არ მოაწერა, რაც დასტურდებოდა საქმის მასალებით.

მოსარჩელების მოთხოვნა სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში საქალაქო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია და ამასთან დაკავშირებით მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლებამდე მიიღოს ხელფასი. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, რაც ამ შემთხვევაში არ შესრულებულა და რასაც არც მოპასუხე არ უარყოფდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. გ-მემ, ჟ. ც-მემ, ნ. ლ-მემ, დ. ჭ-მემ, მ. ბ-მემ, ი. ჩ-მემ, ნ. ფ-მემ, ე. ა-მემ, რ. ს-მემ, მ. ბ-მემ და მ. ა-იამ, რომლებმაც სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმების, მოსარჩელეთა სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს შემდეგი საფუძველებით:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექცია შეიქმნა ქ. ქუთაისის საკრებულოს 2003 წლის 18 თებერვლის #148 დადგენილებით, იგი წარმოადგენდა ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ერთ-ერთ სამსახურს და საკრებულოს ამავე დადგენილების თანახმად, ქ. ქუთაისის მერმა 2004 წლის 5 იანვრის #1 ბრძანებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცა მისი დებულება. იგივე სამსახური (ინსპექცია) ამჟამად ქ. ქუთაისის მერიაში შემავალი სტრუქტურული ერთეულია, რასაც ადასტურებს ქ. ქუთაისის საკრებულოს 2006 წლის 14 დეკემბრის #8 დადგენილება.

საქმის მასალებით ასევე დგინდება, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ» ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულებისა და «ადგილობრივი თვითმმართველობის ქუთაისის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ» სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანების საფუძველზე სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციაში განხორციელდა რეორგანიზაცია, რასაც შედეგად მოჰყვა 57 თანამშრომლიდან 37-ის გათავისუფლება.

«ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი სამსახურის რეორგანიზაცია განეკუთვნებოდა ქ. ქუთაისის საკრებულოს უფლებამოსილებას. შესაბამისად, ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი არაუფლებამოსილი იყო, გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ. დასახელებული კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის

«ვ» ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ქალაქის მერს, როგორც საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, შეეძლო მოემზადებინა და საკრებულოსათვის წარედგინა წინადადებები ინსპექციის რეორგანიზაციის თაობაზე, ხოლო თუკი საკრებულო არ განახორციელებდა მასზე დელეგირებულ უფლებამოსილებებს, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ენიჭებოდა ადგილობრივი მმართველოს ორგანოს მერიის სახით უფლება, განეხორციელებინა ეს უფლებამოსილებანი, როგორც ამას ითვალისწინებდა «ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

საქმეში არ მოიპოვებოდა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ქ. ქუთაისის მერიამ მიმართა ქ. ქუთაისის საკრებულოს სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის რეორგანიზაციის მოთხოვნით და აღნიშნულზე უარი მიიღო. აქედან გამომდინარე, არასწორი იყო საქალაქო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ქ. ქუთაისის მერიას სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო ინსპექციის თანამდებობათა დასახელებითა და დამტკიცებით თავისი უფლებამოსილება არ გადაუმეტებია. ნიშანდობლივი იყო, რომ ადგილობრივი სამსახურების რეორგანიზაციის საკრებულოს კომპეტენციაში არსებობა შენარჩუნდა ამჟამად მოქმედი «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონითაც (22-ე მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტი).

საქალაქო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანებით და ამავე ბრძანების #1 დანართით გათვალისწინებული ინსპექციის ახალი სამტატო ერთეულების, თანამდებობათა დასახელებისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცებას. მართალია, «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების მოსამსახურეთა შტატებს ამ დაწესებულების დებულების საფუძველზე ამტკიცებს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი, მაგრამ ინსპექციის უფროსმა სადავო ბრძანებით არა მარტო სამტატო განრიგი დაამტკიცა, არამედ დაადგინა ინსპექციის მოსამსახურეთა ახალი თანამდებობების დასახელება და სამუშაოდან გათავისუფლებული მუშაკების ხელფასის ხარჯზე გაზრდილი ახალი თანამდებობრივი სარგოებიც, მაშინ როცა «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ინსპექციის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებისა და თანამდებობათა დასახელების დამტკიცების უფლებამოსილება გააჩნდა ქ. ქუთაისის საკრებულოს, ხოლო დებულების მე-5 მუხლის «თ» პუნქტის მიხედვით, ინსპექციის უფროსს შეეძლო მხოლოდ სამტატო განრიგის დამტკიცება.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის რეორგანიზაცია (ე.წ. «ოპტიმიზაცია») ჩატარდა კანონდარღვევით, ბუნებრივია, მისი თანმდევი შედეგი - შტატების შემცირების მოტივით მოსარჩელეთა სამუშაოდან დათხოვნა, უკანონო იყო, რის გამოც მოსარჩელები ექვემდებარებოდნენ თანამდებობებზე აღდგენას იძულებითი განაცდურის ანაზღაურებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აპრილის განჩინებით საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ მ. ხ-ძე, თ. წ-ძე, ნ. უ-ოვა, ი. კ-ძე, ლ. ნ-ძე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით დ. გ-ძის, ჟ. ც-ძის, მ. ჯ-იას და სხვების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ე. ა-ძის, მ. ბ-ძის, დ. ჭ-ძის, რ. ს-ძის, ი. ჩ-ძისა და ნ. ლ-ძის მიმართ შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსის 2006 წლის 30 აგვისტოს #35 ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება გაუქმდა, ბათილად იქნა ცნობილი სადავო ბრძანება და სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ე. ა-ძის, მ. ბ-ძის, დ. ჭ-ძის, რ. ს-ძის, ი. ჩ-ძისა და ნ. ლ-ძის სამუშაოზე მოწყობის თაობაზე; მოპასუხესვე დაევალა აღნიშნული პირებისათვის 2006 წლის 1 სექტემბრიდან ახალი აქტის გამოცემამდე განვლილი დროის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივები მდგომარეობს შემდეგში:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ქუთაისის მერის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულებით დამტკიცდა ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის სტრუქტურა. დასახელებული ბრძანებულება კანონიერი იყო, რამდენადაც ქუთაისის საკრებულოს 2005 წლის 25 ოქტომბრის #128 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები. ამ გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს #726 ბრძანებულება. ქუთაისის საკრებულოს 2006 წლის

14 დეკემბრის #8 დადგენილებით დამტკიცდა ქუთაისის მერიის დებულება და ქუთაისის მერიის სტრუქტურა. შეიქმნა აღნიშნული სტრუქტურით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულები. ამავე დადგენილების საფუძველზე შეიქმნა სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახური. ქუთაისის საკრებულოს 2006 წლის 15 თებერვლის #139 გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა ქუთაისის საკრებულოს 2005 წლის 25 ოქტომბრის #128 გადაწყვეტილებაში, რომლითაც დანართი: «ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგობის შესახებ» ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. ქუთაისის საკრებულოს აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენდა ქუთაისის მერის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულების საფუძველს. შესაბამისად, ქუთაისის მერიას არ გადაუმეტებია თავისი უფლებამოსილებისათვის.

სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანებით დამტკიცდა ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სამტატო განრიგი. აღნიშნული ბრძანება გამოიცა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის, ინსპექციის დებულების მე-5 მუხლის «თ» პუნქტის შესაბამისად. ამ ბრძანების საფუძველს წარმოადგენდა ასევე ქუთაისის მერიის #341 განკარგულება და სანიტარული კოდექსის 44¹ მუხლი.

რამდენადაც ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულება კანონიერი იყო, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

მოსარჩელები სამუშაოდან გათავისუფლდნენ სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის 2006 წლის 30 აგვისტოს ბრძანებით. საკრებულოს გადაწყვეტილებისა და მერის განკარგულების საფუძველზე, აგრეთვე სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ბრძანების შესაბამისად, შეიქმნა ახალი სამტატო ერთეულები, ხოლო მოსარჩელები მუშაობდნენ სხვა სამტატო ერთეულებზე. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში შეიქმნა ახალი სამტატო ერთეულები, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეთა სამუშაოზე აღდგენა ვერ მოხდებოდა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლისა და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების კანონით დადგენილი წესით გამოკვლევა-შეფასების გარეშე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში ჩაბმულ მესამე პირებს: მ. ხ-ძეს, თ. წ-ძეს, ნ. უ-ოვას, ი. კ-ძეს აქვთ უმაღლესი განათლება, ასევე უმაღლესი განათლება აქვთ მოსარჩელებს: ე. ა-ძეს, მ. ბ-ძეს, დ. ჭ-ძეს, რ. ს-ძეს, ი. ჩ-ძეს და ნ. ლ-ძეს. ამასთან, მესამე პირებს აქვთ უფრო ნაკლები სტაჟი, ვიდრე დასახელებულ მოსარჩელებს - ე. ა-ძეს, მ. ბ-ძეს, დ. ჭ-ძეს, რ. ს-ძეს, ი. ჩ-ძესა და ნ. ლ-ძეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მოსარჩელები სამუშაოდან გათავისუფლდნენ საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის გარეშე. ამასთან, რამდენადაც აღარ არსებობდა ამ მოსარჩელეთა თანამდებობები, ვერ მოხდებოდა მათი აღდგენა. შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა ცნობილიყო მათი გათავისუფლების ბრძანება და სანიტარულ ინსპექციას დავალებოდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რა დროსაც უნდა გარკვეულიყო, რა სამტატო ერთეულებია გათვალისწინებული მოპასუხე ორგანიზაციაში და ხომ არ არის ამ მოსარჩელეთა მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობების ანალოგიური თანამდებობები ახალი სამტატო განრიგით ან ხომ არ არის სხვა შესატყვისი სამსახური მოპასუხე ორგანიზაციაში, რომელზეც თანახმა იქნებიან დასახელებული მოსარჩელები.

რაც შეეხებოდა დანარჩენ მოსარჩელებს - დ. გ-ძეს, მ. ჯ-იას, ჟ. ც-ძეს, მ. ბ-ძეს, თ. ბ-იძს, ნ. ფ-ძეს, მ. ა-იას, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მათ საშუალო სპეციალური განათლება არ გააჩნიათ. მართალია, მ. ჯ-იას აქვს უმაღლესი განათლება, მაგრამ სპეციალობით არის მათემატიკოსი, ხოლო მესამე პირებს აქვთ ქიმია-ბიოლოგიის სპეციალობა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ამ მოსარჩელეთა ნაწილში სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს ე. ა-ძემ, მ. ბ-ძემ, დ. ჭ-ძემ, რ. ს-ძემ, ი. ჩ-ძემ, ნ. ფ-ძემ, ნ. ლ-ძემ, დ. გ-ძემ, მ. ა-იამ, ჟ. ც-ძემ, მ. ბ-ძემ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მიზნით საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვეს შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ კანონიერად მიიჩნია «ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ» ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულება და

«ადგილობრივი თვითმმართველობის ქუთაისის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ» სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანება, თუმცა აღნიშნული დასკვნის გამოტანისას ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ, როგორც დასახელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს მოქმედი «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, ისე, ამჟამად მოქმედი «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» 2005 წლის 16 დეკემბრის ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი სამსახურების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება განეკუთვნება საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას, რომლისთვისაც ქ. ქუთაისის მერიას, როგორც საკრებულოს აღმასრულებელ ორგანოს, საქმეში არსებული მტკიცებულებების მიხედვით, არ მიუძღვრება. შესაბამისად, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციაში ჩატარებული რეორგანიზაცია კანონსაწინააღმდეგაა.

სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების უკანონობას სრულიად ასაბუთებს მათი გამოცემიდან რამდენიმე თვის შემდეგ მიღებული ქ. ქუთაისის საკრებულოს 2006 წლის 27 დეკემბრის #12 დადგენილება, რომლის #1 დანართის მე-5 მუხლის თანახმად, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის 2006 წლის წლიური საბიუჯეტო დაფინანსება არათუ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა კიდევ და ნაცვლად 70000 ლარისა, შეადგინა 73800 ლარი. ამ გაზრდილი დაფინანსებიდან 60680 ლარი გათვალისწინებულ იქნა ინსპექციის მოსამსახურეთა ადრინდელი საშტატო ნუსხით განსაზღვრულ 55 საშტატო ერთეულზე. აღნიშნული აშკარად მოწმობს, რომ ქ. ქუთაისის საკრებულოსათვის უცნობი იყო ქ. ქუთაისის მერიის განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციაში მანამდე განხორციელებული რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების შესახებ.

რამდენადაც ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულება და სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანება უკანონოა, შესაბამისად, უკანონოა მათ საფუძველზე ამავე ინსპექციის უფროსის მიერ გამოცემული 2006 წლის 30 აგვისტოს #35 ბრძანება მოსარჩელეთა სამუშაოდან დათხოვნის ნაწილში. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოები სათანადო მოპასუხეებად თავს არ მიიჩნევენ, სასამართლო უფლებამოსილი იყო, გამოეთხოვა მოპასუხის საშტატო განრიგი და მასში დასაქმებულ მუშაკთა სიები 2006 წლის სექტემბრის თვის მდგომარეობით, აგრეთვე, საფუძვლიანად გამოერკვია უფლებამონაცვლეობის საკითხი და მოთხოვნილი ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ბათილად ეცნო სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 30 აგვისტოს #35 ბრძანება არა მარტო ე. ა-მის, მ. ბ-მის, დ. ჭ-მის, რ. ს-მის, ი. ჩ-მის და ნ. ლ-მის, არამედ დანარჩენი მოსარჩელების - დ. გ-მის, ჟ. ც-მის, მ. ბ-მის, ნ. ფ-მის და მ. ა-მის სამუშაოდან დათხოვნის ნაწილშიც. შესაბამისად, სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციას ამ უკანასკნელთა მიმართაც უნდა დავალებოდა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მათი სამუშაოზე მოწყობის თაობაზე და მათაც უნდა ანაზღაურებოდათ იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი 2006 წლის 1 სექტემბრიდან ამავე ინსპექციის (სამსახურის) მიერ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში საკასაციო საჩივრით ასევე გაასაჩივრა ქ. ქუთაისის მერიამ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ივნისის განჩინებით მ. ბ-მის საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული საკასაციო საჩივარზე დანიშნული ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით ქ. ქუთაისის მერიის საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული საკასაციო საჩივარზე დანიშნული ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კასატორებმა - ე. ა-მემ, მ. ბ-მემ, დ. ჭ-მემ, რ. ს-მემ, ნ. ლ-მემ და ი. ჩ-მემ საკასაციო საჩივარზე უარი განაცხადეს და შუამდგომლობით მომართეს საკასაციო სასამართლოს საქმეზე წარმოების შეწყვეტის მოთხოვნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ა-მის, მ. ბ-მის, დ. ჭ-მის, რ. ს-მის, ნ. ლ-მის, ი. ჩ-მის ნაწილში საკასაციო საჩივარზე წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო დანარჩენ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით

მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

კონკრეტულ შემთხვევაში კასატორებმა - ე. ა-ძემ, მ. ბ-ძემ, დ. ჭ-ძემ, რ. ს-ძემ, ნ. ლ-ძემ, ი. ჩ-ძემ გამოიყენეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და უარი განაცხადეს საკასაციო საჩივარზე, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე ფიზიკური პირების ნების შეუზღუდავი გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

საკასაციო სასამართლო მხარეებს განუმარტავს იმის თაობაზე, რომ საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ხელშეორედ საკასაციო წესით გასაჩივრება დაუშვებელია.

რაც შეეხება დანარჩენი კასატორების - ნ. ფ-ძის, დ. გ-ძის, მ. ა-იას, ჟ. ც-ძის საკასაციო საჩივარს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული კასატორების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულყოფილად არ არის გამორკვეული საქმის გარემოებები, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე1» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები სამუშაოდან გათავისუფლდნენ სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 30 აგვისტოს #35 ბრძანებით, შტატების შემცირების მოტივით. აღნიშნული ბრძანების საფუძველია ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულება და სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანება, რომლებიც ასევე წარმოადგენს სარჩელის დავის საგანს.

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულებით დამტკიცდა ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის სტრუქტურა 20 სამშატო ერთეულით, მათი დასახელებების განსაზღვრით. საქმეზე დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა ინსპექციის შიდასტრუქტურული რეორგანიზაცია და შტატები შემცირდა 37 ერთეულით. ამავე განკარგულებით სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსს დაევალა სამშატო განრიგის დამტკიცება. სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ქუთაისის საქალაქო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 28 ივლისის #27 ბრძანებით დამტკიცდა ინსპექციის სამშატო განრიგი შტატების შემცირების გათვალისწინებით.

მოცემულ შემთხვევაში სარჩელის ძირითადი მოტივი აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონსაწინააღმდეგობასთან დაკავშირებით არის ის გარემოება, რომ ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი არ იყო უფლებამოსილი, განესაზღვრა საქალაქო სამსახურის სამშატო რიცხოვნობა, სადავო განკარგულებით შეემცირებინა საქალაქო სამსახურის შტატები და მოეხდინა საქალაქო სამსახურის შიდასტრუქტურული რეორგანიზაცია. მოსარჩელეთა მოსაზრებით, აღნიშნული საკითხი შედიოდა არა ქალაქის მერის, არამედ საკრებულოს კომპეტენციაში, «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელეთა მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სადავო პერიოდში მოქმედი «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, საქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია წარმოადგენს საკრებულოს ზოგად უფლებამოსილებას. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-9 მუხლის «პ» ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებებს ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო - საკრებულო. აქედან გამომდინარე, საქალაქო სამსახურის შიდასტრუქტურული რეორგანიზაცია შტატების შემცირებით და შემცირების შედეგად დასატოვებელ სამშატო ერთეულების დასახელებათა განსაზღვრით წარმოადგენდა საკრებულოს კომპეტენციაში შემავალ საკითხს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის სრულყოფილად დასაბუთებული. მხოლოდ ქუთაისის საკრებულოს 2005 წლის 25 ოქტომბრის #128 გადაწყვეტილება, რომლითაც დამტკიცდა ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და ქუთაისის საკრებულოს 2006 წლის 15 თებერვლის #139 გადაწყვეტილება, რომლითაც ცვლილება შევიდა აღნიშნულ #128 გადაწყვეტილებაში, რომლებზეც სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, არ წარმოადგენდა ქ. ქუთაისის მერისათვის აღნიშნული უფლებამოსილების ერთმნიშვნელოვნად დელეგირების დადასტურებას. მართალია, საკრებულოს #128 და #139 გადაწყვეტილებები, რომლითაც გაიზარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობრივი სარგოები ბიუჯეტით დამტკიცებული არსებული ასიგნებების ფარგლებში, გულისხმობდა ხელფასის გაზრდის უზრუნველყოფას შტატების შემცირების პირობებში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მომდევნო წლის ბიუჯეტი

საკრებულომ დაამტკიცა უკვე გაზრდილ საშტატო რიცხოვნებაზე, სააპელაციო სასამართლომ სარწმუნოდ უნდა გამოარკვიოს, ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ სადავო განკარგულების გამოცემა განხორციელდა თუ არა ქ. ქუთაისის საკრებულოს მხრიდან შესაბამისი უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე ან მოიწონა თუ არა საკრებულოს მიერ მერის მოვალეობის შემსრულებლის აღნიშნული მოქმედება. ამასთან დაკავშირებით, ასევე საყურადღებოა, თუ რა დოკუმენტით იყო დამტკიცებული სანიტარული ინსპექციის საქალაქო სამსახურის წინა საშტატო განრიგი, რომლის შეცვლა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 18 ივლისის #341 განკარგულებით განხორციელდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. ა-ძის, მ. ბ-ძის, დ. ჭ-ძის, რ. ს-ძის, ნ. ლ-ძის, ი. ჩ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს და საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო მათ ნაწილში საკასაციო საჩივარზე წარმოება შეწყდეს;
2. ე. ა-ძის, მ. ბ-ძის, დ. ჭ-ძის, რ. ს-ძის, ნ. ლ-ძის, ი. ჩ-ძის ნაწილში უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება;
3. ნ. ფ-ძის, დ. გ-ძის, მ. ა-იას, ჟ. ც-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება აღნიშნული კასატორების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

რეორგანიზაციის გამო სამსახურიდან გათავისუფლება; იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

განჩინება

#ბს-806-768(23-07) 6 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ჩინჩალაძე,
მ. ცისკაძე**

სარჩელის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, წინანდელ სამუშაოზე დაუყოვნებლივ აღდგენა, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 30 მაისს ე. ჯ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების - ქ. თბილისის მერისა და ქ. თბილისის პრემიერის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანებით ლიკვიდირებულად გამოცხადდა სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 10 აგვისტოს #521 განკარგულებისა და ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 11 ოქტომბრის #606424 გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდა 2005 წლის 29 აპრილიდან. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულებით ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის თანამშრომლები 2005 წლის 3 მაისიდან გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის პრემიერის 2003 წლის 22 მაისის #524 განკარგულება ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ. ხსენებული განკარგულება ძალაში შევიდა 2005 წლის 29 აპრილიდან. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულება, სტრუქტურა და საშტატო ერთეულების ნუსხა #1 და #2 დანართების თანახმად. აღნიშნული ბრძანება

ძალაში შევიდა 2005 წლის 29 აპრილიდან. ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახური - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი იყო მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებდა გარემოსდაცვითი საქმიანობის კომპლექსურ მართვას ქ. თბილისის მასშტაბით.

მოსარჩელის მტკიცებით, იგი მუშაობდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ფლორისა და ფაუნის სპეციალიზებულ განყოფილებაში, რომელიც ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანებით ლიკვიდირებულად ჩაითვალა. იმავე ბრძანებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულებით მოხდა მისი, როგორც მოხელის, გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ახალი დებულება, სტრუქტურა და საშტატო ერთეულების ნუსხა, რომელშიც იდენტური ფუნქციებით შევიდა ფლორისა და ფაუნის განყოფილება. აღნიშნული აქტებით სამართლებრივად გაფორმდა დასახელებული სამსახურის გაუქმება და ამ საფუძველით მოხდა მოსარჩელის გათავისუფლება, ფაქტობრივად კი განხორციელდა ამ სამსახურის არა ლიკვიდაცია, არამედ - თავისი სამართლებრივი შედეგებით, მისი რეორგანიზაცია, ხოლო ამავე სამსახურის მოხელეებზე გავრცელდა ლიკვიდაციის სამართლებრივი შედეგები.

მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით პირადად, უშუალოდ მიადგა ზიანი მის კანონიერ შრომით უფლებებსა და ინტერესს, გავრცელდა რა მასზე ზემოხსენებული სამსახურის ლიკვიდაციის სამართლებრივი შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ იგი იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე და 2004 წლის 23 იანვრის #01-09/01 ბრძანების საფუძველზე გადაყვანილი იყო შრომისუუნარობის ფურცელზე იმავე წლის 26 მაისის ჩათვლით, ხოლო 2004 წლის 15 აპრილის #01-09/04 ბრძანების საფუძველზე მიეცა დამატებითი დეკრეტული შვებულება 2004 წლის 9 ივნისის ჩათვლით. 2004 წლის 14 ივნისის #01-09/07 ბრძანებით მას მიეცა კუთვნილი შვებულება 2004 წლის 10 ივნისიდან 24 ივლისის ჩათვლით, 2004 წლის 26 ივლისის #01-09/10 ბრძანებით 2004 წლის 26 ივლისიდან 2005 წლის 1 თებერვლამდე მოსარჩელეს მიეცა დამატებითი შვებულება ბავშვის მოსაველეად. 2005 წლის 31 იანვრის #01-09/05 ბრძანებით კი, ბავშვის მოსაველეად გაუგრძელდა უხელფასო შვებულება 7 თვით - 2005 წლის 5 სექტემბრის ჩათვლით.

მოსარჩელის მტკიცებით, ზემოაღნიშნული უკანონო ადმინისტრაციული აქტებით შეილახა მისი შრომითი უფლება, რადგან ქ. თბილისის მერმა თავისი არაკანონიერი მოქმედებით განახორციელა მისი სამსახურებრივი ინტერესების ხელყოფა. გასაჩივრებული აქტები იყო დაუსაბუთებელი, ეწინააღმდეგებოდა კანონს, დარღვეული იყო მათი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, აგრეთვე, მათი შესრულება გამოიწვევდა კანონის დარღვევას, ისინი გამოცემული იყო არაუფლებამოსილი პირების მიერ და ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულება. ამ ახალი დებულებით განისაზღვრა ქ. თბილისის მერისა და პრემიერის უფლებამოსილებანი. არც აღნიშნული დებულებისა და არც «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის მიხედვით, რომელშიც დეტალურად იყო მითითებული ქ. თბილისის მერისა და პრემიერის კომპეტენციები, საქალაქო სამსახურის შექმნა და გაუქმება არ წარმოადგენდა ქ. თბილისის მერისა და პრემიერის კანონმდებლობით გათვალისწინებულ უშუალო კომპეტენციას. ქ. თბილისის მერიის ძველი დებულებით, აღნიშნული ფუნქცია მინიჭებული ჰქონდა ქ. თბილისის მერს, რაც ახალი დებულებით გაუქმდა. შესაბამისად, გამოსცა რა აღნიშნული სამსახურის ლიკვიდაციის ბრძანება, ქ. თბილისის მერი მოქმედებდა სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევით და გადააჭარბა კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას. ასევე კანონშუსაბამო იყო ქ. თბილისის პრემიერის ზემოხსენებული განკარგულება, ვინაიდან «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, მას არ ჰქონდა შესაბამისი სპეციალური უფლებამოსილება. ხსენებულით დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტი, რაც იყო ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანებისა და ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველი. დარღვეული იყო გასაჩივრებული აქტების მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოცემულიყო წერილობითი დასაბუთებით.

მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნული აქტების გამოცემისას, რომლებიც ითვალისწინებდა კონკრეტული სამსახურის ლიკვიდაციას, შესწავლილი არ იქნა ის გარემოებები, რომლებიც დასაბუთებდა ლიკვიდაციის აუცილებლობას, მით უმეტეს, რომ ქ. თბილისის მერიამ 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანებით დამტკიცებული ახალი დებულებით შექმნა შინაარსითა და ფუნქციით აბსოლუტურად იდენტური სამსახური, რომელიც გამოცხადდა ლიკვიდირებული სამსახურის სამართალ-მემკვიდრედ. ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ლიკვიდაციის მიზანშეწონილობა ქ. თბილისის მერის მიერ არანაირად არ იყო დასაბუთებული და არც შეიძლება ყოფილიყო, უფრო მეტიც, სამართლებრივი აქტი, რომელიც ითვალისწინებდა აღნიშნული სამსახურის ლიკვიდაციას, დაფუძნებული არ იყო საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებაზე, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის ახალი დებულება. ამ დებულებაში ქ. თბილისის

მერიის სტრუქტურულ ერთეულად გათვალისწინებული იყო ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახური - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტიც. აღნიშნული კი გარემოსდაცვით სფეროს მიკუთვნებულ უამრავ შენარჩუნებულ ფუნქციაზე მიუთითებდა, რაც ცალსახად ადასტურებდა ქ. თბილისის მერიის მიერ ასეთი ფუნქციების განსახორციელებლად შესაბამისი სამსახურის არსებობის აუცილებლობაზე. ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანების გამოცემისას, რომლითაც დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ახალი დებულება, სტრუქტურა და საშტატო ერთეულების ნუსხა, დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 213-ე მუხლი, ასევე, მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, რის გამოც იგი ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ იგი, როგორც საჯარო მოხელე, გაფრთხილებული უნდა ყოფილიყო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რაც არ განხორციელებულა.

მოსარჩელის განმარტებით, «ქ. თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელ საკადრო ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 10 მარტის #201 განკარგულებით გამოქვეყნდა გაურკვეველი შინაარსის აქტი დანართებითურთ, რომლებშიც დაკონკრეტებული არ იყო, თუ ქ. თბილისის მერიის რომელ სამსახურს შეეხო ლიკვიდაცია და/ან რეორგანიზაცია, აგრეთვე, შტატისა და კონკრეტული სამსახურის ლიკვიდაციის საკითხები. ხსენებული განკარგულება ფორმისა და შინაარსის დაუცველად იყო გამოცემული და არ ითვალისწინებდა მოხელეთა გაფრთხილებას.

მოსარჩელის მტკიცებით, იგი არ გაუფრთხილებიათ სამსახურის მოსალოდნელი ლიკვიდაციის შესახებ. ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულებაში მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად მითითებული იყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ლიკვიდაციაზე. ამდენად, სასამართლოს მიერ მისი ყოფილი სამსახურის ლიკვიდაციის უკანონოდ მიჩნევის შემთხვევაში მოისპობოდა მისი გათავისუფლების საფუძველიც და სასამართლო ვალდებული იქნებოდა, მიეღო გადაწყვეტილება მისი სამსახურში აღდგენის შესახებ, მით უფრო, რომ ქალაქის ამ სამსახურის ლიკვიდაცია საერთოდ შეუძლებელი იყო. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონი ითვალისწინებდა მოხელეთა სამსახურიდან გათავისუფლებას დაწესებულების ლიკვიდაციის გამო. იმავე კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ დაწესებულებას წარმოადგენდა ქ. თბილისის მერია, რომლის ლიკვიდაციაც არ მომხდარა, მით უმეტეს, რომ ხსენებულ სამსახურს ფუნქციონირება არ შეუწყვეტია, რის გამოც არ არსებობდა მისი გათავისუფლების საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანების, ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულების, ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულების, ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანების ბათილად ცნობა, წინანდელ სამუშაოზე დაუყოვნებლივ აღდგენა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 2 ივნისის განჩინებით ე. ჯ-იას სასარჩელო განცხადება ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 16 მაისის #155 და ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულებების ბათილად ცნობის, აგრეთვე, წინანდელ სამუშაოზე მოსარჩელის დაუყოვნებლივ აღდგენისა და გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნათა ნაწილში განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 14 ივლისის განჩინებით, ამავე კოლეგიისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველზე, ადმინისტრაციული საქმე ე. ჯ-იას სასარჩელო განცხადების გამო, განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 7 ნოემბრის საოქმო განჩინებებით მოცემულ საქმეში თავდაპირველი მოპასუხე ქ. თბილისის მერი შეიცვალა სათანადოდ მოპასუხე ქ. თბილისის მერიით, ხოლო ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში ჩაება მესამე პირად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 7 ნოემბრის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე ე. ჯ-იას სარჩელის გამო ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 16 მაისის #155 და ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულებების ბათილად ცნობის, აგრეთვე, წინანდელ სამუშაოზე მოსარჩელის დაუყოვნებლივ აღდგენისა და გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე და ადმინისტრაციული საქმე ე. ჯ-იას სარჩელის გამო ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 5 მაისის #26 და #37 ბრძანებების ბათილად ცნობის თაობაზე გაერთიანდა ერთ წარმოებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე ე. ჯ-იან დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება 2005 წლის 5 სექტემბრიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ე. ჯ-იას სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა; ე. ჯ-იას უარი ეთქვა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანების, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 და ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულებების ბათილად ცნობაზე, წინააღმდეგ სამუშაოზე დაუყოვნებლივ აღდგენასა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურებაზე გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანებით ლიკვიდირებულად გამოცხადდა სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 10 აგვისტოს #521 განკარგულებისა და ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 11 ოქტომბრის #606424 გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულებით ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის თანამშრომლები 2005 წლის 3 მაისიდან გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის პრემიერის 2003 წლის 22 მაისის #524 განკარგულება ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულება, სტრუქტურა და სამტატო ერთეულების ნუსხა. ე. ჯ-ია მუშაობდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ფლორისა და ფაუნის სპეციალიზებულ განყოფილებაში, რომლის ლიკვიდაცია განხორციელდა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულებით იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის პრემიერის 2003 წლის 5 მაისის #524 განკარგულება ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ახალი დებულება, სტრუქტურა და სამტატო ერთეულების ნუსხა, რომელშიც იდენტური ფუნქციებით შევიდა ფლორისა და ფაუნის განყოფილება.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ «ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანება გამოიყენოს არაუფლებამოსილი ორგანოსა და არაუფლებამოსილი პირის მიერ და დაირღვა მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი წესი.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების მე-4 პუნქტით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულება «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ». აღნიშნული დებულების მე-3 მუხლით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურა და შეიქმნა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურები.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხეთა წარმომადგენლის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადებულიყო მის საფუძველზე, ან მის შესასრულებლად მიღებული ყველა ნორმატიული აქტი, ან ნორმატიული აქტის შესაბამისი ნაწილი. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ახალი დებულება, სტრუქტურა და ლიკვიდირებულად გამოცხადდა საჯარო სამართლის იურიდიული პირები - ქ. თბილისის კეთილმოწყობის სამსახური და ქ. თბილისის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრი. ასევე ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 თებერვლის #63 ბრძანებულება «საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის შექმნის შესახებ» და საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 21 თებერვლის #54 ბრძანებულება «საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქ. თბილისის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრის შექმნის შესახებ», რადგან «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, აღნიშნული სამსახურები შექმნილი იყო საქართველოს პრეზიდენტის ხსენებული ბრძანებულებებით. რაც შეეხებოდა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურაში შემავალ საქალაქო სამსახურებს, რომლებიც ქ. თბილისის მერის მიერ იყო შექმნილი საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 25-ე მუხლის საფუძველზე, ახალი დებულების თანახმად, ანალოგიურად

უნდა მომხდარიყო მათი ლიკვიდაცია და ძალადაკარგულად გამოცხადებულიყო შესაბამისი სამსახურის შექმნის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულებით დამტკიცდა რა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურა, ამით განისაზღვრა კიდევ ახალი საქალაქო სამსახურების შექმნა. «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის ანალოგიურად, რომლითაც განისაზღვრა სამინისტროების რაოდენობა და დასახელება, ცალკე აქტით აღარ მოხდა მათი შექმნა. უდავო იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #698 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის შესახებ დებულების» მიხედვით, საქალაქო სამსახურები იქმნებოდა ქ. თბილისის მერის ბრძანებით, თუმცა აღნიშნული ფუნქცია ქ. თბილისის მერიის ახალი დებულების თანახმად, ქ. თბილისის მერს აღარ გააჩნდა. საქალაქო სამსახურების რაოდენობა და დასახელება განისაზღვრა თავად საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა არსებული საქალაქო სამსახურების მიმართ სამართლებრივი ცვლილებების განხორციელების საკითხი, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ძალადაკარგული ბრძანებულების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმება და ქ. თბილისის მერიის მიერ მთელი რიგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურის საქართველოს პრეზიდენტის ახალ ბრძანებულებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანება ქ. თბილისის მერმა გამოსცა «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, მერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემდა ბრძანებებსა და განკარგულებებს, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება ჰქონდა აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ზემოხსენებული აქტით მოხდა შესაბამისი სამსახურის ფაქტობრივი ლიკვიდაცია, რადგან აღნიშნული სამსახურის არსებობა განისაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული ახალი დებულებით.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ, რადგან ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანება წარმოადგენდა ნორმატიულ აქტს, მისი მიღება უნდა მომხდარიყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 თავით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით, ვინაიდან მიიჩნია, რომ აღნიშნული თავი ეხებოდა ინდივიდუალური და არა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანება, რომელიც გამოცემული იყო არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსა და არაუფლებამოსილი პირის მიერ, ეწინააღმდეგებოდა კანონს, რადგან დარღვეული იყო მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რის გამოც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ხსენებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის #26 ბრძანება გამოცემული იყო უფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული ბრძანების გამოცემისას ქ. თბილისის მერი მოქმედებდა «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტის შესაბამისად. ამასთან, აღნიშნული ბრძანება გამოცემული და გამოქვეყნებული იყო «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად და მისი მომზადებისა და გამოცემისას არ დარღვეულა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მოთხოვნები, რის გამოც არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრება «ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცების შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ, იმ საფუძველით, რომ აღნიშნული აქტი გამოცემული იყო არაუფლებამოსილი ორგანოს და არაუფლებამოსილი პირის მიერ და მისი გამოცემისას დაცული არ იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესები.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანება თავისი სამართლებრივი ბუნებით, «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წარმოადგენდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს თანამდებობის პირის მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტს. შესაბამისად, მასზე ვერ გავრცელდებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების მოთხოვნები.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანება გამოცემული იყო უფლებამოსილი თანამდებობის პირის - ქ. თბილისის მერის მიერ «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის «ნ» ქვეპუნქტის, «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების მე-3 მუხლის «ზ» ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის «ნ» ქვეპუნქტის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანებით მოხდა ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის საქალაქო სამსახურის შექმნა, რითაც ქ. თბილისის მერმა გადაამეტა თავის უფლებამოსილებას, რადგან არც «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონით და არც საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული შესაბამისი დებულებით საქალაქო სამსახურის შექმნა არ შედიოდა ქ. თბილისის მერის კომპეტენციაში. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ბრძანებით არ მომხდარა ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის - საქალაქო სამსახურის შექმნა. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული შესაბამისი დებულების მე-3 მუხლით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურა, რომლითაც განისაზღვრა ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის - საქალაქო სამსახურის არსებობა და იმავე დებულების მე-12 მუხლის საფუძველზე - ქ. თბილისის მერის უფლებამოსილებანი. აღნიშნული მუხლის «ნ» ქვეპუნქტის მიხედვით, ქ. თბილისის მერი ქ. თბილისის პრემიერის წარდგინებით ამტკიცებდა საქალაქო სამსახურის დებულებებს, სტრუქტურასა და საშტატო ერთეულების ნუსხას. ქ. თბილისის მერიის სადავო #37 ბრძანებით მოხდა ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის საქალაქო სამსახურის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცება #1 და #2 დანართების თანახმად და არა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის - საქალაქო სამსახურის შექმნა. აღნიშნული ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების პირველ მუხლში ჩაიწერა, რომ ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის საქალაქო სამსახური შექმნილი იყო «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის, «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების შესახებ» კანონისა და «საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების და არა ქ. თბილისის მერის ბრძანების საფუძველზე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანება ძალადაკარგული იყო ქ. თბილისის მერის 2005 წლის 2 სექტემბრის #61 ბრძანებით. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ხსენებული სადავო აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულება გამოცემული იყო არაუფლებამოსილი ორგანოსა და არაუფლებამოსილი პირის მიერ და იყო კანონშეუსაბამო.

საქალაქო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა «ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის საქალაქო სამსახურის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცების შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 2 თებერვლის #81 განკარგულება. აღნიშნული განკარგულების მიღებისას ქ. თბილისის პრემიერი ხელმძღვანელობდა «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტითა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ქ. თბილისის პრემიერმა ძალადაკარგულად გამოაცხადა თავისივე განკარგულება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული ბათილად ცნობის საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულების ბათილად ცნობასთან დაკავშირებითაც, რადგან ხსენებულ განკარგულებას საფუძველად დაედო «ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანება. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის თანახმად, მოხელე შეიძლება გათავისუფლებულიყო სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო. მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განკარგულებას კი საფუძველად დაედო სწორედ ხსენებული მუხლი. ამასთან, მოსარჩელე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 108-ე მუხლის თანახმად, გაფრთხილებული იყო სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, მოსალოდნელი გათავისუფლების

თაობაზე ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 10 მარტის #201 განკარგულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნას ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულების ბათილად ცნობის, წინანდელ სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენისა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურებაზე გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, უსაფუძვლობის გამო, უნდა თქმოდა უარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ჯ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 20 თებერვლის საოქმო განჩინებით ქ. თბილისის პრემიერი შეიცვალა მისი უფლებამონაცვლე ქ. თბილისის მერიით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით ე. ჯ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე, სააპელაციო პალატის მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ამ ნაწილში ე. ჯ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა და ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულება მოსარჩელე ე. ჯ-იას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში ცნობილ იქნა ბათილად; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე ე. ჯ-ია მუშაობდა ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ფლორისა და ფაუნის დაცვის განყოფილებაში სპეციალისტად. 2004 წლის 27 მაისიდან 9 ივნისის ჩათვლით მას მიეცა დამატებითი დეკრეტული შვებულება, 2004 წლის 10 ივნისიდან 24 ივლისის ჩათვლით იგი იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში, 2004 წლის 26 ივლისიდან 2005 წლის 1 თებერვლამდე მას მიეცა დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოსაველეად, 2005 წლის 1 თებერვლიდან ბავშვის მოსაველეად გაუგრძელდა უხელფასო შვებულება 2005 წლის 5 სექტემბრის ჩათვლით. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანებით «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ლიკვიდირებულად გამოცხადდა სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 10 აგვისტოს #521 განკარგულებისა და ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 11 ოქტომბრის #606424 გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდა 2005 წლის 29 აპრილიდან. ქალაქ თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულებით «საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა «ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ» ქალაქ თბილისის პრემიერის 2003 წლის 22 მაისის #524 განკარგულება და აღნიშნული განკარგულება ძალაში შევიდა 2005 წლის 29 აპრილიდან. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანებით «საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტის, «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების მე-6 მუხლის «ნ» ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის «ნ» ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულება, სტრუქტურა და საშტატო ერთეულების ნუსხა. ხსენებული ბრძანება ძალაში შევიდა 2005 წლის 29 აპრილიდან. «ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის თანამშრომელთა თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ» ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულებით ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ფლორისა და ფაუნის დაცვის განყოფილების სპეციალისტი ე. ჯ-ია 2005 წლის 3 მაისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. მოსარჩელე სადავოდ ხდიდა თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 და #37 ბრძანებებს, 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულებასა და ქალაქ თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულებას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანებით ლიკვიდირებულად ჩაითვა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახური - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი, მაგრამ, ფაქტობრივად, განხორციელდა ამ სამსახურის რეორგანიზაცია და არა ლიკვიდაცია, რადგან ქალაქ თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა «ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2003 წლის 22 მაისის #524 განკარგულება. ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანებით კი დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და

ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ახალი დებულება, სტრუქტურა და სამტატო ერთეულების ნუსხა #1 (დებულება) და #2 (სტრუქტურა და სამტატო ერთეულების ნუსხა) დანართების თანახმად. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანებაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტთან მიმართებაში გამოყენებული იყო ტერმინი «ლიკვიდაცია», მაგრამ თავისი სამართლებრივი ბუნებითა და თანამდევით შედეგებით განხორციელდა რეორგანიზაცია და მას, შესაბამისად, უნდა მოჰყოლოდა ის შედეგი, რასაც, ჩვეულებრივ, დაწესებულების რეორგანიზაცია იწვევს. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რომლითაც იხელმძღვანელა შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო სამართლებრივი აქტის გამოცემისას, მოხელე შეიძლება გათავისუფლებულიყო სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნიდა საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევდა შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება გათავისუფლებულიყო სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. აღნიშნული კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის (მოსარჩელის გათავისუფლების დროისათვის მოქმედი რედაქცია) მიხედვით, მოხელე შეიძლება გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას. მოხელე არ შეიძლება გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან, თუ იგი თანახმა იყო დანიშნულიყო სხვა თანამდებობაზე. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანებით მოხდა შესაბამისი სამსახურის არა ლიკვიდაცია, არამედ რეორგანიზაცია, რასაც შედეგად მოჰყვა შტატების შემცირება და შესაბამის ადმინისტრაციას მოსარჩელისთვის სხვა თანამდებობა არ შეუთავაზებია.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულების გამოცემისას დაირღვა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა უფლება, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განეხორციელებინა რაიმე ქმედება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოთ მითითებული განკარგულება მოსარჩელე ე. ჯ-ის სამსახურიდან გათავისუფლების ნაწილში ეწინააღმდეგებოდა რა კანონს, იგი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის საფუძველზე, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი, რითაც სარჩელი აღნიშნულ ნაწილში დაკმაყოფილებოდა. რაც შეეხებოდა სარჩელს თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანების, თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულებისა და თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ ნაწილში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 382-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები, ასევე ამავე კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემული იყო უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში, კანონის მოთხოვნათა თანახმად, რის გამოც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილში იყო კანონიერი, დასაბუთებული და არ არსებობდა ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 2 სექტემბრის #61 ბრძანებით «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და «საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების შესაბამისად, ლიკვიდირებულად გამოცხადდა თბილისის მერიის საქალაქო სამსახური - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი, ასევე ძალადაკარგულად გამოცხადდა «ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულების, სტრუქტურისა და სამტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცების შესახებ» თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანება. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდა 2005 წლის 5 სექტემბრიდან.

სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ 2005 წლის 5 სექტემბრიდან განხორციელდა ზემოაღნიშნული სამსახურის ლიკვიდაცია. ასეთ შემთხვევაში კი, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლისა და 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ე. ჯ-ის სამსახურში ადდგენის თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები აღარ არსებობდა. იმის გათვალისწინებით, რომ 2005 წლის 5 სექტემბრიდან ხსენებული სამსახური აღარ არსებობდა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტმა ფუნქციონირება შეწყვიტა 2005 წლის 5 სექტემბრიდან და იმ დრომდე (2005 წლის 5 სექტემბრამდე) მოსარჩელე თავისი განცხადებითა და ადმინისტრაციის ბრძანებით იმყოფებოდა შვებულებაში და შესაბამისად, არ ჰქონდა იძულებით გაცდენილი დრო. ამდენად, სარჩელი იძულებით გაცდენილი

დროის ხელფასის ანაზღაურების თაობაზეც იყო უსაფუძვლო. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ე. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, როგორც არსებითად სწორი, დატოვებული უნდა ყოფილიყო უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ გამოიყენა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებს დაწესებულების რეორგანიზაციის პროცესს, რაც არ უნდა გამოეყენებინა და რასაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა. სასამართლომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულების ბათილად ცნობას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ მოხდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის არა ლიკვიდაცია, არამედ – რეორგანიზაცია. ამის გამო, ქ. თბილისის მერიას, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებისას უნდა ეხელმძღვანელა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული დაწესებულების რეორგანიზაციის მომწესრიგებელი ნორმებით. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა უსაფუძვლოა, ვინაიდან იგი არ ემყარება სამართლის არც ერთ ნორმას და შესაბამისად, უკანონოა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები სასარჩელო დავის საგნად ქცეული სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებასთან დაკავშირებით და სარჩელი ამ ნაწილში არ დააკმაყოფილა, ოღონდ განახორციელა ხსენებული აქტებიდან ერთ-ერთის – ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანების უსაფუძვლო ინტერპრეტაცია, კერძოდ, ჩათვალა, რომ, მართალია, აღნიშნულ ბრძანებაში გამოყენებული იყო ტერმინი – «ლიკვიდაცია», მაგრამ სინამდვილეში მოხდა ზემოხსენებული სამსახურის არა ლიკვიდაცია, არამედ – რეორგანიზაცია.

კასატორი აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როცა სასამართლო ადასტურებს, რომ არ არსებობს სამართლებრივი აქტის გაუქმების რაიმე საფუძველი, მან ამ სამართლებრივ აქტში გამოყენებული ტერმინოლოგია თვითნებურად აღარ უნდა შეცვალოს, მით უმეტეს მაშინ, თუ ამას უკავშირდება ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული სამართლებრივი შედეგები. ამით ხელყოფილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი საქმიანობის განხორციელების ფორმის არჩევის თავისუფლების პრინციპი: მართლმსაჯულების ორგანოს არა აქვს უფლება, ჩაერიოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებული საქმიანობის ფორმების შერჩევაში. მას აქვს უფლება, შეაფასოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებული ფორმის კანონიერება და არა უფლებამოსილება – შეუცვალოს ამ ფორმას სახელი და მიანიჭოს სხვაგვარი, რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში, ქ. თბილისის მერიამ აირჩია საქმიანობის ფორმა – მოეხდინა თავის სისტემაში შემავალი დაწესებულების ლიკვიდაცია და არა რეორგანიზაცია, ხოლო სასამართლოს შეეძლო ესაჯელა მხოლოდ ლიკვიდაციის კანონიერებაზე. თუ სასამართლომ ლიკვიდაციის დამდგენი სამართლებრივი აქტი (ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანება) კანონიერად მიიჩნია, რატომღაც იყო უკანონო მის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი – ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ჯ-იამაც, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად, დადგენილად და უდავოდ მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მიერ ამ საქმეზე დადგენილი გარემოება, კერძოდ, ის, რომ ზემოაღნიშნული საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ გასაჩივრებული ბრძანება ბათილია და არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული ხსენებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. ხსენებული გასაჩივრებული ბრძანება არაკანონიერია და მისი გამოცემის მომენტში ქ. თბილისის მერს არ ჰქონდა მისი გამოცემის უფლებამოსილება. ქ. თბილისის მერის უფლებამოსილების განმსაზღვრელი სპეციალური კანონმდებლობით – «საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ» საქართველოს კანონისა და საქართველოს დედაქალაქის – ქ. თბილისის მერიის დებულების მიხედვით, ქ. თბილისის მერს არ ჰქონდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება. გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსხვავდება, როგორც იმავე პალატის მიერ ამ კატეგორიის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებისაგან, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 19 ივლისის #ბს-108-102(კ-07) განჩინებისაგან.

კასატორი აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, წარმოადგენს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს და არაუფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული ბრძანების გამოცემას ქ. თბილისის მერმა საფუძვლად

დაუდო «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, მერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს, ასევე - ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც საფუძველად დაედო ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანებას, განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, მის მიერვე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ზოგად წესს, ხოლო ქ. თბილისის მერის, როგორც დედაქალაქის უმაღლესი თანამდებობის პირის, უფლებამოსილება განსაზღვრულია «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონით (თავი III) და საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულებით (კარი II, თავი I, მუხლები 11,12,13). აღნიშნული აქტები წარმოადგენს სპეციალურ კანონმდებლობას და ზუსტად განსაზღვრავს მერის უფლებამოსილებას. ამასთან, არც ხსენებული კანონით და არც საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ახალი დებულებით მერს არ ჰქონდა მინიჭებული სპეციალური უფლებამოსილება, შეექმნა ან გაუქმებინა საქალაქო სამსახურები. საქალაქო სამსახურების შექმნისა და გაუქმების უფლებამოსილება მერს მინიჭებული ჰქონდა ადრე მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების 25-ე მუხლით, რომელიც ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით. ამდენად, ხსენებული გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ქ. თბილისის მერი მოქმედებდა თავისი უფლებამოსილების გადამეტებით.

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს. იმავე კოდექსის მე-60 მუხლის მიხედვით კი ბათილად უნდა გამოცხადდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ ის გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ.

კასატორის მტკიცებით, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანება ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთ აუცილებელ რეკვიზიტს წარმოადგენს ის, რომ იგი უნდა იყოს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი. სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის შესახებ დებულებით საქალაქო სამსახურები იქმნებოდა ქ. თბილისის მერის ბრძანებით, თუმცა საქართველოს პრეზიდენტის ახალი, 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული შესაბამისი დებულებით საქალაქო სამსახურების შექმნა და გაუქმება არ წარმოადგენს მერის კანონმდებლობით გათვალისწინებულ უშუალო კომპეტენციას. აღნიშნული ბრძანებით ლიკვიდირებულ იქნა რიგი სამსახურები და დამტკიცებულ იქნა ქ. თბილისის მერიის ახალი სტრუქტურა, რომელშიც იდენტური დასახელებით შევიდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახური - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი, როგორც ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანება ეწინააღმდეგება საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებას და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. სასამართლომ არ გაიზიარა ზემოაღნიშნული გარემოება და ამის საწინააღმდეგო არგუმენტად მიუთითა «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმადაც, ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად მიღებული ყველა ნორმატიული აქტი. ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულება, სასამართლოს მოსაზრებით, ლიკვიდირებულად გამოცხადდა მის საფუძველზე გამოცემული სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 10 აგვისტოს #521 განკარგულებისა და ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 11 ოქტომბრის #606424 გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი, რაც არსებითად არასწორია, რადგან თუ ამ მსჯელობას გავყვებით, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადებულიყო ყველა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ქ. თბილისის მერიის მიერ იქნა გამოცემული, რაც არ დასტურდება მოპოვებული მტკიცებულებებით.

კასატორი აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უარის თქმის მოტივად სააპელაციო სასამართლომ ქ. თბილისის მერიის

დებულებისა და «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის ნაცვლად, გამოიყენა «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, ნორმატიული აქტის - «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადებულიყო მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად გამოცემული ყველა აქტი. დასახელებული კანონის აღნიშნული მუხლი მიუთითებს ხსენებული ბრძანებულების საფუძველზე გამოცემული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების პრინციპზე, რაც არ ნიშნავს სამსახურის ფუნქციონირების სრულ შეწყვეტასა და ლიკვიდაციას, კონკრეტულ შემთხვევაში კი სახეზეა საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის ბრძანება, რომლის გამოცემის უფლებამოსილებაც ქ. თბილისის მერს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების ძალაში შესვლის შემდეგ აღარ გააჩნდა. გაუმართლებელია სასამართლოს მითითება «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტზე, რადგან აღნიშნული მუხლი ზოგადად ეხება მერის მიერ ბრძანებების გამოცემის წესს, ხოლო სპეციალური მუხლი, რომელიც ქ. თბილისის მერს ანიჭებდა უფლებამოსილებას, შეექმნა და გაუქმებინა საქალაქო სამსახურები, ბრძანების გამოცემის მომენტისათვის უკვე ამოღებული იყო. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის ახალი დებულება და «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონი (თავი III), რომლებიც პირდაპირ განსაზღვრავს მერის ფუნქციასა და უფლებამოსილებას. შესაბამისად, გამოსცა რა შესაბამისი საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის ბრძანება, ქ. თბილისის მერი მოქმედებდა სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევით, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანების ბათილად ცნობის უპირობო საფუძველია.

კასატორის მტკიცებით, ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულების მომზადებისას დაირღვა მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი წესი. აღნიშნული განკარგულების მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-58-ე მუხლების მოთხოვნები და მისი მიღება უნდა მომხდარიყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების წესით, რაც ქ. თბილისის მერიის მიერ არ იქნა დაცული. არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა არ იმსჯელეს ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულების მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევაზე და არ შეაფასეს წარმოდგენილი მტკიცებულებები.

კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლი, რამაც განაპირობა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. ქ. თბილისის პრემიერის ხსენებული განკარგულება კანონშესაბამაო, ვინაიდან «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, ქ. თბილისის პრემიერს არ ჰქონდა მისი გამოცემის სპეციალური უფლებამოსილება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც საფუძვლად დაედო ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულების გამოცემას, განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, მის მიერვე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ზოგად წესს, ხოლო ქ. თბილისის პრემიერის უფლებამოსილება განსაზღვრულია «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონით» (თავი III) და საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულებით (კარი II, თავი I, მუხლები - 14-18). აღნიშნული აქტები წარმოადგენს სპეციალურ კანონმდებლობას და ზუსტად განსაზღვრავს ქ. თბილისის პრემიერის უფლებამოსილებას, ამასთან, არც კანონით და არც საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული ხსენებული ახალი დებულების მიხედვით, ქ. თბილისის პრემიერს არ ჰქონდა მინიჭებული სპეციალური უფლებამოსილება, «ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2003 წლის 22 მაისის #524 განკარგულება ძალადაკარგულად გამოცხადებინა.

კასატორი მიუთითებს, რომ იგი ითხოვდა არა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის ახალ საქალაქო სამსახურში აღდგენას, რომელმაც შეითავსა გარემოსდაცვითი ფუნქციები, არამედ, როგორც «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის საფუძველზე გათავისუფლებული მოხელე, ითხოვდა იმავე დაწესებულებაში - ქ. თბილისის მერიაში აღდგენას, რადგანაც მასზე გავრცელდა დაწესებულების ლიკვიდაციის სამართლებრივი შედეგები, ხოლო ქ. თბილისის მერიის ლიკვიდაცია არ მომხდარა, რის გამოც ე. წ. -ას მოთხოვნა სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

კასატორი აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულება, სტრუქტურა და საშტატო ერთეულების წუსხა, კანონშესაბამაო, რადგან დარღვეულია აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები.

აღნიშნული ბრძანება გამოცემულია არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსა და თანამდებობის პირის მიერ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. რადგან ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანება წარმოადგენს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მისი გამოცემა უნდა მომხდარიყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, რაც ქ. თბილისის მერიის მიერ არ იქნა დაცული.

კასატორის მტკიცებით, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანება, როგორც ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რეგისტრირებულია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში და შესაბამისი სამართლებრივი ექსპერტიზა აქვს გავლილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში. ამ ბრძანების გამოცემისას დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 213-ე მუხლი (ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების წესი). ამ აქტის გამოცემით ასევე დაირღვა ხსენებული კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, რის გამოც იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

კასატორის განმარტებით, ქ. თბილისის მერიამ 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანებით დამტკიცებული ახალი დებულებით, შინაარსითა და ფუნქციით, აბსოლუტურად იდენტური სამსახური შექმნა, რომელიც გამოცხადდა ლიკვიდირებული სამსახურის სამართალმემკვიდრედ. ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურს - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტს ერთი დღითაც არ შეუწყვეტია ფუნქციონირება და არ მომხდარა ამ სამსახურის შესაბამისი წესით ლიკვიდაცია, რაც ითვალისწინებს სამსახურის ფუნქციონირების სრულ შეწყვეტას, სალიკვიდაციო საქმიანობის განხორციელებას. ხსენებული სამსახური კი დღესაც არსებობს. გასაჩივრებული აქტებით სამართლებრივად გაფორმდა დასახელებული სამსახურის გაუქმება და ამ საფუძველით მოხელეთა გათავისუფლება, ფაქტობრივად კი, თავისი სამართლებრივი შედეგებით, განხორციელდა რეორგანიზაცია, ხოლო ამავე სამსახურის მოხელეებზე გავრცელდა ლიკვიდაციის სამართლებრივი შედეგები. აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით კი პირადად და უშუალოდ მიადგა ზიანი მოსარჩელეს, მის კანონიერ შრომით უფლებებსა და ინტერესებს. ამდენად, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 სექტემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მერიისა და ე. ჯ-ის საკასაციო საჩივრები; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 14 სექტემბრის განჩინებების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივრები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2007 წლის 14 ნოემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიისა და ე. ჯ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მათი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 17 იანვარს, მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინებით ქ. თბილისის მერიისა და ე. ჯ-ის საკასაციო საჩივრების განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენით, 2008 წლის 21 თებერვალს, 11.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ე. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ე. ჯ-ია მუშაობდა ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ფლორისა და ფაუნის დაცვის განყოფილებაში სპეციალისტად. 2004 წლის 27 მაისიდან 9 ივნისის ჩათვლით ე. ჯ-ის მიეცა დამატებითი დეკრეტული შვებულება. 2004 წლის 10 ივნისიდან 24 ივლისის ჩათვლით ე. ჯ-ია იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში. 2004 წლის 26 ივლისიდან 2005 წლის 1 თებერვლამდე ე. ჯ-ის მიეცა დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოსავლელად, ხოლო 2005 წლის 1 თებერვლიდან ბავშვის მოსავლელად გაუგრძელდა უხელფასო შვებულება 7 თვით - 2005 წლის 5 სექტემბრის ჩათვლით. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანებით «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ლიკვიდირებულად ჩაითვალა სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 10 აგვისტოს #521 განკარგულებისა და ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 11 ოქტომბრის #606424 გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდა 2005 წლის 29

აპრილიდან. ქალაქ თბილისის პრემიერის 2001 წლის 7 თებერვლის #85 განკარგულებით დამტკიცდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულება და სტრუქტურა. ქალაქ თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულებით «საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ» კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა «ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ» ქალაქ თბილისის პრემიერის 2003 წლის 22 მაისის #524 განკარგულება. აღნიშნული განკარგულება ძალაში შევიდა 2005 წლის 29 აპრილიდან. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანებით «საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტის, «საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების მე-6 მუხლის «ნ» ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის «ნ» ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულება, სტრუქტურა და სამტატო ერთეულების ნუსხა და ხსენებული ბრძანება ძალაში შევიდა 2005 წლის 29 აპრილიდან. «ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის თანამშრომელთა თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ» ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულებით ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ფლორისა და ფაუნის დაცვის განყოფილების სპეციალისტი ე. ჯ-ია 2005 წლის 3 მაისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 2 სექტემბრის #61 ბრძანებით ლიკვიდირებულად ჩაითვა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახური – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი, ძალადაკარგულად გამოცხადდა «ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულების, სტრუქტურისა და სამტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცების შესახებ» ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანება და ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 2 სექტემბრის #61 ბრძანება ძალაში შევიდა 2005 წლის 5 სექტემბრიდან. ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 2 სექტემბრის #62 ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულება #1 დანართის მიხედვით და აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდა 2005 წლის 5 სექტემბრიდან. დაწესებულების ლიკვიდაციის გამო, მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ გაფრთხილებაზე ე. ჯ-იას ხელი არა აქვს მოწერილი. ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის #1 ოქმის თანახმად, ამავე კომიტეტის თანამშრომელი ე. ჯ-ია კომიტეტის კადრებისა და საერთო განყოფილების მიერ გაფრთხილებულ იქნა სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე, ხოლო მან უარი განაცხადა შესაბამისი წესით გაფრთხილების ჩაბარებაზე.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად, საქმის გარემოებების ნათლად გამოკვეთის მიზნით, აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტთან მიმართებაში ცვლილებები განხორციელდა ორჯერ, შეიძლება ითქვას, ორ ეტაპად, კერძოდ, ჯერ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანებით ლიკვიდირებულად ჩაითვა ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი და ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ახალი დებულება, სტრუქტურა და სამტატო ერთეულების ნუსხა, ხოლო შემდეგ ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 2 სექტემბრის #61 ბრძანებით ლიკვიდირებულად ჩაითვა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახური – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, მართალია, თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანებით ლიკვიდირებულად ჩაითვა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახური – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი, მაგრამ, ფაქტობრივად, განხორციელდა ამ სამსახურის რეორგანიზაცია და არა ლიკვიდაცია, რადგან ქალაქ თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა «ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2003 წლის 22 მაისის #524 განკარგულება, ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანებით კი დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ახალი დებულება, სტრუქტურა და სამტატო ერთეულების ნუსხა #1 (დებულება) და #2 (სტრუქტურა და სამტატო ერთეულების ნუსხა) დანართების თანახმად. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ, მართალია, ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანებაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტთან მიმართებაში გამოყენებული იყო ტერმინი «ლიკვიდაცია», მაგრამ თავისი სამართლებრივი ბუნებითა და თანამდევით შედეგებით განხორციელდა რეორგანიზაცია და მას, შესაბამისად, უნდა მოჰყოლოდა ის შედეგი, რასაც, ჩვეულებრივ, დაწესებულების რეორგანიზაცია იწვევს, ხოლო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რომლითაც

იხელმძღვანელა შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო სამართლებრივი აქტის გამოცემისას, მოხელე შეიძლება გათავისუფლებულიყო სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო, იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნიდა საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად და როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევდა შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება გათავისუფლებულიყო სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო აღნიშნული კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის (მოსარჩელის გათავისუფლების დროისათვის მოქმედი რედაქცია) მიხედვით, მოხელე შეიძლება გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას და მოხელე არ შეიძლება გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან, თუ იგი თანახმა იყო დანიშნულიყო სხვა თანამდებობაზე. სააპელაციო სასამართლომ სწორად დაასკვნა, რომ ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანებით მოხდა შესაბამისი სამსახურის არა ლიკვიდაცია, არამედ რეორგანიზაცია, რასაც შედეგად მოჰყვა შტატების შემცირება და შესაბამის ადმინისტრაციას მოსარჩელისთვის სხვა თანამდებობა არ შეუთავაზებია.

საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულების გამოცემისას დაირღვა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები, რის გამოც აღნიშნული განკარგულება მოსარჩელე ე. ჯ-ის სამსახურიდან გათავისუფლების ნაწილში ეწინააღმდეგება რა კანონს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის საფუძველზე, ექვემდებარება ბათილად ცნობას. სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანება, ქალაქ თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #481 განკარგულება და ქალაქ თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანება გამოცემული იყო უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში, კანონის მოთხოვნათა თანახმად. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის - ე. ჯ-ის საკასაციო საჩივარს ხსენებული აქტების არაუფლებამოსილი ორგანოების მიერ გამოცემის მოტივით ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის - ქ. თბილისის მერიის მტკიცებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებს დაწესებულების რეორგანიზაციის პროცესს, რაც არ უნდა გამოეყენებინა და რასაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა. სააპელაციო სასამართლომ განახორციელა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანების უსაფუძველო ინტერპრეტაცია, კერძოდ, ჩათვალა, რომ, მართალია, აღნიშნულ ბრძანებაში გამოყენებული იყო ტერმინი - «ლიკვიდაცია», მაგრამ სინამდვილეში მოხდა ზემოხსენებული სამსახურის არა ლიკვიდაცია, არამედ - რეორგანიზაცია, რითაც მოხდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი საქმიანობის განხორციელების ფორმის არჩევის თავისუფლების პრინციპის ხელყოფა, რადგან მართლმსაჯულების ორგანოს არა აქვს უფლება, ჩაერიოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებული საქმიანობის ფორმების შერჩევაში, მას გააჩნია უფლებამოსილება, შეაფასოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებული ფორმის კანონიერება და არა უფლებამოსილება - შეუცვალოს ამ ფორმას სახელი და მიანიჭოს სხვაგვარი, რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო არ შეჭრილა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს - ქ. თბილისის მერიის დისკრეციულ უფლებამოსილებაში, არამედ მხოლოდ შეამოწმა, თუ რამდენად კანონიერად განახორციელა ქ. თბილისის მერიამ თავისი დისკრეციული უფლებამოსილება. მართალია, სააპელაციო სასამართლომ კანონიერად მიიჩნია ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #26 ბრძანება, მაგრამ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულება ბათილად ცნო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის გამო. შესაბამისად, ქ. თბილისის მერიას არ წამოუყენებია რაიმე დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რის გამოც ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი გასაჩივრებული გადაწყვეტილების ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულების ბათილად ცნობას ნაწილში გაუქმების თაობაზე, არის უსაფუძველო. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულების ბათილად ცნობის ნაწილში მიიღო კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ე. ჯ-იამ სააპელაციო საჩივარში აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურს - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტს ერთი დღითაც არ შეუწყვეტია ფუნქციონირება, არ მომხდარა შესაბამისი წესით ამ სამსახურის ლიკვიდაცია, რაც ითვალისწინებდა სამსახურის ფუნქციონირების სრულ შეწყვეტას, ქონების აღრიცხვას, ანგარიშისა და ბეჭდის გაუქმებას, სალიკვიდაციო საქმიანობის განხორციელებას და ხსენებული სამსახური იმჟამადაც ძველი ბეჭდითა და ანგარიშით მოქმედებდა, ამასთან, შესაბამისი აქტებით სამართლებრივად გაფორმდა იმავე სამსახურის გაუქმება და ამ საფუძველით მოხელეთა გათავისუფლება, ფაქტობრივად კი, განხორციელდა დასახელებული სამსახურის არა ლიკვიდაცია, არამედ თავისი სამართლებრივი შედეგებით, მისი რეორგანიზაცია, ამ სამსახურის მოხელეებზე კი გავრცელდა ლიკვიდაციის სამართლებრივი შედეგები.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 20 თებერვლის სხდომაზე აპელანტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა ზემოხსენებული საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის დამადასტურებელი მტკიცებულება, ლიკვიდაცია არ განხორციელებულა და შედეგის

მიხედვით, ეს იყო რეორგანიზაცია, მაშინ, როდესაც ე. ჯ-ია ბავშვის მოვლის გამო, იმყოფებოდა შვებულებაში. ხსენებული სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის სხდომაზე კი, ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ სასამართლო ვერ გამოიყენებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილს და უნდა ეხელმძღვანელა ამავე კოდექსის მე-19 მუხლით - თვითონ გამოეკვლია გარემოებები, ხოლო იმჟამინდელი მდგომარეობით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი ლიკვიდირებული იყო და მისი ფუნქციები სხვადასხვა სამსახურებზე იყო გადანაწილებული. იმავე სხდომაზე აპელანტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის #22 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლში მოცემულია სამსახურის ფუნქციები, რითაც დასტურდება, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ფუნქციები სრულად იქნა გადატანილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, იმ დროისათვის მოქმედებდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლი, საქმეში არც რეორგანიზაციის შესახებ აქტი მოიპოვებოდა, ე. ჯ-იას კი, რომელიც უხელფასო შვებულებაში იყო 2005 წლის 5 სექტემბრამდე, განაცდური უნდა ანაზღაურებოდა იმ დროიდან, როდესაც მას შეუწყდა დევრეტული შვებულება.

რაც შეეხება ე. ჯ-იას სამუშაოზე აღდგენასა და მისთვის განაცდურის ანაზღაურებას, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლის 5 სექტემბრიდან განხორციელდა ზემოაღნიშნული სამსახურის ლიკვიდაცია, ასეთ შემთხვევაში კი, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლისა და 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ე. ჯ-იას სამსახურში აღდგენის თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები აღარ არსებობდა, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ 2005 წლის 5 სექტემბრიდან ხსენებული სამსახური აღარ არსებობდა და 2005 წლის 5 სექტემბრამდე მოსარჩელე იმყოფებოდა შვებულებაში და შესაბამისად, არ ჰქონდა იძულებით გაცდენილი დრო, ამდენად, სარჩელი იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების თაობაზეც იყო უსაფუძვლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 31 იანვრის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ გასაჩივრებული აქტებით პირადად და უშუალოდ ადგებოდა ზიანი მოსარჩელის კანონიერ შრომით უფლებებს და ინტერესს, ვინაიდან ე. ჯ-ია სამსახურიდან გათავისუფლების დროისათვის იმყოფებოდა უხელფასო დევრეტულ შვებულებაში. იმავე სხდომაზე ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიაში არსებული სამსახურებიდან გაერთიანდა შემდეგი სამსახურები - ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექცია, ქ. თბილისის მერიის სანიტარული ინსპექცია და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ე. ჯ-იას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულების გამოცემისას მოსარჩელე იმყოფებოდა ბავშვის მოსაველად უხელფასო შვებულებაში, 2005 წლის 5 სექტემბრის ჩათვლით. გარდა ამისა, მას ჰყავდა 3 წლამდე ასაკის ბავშვი. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. დავის წარმოშობის პერიოდში მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 161-ე მუხლი ითვალისწინებდა დამატებით უხელფასო შვებულებას დედებისათვის, რომლებსაც ჰყავდათ სამ წლამდე ასაკის ბავშვები. აღნიშნული მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მიხედვით, ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების გარდა, ქალს მისი განცხადების თანახმად, ეძლეოდა დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოსაველად, ვიდრე ის მიაღწევდა სამი წლის ასაკს და შვებულების განმავლობაში ენახებოდა სამუშაო ადგილი (თანამდებობა). ეს შვებულება შეიძლებოდა გამოეყენებულა ყოფილიყო მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ ნებისმიერ დროს, ვიდრე ბავშვს შეუსრულდებოდა სამი წელი. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ იმჟამად მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 161-ე მუხლით იმპერატიულად იყო დადგენილი, რომ ბავშვის მოსაველად დამატებით უხელფასო შვებულებაში ყოფნისას, ვიდრე ბავშვი მიაღწევდა სამი წლის ასაკს, დედას ამ შვებულების განმავლობაში ენახებოდა სამუშაო ადგილი (თანამდებობა). სააპელაციო სასამართლომ კი, ისე უთხრა უარი ე. ჯ-იას სამუშაოზე აღდგენაზე, რომ აღნიშნულზე საერთოდ არ უმსჯელია.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე ე. ჯ-იამ დააზუსტა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება 2005 წლის 5 სექტემბრიდან. აღნიშნული გარემოება არ გაითვალისწინა სააპელაციო სასამართლომ და არასწორად მიიჩნია, რომ ე. ჯ-ია მოითხოვდა 2005 წლის 5 სექტემბრამდე პერიოდის იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ ე. ჯ-იას სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, ანუ იმ პერიოდის იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე, რასაც რეალურად მოითხოვდა მოსარჩელე.

კასატორი - ე. ჯ-ია აღნიშნავს, რომ იგი ითხოვდა არა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის ახალ საქალაქო სამსახურში აღდგენას, რომელმაც შეითავსა გარემოსდაცვითი ფუნქციები, არამედ, როგორც «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის საფუძველზე გათავისუფლებული მოხელე, იმავე დაწესებულებაში - ქ. თბილისის მერიაში აღდგენას, რადგანაც

მასზე გავრცელდა დაწესებულების ლიკვიდაციის სამართლებრივი შედეგები, ხოლო, რამდენადაც ქ. თბილისის მერიის ლიკვიდაცია არ მომხდარა, ამდენად, მისი მოთხოვნა სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს. გარდა ამისა, კასატორი ამტკიცებს, რომ ქ. თბილისის მერიამ 2005 წლის 5 მაისის #37 ბრძანებით დამტკიცებული ახალი დებულებით, შინაარსითა და ფუნქციით, აბსოლუტურად იდენტური სამსახური შექმნა, რომელიც გამოცხადდა ლიკვიდირებული სამსახურის სამართალმემკვიდრედ, ხოლო ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურს - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტს ერთი დღითაც არ შეუწყვეტია ფუნქციონირება და არ მომხდარა ამ სამსახურის შესაბამისი წესით ლიკვიდაცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის სხდომაზე ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ქ. თბილისის მერიას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების ფუნქცია არ დაუკარგავს, აპელანტის წარმომადგენელმა კი ამასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ შესაძლებელია მოხდეს ე. წ. -იას აღდგენა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, რადგან მას აქვს შეთავსებული ზემოხსენებული კომიტეტის ფუნქცია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული თბილისის მერიის დებულების 25-ე მუხლის თანახმად, საქალაქო სამსახურებს პრემიერის წარდგინებით ქმნიდა და აუქმებდა თბილისის მერი. ამდენად, ხსენებული დებულებით თბილისის მერს მინიჭებული ჰქონდა საქალაქო სამსახურის შექმნისა და გაუქმების უფლება, რასაც იგი ახორციელებდა ქალაქ თბილისის პრემიერის წარდგინების საფუძველზე. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულება, ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულება, ასევე, ლიკვიდირებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირები - თბილისის კეთილმოწყობის სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრი. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულების მე-3 მუხლში (ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურა) ჩამოთვლილ ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულად გათვალისწინებული იყო ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახური - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტიც.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის დებულებაზე, რომლის პირველი მუხლის მე-10 პუნქტისა და მე-2 მუხლის პირველი პუნქტის «ა», «გ» და «დ» ქვეპუნქტების მიხედვით, აღნიშნული კომიტეტი წარმოადგენდა ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის სამართალმემკვიდრეს, რომლის ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა ქ. თბილისის გარემოს დაცვა, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლი და ექსპერტიზა გარემოსდაცვითი საქმიანობის დროს. რაც შეეხება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, ამ სამსახურის დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის «პ», «ჟ» და «რ» ქვეპუნქტების თანახმად, ამ სამსახურის ძირითადი ამოცანებია ქ. თბილისის გარემოს დაცვა, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლი და გარემოსდაცვითი საქმიანობის პროცესში შესაბამისი ექსპერტიზის განხორციელება. მიუხედავად დასახელებული სამსახურების ძირითადი ამოცანებისა, სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია, ხომ არ მოიცავდა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ფუნქციები ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ფუნქციებს, ხომ არ მოხდა ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ფუნქციების განვრცობით ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ფუნქციების მთლიანად ან ნაწილობრივ გადაფარვა, ანუ რეალურად, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ლიკვიდაცია მოხდა თუ დასახელებული სამსახურების რეორგანიზაცია-შერწყმა ფუნქციური უფლებამონაცვლობით - ახლად შექმნილი სამსახურისათვის შესაბამისი ფუნქციების გადაცემით. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული გარემოების გამორკვევას არსებითი და გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოცემულ საქმეზე მართებული გადაწყვეტილების მისაღებად, რადგან მას ორგანულად უკავშირდება შესაბამისი სამართლებრივი შედეგები მოსარჩელის შრომითი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მით უმეტეს, კასატორი ე. წ. -იაც ამტკიცებს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გარემოსდაცვითი ფუნქციების შეთავსებას.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 21 თებერვლის სხდომაზე კასატორის - ე. წ. -იას წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეორგანიზაციის შესახებ აქტი არ არსებობს, მაგრამ შედეგების მიხედვით, 2005 წლის 5 სექტემბერს ჩატარდა რეორგანიზაცია, ხოლო ამჟამად აბსოლუტურად შესაბამისი ფუნქციის მატარებელია ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური და მას შეთავსებული აქვს ხსენებული ფუნქცია, რის გამოც მოსარჩელე აღდგენილ უნდა იქნეს ქ. თბილისის

მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის გარემოს დაცვის ინსპექციაში სპეციალისტად, ამასთან, 2005 წლის 5 სექტემბრისთვის ე. ჯ-ის ბავშვი იყო ერთ წლამდე ასაკისა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რის გამოც არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების იმავე კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი - გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ე. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება ე. ჯ-ის გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულების ბათილად ცნობის ნაწილში, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება ე. ჯ-ის წინანდელ თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; ე. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება ე. ჯ-ის გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 16 მაისის #155 განკარგულების ბათილად ცნობის ნაწილში;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება ე. ჯ-ის წინანდელ თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

რეორგანიზაციის გამო სამსახურიდან გათავისუფლების წინაპირობები

განჩინება

#ბს-52-52(კ-08) 25 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გამოარკვია:

მ. ხ-ურმა სარჩელი აღძრა თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიმართ, რომლითაც მოითხოვა

სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე მუშაობდა საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო «ჩრდილოეთის» ინფორმატიკისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად, საიდანაც 2005 წლის 5 იანვარს გათავისუფლდა თანამდებობიდან.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

გათავისუფლების ბრძანების საფუძვლად მითითებულია საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 97.1 მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს შტატით გათვალისწინებული თანამდებობის შემცირებისას მოხელის გათავისუფლებას. მოსარჩელის განმარტებით, შტატით გათვალისწინებული თანამდებობის შემცირება არ მომხდარა, ვინაიდან მის ადგილას მიღებულ იქნა სხვა პიროვნება. ამასთან, ამავე კანონის 97.2. მუხლის თანახმად, მოხელე არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან თუ იგი თანახმაა დაინიშნოს სხვა თანამდებობაზე. ადმინისტრაციას გათავისუფლების ბრძანების გამოცემისას არ შეუწავლია და არ გამოურკვევია, მოსარჩელე თანახმა იყო თუ არა სხვა თანამდებობაზე დანიშნულიყო. ასეთ შემთხვევაში კანონი იმპერატიულად მიუთითებს, რომ მუშაკის შრომის უფლება გარანტირებულია. ამასთან, მოსარჩელის გათავისუფლებისას ადმინისტრაციას შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის საფუძველზე უნდა ემსჯელა, თუ ვის ჰქონდა სამსახურში უპირატესი დარჩენის უფლება. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მისი გათავისუფლების დროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაირღვა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლი, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი, რომლის თანახმად, თითოეული სახელმწიფო, რომელიც ამ პაქტის მონაწილეა, აღიარებს ყველა ადამიანის უფლებას, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობები. ამდენად, მოსარჩელეს მიაჩნია, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 127.5, შრომის კანონთა კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლების საფუძველზე სარჩელი ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით მ. ხ-ურის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე მ. ხ-ური მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო «ჩრდილოეთის» ინფორმატიკისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 5 იანვრის #3-115 ბრძანების თანახმად, «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატისა და რეგიონალური საბაჟოების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ» საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 2 დეკემბრის #775 ბრძანების შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო «ჩრდილოეთის» ინფორმატიკისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მ. ხ-ური 2005 წლის 5 იანვრიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რეორგანიზაციისა და შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების გამო, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. სადავო ბრძანების საფუძველს წარმოადგენდა ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 5 იანვრის #27-07-10/41 წარდგინება.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელე მუშაობდა რა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო «ჩრდილოეთის» ინფორმატიკისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე, იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას და უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით. კანონის მიხედვით, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ იმ თანამდებობის პირმა ან ორგანომ, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე მიიღოს მოხელე. სამსახურიდან გათავისუფლება ფორმდება შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

საქალაქო სასამართლომ «საჯარო სამსახურის შესახებ» 97.1. მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად კი მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება გაფრთხილების ვადის გასვლიდან პირველივე დღეს.

სასამართლოს დასკვნით, საბაჟო დეპარტამენტის რეორგანიზაციისა და თანამდებობათა შემცირებასთან დაკავშირებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მ. ხ-ური გაფრთხილებულ იქნა მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, რომელიც ერთვინიანი გაფრთხილების გასვლის შემდეგ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 იანვრის #3-115 ბრძანების საფუძველზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2004 წლის 8 ივლისის #469 ბრძანებით

«საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატისა და რეგიონალური საბაჟოების სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ», ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის სამტატო ნუსხაში გათვალისწინებული იყო რეგიონალური საბაჟო «ადმოსავლეთის» სამტატო ნუსხა, სადაც თანამშრომელთა რიცხოვნობა განისაზღვრებოდა 334 სამტატო ერთეულით, რეგიონალურ საბაჟო «დასავლეთში» - 390 სამტატო ერთეულით, რეგიონალურ საბაჟო «ჩრდილოეთში» - 84 სამტატო ერთეულით, ხოლო რეგიონალურ საბაჟო «სამხრეთში» - 67 სამტატო ერთეულით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2004 წლის 02 დეკემბრის #775 ბრძანებით «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატისა და რეგიონალური საბაჟოების სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ» ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 6 ივლისის #469 ბრძანებაში დამტკიცებული ცვლილებებით. განისაზღვრა საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის ახალი სამტატო განრიგი, აღნიშნულში რეგიონალური საბაჟო «ჩრდილოეთი», სადაც მოსარჩელე მუშაობდა გათვალისწინებული არ იყო, დამტკიცებულია, მხოლოდ რეგიონალური საბაჟო «ადმოსავლეთის» სამტატო ნუსხა 431 სამტატო ერთეულით და რეგიონალური საბაჟო «დასავლეთის» სამტატო ნუსხა - 342 სამტატო ერთეულით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სახეზე იყო საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალურ საბაჟოში შტატებით გათვალისწინებული თანამდებობების შემცირება, ამასთან, საბაჟო დეპარტამენტში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა მოსარჩელის თანამდებობა. საბაჟო დეპარტამენტის ადმინისტრაციას მოსარჩელისათვის სხვა თანამდებობა არ შეუთავაზებია «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ვინაიდან ხელმძღვანელობა მოკლებული იყო ამის შესაძლებლობას. შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლი ითვალისწინებს სამუშაოზე დარჩენის უპირატეს უფლებას შტატების შემცირებისას, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განისაზღვრება თუ ვის ეძლევა თანაბარი პირობების შემთხვევაში სამუშაოზე დარჩენის უპირატესობა; ვინაიდან მოსარჩელე არ სარგებლობდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პირობებით, ამდენად, მოხელეთა დაკომპლექტება მოხდა იმის მიხედვით, ვისაც მიენიჭა სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება, შესაბამისად, სარჩელი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ხ-ურმა, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია და იგი მიღებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით. აპელანტის გათავისუფლების საფუძველი გახდა რეორგანიზაცია, ვინაიდან რეორგანიზაციის შედეგად გარკვეული თანამდებობები გაუქმდა. მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად, როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. ამავე კანონის 97-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი მოხელე არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან, თუ იგი თანახმაა, გადავიდეს სხვა სამსახურში. აპელანტის გათავისუფლების პროცესში ადმინისტრაცია ვალდებული იყო, შეეთავაზებინა სხვა სამსახური და მხოლოდ უარის თქმის შემდეგ იყო უფლებამოსილი მოეხდინა გათავისუფლება, რაც არ მომხდარა, შესაბამისად აპელანტის გათავისუფლების შესახებ ბრძანება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის საფუძველზე ექვემდებარებოდა ბათილად ცნობას. აპელანტის გათავისუფლებისას ადმინისტრაციის მიერ ასევე დაირღვა, შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლი.

აპელანტს მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებული სასამართლოს მსჯელობა არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან, რამდენადაც სასამართლო და დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს სხვა თანამდებობა არ შესთავაზეს, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ ადმინისტრაცია მოკლებული იყო ამ შესაძლებლობას, რაც სრულიად დაუსაბუთებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 სექტემბრის განჩინებით მ. ხ-ურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად უვცლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილად მიჩნეულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებას და განმარტა, რომ მათი გამაბათილებელი არგუმენტები აპელანტს არ წარმოუდგენია. შესაბამისად, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც არსებითად სწორი, ექვემდებარებოდა უვცლელად დატოვებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ხ-ურმა, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივი:

კასატორს მიაჩნია, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, კერძოდ, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, არ შეიძლება მოხელე გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან რეორგანიზაციის ან შტატებით გათვალისწინებული თანამდებობის შემცირებისას თუ პირი თანახმაა დაინიშნოს ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებულ თანამდებობაზე. სააპელაციო სასამართლოს განჩინების

სამოტივაციო ნაწილში არ არის ამომწურავად ჩამოყალიბებული სასამართლოს მსჯელობა სადავო საკითხებთან დაკავშირებით, სასამართლო გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ ფორმასა და შინაარსს, იგი უნდა იყოს სრული, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გაურკვეველია რას ეფუძნება სასამართლოს მსჯელობა და რის საფუძველზე იქნა მიღებული სააპელაციო სასამართლოს განჩინება. ამასთან, სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რატომ იყო მოკლებული ადმინისტრაცია შესაძლებლობას, კასატორისათვის გათავისუფლებამდე შეეთავაზებინა სხვა თანამდებობა.

მოწინააღმდეგე მხარემ წარმოადგინა მოსაზრება საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნა, რომ საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 26 თებერვლის განჩინებით მ. ხ-ურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. «გ» პუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია/.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. ხ-ურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკაპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2, 394-ე «ე» მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ და გადაწყვეტილ იქნა საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფით, სასამართლო აქტი საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქარწყლებული აპელანტის მოსაზრებები, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონშეუსაბამოდ.

სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში იმავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან - დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის «ე» და «ვ» ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომმა სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალწარმოების გახდის ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალწარმოების არსსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნას მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორირება, უკიდურეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება.

სსკ-ის 407.2. მუხლის შესაბამისად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 5 იანვრის #3-115 ბრძანების თანახმად, «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატისა და რეგიონალური საბაჟოების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ» საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 2 დეკემბრის #775 ბრძანების შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო «ჩრდილოეთის» ინფორმატიკისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მ. ხ-ური 2005 წლის 5 იანვრიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რეორგანიზაციისა და შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების გამო, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2004 წლის 2 დეკემბრის #775 ბრძანებით ცვლილებები შევიდა «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატისა და რეგიონალური საბაჟოების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ» საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 6 ივლისის #469 ბრძანებაში, რომლითაც განისაზღვრა საბაჟო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის ახალი საშტატო განრიგი. აღნიშნულში რეგიონალური საბაჟო «ჩრდილოეთი», სადაც მოსარჩელე მუშაობდა გათვალისწინებული არ იყო, დამტკიცებულია, მხოლოდ რეგიონალური საბაჟო «აღმოსავლეთის» საშტატო ნუსხა 431 საშტატო ერთეულით და რეგიონალური საბაჟო «დასავლეთის» საშტატო ნუსხა – 342 საშტატო ერთეულით. ამდენად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ საბაჟო დეპარტამენტში განხორციელდა რეორგანიზაცია საშტატო ერთეულთა შემცირებით, თუმცა მოსარჩელეს გათავისუფლებისას ადმინისტრაციამ არ შესთავაზა სხვა, ალტერნატიული სამსახური იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა სხვა თავისუფალი შტატი, რაც გაზიარებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96.2. მუხლის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად, ხოლო როცა რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97.2. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ მითითებული ნორმა ამკრძალავი ხასიათისაა და დაუშვებლად მიიჩნევს მოხელის გათავისუფლებას, თუ იგი თანახმაა სხვა თანამდებობაზე დანიშვნაზე, ამგვარი თანხმობა კი თავისთავად განაპირობებს ადმინისტრაციის მხრიდან შეთავაზების აუცილებლობას, აღნიშნული პირობა საჯარო მოხელეთათვის კანონით დადგენილი გარანტიების ერთ-ერთი სახეა, რაც ადმინისტრაციის მხრიდან ექვემდებარება დაცვას.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97.2. მუხლის თანახმად, ნებისმიერ შემთხვევაში პირის გათავისუფლება არ შეიძლება, თუ იგი თანახმაა დაინიშნოს სხვა თანამდებობაზე, კანონით გათვალისწინებულ შეთავაზებას მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. ხ-ურის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების მიღებისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაირღვა კანონის ზემოაღნიშნული იმპერატიული დანაწესი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასათავისუფლებელი პირისთვის სხვა თანამდებობის შეთავაზების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, მოხელის უფლებათა დაცვის გარანტიაა და უზრუნველყოფს მოსამსახურეთა ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობისა და ა.შ. როგორც საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპების შესრულებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოხელის გათავისუფლებისას შეთავაზებული შეიძლება იყოს უწყებაში ნებისმიერი, სხვა თანამდებობა, იგივე ან უფრო დაბალი რანგის სამუშაო ადგილი. ადმინისტრაციამ აუცილებლად უნდა შესთავაზოს მოხელეს სხვა სამსახური და მხოლოდ ამგვარი პროცედურის დაცვის შემდეგ ადმინისტრაციას აქვს უფლება, მოხელის დაუთანხმებლობის პირობებში მიიღოს გადაწყვეტილება მუშაკის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

კონკრეტულ შემთხვევაში ის გარემოება, რომ მ. ხ-ურის გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობა არ არსებობს და ახალი საშტატო ერთეულით რეგიონალური საბაჟო «ჩრდილოეთი» /სადაც გათავისუფლებამდე მუშაობდა კასატორი/ არ იქნა გათვალისწინებული, არ გულისხმობს, რომ ამგვარ შემთხვევაში ადმინისტრაციას ეხსნება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97.2. მუხლით რეგლამენტირებული გათავისუფლებამდე მოხელისათვის სხვა თანამდებობის შეთავაზების საჯარო ვალდებულება, რამდენადაც ნებისმიერ შემთხვევაში რეორგანიზაცია, რომელსაც თან ახლავს შტატების შემცირება, ადმინისტრაციულ ორგანოს არ აძლევს უფლებას სხვა, ალტერნატიული, თუნდაც უფრო დაბალი რანგის თანამდებობის შეთავაზების გარეშე, პროცედურული წესის უგულებელყოფით გაათავისუფლოს მოხელე დაკავებული თანამდებობიდან. ამასთან, საკასაციო სასამართლოს სრულიად დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ უკრიტიკოდ გაზიარებული საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ ადმინისტრაციის მიერ მოხელეთა დაკომპლექტებისას გათვალისწინებულ იქნა შრომის კანონთა კოდექსის 36.2. მუხლით განსაზღვრული სამუშაოზე დარჩენის უპირატესი

უფლება შტატების შემცირებისას, რამდენადაც აღნიშნული გარემოება საქმის მასალებით არ დასტურდება და არც სააპელაციო სასამართლოს მიერ იქნა გამოკვლეული და შეფასებული, თუმცა, ამგვარ შემთხვევაშიც სხვა ალტერნატიული თანამდებობის შეთავაზება არ არის დაკავშირებული მუშაკის სამსახურში დარჩენის უპირატეს უფლებასთან, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ მუშაკი არ სარგებლობს «შრომის კანონთა კოდექსით» გათვალისწინებული სამსახურში დარჩენის უპირატესი უფლებით, ადმინისტრაციის ვალდებულება შესთავაზოს მას სხვა ალტერნატიული სამუშაო ადგილი გათავისუფლებამდე, არ ქარწყლდება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სსსკ-ის 105-ე მუხლის საფუძველზე სარწმუნოდ უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, მოცემულ შემთხვევაში კი სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას საქმის ფაქტობრივი გარემოება დადგენილ იქნა არასრულყოფილად, შესაბამისად, არსებობს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მითითებული ნორმით დადგენილი პირობების დარღვევულად მიჩნევის პროცესუალური საფუძველები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოარკვიოს, რეორგანიზაციისას, რომელსაც თან ახლდა შტატების შემცირება, საბაჟო დეპარტამენტის სისტემაში არსებობდა თუ არა თავისუფალი სამშაბო ერთეული, რომლის შეთავაზების ვალდებულებაც გააჩნდა ადმინისტრაციას მ. ხ-ურის გათავისუფლებისას. ამასთან, საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ სამშაბო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა: ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი; როცა ახალი სამშაბო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები; როცა ამგვარი სამშაბო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ (ასე მაგალითად, შტატი არ საჭიროებდა უმაღლეს განათლებას, მაშინ, როცა რეორგანიზაციის საფუძველზე ამგვარი შტატის დასაკავებლად უმაღლესი განათლებაა საჭირო), ხოლო ის გარემოება, რომ რეგონალური საბაჟო «ჩრდილოეთი» ახალ სამშაბო ერთეულში აღარ არსებობს, არ წარმოადგენს საფუძველს დასკვნისათვის, რომ სტრუქტურაში მ. ხ-ურის გათავისუფლებისას არ არსებობდა თავისუფალი სამშაბო ერთეული, რომელიც მოსარჩელისათვის უნდა შეეთავაზებინა ადმინისტრაციას გათავისუფლებამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძველები, რის გამოც სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. შესაბამისად, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემომითითებული გარემოებები და დავა გადაწყვეტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53.4. მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ხ-ურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო;
იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ბს-1100-1052(2კ-07) 10 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, წინანდელ სამუშაოზე დაუყოვნებლივ აღდგენა, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 8 ივნისს დ. ს-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე ქ. თბილისის მერის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისის მერის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურში 1986 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა განყოფილებაში. მუშაობის პერიოდში არ მიუღია არც ერთი შენიშვნა და არ დაკისრებია ადმინისტრაციული სახდელი, დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა დროულად და კეთილსინდისიერად, ხოლო სპეციალობით იყო ეკონომისტი. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულებით მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულება და აღნიშნული სამსახური იმჟამადაც ფუნქციონირებდა, ხოლო ის ფუნქციები, რომლებსაც იგი ასრულებდა, ხსენებული დებულების თანახმად, კვლავ არსებობდა, განყოფილებას კი, სადაც იგი მუშაობდა, ფუნქციები არ შეცვლია.

მოსარჩელის მტკიცებით, სამსახურიდან მისი გათავისუფლებისას დაირღვა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 97-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, ასევე საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის მოთხოვნები და სამუშაოდან მისი დათხოვნა მოხდა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და მე-2 ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტების მოთხოვნათა სრული დარღვევით. «ქ. თბილისის მერის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებულ «საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერის დებულების» მე-3 მუხლის «ე» ქვეპუნქტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულების ბათილად ცნობა, გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება.

2006 წლის 9 თებერვალს დ. ს-შვილმა დაზუსტებული სასარჩელო განცხადება წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე ქ. თბილისის მერის მიმართ, ხოლო მესამე პირად მიუთითა საქართველოს იუსტიციის სამინისტროზე.

მოსარჩელის განმარტებით, «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით იმპერატიულად იყო დადგენილი, რომ ნორმატიული აქტი იყო უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავდა მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. იმავე კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა და თანამდებობის პირთა ნორმატიული აქტები იყო: საკრებულოს გადაწყვეტილება, გამგეობის (მთავრობის) გადაწყვეტილება, ქ. თბილისის მთავრობის დადგენილება, გამგებლის (მერის) ბრძანება. ხსენებული კანონის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების (გამოცემის), გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი. იმავე კანონის 29-31-ე მუხლებით დადგენილი იყო ნორმატიული აქტის მომზადების, მიღების, გამოქვეყნებისა და მოქმედების ზოგადი წესი, ანუ ნორმატიული აქტის პროექტით უნდა განსაზღვრულიყო ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოცხადებულიყო ძალადაკარგულად ამ ნორმატიული აქტის მიღების შემთხვევაში, ხოლო ნორმატიული აქტის პროექტს უნდა დართოდა განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახებოდა ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, ასევე იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევდა წარდგენილი პროექტის მიღება, კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან წარდგენილი პროექტის შესაბამისობის შესახებ. იმავდროულად, ქ. თბილისის მერის სამართლებრივი აქტების მომზადებისა და გამოცემის წესი დადგენილი იყო ქ. თბილისის მთავრობის რეგლამენტის 21-ე-28-ე მუხლებით.

მოსარჩელის მტკიცებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად, გასაჩივრებული ბრძანება წარმოადგენდა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და დარღვეული იყო მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი წესი, რის გამოც «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იგი ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი, ასევე, დარღვეული იყო «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს

კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის ნორმები და მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა «ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით დ. ს-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; «ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანება გამოცხადდა ძალადაკარგულად; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულება დ. ს-შვილის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში და მოპასუხე ქ. თბილისის მერიას დაევალა, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის საკითხისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა, ხოლო მოპასუხე ქ. თბილისის მერს - დ. ს-შვილისათვის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება სამსახურიდან გათავისუფლების მომენტიდან მასთან მიმართებაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დღემდე.

საქალაქო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ ჰქონდა, კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განეხორციელებინა რაიმე ქმედება, ხოლო სადავო აქტის გამოცემის დროისათვის მოქმედი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადებულიყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად იყო დარღვეული მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ქ. თბილისის მერმა 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანების გამოცემას, რომელიც წარმოადგენდა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, საფუძვლად დაუდო «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელთა თანახმადაც, ქ. თბილისის მერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემდა ბრძანებებსა და განკარგულებებს და უფლებამოსილი იყო, ძალადაკარგულად გამოეცხადებინა მის მიერვე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული ნორმები არ შეესაბამებოდა იმ სპეციალურ კანონმდებლობას, რომელიც განსაზღვრავდა ქ. თბილისის მერის, როგორც დედაქალაქის - ქ. თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირის, უფლებამოსილებას, კერძოდ, «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონითა და «საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის» დებულებით მერს არ ჰქონდა მინიჭებული ზემოხსენებული ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება. საქალაქო სამსახურების გაუქმების უფლებამოსილება ქ. თბილისის მერს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის» დებულების 25-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნული ბრძანებულება კი ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით, რომლითაც, როგორც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, დამტკიცებულ იქნა «საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულება», რომლის მე-2 პუნქტის თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირები - ქ. თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრი. ამასთან, დამტკიცებულ იქნა ქ. თბილისის მერიის ახალი სტრუქტურა, რომელშიც იდენტური დასახელებით შევიდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური, როგორც ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ უდავოდ დადგინდად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებას და არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი, მაგრამ, რადგან სამართლის თითოეული ნორმა კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება განსაზღვრულ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით (ჩატარებულ იქნა კონკურსი და აღნიშნული წესით, აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემით, თანამდებობაზე დანიშნულ იქნენ კონკურსში გამარჯვებული პირები), ამ შემთხვევაში ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა გამოიწვევდა ქ. თბილისის მერიის ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, ამიტომ იგი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადებულიყო, რის სამართლებრივ საფუძველსაც წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმადაც, თუ ნორმატიული

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნიდა სახელმწიფოს ან გამოიწვევდა ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, სასამართლო უფლებამოსილი იყო, ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტი, ბათილად ცნობის ნაცვლად, გამოეცხადებინა ძალადაკარგულად. აღნიშნულს განამტკიცებდა, აგრეთვე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილიც, რომლის თანახმადაც, ხსენებული კოდექსის მიზანი იყო, უზრუნველყო არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, არამედ საჯარო ინტერესების დაცვა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულება მოსარჩელე დ. ს-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების ნაწილში და მოპასუხე ქ. თბილისის მერს უნდა დაეალებოდა იმავე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის საკითხისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. დადგენილი იყო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელე მუშაობდა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულში - ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურში, რომელიც წარმოადგენდა ქ. თბილისის მთავრობისათვის ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში კანონმდებლობით მიკუთვნებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით შექმნილ დარგობრივ მმართველობის ორგანოს. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #154 სადავო განკარგულებით მოსარჩელე დ. ს-შვილი გათავისუფლებულ იქნა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად - დაწესებულების ლიკვიდაციის გამო, რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ ყოფილა, სახელდობრ, ხსენებული კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებას წარმოადგენდა მხოლოდ ქ. თბილისის მერია და არა მისი სტრუქტურული ერთეულები, ქ. თბილისის მერიის ლიკვიდაციის შესახებ აქტი კი არ გამოცემულა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ქ. თბილისის მერის მიერ 2005 წლის 5 მაისს გამოცემულ იქნა #25 ბრძანება, რომლითაც ლიკვიდირებულა ჩაითვა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ბრძანება წარმოადგენდა კანონსაწინააღმდეგო ნორმატიულ აქტს, ასევე საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დგინდებოდა, რომ ხსენებული სამსახურის ლიკვიდაცია არ განხორციელებულა, კერძოდ, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ახალი დებულება, სტრუქტურა და საშტატო ერთეულების ნუსხა, რომელშიც იდენტური ფუნქციებით შევიდა აღნიშნული სამსახური და გამოცხადდა ლიკვიდირებული სამსახურის სამართალმემკვიდრედ. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ფაქტობრივად, განხორციელდა ზემოაღნიშნული სამსახურის რეორგანიზაცია შტატების შემცირებით და არა მისი ლიკვიდაცია, რაც ითვალისწინებდა სამსახურის ფუნქციონირების სრულ შეწყვეტას, ქონების აღრიცხვას, ანგარიშისა და ბეჭდის გაუქმებას, სალიკვიდაციო საქმიანობის განხორციელებას და ქონების გადაცემას, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ ყოფილა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნიდა საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად და რეორგანიზაციის დროს მოხელის გათავისუფლება დასაშვებია იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რეორგანიზაციას თან სდევდა შტატების შემცირება იმავე კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის 2005 წლის 5 მაისისათვის მოქმედი რედაქცია იმპერატიულად მოითხოვდა, რომ მოხელე არ შეიძლებოდა გათავისუფლებულიყო სამსახურიდან, თუ იგი თანახმა იყო, დანიშნულიყო სხვა თანამდებობაზე, ამასთან, თავად ადმინისტრაცია იყო ვალდებული, შეეთავაზებინა მუშაკისათვის სხვა თანამდებობა და მუშაკის მხრიდან განცხადებით მიმართვის არარსებობა ადმინისტრაციას არ ათავისუფლებდა ხსენებული მოვალეობისაგან. აღნიშნული მოსარჩელე დ. ს-შვილის მიმართ არ განხორციელებულა. მოპასუხის მიერ კი სადავო განკარგულების გამოცემით დაირღვა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არსებული შესაბამისი მტკიცებულების თანახმად, დ. ს-შვილი, მართალია, გაფრთხილებულ იქნა სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ, მაგრამ შესაბამის განკარგულებაში შესაძლო გათავისუფლების საფუძველად მითითებული იყო სამსახურის ლიკვიდაცია და არა თანამდებობის შემცირება, რომლებიც სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს წარმოშობდა მოსარჩელის მიმართ. ამდენად, მოპასუხის მიერ არ იყო დაცული «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლის მოთხოვნაც. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლისა და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა უფლება, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განხორციელებინა რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო განკარგულება მიღებული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონითა და შრომის კანონთა კოდექსით მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლებისათვის დადგენილი პროცედურული საკითხების უგულებელყოფით, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა სცილდებოდა სასამართლოს კომპეტენციას და იგი ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და სადავო საკითხის - მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულება დ. ს-შვილის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში და მოპასუხეს უნდა დავალებოდა, იმავე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სათანადო გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ, გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. იმავე დროს, მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა სამსახურიდან გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემამდე პერიოდის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი, რადგან ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მუშაკის გათავისუფლება სამსახურიდან, ხოლო მოსარჩელე დ. ს-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება იმ ეტაპზე ბათილად იყო ცნობილი და ხელფასის გაუცემლობის საფუძველი არ არსებობდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად. აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ს-შვილმაც, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ, კერძოდ, იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც მოპასუხეს დაევალი იმავე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სათანადო გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აპელანტმა ასევე მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით დ. ს-შვილისა და ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიისა და დ. ს-შვილის სააპელაციო საჩივრებში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს. ამასთან, სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება იყო დასაბუთებული, კანონიერი და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული განჩინება უკანონოა, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს. «ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების შექმნის შესახებ» ქ. თბილისის მერის 1999 წლის 24 მარტის #15 ბრძანებით შეიქმნა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური და ამ ბრძანების ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძველად მიეთითა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 თებერვლის #685 ბრძანებულებით დამტკიცებულ «საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების» 25-ე მუხლზე. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 თებერვლის #685 ბრძანებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა «საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით. «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად მიღებული (გამოცემული) ყველა ნორმატიული აქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მერიას არათუ უფლება ჰქონდა, არამედ

ვალდებულებაც ეკისრებოდა, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოეცხადებინა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 თებერვლის #685 ბრძანებულების საფუძველზე და მის შესასრულებლად მის მიერვე გამოცემული 1999 წლის 24 მარტის #15 ბრძანება «ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების შექმნის შესახებ», რაც განხორციელდა კიდევ ჯერ მოცემული დავის საგნად ქცეული 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებით, შემდეგ კი - 2005 წლის 24 ივნისის #49 ბრძანებით, რომელიც ძალაშია 2005 წლის 29 აპრილიდან. აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელისთვისაც ცნობილი იყო და იგი მას არ გაუსაჩივრებია.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად არ გაიზიარა ქ. თბილისის მერიის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება, რომლის საფუძველზედაც შექმნილია ესა თუ ის საქალაქო სამსახური, ნიშნავს ამ სამსახურის საქმიანობისათვის იურიდიული საფუძვლის გამოცლას, მისი საქმიანობის დასრულებას და შესაბამისად, ამ სამსახურის ლიკვიდაციასაც გულისხმობს, მით უმეტეს, რომ «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის მერი ვალდებულიც იყო გამოეცა 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანება, სააპელაციო სასამართლომ კი არ გამოიყენა «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რაც უნდა გამოეყენებინა. აღნიშნული კი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით, გასაჩივრებელი განჩინების გაუქმების საფუძველია.

კასატორი მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის #ბს-713-300(კ-05) განჩინებაზე და ამ განჩინებაში აღნიშნულ ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპზე - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევის თავისუფლების პრინციპზე, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ დასახელებულ განჩინებაში მიუთითა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს შეეძლო კონკრეტული სამართალურთიერთობა მოეწესრიგებინა იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისივე მოსაზრებით, უფრო ეფექტური იყო კონკრეტულ შემთხვევაში, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის ფარგლები მთავრდებოდა იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი ზუსტად მიუთითებდა მოცემული ურთიერთობისათვის ამა თუ იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების აუცილებლობაზე ან ეს გამომდინარეობდა კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის თავისებურებიდან.

კასატორის განმარტებით, სასამართლო ხელისუფლებას უფლება აქვს, შეფასება მისცეს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებას, იმჯელოს მის მართლზომიერებაზე, მაგრამ სასამართლო კონტროლი არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს შეუძლია უკარნახოს ადმინისტრაციულ ხელისუფლებას, თუ რა ფორმით განახორციელოს მან მის წინაშე მდგარი ამოცანები. სასამართლო ხელისუფლებას უფლება არა აქვს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებულ საქმიანობის ფორმას (თუნდაც უკანონოს და არასრულყოფილს) შეუცვალოს სახელწოდება და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სუბიექტს (ადრესატს) შესთავაზოს მისი უფლების დაცვის სხვა საშუალება.

კასატორის მტკიცებით, ამ საქმის განხილვისას, როგორც პირველი, ისე მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ უგულებელყოფილ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევის თავისუფლების პრინციპი, კერძოდ, ქ. თბილისის მერია წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოთა სისტემას, რომელიც ერთობლიობაში, კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებებს. ქ. თბილისის მერიის საქმიანობას წარმართავს ქ. თბილისის მერი - ქ. თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და მთავრობის ხელმძღვანელი («საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). საკითხი იმის შესახებ, უნდა გააგრძელოს თუ არა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულმა ერთეულმა საქმიანობა იმავე სახით, მოხდეს მისი რეორგანიზაცია თუ ლიკვიდაცია, მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, მისი საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას და მას უფლება აქვს, თავისუფლად აირჩიოს, მოახდინოს მისი ლიკვიდაცია თუ რეორგანიზაცია. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებით გამოიხატა ადმინისტრაციული ორგანოს - ქ. თბილისის მერიის ნება, მომხდარიყო მისი ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაცია, სასამართლომ კი, უგულებელყო რა ზემოაღნიშნული პრინციპი, დაარქვა ამ პროცესს «რეორგანიზაცია», რაც დაუშვებელია.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების თანახმად, ქ. თბილისის მერს არ ჰქონდა უფლება, გაეუქმებინა საქალაქო სამსახური და დაასკვნა, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანება იყო უკანონო. სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულება, რომლის ძალაში შესვლის შემდეგაც ქ. თბილისის მერს მართლაც არ ჰქონდა საქალაქო სამსახურების გაუქმების უფლება, მაგრამ მხოლოდ იმ საქალაქო სამსახურებისა, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის მითითებული ბრძანებულებით შექმნილ საქალაქო სამსახურებს წარმოადგენს (მათი ჩამონათვალი განისაზღვრა ამ ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლით და მათ შორის არის ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურიც). ის საქალაქო

სამსახურები კი, რომლებიც შექმნილი იყო «ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების შექმნის შესახებ» ქ. თბილისის მერის 1999 წლის 24 მარტის #15 ბრძანებით, «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ექვემდებარებოდა სავალდებულო ლიკვიდაციას ქ. თბილისის მერის მიერ.

კასატორი მიუთითებს საჯარო დაწესებულებათა ლიკვიდაცია-რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მიღებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 31 ოქტომბრის #ბს-1081-661(კ-05) განჩინებაზე, რომელშიც დიდმა პალატამ განმარტა, რომ, მართალია, კანონით არ განსაზღვრულა სამინისტროს ლიკვიდაციისა თუ რეორგანიზაციის საკითხი, მაგრამ იგი გადაწყდა საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით, რომლის პირველი პუნქტი ერთმნიშვნელოვნად ადგენდა სამინისტროს ლიკვიდაციას, ხოლო ის გარემოება, რომ იმავე ბრძანებულების მე-14 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჩაითვალა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს უფლებამონაცვლედ, არ ცვლიდა ხსენებული ბრძანებულების 1-ელ პუნქტს, ვინაიდან ამ შემთხვევაში საუბარი იყო სამინისტროს მხოლოდ მმართველობით-ფუნქციონალურ უფლებამონაცვლეობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მითითებული პუნქტი გამორიცხავდა აღნიშნული ბრძანებულების 1-ელ პუნქტს, რომელიც შეიცავდა ცალსახა მითითებას საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ლიკვიდაციაზე, რის გამოც ლიკვიდირებული სამინისტროს თანამშრომელთა გათავისუფლებაც უნდა მომხდარიყო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

კასატორის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტი არ იყო უფლებამოსილი, ძალადაკარგულად გამოეცხადებინა ქ. თბილისის მერის 1999 წლის 24 მარტის #15 ბრძანება «ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების შექმნის შესახებ», რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს, ანუ საქართველოს პრეზიდენტმა შექმნა ახალი საქალაქო სამსახურები, ძველის გაუქმებას კი ვერ მოახდენდა, რაც კანონის სრული დაცვით განახორციელა ქ. თბილისის მერმა 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებით. ის გარემოება, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულების 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ახლად შექმნილი სამსახური წარმოადგენს ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანების საფუძველზე ლიკვიდირებულ ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრეს, არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ამ სამსახურის რეორგანიზაცია, რადგან აქ შეიძლება საუბარი იყოს ხსენებული სამსახურის მხოლოდ მმართველობით-ფუნქციონალურ სამართალმემკვიდრეობაზე (უფლებამონაცვლეობაზე), ვინაიდან ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანების 1-ლი პუნქტი ცალსახად მიუთითებს ამ სამსახურის ლიკვიდაციაზე. ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით ლიკვიდირებულ იქნა ორი სუბიექტი (საჯარო სამართლის იურიდიული პირები), სასამართლომ გამოიყენა იმისათვის, რათა ემტკიცებინა, რომ დადგინდა მხოლოდ მათი ლიკვიდაციის იურიდიული საფუძველი და არა უკვე არსებული საქალაქო სამსახურებისა. მითითებული ბრძანებულების მე-2 პუნქტით ლიკვიდირებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირები - ქ. თბილისის კეთილმოწყობის სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრი, ხოლო მე-5 პუნქტით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 თებერვლის #63 ბრძანებულება «საჯარო სამსახურის - ქ. თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის შექმნის შესახებ» და საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 21 თებერვლის #54 ბრძანებულება «საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრის შექმნის შესახებ». ქ. თბილისის მერისათვის ხსენებული სუბიექტების სალიკვიდაციო ღონისძიების განხორციელების დავალება კი მოხდა იმიტომ, რომ ქ. თბილისის მერია იქნა განსაზღვრული ამ ორ სუბიექტზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოდ, «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად.

კასატორის მტკიცებით, გასაჩივრებული განჩინების დანარჩენი ნაწილის დასაბუთებაც სწორედ ლიკვიდაციის შესახებ აქტის არასწორ შეფასებაზეა აგებული, კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან მოხდა ზემოაღნიშნული სამსახურის რეორგანიზაცია და არა ლიკვიდაცია, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ იყო უკანონო, რადგან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არ მოხდა მოსარჩელისათვის სხვა თანამდებობაზე დანიშვნის შეთავაზება. კასატორი მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებით მოხდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაცია. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი კი, ლიკვიდაციის შემთხვევაში აღარ ითვალისწინებდა რაიმე გარემოების შეფასებასა და გამოკვლევას იმის თაობაზე, თუ ვინ ისარგებლებდა სამსახურში დარჩენის უპირატესი უფლებით, არც არავითარ შეთავაზებას სხვა თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, არამედ ადგენდა ლიკვიდირებული დაწესებულების ყველა თანამშრომლის უპირობო გათავისუფლებას

თანამდებობიდან დაწესებულების საქმიანობის შეწყვეტის დღიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულების კანონიერებაზე მსჯელობისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა («საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ნაცვლად, გამოიყენა იმავე კანონის 97-ე მუხლი), რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

კასატორის მოსაზრებით, უსაფუძვლო და უკანონოა გასაჩივრებული განჩინება იმ ნაწილშიც, რომლითაც ქ. თბილისის მერიას დაეკისრა ვალდებულება, აუნაზღაუროს მოსარჩელეს იძულებით გაცდილი დროის ხელფასი, რადგან მოსარჩელის გათავისუფლება მოხდა კანონიერად, დაწესებულების ლიკვიდაციის გამო, ხოლო დაწესებულების საქმიანობის შეწყვეტის დღემდე ქ. თბილისის მერიას მოსარჩელესთან გასწორებული აქვს ანგარიში და აღარ არსებობს რაიმე საფუძველი ქ. თბილისის მერიისათვის დამატებით ფინანსური ვალდებულების დასაკისრებლად. რაც შეეხება საკითხს, წარმოადგენს თუ არა ქ. თბილისის მერიის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები დაწესებულებებს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლის გაგებით, ანუ დასაშვებია თუ არა მათი ლიკვიდაცია მთლიანად ქ. თბილისის მერიის ლიკვიდაციის გარეშე, სასამართლომ აღნიშნული მიიჩნია დაუშვებლად. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მითითება «დაწესებულების» შესახებ არ უნდა იქნეს გაგებული სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, ვინაიდან კანონმდებელი მას ხსენებულ პუნქტში ფართო მნიშვნელობით ხმარობს, მით უმეტეს, არ შეიძლება მითითება საქართველოს დედაქალაქის მიმართ, რომელიც თავისი განსაკუთრებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, აბსოლუტურად განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს სხვა თვითმმართველი ერთეულებისაგან განსხვავებით. «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის (ძველი რედაქცია) თანახმად, ქ. თბილისის მერია წარმოადგენდა სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემას, ანუ ქ. თბილისის მერია არ წარმოადგენდა ერთ ორგანოს, ერთ დაწესებულებას.

კასატორის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულების 24-ე მუხლის თანახმად, საქალაქო სამსახური წარმოადგენდა ქ. თბილისის მთავრობის კომპეტენციას მიკუთვნებულ, ცალკეულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით შექმნილ დარგობრივი მმართველობის ორგანოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სამსახური ასევე შეიძლება მიჩნეულ იქნეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ორგანოდ. ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური წარმოადგენს დაწესებულებას «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მიხედვით, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი დებულების 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ამ სამსახურს აქვს დებულება, შტამში, ბლანკი, ბეჭედი სახელწოდების აღნიშვნით, დასრულებული ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა და სათანადო ანგარიში ქ. თბილისის ხაზინაში. იმავე დებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ამ სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქ. თბილისის ტერიტორიაზე ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. სასამართლოს მხრიდან «დაწესებულების» ცნების ამგვარი გაგება დაუშვებელია იმ კუთხითაც, რომ წარმოუდგენელია მოხდეს მთლიანად ქ. თბილისის მერიის ლიკვიდაცია, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ-განმკარგულებელ საქმიანობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურები წარმოადგენს «დაწესებულებებს» «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მიხედვით და მათზე შესაძლებელია გავრცელდეს ამავე კანონით დადგენილი ლიკვიდაციის მომწესრიგებელი ნორმები.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რადგან სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რაში მდგომარეობდა მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის, ასევე არ დაუკონკრეტებია, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებების შეფასება-გამოკვლევა არ განუხორციელებია ქ. თბილისის მერიას.

აქედან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, მისი გაუქმების საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა დ. ს-შვილმაც, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ, კერძოდ, იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც მოპასუხეს დაევალა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სათანადო გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთმეჯერების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ასევე მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში აღნიშნა, რომ დ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შეზღუდვებს. აღნიშნული მოსაზრება არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების შესაბამისად, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. სასამართლომ საქმის განხილვისას გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტი (იმჟამად მოქმედი რედაქცია), ასევე ამავე კანონის 127-ე მუხლი. სასამართლოს რომ გამოეყენებინა აღნიშნული მუხლები და არ დაერღვია საპროცესო ნორმები, შეიძლებოდა აღნიშნულს არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

კასატორის მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო ნორმათა კოლიზია, სასამართლომ იგნორირება გაუკეთა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მეხუთე პუნქტს, რომლის მიხედვითაც, სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების, ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარებოდა დაუყოვნებლივ აღდგენას. ამდენად, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა არა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, არამედ ამ მუხლის პირველი ნაწილი, ვინაიდან გასაჩივრებული განკარგულება ეწინააღმდეგებოდა კანონს და პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს და სასამართლოსაც ამ კოდექსის 22-ე მუხლისა და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის შესაბამისად, უნდა გამოეტანა გადაწყვეტილება სადავო განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ და მოსარჩელე სამსახურში აღედგინა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, რეორგანიზაცია არ ქმნიდა მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს, იმავე კანონის 97-ე მუხლის მეორე პუნქტით კი, იმპერატიულად იყო დადგენილი, რომ მოხელე არ შეიძლებოდა გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან, თუ იგი თანახმა იყო, დანიშნულიყო სხვა თანამდებობაზე, რაც ასევე ცალსახად არის დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილებით და ამავდროულად, განმარტებულია, რომ თავად ადმინისტრაცია იყო ვალდებული, შეეთავაზებინა მუშაკისათვის სხვა თანამდებობა. გასაჩივრებულ განკარგულებაში გათავისუფლების საფუძველად მიეთითა არა სამსახურის ლიკვიდაციაზე, არამედ დაწესებულების რეორგანიზაციაზე თანამდებობათა შემცირებით, რითაც მოპასუხემ დაარღვია «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 108-ე მუხლი.

კასატორის განმარტებით, სასამართლოს აუცილებლად უნდა მიეღო გადაწყვეტილება სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შესახებ ან უნდა დაევალებინა ქ. თბილისის მერიისათვის, განეხილა მისი სამუშაოზე დატოვების, ან სხვა სამუშაოზე გადაყვანის საკითხი. სასამართლომ გადაამეტა თავის უფლებამოსილებას, რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ 2005 წლის 28 ნოემბრის #ბს-1043-625(კ-05) განჩინებაში, რომელიც ასევე შეეხებოდა საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას, განმარტა, რომ სასამართლო ხელისუფლებას საქართველოს კონსტიტუციით, «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონითა და საპროცესო კანონმდებლობით უფლება ჰქონდა შეფასება მიეცა ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებისათვის, ემსჯელა მის მართლზომიერებაზე, მაგრამ სასამართლო კონტროლის ცნება არ მოიცავდა იმ საკითხს, რომ სასამართლოს შეეძლო ეკარნახა ადმინისტრაციული ხელისუფლებისათვის (ამ შემთხვევაში - ქ. თბილისის მერია), თუ რა ფორმით განეხორციელებინა მას მის წინაშე მდგარი ამოცანები.

ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინების ის ნაწილი, რომლითაც სასამართლომ დაავალა ქ. თბილისის მერიას ერთი თვის ვადაში მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის საკითხისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, სხვა არაფერია, თუ არა ქ. თბილისის მერიის საქმიანობაში უხეში ჩარევა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინებებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მერიისა და დ. ს-შვილის საკასაციო საჩივრები; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინებების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივრები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 21 თებერვლამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის განჩინებით ქ. თბილისის მერიისა და დ. ს-შვილის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მათი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 10 აპრილს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო დ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: დ. ს-შვილი, პროფესიით ეკონომისტი, მუშაობდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურში ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების განყოფილების მთავარ სპეციალისტად და ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულებით, 2005 წლის 3 მაისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ხოლო ამ განკარგულების საფუძველად მიეთითა «ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანება. ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებით ლიკვიდირებულად ჩაითვა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულება, სტრუქტურა და სამტატო ერთეულების ნუსხა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის დებულების 25-ე მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებს ქ. თბილისის პრემიერის წარდგინებით ქმნიდა და აუქმებდა ქ. თბილისის მერი. ამდენად, ხსენებული დებულებით ქალაქ თბილისის მერს მინიჭებული ჰქონდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის შექმნისა და გაუქმების უფლება, რასაც იგი ახორციელებდა ქ. თბილისის პრემიერის წარდგინების საფუძველზე. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულება, ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულება, ასევე ლიკვიდირებულ იქნა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირები - ქ. თბილისის კეთილმოწყობის სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრი. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების მე-3 მუხლში (ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურა) ჩამოთვლილ ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულად გათვალისწინებული იყო ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური. ამდენად, აღნიშნული სამსახურის დასახელებაც კი არ შეცვლილა და ისე იქნა შეტანილი იგი ქ. თბილისის მერიის ახალ სტრუქტურაში, ანუ ამ სტრუქტურაში იდენტური დასახელებით შევიდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური, როგორც ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეში არსებული მტკიცებულებების კომპლექსური ანალიზით ნათლად და გარკვევით დგინდება, რომ ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაცია არ განხორციელებულა, კერძოდ, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ახალი დებულება, სტრუქტურა და სამტატო ერთეულების ნუსხა, რომელშიც იდენტური ფუნქციებით იქნა გათვალისწინებული ხსენებული სამსახური და იგი გამოცხადდა ლიკვიდირებული სამსახურის სამართალმემკვიდრედ. ამდენად, ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ «ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებით ლიკვიდირებულად ჩაითვა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური, ხოლო ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულების საფუძველად მიეთითა სწორედ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანება, ფაქტობრივად, განხორციელდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის არა ლიკვიდაცია, არამედ მისი რეორგანიზაცია შტატების შემცირებით, ანუ არ არსებობდა ლიკვიდაციისათვის დამახასიათებელი ტიპური ნიშნები - სამსახურის ფუნქციონირების სრული შეწყვეტა, სალიკვიდაციო საქმიანობის განხორციელება და ქონების გადაცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 3 აპრილის სხდომაზე აპელანტ დ. ს-შვილის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სახელმწიფოსათვის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის არსებობა აუცილებელი იყო და ყოვლად გაუგებარია, თუ რატომ უნდა გაუქმებულიყო აღნიშნული სამსახური, მაშინ, როდესაც დროის მცირე მონაკვეთის გასვლის შემდეგ გამოცემულია ახალი აქტი, რომლითაც შეიქმნა იგივე სამსახური იმავე ფუნქციებით, რაც იყო მანამდე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ «ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების ნაწილში საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებზე, რომლებიც გამორიცხავდა ერთმანეთს, კერძოდ, საქალაქო სასამართლომ, ერთი მხრივ, მიიჩნია, რომ ქ.

თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაცია არ განხორციელებულა და მოხდა მისი რეორგანიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, დასკვნა, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებას და არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი, მაგრამ, რადგან მისი ბათილად ცნობა გამოიწვევდა ქ. თბილისის მერიის ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, ამიტომ იგი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადებულიყო, რის სამართლებრივ საფუძველსაც წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიამ თავისი ნება გამოხატა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებაში, რომლითაც დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური და აღნიშნული სამსახური გამოცხადდა ზუსტად იმავე სახელწოდების მქონე, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებით ლიკვიდირებული სამსახურის სამართალმემკვიდრედ. ამდენად, აღნიშნული ბრძანებისა და «ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანების შინაარსობრივი შეჯერებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, ჯერ ერთი, ფუნქციური უფლებამონაცვლეობა ნიშნავს სწორედ დასახელებული სამსახურის რეორგანიზებას და მეორეც, მართალია, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანების სახელწოდება მიუთითებს ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციაზე, მაგრამ ამავე ბრძანებით განხორციელდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია, ხოლო საბოლოო დასკვნა იმის შესახებ, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებით ფაქტობრივად, თავისი ფუნქციონალური არსითა და მატერიალური შინაარსით, მოხდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია, მთლიანად აცლის საფუძველს დ. ს-შვილის მოსაზრებას ქ. თბილისის მერის მიერ 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანების უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემის შესახებ და ამ ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე მის სასარჩელო მოთხოვნას.

ამასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის - ქ. თბილისის მერიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებით გამოიხატა ადმინისტრაციული ორგანოს - ქ. თბილისის მერიის ნება, მომხდარიყო მისი ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაცია, სასამართლომ კი, უგულებელყო რა ზემოაღნიშნული პრინციპი, დაარქვა ამ პროცესს «რეორგანიზაცია».

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების ნაწილში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია დასტურდება ასევე საქმეში წარმოდგენილი მთელი რიგი მტკიცებულებების ერთობლიობით. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ხსენებული სამსახური წარმოადგენს ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებით ლიკვიდირებული ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრეს; «ქალაქ თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 4 მარტის #21 განკარგულებაში მითითებულია მხოლოდ ქ. თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომელთა გაფრთხილებაზე, ამავე პირების ლიკვიდაციის გამო სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, ხოლო ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებთან მიმართებაში, ამ სამსახურების მოსამსახურეთა გაფრთხილებაზე დაწესებულების რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო, სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ.

რაც შეეხება გასაჩივრებულ განჩინებას ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულების დ. ს-შვილის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში ბათილად ცნობის, მოპასუხე ქ. თბილისის მერიისათვის მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის საკითხისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისა და დ. ს-შვილისათვის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების ნაწილში, საკასაციო სასამართლო მთლიანად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განჩინების ამ ნაწილს და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება ხსენებულ ნაწილში კანონიერია, რის გამოც არ არსებობს ამავე ნაწილში მისი გაუქმების საფუძველი. ჯერ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად, განხორციელდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულების მიხედვით, მოსარჩელეზე გავრცელდა დაწესებულების ლიკვიდაციის სამართლებრივი რეჟიმი და მეორეც, უდავოდ დადგენილია და მხარეთა შორის დავას არც იწვევს ის გარემოება, რომ დ. ს-შვილისათვის არ შეუთავაზებიათ სხვა თანამდებობა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს

კანონის (იმჟამად მოქმედი რედაქცია) 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რაც ხსენებული განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის - დ. ს-შვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა არა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, არამედ ამ მუხლის პირველი ნაწილი, ვინაიდან გასაჩივრებული განკარგულება პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს და სასამართლოსაც ამ კოდექსის 22-ე მუხლისა და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის შესაბამისად, არსებითად უნდა ეცნო ბათილად სადავო განკარგულება და მოსარჩელე სამსახურში აღედგინა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო არ შეჭრილა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს - ქ. თბილისის მერიის დისკრეციულ უფლებამოსილებაში, არამედ მხოლოდ შეამოწმა, თუ რამდენად კანონიერად განახორციელა ქ. თბილისის მერიამ თავისი დისკრეციული უფლებამოსილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის მერიის საქმიანობაში ჩარევა და მის დისკრეციულ უფლებამოსილებაში სასამართლოს მხრიდან შეჭრა იქნებოდა სწორედ მისთვის მოსარჩელის სხვა კონკრეტულ თანამდებობაზე აღდგენის პირდაპირ დავალება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო დ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს «ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების ნაწილში, ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ამავე ნაწილში დ. ს-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდება, გასაჩივრებული განჩინება დანარჩენ ნაწილში კი დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; დ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ოქტომბრის განჩინება გაუქმდეს «ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. დ. ს-შვილის სარჩელი ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ოქტომბრის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო

განჩინება

#ბს-87-87(კ-08) 20 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 22 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა ს. ზ-შვილმა ქუთაისის მერიის მიმართ და მოითხოვა მისი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ქუთაისის მერის 2007 წლის 20 აპრილის ბრძანების ბათილად ცნობა, წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, ქ. ქუთაისის მერის 2007 წლის 20 აპრილის #853 ბრძანებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97.1, 97.3, 108-ე, 109-ე მუხლების საფუძველზე დათხოვნილ იქნა ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურის წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან.

მოსარჩელის მოსაზრებით, მისი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება უკანონოა, რადგან ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში სპეციალისტის თანამდებობაზე გათვალისწინებული იყო 7 საშტატო ერთეული, მაგრამ შემდგომ მოხდა საშტატო განრიგის გადაკეთება და განრიგში ხელით მიეთითა ციფრი 6.

მოსარჩელის მითითებით, შტატების შემცირების რეალურად განხორციელების პირობებშიც არ უნდა გათავისუფლებიან სამსახურიდან, კადრების შერჩევას მოპასუხის მიერ არ იქნა გათვალისწინებული «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-13 მუხლი, რადგან აქვს 29 წლის მუსაობის სტაჟი, საფინანსო სამსახურში მუშაობდა მთავარი ბუღალტრის მოადგილის, მთავარი ბუღალტრის, მთავარი სპეციალისტის და წამყვანი სპეციალისტის თანამდებობებზე, გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, რის გამოც სხვა პირებთან შედარებით სარგებლობდა სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლებით.

ს. ზ-შვილის სარჩელი არ ცნო მოპასუხის წარმომადგენელმა და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით ს. ზ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქუთაისის მერის 2007 წლის 20 აპრილის #838 ბრძანება, ს. ზ-შვილი აღდგენილ იქნა ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურის წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე იძულებითი განაცდურის ანაზღაურებით, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ქუთაისის მერის 2007 წლის 26 იანვრის #30 ბრძანებით ცვლილება და დამატება შევიდა ქუთაისის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო განრიგის დამტკიცების თაობაზე ქუთაისის მერის 2006 წლის 29 დეკემბრის #623 ბრძანების #11 დანართში. ქუთაისის მერის 2007 წლის 18 აპრილის #351 ბრძანებით დამტკიცდა თვითმმართველო ქუთაისის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო განრიგი დანართების შესაბამისად და საფინანსო სამსახურის წამყვანი სპეციალისტის საშტატო ერთეულის რაოდენობა შემცირდა 6 შტატით. ქუთაისის მერის 2007 წლის 20 აპრილის #838 ბრძანებით ს. ზ-შვილი გათავისუფლდა ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურის წამყვანი სპეციალისტის დაკავებული თანამდებობიდან 2007 წლის 20 აპრილიდან საბოლოო ანგარიშსწორებით.

საქალაქო სასამართლომ დადგინოდა მიიჩნია, რომ ს. ზ-შვილი 1978 წლიდან მუშაობდა ქუთაისის ლენინის რაისაფინანსო განყოფილებაში ბუღალტრის თანამდებობაზე, შემდეგ სხვადასხვა თანამდებობებზე, მაგრამ მისი ძირითადი საქმიანობა იყო ბუღალტერია.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97.1 მუხლის თანახმად, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოხდა შტატების შემცირება, მერს უნდა გამოეყენებინა მითითებული ნორმა, მაგრამ ამასთან ქუთაისის მერს უნდა ეხელმძღვანელა საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპებით, რაც არ იქნა გათვალისწინებული. კერძოდ, ს. ზ-შვილს აქვს მუშაობის დიდი გამოცდილება, არის პროფესიონალი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული პრინციპების დაცვა უზრუნველყოფდა გასაჩივრებული ბრძანების ობიექტურ ნდობას. ამასთან, შემცირებისას მოხელეთა სამსახურიდან გათავისუფლების დროს მითითებული პრინციპის დარღვევა აზრს უკარგავს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით განსაზღვრული პრინციპების არსებობას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის მერიამ და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

აპელანტმა არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციას ს. ზ-შვილის გათავისუფლებისას უნდა ეხელმძღვანელა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-13 მუხლით. აპელანტის მითითებით, ამავე კანონის 97.1 მუხლის თანახმად, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს შტატების შემცირების გამო, ხოლო ამავე კანონის 22.1 მუხლის მიხედვით, თანამდებობაზე პირის დანიშვნის უფლება აქვს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელს. «ადგილობრივი თვითმმართველოს შესახებ» ორგანული კანონის 39.2 მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, ქუთაისის მერი უფლებამოსილია «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე დანიშნოს ან გაათავისუფლოს სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები.

აპელანტის მითითებით, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოხდა მოსარჩელის შტატით გათვალისწინებული თანამდებობის შემცირება, ხოლო დარჩენილი წამყვანი სპეციალისტის თანამდებობებზე პირის მიღება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას თანახმად «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 22-ე და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლებისა.

ქუთაისის მერიის სააპელაციო საჩივარი არ ცნო ს. ზ-შვილმა და მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქუთაისის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივად დადგენილი გარემოება სამართლებრივი შეფასების კუთხით «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ. ქუთაისის მერის მიერ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-13 მუხლის გამოყენების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ მართებულად იმსჯელა ს. ზ-შვილის მიმართ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97.1 მუხლის გამოყენების თაობაზე, ამავე კანონის მე-13 მუხლზე აპელირებით არასწორად შეიჭრა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებებში, რადგან სასამართლო კონტროლი საჯარო დაწესებულებათა გადაწყვეტილებების შემოწმებისას ვრცელდება გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობაზე და არა მიზანშეწონილობის ასპექტებზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კვალიფიკაციის დონისა და სპეციალობის გათვალისწინებით ცალკეულ მუშაკთა სამუშაოზე დატოვების და დანიშვნის საკითხის გადაწყვეტა განეკუთვნება ადმინისტრაციის დისკრეციის სფეროს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. ზ-შვილმა და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა კანონის უხეში დარღვევით.

კასატორის მითითებით, რეორგანიზაციის შედეგად კადრების შერჩევისას მოპასუხის მიერ გათვალისწინებულ არ იქნა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-13 მუხლი, რომლითაც დადგენილია მოსამსახურეთა პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის ნიშნით შერჩევის, კადრების სტაბილურობის, მოსამსახურეთა ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვის თაობაზე. კასატორმა მიიჩნია, რომ მას გააჩნდა სამსახურში დარჩენის უპირატესი უფლება. სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას არ გაითვალისწინა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-13 მუხლი.

კასატორის მითითებით, ფაქტობრივად მისი შტატი არ შემცირებულა, რადგან შემცირდა წამყვანი სპეციალისტის 6 შტატი, ბუღალტერიაში გათვალისწინებული იყო წამყვანი სპეციალისტის 2 შტატი, ს. ზ-შვილი გათავისუფლდა შტატების შემცირების გამო, ხოლო უფროსი სპეციალისტი ამავე განყოფილებაში დააწინაურეს და გადაიყვანეს წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე. ამდენად, ფაქტიურად შტატი არ შემცირებულა, რადგან დღეის მდგომარეობით წამყვანი სპეციალისტის კვლავ ორი შტატი არსებობს. ამასთან, გათავისუფლებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ს. ზ-შვილის კვალიფიკაცია და მუშაობის სტაჟი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. ზ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის არასწორი გამოყენებისა და განმარტების საფუძველზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 394-ე მუხლის «ე» პუნქტის საფუძველზე წარმოადგენს წინამდებარე გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

ქ. ქუთაისის მერის 2007 წლის 26 იანვრის #30 ბრძანებით ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის სტრუქტურული ერთეულების (მერიის აპარატისა და საქალაქო სამსახურის) საშტატო განრიგის დამტკიცების თაობაზე ქ. ქუთაისის მერის 2006 წლის 29 დეკემბრის #623 ბრძანების #11 დანართში.

ქ. ქუთაისის მერის 2007 წლის 18 აპრილის #351 ბრძანებით დამტკიცდა თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის სტრუქტურული ერთეულების (მერიის აპარატისა და საქალაქო სამსახურის) საშტატო განრიგი დანართების შესაბამისად. რის საფუძველზეც საფინანსო საქალაქო სამსახურის წამყვანი სპეციალისტის საშტატო ერთეულების რაოდენობა შემცირდა 6 ერთეულით.

ქ. ქუთაისის მერის 2007 წლის 20 აპრილის #838 ბრძანებით კასატორი ს. ზ-შვილი - თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წამყვანი სპეციალისტი «საჯარო

სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის I და მე-3 პუნქტების, 108-ე და 109-ე მუხლების საფუძველზე, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2007 წლის 20 აპრილიდან.

საკაპელაციო სასამართლომ მიიჩნია რა ცალკეულ მუშაკთა სამუშაოზე დატოვებისა და დანიშვნის საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციად, აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით, უარი უთხრა ს. ზ-შვილს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლომ კასატორის პრეტენზიის საფუძველზე შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებლობა, რის შედეგადაც კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია მისი კანონიერების შემოწმება.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციისათვის მინიჭებულ შესაძლებლობას შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების პროცესში მოახდინოს ცალკეულ თანამშრომელთა სამსახურიდან დათხოვნა, მაგრამ აქვე კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა ცალსახა მითითებას აკეთებს იმ მოსაზრებაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს თანაზომიერებისა და კანონიერების პრინციპის უგულვებელყოფას. ადმინისტრაციული ორგანოს თავისუფალი მოქმედების სფერო შეზღუდულია კანონით და მთავრდება იქ, სადაც იწყება კანონით დადგენილი შეზღუდვები.

კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ შრომის კონსტიტუციურ უფლებას სოციალურ ხასიათთან ერთად გააჩნია კლასიკური უფლების მნიშვნელობა, რომლის დანიშნულებაც გამოიხატება იმაში, რომ პირს ეძლევა უფლება, დაიცვას თავი სახელმწიფოს უკანონო ჩარევისაგან. იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლო გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის, როგორც განუსაზღვრელი უფლების თაობაზე, ამ შემთხვევაში შრომის უფლება, ისევე როგორც პირის უფლება დაიცვას თავი, იძენს ფიქტიურ შინაარსს და გამოდის სასამართლო კონტროლის ფარგლებიდან.

სამართლის ნორმა, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას რამდენიმე სასურველი გადაწყვეტილებიდან მიიღოს ერთ-ერთი, როგორც ქვეყნის ზოგადი წესი, განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებას განსაზღვრული ურთიერთობა დაარეგულიროს თანასწორობის პრინციპის დაცვით. რაც ნიშნავს იმას, რომ ერთი პირის სამართლებრივი მდგომარეობა არ შეიძლება გადაწყდეს მეორე პირის სამართლებრივი მდგომარეობისაგან განსხვავებულად იმ ვითარებაში, როდესაც მათ შორის არსებული განსხვავება ვერ ამართლებს დადგენილ უთანასწორობას. ერთი და იგივე ნორმა სხვადასხვა პირთან მიმართებაში სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გამოყენებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებული განსხვავება იძლევა ამ უთანასწორობის დასაბუთების შესაძლებლობას.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მსგავს მოტივაციას და არ იძლევა დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ რის საფუძველზე მოხდა სხვა თანამშრომლების კასატორისაგან განსხვავებულ რეჟიმში მოქცევა.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-13 მუხლში განსაზღვრულია საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები, რომელიც განმსაზღვრელი უნდა იყოს მოხელის სამსახურში მიღებისა თუ გათავისუფლების პროცესში. საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიიჩნევს, სასამართლოს მსჯელობის საგნად უნდა იქცეს, რამდენად იქნა გათვალისწინებული კასატორის სამსახურიდან გათავისუფლებისას მითითებული პრინციპები, შეფასდა თუ არა გადასაწყვეტი საკითხი და აღნიშნულის შეჯერების საფუძველზე იქნა თუ არა მიღებული ოპტიმალური გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა ხაზგასმას აკეთებს რა ზემოაღნიშნულ მითითებებზე, თვლის, რომ გადაწყვეტილების მოტივაცია არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ მოსაზრებას, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციის ფარგლებში, სასამართლოს ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს სწორედ იმ საკითხის განსაზღვრა, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ამ უფლების გამოყენება მოხდა თუ არა კანონიერების ფარგლებში, დაცულია თუ არა კანონის წინაშე პირთა თანასწორობის ფუძემდებელი პრინციპები და კასატორის შრომის უფლებების შეზღუდვა (სამსახურიდან გათავისუფლება) არსებულ ვითარებაში იყო თუ არა მისაღები, აუცილებელი და პროპორციული.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას მიიჩნევს დაუსაბუთებლად, თვლის, რომ წარმოდგენილი მოტივაცია არ იძლევა გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შესაძლებლობას, რის გამოც საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 243.2, 372-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ზ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება რეორგანიზაციის გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-231-225(კ-08) 5 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

მ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 3 ივნისს ნ. დ-მემ, მ. რ-მემ, მ. ლ-მემ, ლ. მ-ოვამ, მ. კ-მემ, ა. ზ-შვილმა, მ. თ-შვილმა, ც. გ-შვილმა და თ. შ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს მოპასუხე ქ. თბილისის მერიის მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, ისინი მუშაობდნენ ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურში და ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #146 განკარგულებით უკანონოდ გათავისუფლდნენ სამსახურიდან. მათი გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანება, რომლითაც მოხდა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაცია. აღნიშნული ბრძანების გამოცემას წინ უძღოდა «ქ. თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 4 მარტის #21 განკარგულება, რომელშიც მითითებული იყო, რომ «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» და «პ» ქვეპუნქტებისა და «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, ქ. თბილისის პრემიერს ერთი კვირის ვადაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა უზრუნველყო ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებისა და საკრებულოსა და მთავრობის აპარატის მოსამსახურეთა გაფრთხილება, სამსახურების ლიკვიდაციის გამო, სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ.

მოსარჩელეთა მტკიცებით, «ქ. თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 4 მარტის #21 განკარგულების შესრულების მიზნით, გამოივა ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 10 მარტის #201 განკარგულება, რომლითაც ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსები და მოსამსახურეები გაფრთხილებულ იქნენ სამსახურების ლიკვიდაციის გამო, მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, რასაც მოჰყვა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანების გამოცემა, რომლითაც ლიკვიდირებულ იქნა «ქ. თბილისის მერიის მმართველობითი სისტემის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ» ქ. თბილისის მერის 2004 წლის 20 დეკემბრის #17 ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანება ძალაში შევიდა 2005 წლის 29 აპრილიდან და მისი მიღების საფუძველად მიეთითა «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტზე.

მოსარჩელეთა განმარტებით, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანება გამოცემულ იქნა აშკარა კანონდარღვევით. «საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების მე-2 პუნქტით ლიკვიდირებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირები - ქ. თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციასა და განვითარების ხელშეწყობის ცენტრი, ხოლო საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების მე-3

მუხლით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურა, რომლის «დ» ქვეპუნქტში მიეთითა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურზე.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის განხორციელების წესი და უფლებამოსილება განისაზღვრებოდა «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონით, რომლის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტის მიხედვით, ქ. თბილისის მერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემდა ბრძანებებსა და განკარგულებებს. «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის «რ» ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი სამსახურებისა და შესაბამისი საწარმოების შექმნა და გაუქმება განეკუთვნებოდა ქ. თბილისის საკრებულოს კომპეტენციას.

მოსარჩელეთა განმარტებით, «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მერისა და გამგებლის ნორმატიული აქტები ძალაში შედიოდა დადგენილი წესით მათი გამოქვეყნების შემდეგ, ხოლო ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანების მე-2 პუნქტში მიეთითა, რომ აღნიშნული ბრძანება ძალაში შედიოდა 2005 წლის 29 აპრილიდან, ანუ ძველი თარიღით. მიუხედავად იმისა, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულებას, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებას, «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონს, «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონსა და «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანულ კანონს, ქ. თბილისის მერმა ამ ბრძანების საფუძველზე გამოსცა 2005 წლის 16 მაისის #146 განკარგულება, რომლითაც სამსახურის ლიკვიდაციის გამო, ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები გათავისუფლდნენ სამსახურიდან 2005 წლის 3 მაისიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა სამსახურიდან გათავისუფლებას დაწესებულების ლიკვიდაციის გამო.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მოხელე სამსახურიდან თავისუფლდებოდა დაწესებულების საქმიანობის შეწყვეტის დღიდან, თუმცა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური მუშაობას ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #146 განკარგულებით მოსარჩელები სამსახურიდან გაათავისუფლეს 2005 წლის 3 მაისიდან, რითაც კიდევ ერთხელ უხეშად დაირღვა «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონი - ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მიენიჭა უკუქვევითი ძალა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #146 განკარგულების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 14 ივლისის განჩინებით, ამავე კოლეგიისათვის 2005 წლის 15 ივლისიდან უფლებამოსილების შეწყვეტის გამო, საქმე განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანება ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #146 განკარგულება დაკავებული თანამდებობიდან მოსარჩელეთა გათავისუფლების ნაწილში და მოპასუხე ქ. თბილისის მერიას დაეკალა, იმავე გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში მოსარჩელეთა სამსახურიდან დათხოვნის საკითხისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა; მოპასუხე ქ. თბილისის მერიას დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოსარჩელეთათვის, მათი გათავისუფლების დღიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დღემდე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ ჰქონდა, კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განეხორციელებინა რაიმე ქმედება, ხოლო იმავე კოდექსის მე-60 მუხლის «დ» ქვეპუნქტის (სადავო აქტის გამოცემის დროისათვის მოქმედი რედაქცია) მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადებულიყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად იყო დარღვეული მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. მოცემულ შემთხვევაში ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანების გამოცემას საფუძველად დაედო «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ნ» ქვეპუნქტი და საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელთა თანახმადაც, მერი თავის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემდა ბრძანებებსა და განკარგულებებს და უფლებამოსილი იყო, ძალადაკარგულად გამოეცხადებინა თავისივე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული ნორმების მითითება კი არ შეესაბამებოდა იმ სპეციალურ კანონმდებლობას, რომლებიც განსაზღვრავდა ქ. თბილისის მერის, როგორც ქ. თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირის, უფლებამოსილებას, კერძოდ, «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონითა და საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულებით, მერს არ ჰქონდა მინიჭებული ზემოხსენებული ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება. საქალაქო სამსახურების გაუქმების უფლებამოსილება ქ. თბილისის მერს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების 30-ე მუხლით, რომელიც ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულება, ასევე ლიკვიდირებულ იქნა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირები - ქ. თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრი და ამასთან ერთად, დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ახალი სტრუქტურა, რომელშიც იდენტური დასახელებით შევიდა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური, როგორც ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერის ზემოაღნიშნულ ბრძანებას მიენიჭა უკუქცევითი ძალა, ვინაიდან იმავე ბრძანებაში მიეთითა მის ძალაში შესვლაზე 2005 წლის 29 აპრილიდან, რაც ეწინააღმდეგებოდა კანონს, რადგან «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტის მიღების დღედ ითვლებოდა უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მისი ხელმოწერის დღე, ხოლო ხსენებული კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ნორმატიული აქტი, რომლის ძალაში შესვლაც დაკავშირებული იყო გამოქვეყნებასთან, ძალაში შედიოდა მხოლოდ მისი ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების შემდეგ. «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, საკრებულოს, მერისა და გამგებლის ნორმატიული აქტები ძალაში შედიოდა დადგენილი წესით მათი გამოქვეყნების შემდეგ. «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, დაუშვებელი იყო ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით, ხოლო იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ ნორმატიული აქტი მიღებული (გამოცემული) იყო ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით ან დარღვეული იყო შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისათვის დადგენილი პროცედურა, ნორმატიულ აქტს არ ჰქონდა იურიდიული ძალა. ამდენად, უდავოდ იყო დადგენილი, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებას, «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონს, «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონს და აქედან გამომდინარე, არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი, მაგრამ, ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებითა და იმის გათვალისწინებით, რომ ჩატარებულ იქნა კონკურსი, რაც დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან ხარჯებთან და ჩატარებული კონკურსის საფუძველზე, აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემით თანამდებობაზე დაინიშნენ კონკურსში გამარჯვებული პირები, მოცემულ შემთხვევაში ხსენებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა გამოიწვევდა ქ. თბილისის მერიის ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, რის გამოც ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანება ძალადაკარგულად უნდა გამოეცხადებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, იმის გათვალისწინებითაც, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღნიშნული კოდექსის მიზანი იყო უზრუნველყო არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, არამედ საჯარო ინტერესების დაცვა.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ, ვინაიდან იურიდიული ძალა არ ჰქონდა ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მიღებულ კანონქვემდებარე აქტს, შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #146 განკარგულება მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების ნაწილში და მოპასუხე ქ. თბილისის მერს დავალებოდა, იმავე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში მოსარჩელეთა სამსახურიდან დათხოვნის საკითხისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

საქალაქო სასამართლომ დადგინოდად მიიჩნია, რომ მოსარჩელები მუშაობდნენ ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულში - განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურში, ხოლო ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #146 განკარგულებით ისინი გათავისუფლდნენ ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად - დაწესებულების ლიკვიდაციის გამო, რაც

მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა: ხსენებული კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებას წარმოადგენდა მხოლოდ ქ. თბილისის მერია და არა მისი სტრუქტურული ერთეულები, ქ. თბილისის მერიის ლიკვიდაციის შესახებ აქტი კი არ გამოცემულა. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანებით ლიკვიდირებულად ჩაითვალა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური. აღნიშნული ბრძანება წარმოადგენდა კანონსაწინააღმდეგო ნორმატიულ აქტს. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დგინდებოდა, რომ ხსენებული სამსახურის ლიკვიდაცია, რაც ითვალისწინებდა სამსახურის ფუნქციონირების სრულ შეწყვეტას, ქონების აღრიცხვას, ანგარიშისა და ბეჭდის გაუქმებას, სალიკვიდაციო საქმიანობის განხორციელებას და ქონების გადაცემას, არ განხორციელებულა და ფაქტობრივად, მოხდა დაწესებულების რეორგანიზაცია, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნიდა საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. იმავე კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მოხელე არ შეიძლება გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან, თუ იგი თანახმა იყო დანიშნულიყო სხვა თანამდებობაზე, ხოლო შეთავაზება აუცილებლად უნდა მომხდარიყო და მხოლოდ ამის შემდეგ იყო ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი, მიეღო გადაწყვეტილება მუშაკის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ზემოთ დასახელებული სადავო განკარგულების გამოცემით დაირღვა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლითა და შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლისა და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა უფლება, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განხორციელებინა რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონითა და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლებისათვის დადგენილი პროცედურული საკითხების უგულებელყოფით, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა სცილდებოდა სასამართლოს კომპეტენციას და იგი დაწესებულების ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და სადავო საკითხის - მოსარჩელეთა სამუშაოზე აღდგენის გადაწყვეტლად, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #146 განკარგულება ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის თანამდებობებიდან მათი გათავისუფლების ნაწილში და მოპასუხეს უნდა დავალებოდა, იმავე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, მოსარჩელეთა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სათანადოდ გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ, მოსარჩელებთან მიმართებაში გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. იმავდროულად, მოსარჩელებს უნდა ანაზღაურებოდათ გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემამდე პერიოდის იძულებითი განაცდური ხელფასის სახით, რადგან ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მუშაკის გათავისუფლება სამსახურიდან, ხოლო მოსარჩელეთა გათავისუფლების შესახებ ბრძანება იმ ეტაპზე ბათილად იყო ცნობილი და ხელფასის გაუცემლობის საფუძველი არ არსებობდა. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო კანონიერი და საკმარისად დასაბუთებული, რის გამოც არ არსებობდა მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, ხსენებული გადაწყვეტილების მოტივების გამაბათილებელი არგუმენტები კი აპელანტს არ ჰქონდა წარმოდგენილი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი ითვალისწინებდა ამ სახის დავების გადაწყვეტის თაობაზე ჩამოყალიბებულ სასამართლო პრაქტიკასაც და მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს

ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის #ბს-108-102(კ-07) განჩინებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებას და აქედან გამომდინარე, არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი. სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება არასწორია, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების მე-4 პუნქტით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულება «საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ». იმავე დებულების მე-3 მუხლით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურა და შეიქმნა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურები. «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად მიღებული (გამოცემული) ყველა ნორმატიული აქტი, ან ნორმატიული აქტის შესაბამისი ნაწილი. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა სამართლებრივი ცვლილებების განხორციელების საკითხი, კერძოდ - საქართველოს პრეზიდენტის ძალადაკარგული ბრძანებულების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმება, ქ. თბილისის მერის მთელი რიგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა და საერთოდ, სამართლებრივი მდგომარეობის საქართველოს პრეზიდენტის ახალ ბრძანებულებასთან შესაბამისობაში მოყვანა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

კასატორის მტკიცებით, ზემოაღნიშნულს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #34 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დებულების (რომელიც ამჟამად ძალაშია და მოსარჩელეებს სადავოდ არ გაუხდიათ) პირველი ნაწილის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ ახალი სამსახური შექმნილია საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების საფუძველზე, რაც ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულების მე-3 ნაწილით ქ. თბილისის მერიის სტრუქტურის განსაზღვრით, ფაქტობრივად, შეიქმნა ახალი საქალაქო სამსახურები, მათ შორის, განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური, რის შემდეგაც ქ. თბილისის მერმა თავის უფლებამოსილების ფარგლებში (საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულება) 2005 წლის 5 მაისის #34 ბრძანებით დაამტკიცა ახალი საქალაქო სამსახურების და მათ შორის, ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დებულებები.

კასატორის განმარტებით, ქ. თბილისის მერის 2004 წლის 20 დეკემბრის #17 ბრძანების პირველი პუნქტის საფუძველზე გაუქმდა კულტურის საქალაქო სამსახური, ხოლო იმავე ბრძანების მე-2 პუნქტით განათლების საქალაქო სამსახური ჩამოყალიბდა განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის სახით. აღნიშნული ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 4 მაისის #21 ბრძანებით, რითაც, ფაქტობრივად, სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის არსებობას. იმ სამართლებრივი აქტის გაუქმება, რომლითაც არის შექმნილი ესა თუ ის სამსახური, ავტომატურად იწვევს ამ სამსახურის ლიკვიდაციას. გაურკვეველი იურიდიული ვითარების თავიდან აცილების მიზნით, გამოიგა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის სადავო #30 ბრძანება, რომლითაც ლიკვიდირებულად ჩაითვა ქ. თბილისის მერის 2004 წლის 20 დეკემბრის #17 ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური, სამსახურის ლიკვიდაცია კი, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ სამსახურის მოხელეების თანამდებობებიდან გათავისუფლების საფუძველია.

კასატორის მტკიცებით, რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების მე-2 პუნქტით ლიკვიდირებულ იქნა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირები - ქ. თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრი. აღნიშნული განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ხსენებული ორი სამსახური წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და მათი ლიკვიდაციის უფლებამოსილება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს ჰქონდა. ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ერთ-ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შემდეგ, იმავე ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების მე-3 მუხლის «ო» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ იქნა კეთილმოწყობის საქალაქო

სამსახური, როგორც ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქ. თბილისის მერიის სტრუქტურის განსაზღვრით, ფაქტობრივად, შეიქმნა ახალი საქალაქო სამსახურები. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულება.

სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან კასატორი სადავოდ ხდის სასამართლოს შეფასებას ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, სასამართლოს მოსაზრებით, განხორციელდა მითითებული საქალაქო სამსახურის არა ლიკვიდაცია, არამედ - რეორგანიზაცია და შესაბამისად, ქ. თბილისის მერიას მოსარჩელეთა გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას უნდა ეხელმძღვანელა რეორგანიზაციის მომწესრიგებელი ნორმებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებას წარმოადგენდა ქ. თბილისის მერია და, ვინაიდან ქ. თბილისის მერიის ლიკვიდაციის შესახებ აქტი არ გამოცემულა, ამიტომ, ფაქტობრივად, განხორციელდა რეორგანიზაცია.

კასატორი მიიჩნევს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მითითება «დაწესებულების» შესახებ არ უნდა იქნეს გაგებული სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, ვინაიდან კანონმდებელი მას აქ ფართო მნიშვნელობით ხმარობს, მით უმეტეს, არ შეიძლება ამ მითითების გაგება სასამართლოს ინტერპრეტაციის მიხედვით, საქართველოს დედაქალაქის მისამართით, რომელიც თავისი განსაკუთრებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, აბსოლუტურად განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს სხვა თვითმმართველი ერთეულებისაგან განსხვავებით. აღნიშნული თვალსაზრისი დასტურდება «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის განხორციელების წესი და უფლებამოსილება განისაზღვრება «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონით (იმავე ნორმას შეიცავს «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტიც).

კასატორის განმარტებით, «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის (ძველი რედაქცია) საფუძველზე ქ. თბილისის მერია წარმოადგენდა სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემას, ანუ ქ. თბილისის მერია არ წარმოადგენდა ერთ ორგანოს, ერთ დაწესებულებას. იმავე კანონის 26-ე მუხლის (ძველი რედაქცია) მიხედვით, საქალაქო სამსახური თავად იღებდა გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, რაც ფორმდებოდა სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულების 24-ე მუხლის თანახმად, საქალაქო სამსახური წარმოადგენდა ქ. თბილისის მთავრობის კომპეტენციას მიკუთვნებულ, ცალკეულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით შექმნილ დარგობრივი მმართველობის ორგანოს (იმავე ნორმას შეიცავს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულების 25-ე მუხლიც). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სამსახური შეიძლება ასევე მიჩნეულ იქნეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ორგანოდ. აღნიშნული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ყველა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს (მაგალითად, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით, თვითონვე ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას და მშენებლობის ნებართვა ფორმდება ამ სამსახურის უფროსის სამართლებრივი (ადმინისტრაციული) აქტით). ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურიც წარმოადგენს დაწესებულებას «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მიხედვით. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #34 ბრძანებით დამტკიცებული განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დებულების პირველი მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამსახურს აქვს დებულება, შტამპი, ბლანკი, ბეჭედი სახელწოდების აღნიშვნით, დასრულებული ბლანსი, ხარჯთაღრიცხვა და სათანადო ანგარიში ქ. თბილისის ხაზინაში. «დაწესებულების» ცნების სასამართლოს მიერ გაგება დაუშვებელია თუნდაც იმ კუთხით, რომ წარმოუდგენელია მოხდეს მთლიანად ქ. თბილისის მერიის ლიკვიდაცია, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას. აღნიშნული გამოიწვევდა დედაქალაქის ცხოვრებისა და მმართველობის პარალიზებას, ასევე წარმოუდგენელია მოხდეს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის დატოვება აღმასრულებელი ხელისუფლების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მტკიცებით, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურები წარმოადგენს «დაწესებულებებს» «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მიხედვით და მათზე შესაძლებელია გავრცელდეს ამავე კანონით დადგენილი ლიკვიდაციის მომწესრიგებელი ნორმები. ასე რომ არ იყოს, გამოდის, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი ეწინააღმდეგება, როგორც «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონს, ასევე საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, ასეთ შემთხვევაში კი, მოქმედებს ეს საკანონმდებლო აქტები, ვინაიდან ისინი უფრო გვიან არის მიღებული (გამოცემული).

სასამართლო ხელისუფლებას უფლება აქვს, შეფასება მისცეს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებას, იმსჯელოს მის მართლობიერებაზე, მაგრამ სასამართლო კონტროლის ცნება არ მოიცავს იმ საკითხს, რომ სასამართლოს შეუძლია უკარნახოს ადმინისტრაციულ ხელისუფლებას, თუ რა ფორმით განახორციელოს მან მის წინაშე მდგარი ამოცანები. სასამართლო ხელისუფლებას უფლება არა აქვს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებულ საქმიანობის ფორმას (თუნდაც უკანონოს და არასრულყოფილს) შეუცვალოს სახელწოდება და ადმინისტრაციული აქტის სუბიექტს (ადრესატს) შესთავაზოს მისი უფლების დაცვის სხვა საშუალება.

კასატორის განმარტებით, ამ საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უგულვებელყოფილ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლების პრინციპი, კერძოდ, ქ. თბილისის მერია წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოთა სისტემას, რომელიც, ერთობლიობაში, კანონმდებლობის საფუძველზე, ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებებს. ქ. თბილისის მერიის საქმიანობას წარმართავს ქ. თბილისის მერი - ქ. თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და მთავრობის ხელმძღვანელი («საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი). იმ საკითხის გადაწყვეტა, უნდა გააგრძელოს თუ არა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულმა ერთეულმა საქმიანობა იმავე სახით, მოხდეს მისი რეორგანიზაცია, თუ ლიკვიდაცია, მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, მისი საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას და მას უფლება აქვს, თავისუფლად აირჩიოს - მოახდინოს ლიკვიდაცია თუ რეორგანიზაცია. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანებით გამოიხატა ქ. თბილისის მერიის ნება, მომხდარიყო მისი ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაცია, სასამართლომ კი, უგულვებელყო რა ზემოაღნიშნული პრინციპი, დაარქვა ამ პროცესს «რეორგანიზაცია», რაც დაუშვებელია. საჯარო დაწესებულებათა ლიკვიდაცია-რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, კასატორი მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 31 ოქტომბრის #ბს-1081-661(კ-05) განჩინებაზე.

კასატორის მტკიცებით, ის გარემოება, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #34 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დებულების პირველი მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ახლად შექმნილი სამსახური წარმოადგენს ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანების საფუძველზე ლიკვიდირებული ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრეს, არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ამ სამსახურის რეორგანიზაცია, რადგან აქ შეიძლება საუბარი იყოს სამსახურის მხოლოდ მმართველობით-ფუნქციონალურ სამართალმემკვიდრეობაზე (უფლებამონაცვლეობაზე), ვინაიდან ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანების პირველი პუნქტი ცალსახად მიუთითებს ხსენებული სამსახურის ლიკვიდაციაზე (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 31 ოქტომბრის #ბს-1081-661(კ-05) განჩინებაში მოყვანილი განმარტების მიხედვით). სასამართლო გადაწყვეტილების დანარჩენი ნაწილის დასაბუთებაც სწორედ ლიკვიდაციის შესახებ აქტის არასწორ შეფასებაზეა აგებული, კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან მოხდა სამსახურის რეორგანიზაცია და არა ლიკვიდაცია, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #146 განკარგულება მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, იყო უკანონო, რადგან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არ მოხდა მოსარჩელეთათვის სხვა თანამდებობაზე დანიშნვის შეთავაზება. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #146 განკარგულებას საფუძველად დაედო ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანება, რომლითაც ლიკვიდირებულად ჩაითვა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ სადავო განკარგულება კანონმდებლობის სრული დაცვით არის მიღებული. სასამართლოს მიერ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანების იგნორირებით, მოსარჩელებზე სამსახურის რეორგანიზაციის შედეგების გავრცელება მოხდა არასწორად. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე არასწორად განმარტა კანონი, რასაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ იურიდიული ძალა არ ჰქონდა ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემულ კანონქვემდებარე აქტს, მაშინ, როდესაც, ჯერ ერთი, ქ. თბილისის მერის ბრძანება წარმოადგენს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს და არა საკანონმდებლო აქტს და მეორეც, სასამართლო გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად (და არა ბათილად) გამოცხადდა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-6 ნაწილი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების სამართლებრივ შედეგს - ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილების მიხედვით, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანება (ლიკვიდაციის შესახებ) ძალას კარგავს 2006 წლის 10 მარტიდან (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი), ანუ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #146 განკარგულების (მოსარჩელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ) გამოცემის მომენტისათვის

ლიკვიდაციის შესახებ ბრძანება ძალაში იყო, თუმცა სასამართლომ მაინც მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა გათავისუფლება სამსახურის ლიკვიდაციის გამო, იყო უკანონო.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, ამ ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებას სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ იღებს მხოლოდ მაშინ, თუ ამისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რაში მდგომარეობდა მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის. მოსარჩელეთა მოთხოვნა არ ყოფილა სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #146 განკარგულების ბათილად ცნობა და ხსენებული საკითხის განსახილველად დაბრუნება ქ. თბილისის მერიისათვის. სასამართლოს არც ის დაუკონკრეტებია, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოების შეფასება-გამოკვლევა არ განუხორციელებია ქ. თბილისის მერიას. სასამართლომ ქ. თბილისის მერიას განუსაზღვრა ერთთვიანი ვადა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად, რაც ასევე უკანონოა და არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი. აქტის გამოცემისათვის ვადის დადგენის უფლებამოსილებას სასამართლოს ანიჭებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი, ამასთან, მხოლოდ მხარის მოთხოვნით და არა საკუთარი ინიციატივით, ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელი აღძრულია იმავე კოდექსის 23-ე მუხლის საფუძველზე - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, ხოლო ამ კონკრეტულ საქმეზე სარჩელი აღძრულია ხსენებული კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, მისი გაუქმების საფუძველია.

კასატორის განმარტებით, ვინაიდან მსგავსი შინაარსის საქმეებზე ჩამოყალიბებული არ არის ერთმნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა, ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 14 მარტის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 8 მაისამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის განჩინებით ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 5 ივნისს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანებით ლიკვიდირებულად ჩაითვალა ქ. თბილისის მერის 2004 წლის 20 დეკემბრის #17 ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური და ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანებაში მიეთითა, რომ იგი ძალაში იყო 2005 წლის 29 აპრილიდან. ნ. დ-მე, მ. რ-მე, მ. ლ-მე, ლ. მ-ოვა, მ. კ-მე, ა. ზ-შვილი, მ. თ-შვილი, ც. გ-შვილი და თ. შ-შვილი მუშაობდნენ ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულში - განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურში, ხოლო ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #146 განკარგულებით ისინი 2005 წლის 3 მაისიდან გათავისუფლდნენ ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად - დაწესებულების ლიკვიდაციის გამო, ხოლო ამ განკარგულების საფუძველად მიეთითა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის დებულების 25-ე მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებს ქ. თბილისის პრემიერის წარდგინებით ქმნიდა და აუქმებდა

ქალაქ თბილისის მერი. ამდენად, ხსენებული დებულებით ქალაქ თბილისის მერს მინიჭებული ჰქონდა ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის შექმნისა და გაუქმების უფლება, რასაც იგი ახორციელებდა ქალაქ თბილისის პრემიერის წარდგინების საფუძველზე. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულება, ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულება, ასევე ლიკვიდირებულ იქნა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირები - ქალაქ თბილისის კეთილმოწყობის სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობის ცენტრი. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების მე-3 მუხლში (ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურა) ჩამოთვლილ ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულად გათვალისწინებული იყო ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური. ამდენად, აღნიშნული სამსახურის დასახელებაც კი არ შეცვლილა და ისე იქნა შეტანილი იგი ქ. თბილისის მერიის ახალ სტრუქტურაში, ანუ ამ სტრუქტურაში იდენტური დასახელებით შევიდა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური, როგორც ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაცია არ განხორციელებულა, კერძოდ, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #34 ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დებულება, სტრუქტურა და სამტატო ერთეულების ნუსხა. აღნიშნული დებულების პირველი ნაწილის მე-2 და მე-7 პუნქტებით დადგენილია, რომ ახალი სამსახური შექმნილია საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების საფუძველზე და იგი წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის ლიკვიდირებული განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრეს. ამდენად, ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ «ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაცის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანებით ლიკვიდირებულად ჩაითვალა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური, ხოლო ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #146 განკარგულების საფუძველად მიეთითა სწორედ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანება, ფაქტობრივად, განხორციელდა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის არა ლიკვიდაცია, არამედ მისი რეორგანიზაცია შტატების შემცირებით, ანუ არ არსებობდა ლიკვიდაცისათვის დამახასიათებელი ტიპური ნიშნები - სამსახურის ფუნქციონირების სრული შეწყვეტა, სალიკვიდაციო საქმიანობის განხორციელება და ქონების გადაცემა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ «ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაცის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების ნაწილში საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებზე, რომლებიც გამორიცხავდა ერთმანეთს, კერძოდ, საქალაქო სასამართლომ, ერთი მხრივ, მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაცია არ განხორციელებულა და მოხდა მისი რეორგანიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, დაასკვნა, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებას და არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი, მაგრამ, რადგან მისი ბათილად ცნობა გამოიწვევდა ქ. თბილისის მერიის ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, ამიტომ იგი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადებულიყო, რის სამართლებრივ საფუძველსაც წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიამ თავისი ნება გამოხატა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #34 ბრძანებაში, რომლითაც დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური და აღნიშნული სამსახური გამოცხადდა ზუსტად იმავე სახელწოდების მქონე, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანებით ლიკვიდირებული სამსახურის სამართალმემკვიდრედ. ამდენად, აღნიშნული ბრძანებისა და «ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაცის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანების შინაარსობრივი შეჯერებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, ჯერ ერთი, ფუნქციური უფლებამონაცვლეობა ნიშნავს სწორედ დასახელებული სამსახურის რეორგანიზებას და მეორეც, მართალია, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანების სახელწოდება მიუთითებს ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციაზე, მაგრამ ამავე ბრძანებით განხორციელდა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია, ხოლო საბოლოო დასკვნა იმის შესახებ, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანებით ფაქტობრივად, თავისი ფუნქციონალური არსითა და მატერიალური შინაარსით, მოხდა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია, მთლიანად აცლის საფუძველს მოსაზრებას ქ. თბილისის მერის მიერ 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანების უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემის შესახებ და ამ ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნას.

ამასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის - ქ. თბილისის მერიის მოსარჩევას იმის თაობაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულების მე-3 ნაწილით ქ. თბილისის მერიის სტრუქტურის განსაზღვრით, ფაქტობრივად, შეიქმნა ახალი საქალაქო სამსახური - განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების ნაწილში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა.

რაც შეეხება გასაჩივრებულ განჩინებას ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #146 განკარგულების მოსარჩელეთა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში ბათილად ცნობის, მოპასუხე ქ. თბილისის მერიისათვის მოსარჩელების სამსახურიდან დათხოვნის საკითხისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დავალების და მათთვის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების ნაწილში, საკასაციო სასამართლო მთლიანად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განჩინების ამ ნაწილს და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება ხსენებულ ნაწილში კანონიერია, რის გამოც არ არსებობს ამავე ნაწილში მისი გაუქმების საფუძველი. ჯერ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად, განხორციელდა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია, ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #146 განკარგულების მიხედვით, მოსარჩელებზე გავრცელდა დაწესებულების ლიკვიდაციის სამართლებრივი რეჟიმი და მეორეც, უდავოდ დადგენილია და მხარეთა შორის დავას არც იწვევს ის გარემოება, რომ მოსარჩელებისთვის არ შეუთავაზებიათ სხვა თანამდებობა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის (იმჟამად მოქმედი რედაქცია) 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რაც ხსენებული განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს «ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ამავე ნაწილში ნ. დ-ძის, მ. რ-ძის, მ. ლ-ძის, ლ. მ-ოვას, მ. კ-ძის, ა. ზ-შვილის, მ. თ-შვილის, ც. გ-შვილისა და თ. შ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდება, გასაჩივრებული განჩინება დანარჩენ ნაწილში კი დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინება გაუქმდეს «ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. დ-ძის, მ. რ-ძის, მ. ლ-ძის, ლ. მ-ოვას, მ. კ-ძის, ა. ზ-შვილის, მ. თ-შვილის, ც. გ-შვილისა და თ. შ-შვილის სარჩელი ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #30 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანამდებობაზე დანიშნვის შესახებ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

ბს-1102-1054(კ-07)

11 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ჭ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ოზურგეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე ზ. ჭ-მის დანიშვნის ნაწილში საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 11.09.06წ. #კ-4/126 ბრძანების მე-2 პუნქტის ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ცნობა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.02.06წ. #ბს-1257-832-კ-05 გადაწყვეტილების შესაბამისად საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების შემდეგ სამსახურში დანიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა, შემდეგი საფუძველით:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.02.06წ. #ბს-1257-832-კ-05 გადაწყვეტილებით ზ. ჭ-მის სასარჩელო მოთხოვნა სამსახურში აღდგენის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ეკონომიკის მინისტრის ბრძანება მისი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა-შეფასების შემდეგ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ზ. ჭ-მის სამუშაოზე დანიშვნის თაობაზე, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში. ამასთან, უნდა გარკვეულიყო რა საშტატო ერთეულები იყო გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ახალი განრიგით, ხომ არ იყო მოსარჩელეთა მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ანალოგიური თანამდებობა ან სხვა შესატყვისი სამსახური, რაზეც თანახმა იქნებოდა მოსარჩელე.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 11.09.06წ. #კ-4/126 ბრძანების თანახმად, მოსარჩელე დანიშნულ იქნა სამინისტროს სისტემაში შემავალ ტერიტორიულ ორგანოში - ოზურგეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. მოსარჩელის მოსაზრებით, ბრძანება გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებითი დარღვევით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.02.06წ. #ბს-1257-832-კ-05 გადაწყვეტილების იგნორირებით, რის გამოც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის თანახმად ბათილად უნდა იქნას ცნობილი. მოსარჩელის აზრით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითების თანახმად, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მოსარჩელის სამსახურში დანიშვნა (აღდგენა) უნდა განეხორციელებინა არა სამინისტროს სისტემაში შემავალ ტერიტორიულ ორგანოში, არამედ სამინისტროში არსებულ იმ საშტატო ერთეულზე, რომელიც მის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის შესატყვისი იქნებოდა, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში მისი თანხმობით სხვა შესატყვისი თანამდებობაზე. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს «ანალოგიური თანამდებობის» არსებობის კვლევა დაევალა არა მხოლოდ საშტატო ერთეულის სახელწოდებითი ნიშნით (მთავარი სპეციალისტი), არამედ იმ კუთხითაც, რომ მოსარჩელის თანამდებობაზე დანიშვნა უნდა მომხდარიყო სამინისტროს იმ სტრუქტურულ ერთეულში, რომელიც რეორგანიზაციამდე არსებული იმ დეპარტამენტებისა და სამმართველოების ფუნქციებს ახორციელებს, სადაც გათავისუფლებამდე მუშაობდა. სამინისტროში იმ ფუნქციების განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულს, რომელშიც მოსარჩელეს ეკავა თანამდებობა, წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი, სადაც მის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ანალოგიური საშტატო ერთეულები ნამდვილად არსებობდა. გასაჩივრებული აქტის გამოცემისას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პროცედურული ნორმები, კერძოდ გადაწყვეტილება გამოიტანა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. 27.03.06წ. მდგომარეობით, ანუ შეთავაზების დროს, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საჯარო ინფორმაციის სახით მიწოდებული საშტატო განრიგის თანახმად, არსებობდა გათავისუფლებამდე მის მიერ დაკავებული თანამდებობის ანალოგიური რანგის - მთავარი სპეციალისტის ათამდე ვაკანტური საშტატო ერთეული.

მოსარჩელის აზრით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მხრიდან დარღვეულია ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა,

რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ზ. ჭ-მის აზრით, განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაუსაბუთებლად შელახა მისი კანონიერი უფლებები და ინტერესები, რაც გამოიხატა იმაში, რომ აქტის გამოცემისას მხედველობაში არ მიიღო ის ფაქტი, რომ დაბადებიდან ცხოვრობს თბილისში, ოზურგეთში არ აქვს საცხოვრისი და ოჯახური მდგომარეობის გამო, მოკლებულია რაიონში მუშაობის შესაძლებლობას. გარდა ამისა, დარღვეულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი სხვა პროცედურული დებულებებიც, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, რომელიც წინ უნდა უძღოდეს მის სარეზოლუციო ნაწილს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზეც გამოიცა ეს აქტი. ასევე, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობით დასაბუთებაში უნდა მიეთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ აქტის გამოცემისას. მოსარჩელის შემთხვევაში კანონმდებლობის არც ერთი მოთხოვნა დაცული არ არის. ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლით განსაზღვრულია ის რეკვიზიტები, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კერძოდ, ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მასში მითითებული უნდა იყოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ამ აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და გასაჩივრების ვადა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 11.09.06წ. №3-4/126 ბრძანებაში კანონმდებლობის ეს მოთხოვნაც დარღვეულია.

მოსარჩელის აზრით, დარღვეულ იქნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადაც. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.02.06წ. გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოეცა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში. მინისტრის ბრძანება კი, გამოიცა 11.09.06წ. ამდენად, მოსარჩელის აზრით, განსახილველ შემთხვევაში სახეზეა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სრული ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.03.07წ. გადაწყვეტილებით ზ. ჭ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 11.09.06წ. №3-4/126 ბრძანების მეორე პუნქტი ზ. ჭ-მის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ოზურგეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის ნაწილში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ზ. ჭ-მის სამსახურში დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, მოსარჩელე ზ. ჭ-მეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ხელფასის სახით ყოველთვიურ ანაზღაურებაზე უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.03.07წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ზ. ჭ-მემ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ. ზ. ჭ-მემ აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის 2006 წლის 11 სექტემბრიდან, მისი სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდისათვის, ხელფასის სახით ყოველთვიური ანაზღაურება მოითხოვა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.10.07წ. გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ზ. ჭ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.03.07წ. გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ჭ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება 2006 წლის 11 სექტემბრიდან მოსარჩელის სამსახურში აღდგენამდე, დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.03.07წ. გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.02.06წ. გადაწყვეტილებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების

რების სამინისტროს დაევალა ახლი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების შემდეგ, კერძოდ, მოპასუხეს უნდა გაერკვია, რა სამტატო ერთეულები იყო გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში და ხომ არ იყო მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ანალოგიური თანამდებობა ახალი განრიგით, ან ხომ არ იყო სხვა შე-სატყვისი სამსახური, რაზეც თანახმა იქნებოდა მოსარჩელე. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მის მიერ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესასრულებლად ჩატარებულ იქნა სათანადო გამოკვლევა. სააპელაციო სასამართლოს აზრით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სამტატო განრიგით დასტურდებოდა, რომ 2006 წლის განმავლობაში, სადავო ბრძანების გამოცემამდე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ვაკანსიები არსებობდა და აღნიშნულ ვაკანსიებზე მოსარჩელის დანიშვნის საკითხი სამინისტროს მიერ განხილული არ ყოფილა. სასამართლოს აზრით, მოპასუხეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები რომ არ გამოუკვლევია, ამას ისიც ადასტურებს, რომ მოსარჩელის დანიშვნა ოზურგეთის ტერიტორიულ ორგანოში მოხდა მისი ოჯახური მდგომარეობის, რაიონში საბინაო პრობლემის, ხელფასის ოდენობიდან გამომდინარე ცხოვრების მინიმალური პირობების შექმნის შესაძლებლობის გათვალისწინების გარეშე.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სამსახურში დანიშვნის შესახებ სადავო აქტის გამოცემისას არ იყო საჭირო მოსარჩელის თანხმობა. მართალია, საკითხი მოსარჩელის სამსახურში დანიშვნის თაობაზე მოპასუხის დისკრეციულ უფლებამოსილებათა კატეგორიას განეკუთვნება, მაგრამ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კოდექსის მე-7.2 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. სასამართლოს აზრით, საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება და ვერც სამინისტროს მიერ იქნა დასაბუთებული, რომ მოსარჩელემ თანხმობა განაცხადა გასაჩივრებული ბრძანებით დანიშნულ თანამდებობაზე. შესაბამისად, მოპასუხეს არ ჰქონდა უფლება, ზ. ჭ-მის თანხმობის გარეშე მიეღო გადაწყვეტილება თანამდებობაზე მისი დანიშვნის შესახებ, ვინაიდან შრომის თავისუფლება და სამუშაოს არჩევის უფლება ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით დაცულ უფლებას წარმოადგენს და არავინ არ შეიძლება დანიშნულ იქნეს თანამდებობაზე მისი ნების საწინააღმდეგოდ.

სააპელაციო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებაც. სააპელაციო სასამართლოს აზრით, პირველი ინსტანციის სასამართლომ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების გამომრიცხავ გარემოებად მიუთითა იმ ფაქტზე, რომ გასაჩივრებული ბრძანების საფუძველზე მოსარჩელე დანიშნული იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ ტერიტორიულ სამსახურში, თუმცა თავად საქალაქო სასამართლომ ბათილად ცნო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 11.09.06წ. №3-4/126 ბრძანება, რის გამოც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი ამ ნაწილში აღარ არსებობდა. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების უკანონობა. სააპელაციო სასამართლოს აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის სამსახურში დანიშვნა მოხდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ზ. ჭ-მის სამსახურში იძულებით არყოფნა 2006 წლის 11 სექტემბრიდან კვლავ გრძელდება, რაც მოსარჩელის სამსახურში იძულებითი არყოფნის პერიოდის ყოველთვიური ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.10.07წ. გადაწყვეტილება 04.12.07წ. საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ უზენაესი სასამართლოს 22.02.06წ. გადაწყვეტილების თანახმად, სამინისტროს უნდა შეეთავაზებინა მოსარჩელისათვის სხვა თანამდებობა თავისი დისკრეციული უფლება-მოსილების ფარგლებში და იმის მიხედვით, დაეთანხმებოდა თუ უარს განაცხადებდა მოსარჩელე შეთავაზებაზე, დაინიშნებოდა შეთავაზებულ თანამდებობაზე ან გათავისუფლდებოდა სამსახურიდან. ამდენად, სამინისტროს დაევალა ახალი თანამდებობის შეთავაზება მოსარჩელისათვის და არა მოსარჩელის სასურველ ადგილას და სასურველ თანამდებობაზე დანიშვნა. მინისტრის გასაჩივრებული ბრძანება, პირველ რიგში, შესაბამისი თანამდებობის შეთავაზებას გულისხმობს და მხოლოდ შემდეგ - მოსარჩელის ამავე თანამდებობაზე დანიშვნას. აღნიშნულის შეთავაზება-დანიშვნა, მოსარჩელესთან შეუთანხმებლად განხორციელდა, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს კანონის დარღვევად, ვინაიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონი არ ავალდებულებდა სამინისტროს შეთავაზებინა მოსამსახურისათვის მისთვის სასურველი თანამდებობა. ამდენად, სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 7.2. მუხლი, რადგან მოსარჩელეს ზიანი არ მიაღწა მიღებული გადაწყვეტილებით. კასატორის აზრით, მოსარჩელისათვის თანამდებობის შეთავაზებამდე ანუ დანიშვნამდე ჩატარებული პროცედურები, სავსებით სკამარისა, თუ გათვალისწინებული იქნება სამინისტროს ვალდებულებათა ფარგლები. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 11.09.06წ. №4/126 ბრძანება მიღებულ იქნა კანონის სრული დაცვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.02.06წ. გადაწყვეტილებისა და სათანადო ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე, რის გამოც არ არსებობს აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 30.04.08წ. განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად. სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ზ. ჭ-მეს უარი უნდა ეთქვას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.02.06წ. #ბს-1257-832-კ-05 გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 23.06.05წ. განჩინება მოსარჩელეთა თავდაპირველ ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში და ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ც. ღ-რიას, ზ. ჭ-მის, პ. კ-ნის და ნ. კ-კის მოთხოვნა სამსახურში აღდგენის ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სამინისტროს დაევალა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელეთა სამუშაოზე დანიშვნის თაობაზე. საკასაციო პალატამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა, რომ აქტი უნდა გამოიცეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა-შეფასების შემდეგ, უნდა გამოირკვეს რა საშტატო ერთეულებია გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში და ხომ არ არის მოსარჩელების მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ანალოგიური თანამდებობა ახალი განრიგით, ან ხომ არ არის სხვა შესატყვისი სამსახური, რაზეც თანახმა იქნებიან მოსარჩელები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად (მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების დროისათვის მოქმედი რედაქციით), მოხელე არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან, თუ იგი თანახმაა, დაინიშნოს სხვა თანამდებობაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ტოლფასი თანამდებობის ცნებას და ის თუ რა თანამდებობა იქნებოდა შეთავაზებული შტატების შემცირების შედეგად გასათავისუფლებელი მოხელისათვის ადმინისტრაციის ფართო დისკრეციის სფეროს განეკუთვნება (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის # ბს-1230-805(კ-05) 06.12.05წ. გადაწყვეტილება). კანონმდებლობით დადგენილი იყო შეთავაზების ვალდებულება, ხოლო კონკრეტულად რა თანამდებობა იქნებოდა შეთავაზებული უნდა გადაეწყვიტა ადმინისტრაციას არსებული ვაკანსიების, პირის კვალიფიკაციის, სტაჟის, ასაკის და სხვ. გარემოებათა გათვალისწინებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შეთავაზების ვალდებულება ითვალისწინებს ამა თუ იმ დაწესებულება-ორგანიზაციის სისტემაში და არა კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში, სტრუქტურულ დანაყოფში და სხვ. დანიშვნის შეთავაზებას. საკასაციო სასამართლოს 27.02.06წ. გადაწყვეტილებით სამინისტროს დაევალა გაერკვია რა საშტატო ერთეულები იყო გათვალისწინებული ხსენებულ სამინისტროში, რაც გულისხმობდა არა მხოლოდ სამინისტროს ცენტრალური აპარატს, არამედ საერთოდ ამ სამინისტროს მთელ სისტემას, მათ შორის, სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.02.06წ. გადაწყვეტილების თანახმად, თანამდებობის შეთავაზება სცილდება სასამართლოს კომპეტენციას და წარმოადგენს ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებას. დეპარტამენტი, რომელშიც გათავისუფლებამდე მუშაობდა მოსარჩელე, ლიკვიდირებულია, სადავო ბრძანების გამოცემისას საქართველოს მთავრობის 10.09.04წ. #77 დადგენილებით დამტკიცებული სამინისტროს დებულება სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის სახით აღარ ითვალისწინებდა სამრეწველო პოლიტიკის დეპარტამენტს, რომელშიც ზ. ჭ-მე გათავისუფლებამდე იყო დასაქმებული, შესაბამისად იგი ვერ იქნებოდა აღდგენილი პირვანდელ თანამდებობაზე, ან იგივე დეპარტამენტში არსებულ ანალოგიურ თანამდებობაზე. ამასთანავე, ზ. ჭ-მე დაინიშნა იგივე რანგის (მთავარი კონსულტანტის) თანამდებობაზე, რაც სამსახურიდან დათხოვნამდე ეკავა. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სათანადოდ არ აღასრულა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმისათვის

არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება მისი სასახურში აღდგენის შესახებ. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ითვალისწინებდა ადმინისტრაციის მიერ სამინისტროში არსებული მდგომარეობის შესწავლას არსებული ვაკანსიების კუთხით და ამის შემდგომ, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით, გადაწყვეტილების მიღებას ზ. ჭ-ძისათვის სამუშაოს შეთავაზების შესახებ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის აპარატის უფროსის ივ. ხ-ურის მოხსენებითი ბარათით დასტურდება, რომ გამოკვლეულ იქნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, დადგინდა იქნა სამინისტროს სისტემაში არსებული ვაკანსიები და აღნიშნულის გათვალისწინებით მოხდა ზ. ჭ-ძისათვის სამუშაოს შეთავაზება. სწორედ მინისტრის აპარატის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე იქნა გამოცემული მინისტრის 11.09.06წ. #3-4/126 ბრძანება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის გ. მურადიანის 27.03.06წ. #25/121 და 17.05.06წ. #12/132 წერილებით ზ. ჭ-ძისათვის შეთავაზებულ იქნა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ოზურგეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს შტატით გათვალისწინებული თანამდებობა. წერილებს მოსარჩელის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ეკონომიკის მინისტრის 11.09.06წ. ბრძანებით იგი დანიშნულ იქნა ოზურგეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. ამდენად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სამინისტრომ არაერთგზის გაუზავნა მოსარჩელეს შეთავაზების წერილი, მოსარჩელეს წერილობითი რეაგირება არ მოუხდენია, რის გამოც სამინისტრო ვალდებული იყო აღესრულებინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.02.06წ. გადაწყვეტილება და გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზ. ჭ-ძის სამსახურში დანიშვნის შესახებ. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აღნიშნულით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით დაცული შრომის თავისუფლება და სამუშაოს არჩევის უფლება, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თავისუფალი შრომის უფლება ნიშნავს ადამიანის უფლებას თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესათუის სფერო, იმავდროულად აღნიშნული უფლება გულისხმობს სახელმწიფო ვალდებულებას დაიცვას დასაქმებულ მოქალაქეთა შრომითი უფლებები, აღსრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება პირის დასაქმების შესახებ. აღნიშნული უფლება გულისხმობს, რომ სახელმწიფოს უკვე აღარ ეკისრება მოქალაქეთა შრომითი დასაქმების ვალდებულება, შრომა არ არის გაიგივებული ვალდებულებასთან, ამდენად სამსახურის დანიშვნის შესახებ აქტი ცხადია არ გამოირცხავს, სურვილის შემთხვევაში, ზ. ჭ-ძის უფლებას უარი თქვას სამსახურზე, რადგანაც შრომის თავისუფლება მოიცავს მოქალაქისათვის მინიჭებულ უფლებას თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში (საქმიანობის თავისუფლება). შრომის თავისუფლების მეორე ელემენტი - შრომითი საქმიანობის სფეროს თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა (პროფესიული საქმიანობის არჩევის თავისუფლება) შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო ნებართვის არა მხოლოდ ობიექტური (სტრუქტურული ერთეულის, ვაკანსიის არარსებობა), არამედ სუბიექტურიც (კვალიფიკაცია, ასაკის, განათლება) კრიტერიუმის მიხედვით. შეზღუდვის ინტენსივობის (ცენტრალური სტრუქტურის ნაცვლად ტერიტორიულ ორგანოში - ოზურგეთის სამმართველოს მთავარ სპეციალისტად დანიშვნის) და დასახული მიზნის (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების) გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დანიშვნის შესახებ აქტი გამოცემულია თანაზომიერების პრინციპის დაცვით, დანიშვნის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არ მომხდარა მოსარჩელის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა (სზაკ-ის 7.2 მუხ.), ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაცულია დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.02.06წ. #ბს-1257-832-კ-05 გადაწყვეტილებით ეკონომიკის სამინისტროს დაევალა სამრეწველო პოლიტიკის დეპარტამენტის ლიკვიდაციის შედეგად ზ. ჭ-ძესთან ერთად, გათავისუფლებული ც. ღ-რიასა და ნ. კ-კისათვის სამუშაოს შეთავაზება და დანიშვნა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 11.09.06წ. #3-4/129 და #3-4/128 ბრძანებებით, ც. ღ-რია დანიშნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - კასპის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო ნ. კ-კი - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - აბაშის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე. ორივე მათგანმა გაასაჩივრა სასამართლოში დანიშვნის ბრძანება და მოითხოვა მისი ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 10.01.08წ. გადაწყვეტილებით ც. ღ-რიასა და ნ. კ-კის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თანამდებობაზე დანიშვნა არის ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება და სასამართლოს არ ქონდა უფლება, დაევალებინა სამინისტროსათვის კონკრეტული თანამდებობის შეთავაზება მოსარჩელეთათვის. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კერძო და საჯარო ინტერესების დაცვის პროპორციულობა მოცემულ შემთხვევაში გამოიხატა იმაში, რომ სამინისტროს აპარატის

სისტემაში შესაბამისი თანამდებობრივი ვაკანსიის არარსებობის მიუხედავად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოსარჩელის შრომითი მოწყობის შესახებ.

უსაფუძვლოა აგრეთვე მოსარჩელის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 112-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. ამდენად, აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში მხოლოდ საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებისას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, ვინაიდან მოსარჩელეთა სამსახურში დანიშვნა მოხდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, მოსარჩელების სამსახურში იძულებითი არყოფნა 2006 წლის 11 სექტემბრიდან კვლავ გრძელდებოდა. ამასთან დაკავშირებით, კასატორი მართებულად მიუთითებს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 112-ე მუხლი, რადგან მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა უკავშირდება არა მოსარჩელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებას, არამედ დანიშვნას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, ვინაიდან არ არსებობს ზ. ჭ-მის სამსახურში დანიშვნის ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი, შესაბამისად, დაუსაბუთებელია მისი მოთხოვნა 2006 წლის 11 სექტემბრიდან, დანიშვნის შესახებ ბრძანების გამოცემიდან, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 11.09.06წ. #კ-4/126 ბრძანების მე-2 პუნქტის ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ცნობის, სამინისტროსათვის დანიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საფუძველი, შესაბამისად, უნდა დაკმაყოფილდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებები სწორად არის დადგენილი და არ არის საჭირო გარემოებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად არ არსებობს საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული უნდა იქნას ახალი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.10.07წ. გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ზ. ჭ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**რეორგანიზაციის გამო სამსახურიდან გათავისუფლება;
იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ბს-552-530(კ-08)

25 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ცისკაძე**

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 27 აპრილს ვ. ტ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2002 წლის 6 მარტიდან მუშაობდა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტში კონტროლის განყოფილების უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე, ხოლო პოლიციის ორგანოებში მუშაობდა 23 წლის განმავლობაში და ჰქონდა პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის წოდება. 2007 წლის იანვრის ბოლოს შეიცვალა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, რასაც შედეგად მოჰყვა ამავე დეპარტამენტის 2007 წლის 1 თებერვლის #174 ბრძანების გამოცემა (რომლითაც დამტკიცდა ახალი საშტატო განრიგი) და რეორგანიზაცია, რის გამოც მოსარჩელე გადაიყვანეს კადრების განკარგულებაში, თუმცა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტში, ფაქტობრივად, რეორგანიზაცია არ ჩატარებულა, რადგან კონტროლის განყოფილება ფუნქციონირებდა იმავე სახით, იმავე ფუნქციებითა და იმავე საშტატო განაკვეთით. ამასთან, კონტროლის განყოფილების თანამშრომელთა უმრავლესობა კვლავ დაინიშნა და აგრძელებდა მუშაობას ამავე განყოფილებაში შესაბამის თანამდებობებზე. მოსარჩელის საშტატო განაკვეთი უცვლელად იყო შენარჩუნებული რეორგანიზაციის შემდეგაც და ისევ არსებობდა უფროსი ინსპექტორის თანამდებობის სახით. ამდენად, რეორგანიზაციის შედეგად საშტატო განაკვეთების შემცირება არ მომხდარა, არამედ პირიქით - გაიზარდა უფროსი ინსპექტორთა საშტატო შემადგენლობა. ამგვარ ვითარებაში, გაურკვეველი იყო, თუ რის საფუძველზე არ დაინიშნეს მოსარჩელე მისსავე თანამდებობაზე და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 14 მარტის #1045 პ/შ ბრძანებით დაითხოვეს შინაგან საქმეთა ორგანოებიდან საქართველოს სამხედრო ძალების თადარიგში, მაშინ, როდესაც «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» 61-ე მუხლის თანახმად, უფლება ჰქონდა, 60 წლის შესრულებამდე - გადადგომამდე ემუშავა. აღნიშნული ბრძანების საფუძველად მიეთითა «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» 67-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტზე, რომელიც ითვალისწინებდა შტატების შემცირებას, ასევე - «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტზე, მაშინ, როდესაც არ შემცირებულა უფროსი ინსპექტორების არც ერთი საშტატო განაკვეთი. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან მოსარჩელის დათხოვნისას უხეშად იქნა დარღვეული პოლიციელის სოციალური დაცვის გარანტიები, კერძოდ, სრულად არ აუნაზღაურეს «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებული ფულადი სარგო - 4 თვის ფულადი სარგოს ნაცვლად, აუნაზღაურეს 1 თვისა და 13 დღის ფულადი სარგო. ამასთან, გასაჩივრებული 2007 წლის 14 მარტის #1045 პ/შ ბრძანებითა და იმავე წლის 24 მარტის შეტყობინებით მოსარჩელეს არ განუმარტეს «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლება, მიემართა სასამართლოსათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 14 მარტის #1045 პ/შ ბრძანების ბათილად ცნობა, რადგან იგი არღვევდა მის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, ასევე - მანამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ განმარტებებში მოსარჩელის წარმომადგენელმა დამატებით მიუთითა, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 1 თებერვლის #3553/შ ბრძანებით მოსარჩელე, როგორც შტატგარეშე დარჩენილი, აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში ამავე ბრძანების გამოცემის დღიდან.

მოპასუხე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც ვ. ტ-მის სარჩელი მიიჩნია უსაფუძვლოდ, არ ცნო იგი და აღნიშნა, რომ იმავე დეპარტამენტის 2007 წლის 1 თებერვლის #3553/შ ბრძანებით, შტატების შემცირების გამო, მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში, რასაც საფუძველად დაედო ამ დეპარტამენტის 2007 წლის 1 თებერვლის #174 საორგანიზაციო-საშტატო ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ახალი საშტატო განრიგი. მანამდე არსებული საშტატო განრიგის მიხედვით, შექმნილი იყო ადმინისტრაციის კონტროლის განყოფილება, ხოლო ხსენებული ახალი საორგანიზაციო-საშტატო ბრძანებით შეიქმნა შესაბამისი მთავარი სამმართველოს ინსპექტირებისა და კონტროლის სამმართველო (ახალი სტრუქტურული ერთეული), რომელიც მანამდე არ არსებობდა, ხოლო გაუქმებულ იქნა ადმინისტრაციის კონტროლის განყოფილება. ამ შემთხვევაში რეორგანიზაცია განიცადა ამ დეპარტამენტის ადმინისტრაციამ, რომლის საშტატო ერთეულების გაუქმების შემდეგ, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა მანამდე არარსებული სამსახური. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 14 მარტის #10453/შ გასაჩივრებული ბრძანების გამოცემას წინ უძღოდა იმავე დეპარტამენტის 2007 წლის 1 თებერვლის #3553/შ ბრძანება, რომლითაც შტატგარეშე დარჩენილი მოსარჩელე აყვანილ იქნა კადრების სამმართველოს განკარგულებაში. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 14 მარტის #10453/შ ბრძანებით კი კადრების განკარგულებაში მყოფი მოსარჩელე დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა ორგანოებიდან. მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც საფუძველად დაედო აღნიშნული 2007 წლის 14 მარტის #10453/შ ბრძანების გამოცემას, კერძოდ, არ მოუთხოვია ხსენებული ბრძანების ბათილად ცნობა, მაშინ, როდესაც მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის ძირითად საფუძველად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ შტატების შემცირება არ მომხდარა. გაურკვეველი იყო, თუ შტატები არ

შემცირებულა, მაშინ რატომ არ იქნა მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული დასახელებული ბრძანება, რის გამოც მოსარჩელე, ფაქტობრივად, დაეთანხმა ამ ბრძანებას და აღიარა მისი შესაბამისობა არა მარტო კანონმდებლობასთან, არამედ – ფაქტობრივ მდგომარეობასთანაც (შტატების შემცირება). მოსარჩელეს არსად გაუსაჩივრებია მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის შემდეგაც კი, მაშინ, როდესაც ამ შემთხვევაში სამსახურში აღდგენის წინაპირობას წარმოადგენდა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 1 თებერვლის #3553/შ ბრძანების ბათილად ცნობა (თუკი ამის საფუძველი იარსებებდა). ამდენად, არ არსებობდა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 14 მარტის #10453/შ ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან იგი გამოცემული იყო სწორედ იმ ბრძანების საფუძველზე, რომელიც სადავო არ გამხდარა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით ვ. ტ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავოდ იყო ქვეყლი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 14 მარტის #10453/შ ბრძანება, რომლითაც იმავე დეპარტამენტის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს კადრების სამმართველოს განკარგულებაში მყოფი, ამავე დეპარტამენტის ყოფილი ადმინისტრაციის (სამმართველოს უფლებით) კონტროლის განყოფილების უფროსი ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ვ. ტ-ძე დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა ორგანოებიდან საქართველოს სამხედრო ძალების თადარიგში «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის, «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» 67-ე მუხლის «ვ» პუნქტის (შტატების შემცირებით), «საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის, თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის, სამხედრო და სპეციალური წოდებების მინიჭებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირების შესახებ» შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 4 აპრილის #303 ბრძანებით დამტკიცებული ნუსხის მე-6 მუხლისა და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ საქმეში წარმოდგენილი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 1 თებერვლის #174 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა და ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2005 წლის 5 დეკემბრის #472 ბრძანება. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტში რეორგანიზაციის ან/და შტატების შემცირების შემთხვევაში, დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით რიგითი შემადგენლობის პირთა კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა განისაზღვრებოდა ოთხ თვემდე, არა უმეტეს ორი თვის ხელფასის შენარჩუნებით ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად და ამ ვადაში უნდა გადაწყვეტილიყო შტატგარეშე დარჩენილი თანამშრომლის შრომითი მოწყობის საკითხი. კადრების განკარგულებაში გადაყვანილი პირი წარმოადგენდა შტატგარეშე დარჩენილ თანამშრომელს, რაც არ გამორიცხავდა აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მის უპირობო გათავისუფლებას, რადგან მოქმედი კანონმდებლობით, კადრების განკარგულებაში მყოფი პირის სამუშაოზე მიღება ან მისი გათავისუფლება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამსახურიდან გათავისუფლებაზე გამოცემული ბრძანების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარებოდა აღდგენას გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე. ვ. ტ-ძე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტიდან გათავისუფლდა მის მიერ დაკავებული – ადმინისტრაციის (სამმართველოს უფლებით) კონტროლის განყოფილების უფროსი ინსპექტორის თანამდებობიდან არა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, არამედ – ამავე დეპარტამენტის 2007 წლის 1 თებერვლის #3553/შ ბრძანების შესაბამისად, კადრების განკარგულებაში გადაყვანით, რომელიც მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია და იმჟამადგ ძალაში იყო, მაშინ, როდესაც სასარჩელო განცხადების ძირითად საფუძველად მხარე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ შტატების შემცირება არ მომხდარა, თუმცა აღნიშნული ბრძანება არ გაუსაჩივრებია ამ საფუძველით მისი კადრების განკარგულებაში გადაყვანის დროს.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის განმარტება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე, ფაქტობრივად, დაეთანხმა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 1 თებერვლის #3553/შ ბრძანების შესაბამისობას არა მარტო კანონმდებლობასთან, არამედ ფაქტობრივ მდგომარეობასთანაც, რადგან მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის შემდეგაც კი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სადავო ბრძანების ბათილად ცნობის წინაპირობები – იგი არ ეწინააღმდეგებოდა კანონს, რის გამოც ვ. ტ-ძის სასარჩელო განცხადება იყო უსაფუძველო და შესაბამისად, არ არსებობდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 112-ე და 127-ე მუხლებით გათვალისწინებული სამსახურში აღდგენისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების წინაპირობებიც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ტ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ტ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 14 მარტის #10453/შ ბრძანება (ვ. ტ-მის ნაწილში); სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს დაევალა საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კანონით დადგენილ ვადაში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის მოთხოვნები, რაც ამავე კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი იყო. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ამასთან, არ დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ არგუმენტაციას და განმარტა, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის სადავო 2007 წლის 14 მარტის #10453/შ ბრძანების ძირითადი სამართლებრივი საფუძველი იყო «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» 67-ე მუხლის «ვ» პუნქტით განსაზღვრული შტატების შემცირება. საქმეში წარმოდგენილი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 1 თებერვლის #1733/შ ბრძანებით დამტკიცებული ამავე დეპარტამენტის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს საშტატო განრიგის ანალიზით ირკვეოდა, რომ ამ ადმინისტრაციულ ორგანოში, მართალია, განხორციელდა რეორგანიზაცია, თუმცა, ფაქტობრივად და სამართლებრივად, რეორგანიზაციის შედეგად შტატების შემცირება სახეზე არ ყოფილა. კადრების განკარგულებაში ყოფნა არ იყო პირის სამუშაოდან დათხოვნის უპირობო საფუძველი, არამედ წარმოადგენდა ისეთ სამართლებრივ რეჟიმს, რომლის დროსაც უნდა გადაწყვეტილიყო პირის შესაძლო დასაქმების ან სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი, რის გამოც სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 1 თებერვლის #3553/შ ბრძანების არსებობა არ ქმნიდა ვ. ტ-მის შესაძლო დასაქმების და შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დამაბრკოლებელ გარემოებას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4-5 ნაწილების შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას - დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებისას წერილობით უნდა დაესაბუთებინა ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთვის და თავისი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა ადმინისტრაციული წარმოების დროს გამოკვლეულ და შესწავლილ გარემოებებზე, ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რის შედეგადაც შეიძლებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამოცემულ იქნა კანონმდებლობის მოთხოვნათა, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 96-ე-98-ე მუხლების დაუცველად, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის გარეშე - შტატგარეშე დარჩენილი თანამშრომლის თანამდებობაზე გადაყვანის ან სამსახურიდან დათხოვნისათვის დადგენილი პროცედურული საკითხების უგულვებლყოფით, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა, ხოლო აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, რომელსაც ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში უნდა ემსჯელა მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზეც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა, კერძოდ, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 14 მარტის #10453/შ ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმება.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მას დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, უკანონოა, დაუსაბუთებელი და უნდა გაუქმდეს. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მოსარჩელე ჩაითვლებოდა როგორც კადრების განკარგულებაში მყოფი. ვინაიდან არ არის გასაჩივრებული სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 1 თებერვლის #3553/შ ბრძანება, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაშიც, რადგან მის

ბათილად ცნობას არ მოჰყვება მოსარჩელისთვის ის სამართლებრივი შედეგი, რასაც მოითხოვს, კერძოდ, მისი სამსახურში აღდგენა, რის გამოც გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობა აზრს კარგავს, თუნდაც არსებობდეს მოსარჩელის ინტერესი. ამდენად, ამ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სამართლის ნორმებს და არ გამოდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 13 ივნისის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 24 ივლისამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 25 სექტემბერს მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 1 თებერვლის #173 ბრძანებით დამტკიცდა ამ დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 1 თებერვლის #174 ბრძანებით დამტკიცდა ამ დეპარტამენტის ახალი საშტატო განრიგი. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 1 თებერვლის #3553/შ ბრძანებით ვ. ტ-მე, როგორც შტატგარეშე დარჩენილი, აყვანილ იქნა კადრების სამმართველოს განკარგულებაში ამავე ბრძანების გამოცემის დღიდან - 2007 წლის 1 თებერვლიდან. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 14 მარტის #1045 პ/შ ბრძანებით ვ. ტ-მე დაითხოვეს შინაგან საქმეთა ორგანოებიდან საქართველოს სამხედრო ძალების თადარიგში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის - შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მას დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, უკანონოა, დაუსაბუთებელი და უნდა გაუქმდეს, ხსენებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სამართლის ნორმებს და არ გამოდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ვ. ტ-მის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება და გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა (ვ. ტ-მის ნაწილში) ძირითადად დაასაბუთა იმით, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის სადავო 2007 წლის 14 მარტის #10453/შ ბრძანების ძირითადი სამართლებრივი საფუძველი იყო «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» 67-ე მუხლის «ვ» პუნქტით განსაზღვრული შტატების შემცირება, საქმეში წარმოდგენილი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 1 თებერვლის #1733/შ ბრძანებით დამტკიცებული ამავე დეპარტამენტის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს საშტატო განრიგის ანალიზით კი ირკვეოდა, რომ ამ ადმინისტრაციულ ორგანოში, მართალია, განხორციელდა რეორგანიზაცია, თუმცა, ფაქტობრივად და სამართლებრივად, რეორგანიზაციის შედეგად შტატების შემცირება სახეზე არ ყოფილა.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამოცემულ იქნა კანონმდებლობის მოთხოვნათა, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 96-98-ე მუხლების დაუცველად, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის გარეშე - შტატგარეშე დარჩენილი თანამშრომლის თანამდებობაზე გადაყვანის ან სამსახურიდან დათხოვნისათვის დადგენილი პროცედურული საკითხების უგულებელყოფით, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის სადავო ბრძანების ბათილად ცნობის კანონით რეგლამენტირებული წინაპირობები - იგი არ ეწინააღმდეგება კანონს და შესაბამისად, არ არსებობს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 112-ე და 127-ე

მუხლებით გათვალისწინებული სამსახურში აღდგენისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების წინაპირობებიც, ხოლო სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტზე (2008 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია; 2008 წლის 27 ივნისიდან მოქმედი რედაქციით - შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე), რომლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება პოლიციის თანამშრომლებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 1 თებერვლის #173 და #174 ბრძანებების საფუძველზე, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტში განხორციელდა რეორგანიზაცია. «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციელი შეიძლება სამსახურიდან დათხოვნილ იქნეს რეორგანიზაციის ან/და შტატების შემცირებისას. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, კადრების განკარგულებაში აყვანილი პოლიციელები განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლებიან შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად. «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, შს ორგანოებში ორგანიზაციულ, საშტატო ღონისძიებათა განხორციელებისას, შს მინისტრის ბრძანებით, შტატგარეშე დარჩენილი თანამშრომელი ირიცხება კადრების განკარგულებაში 4 თვემდე ვადით, არა უმეტეს ორი თვის ხელფასის (ფულადი სარგოს) შენარჩუნებით ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად და აღნიშნული ვადის გასვლამდე უნდა გადაწყდეს თანამშრომლის შრომითი მოწყობის საკითხი. ამავე პუნქტის შენიშვნის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში რეორგანიზაციის ან/და შტატების შემცირების შემთხვევაში, დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, რიგითი შემადგენლობის პირთა კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა განისაზღვრება ოთხ თვემდე, არა უმეტეს ორი თვის ხელფასის (ფულადი სარგოს) შენარჩუნებით ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტის მიხედვით, პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველია რეორგანიზაცია ან/და შტატების შემცირება და შესაბამისად, რეორგანიზაცია წარმოადგენს პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს, მიუხედავად იმისა, რეორგანიზაციის შედეგად განხორციელდა თუ არა შტატების შემცირება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონი, როგორც კონკრეტული შემთხვევისათვის სპეციალური კანონი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიიღო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რის გამოც არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვ. ტ-მის სარჩელი უსაფუძველოა, რის გამოც შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს. საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ტ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ტ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო; იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

განჩინება

#ბს-364-351(კ-08)

15 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანა, სამხედრო წოდების მინიჭება, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. პ-მემ 2005 წლის 19 აპრილს სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 27 ივნისის #1785 ბრძანების ბათილად ცნობა, თავდაცვის სამინისტროს ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსის 2005 წლის 10 ივნისის #122 და 2005 წლის 17 ივნისის #125 ბრძანებებში ცვლილებების შეტანა მოსარჩელის კუთვნილი შვებულების ვადის გაგრძელების თაობაზე, სამხედრო წოდების - პოლკოვნიკის დამტკიცება 2004 წლის 22 ნოემბრიდან, საშტატო კატეგორიის - პოლკოვნიკის შესაფერის თანამდებობაზე 2005 წლის 1 მარტიდან აღდგენა, 2004 წლის 22 ნოემბრიდან პოლკოვნიკის სამხედრო წოდების კუთვნილი ფულადი სარგოსა და 2005 წლის 1 მარტიდან სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმით, იძულებითი გაცდენით მიუღებელი ფულადი სარგოების ანაზღაურება, მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 1001 ლარის გადახდის დაკისრება და ადვოკატის ხარჯების გადახდა.

მოსარჩელის მოთხოვნები დასაბუთებულია იმაზე მითითებით, რომ იგი 1995 წლამდე მსახურობდა ქ. ქუთაისში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილში. თავდაცვის სამინისტროს იმდროინდელი ხელმძღვანელობის მოთხოვნით 1995 წელს გადაყვანილ იქნა ქ. თბილისში, თავდაცვის სამინისტროში სამუშაოდ. 2004 წლის 29 დეკემბრამდე დანიშნული იყო თავდაცვის სამინისტროს ლოგისტიკის სარდლობის შტაბის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე; თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 29 დეკემბრის #402 ბრძანების საფუძველზე 28 დეკემბრიდან გაუქმდა მოქმედი შტატი და შეიქმნა ახალი შტატი. ამავე დღიდან რ. პ-მე აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში.

მოსარჩელის განმარტებით, 2004 წლის 22 ნოემბერს შეუსრულდა მორიგი სამხედრო წოდების - პოლკოვნიკის მინიჭების ვადა. მისი სათანადო საბუთები იმავე დღეს #3-11/2544 წერილით გაეგზავნა ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტს, მაგრამ შეფერხდა მისთვის წოდების მინიჭება, რაც ეწინააღმდეგება «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის მოთხოვნას, ასევე «სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტს.

კადრების ხელმძღვანელობის განმარტებით, წოდების მინიჭების საკითხი გადაწყდებოდა შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ. ლოგისტიკის სარდლის 2004 წლის 28 დეკემბრის #3-11/2854 და 2005 წლის 7 თებერვლის #3-11/352 წერილით (დანართი #6, #7) დაისვა საკითხი რ. პ-მის იმავე თანამდებობაზე დანიშვნისა და შემდგომი სამსახურის გაგრძელების შესახებ. მოსარჩელე მიუთითებს, რომ მისი დანიშვნა არ განხორციელდა. მან 2005 წლის 4 თებერვალს #3-11/33 წერილით მიმართა იურიდიულ სამმართველოს, საიდანაც მიიღო განმარტება, რომ მორიგი სამხედრო წოდების მინიჭების შეფერხება დაუშვებელია და ამ მიზეზის გასარკვევად კადრების ხელმძღვანელობისათვის მიმართვა ურჩიეს.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 23 თებერვლის #89 ბრძანებით ლოგისტიკის სარდლობის შტაბი გაუქმდა და მის მაგიერ შეიქმნა ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველო. დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელობამ იგი წარადგინა ამ სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დასანიშნად, მაგრამ დანიშვნა არ განხორციელდა. დარღვეული უფლებების აღსადგენად მან მიმართა კადრების დეპარტამენტის უფროსს, მაგრამ 2005 წლის 30 მარტის #1/2-1247 წერილით მოსარჩელეს განემარტა, რომ ზღვრული ასაკის გამო სამსახურიდან დათხოვნას ექვემდებარება, რის გამოც აუცილებელია გაიაროს სამედიცინო შემოწმება.

მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ზღვრული ასაკის მოტივით სამხედრო მოსამსახურის დათხოვნა უშუალო ხელმძღვანელობის პრეროგატივაა და არა კადრების დეპარტამენტის.

რ. პ-მემ აღნიშნა, რომ კადრების დეპარტამენტის ხელმძღვანელთა მიერ მისი კანონიერი მოთხოვნების იგნორირებით მან განიცადა არა მარტო მატერიალური, არამედ – მორალური ზიანიც, სამსახურიდან დათხოვნის საკითხის დაყენებით შეილახა მისი ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

მოსარჩელის მითითებით, საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან მისი დათხოვნის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 27 ივნისის #1785 ბრძანება დაწერილია კუთვნილ შვებულებაში ყოფნის პერიოდში, რაც ეწინააღმდეგება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 111-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს. აღნიშნულ ბრძანებაში დათხოვნის საფუძვლად მითითებულია შტატების შემცირება და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 29 დეკემბრის #402 ბრძანება, მაშინ როდესაც ამ ბრძანებით მისი შტატი გაუქმებული არ იყო, პირიქით, ამავე ბრძანებით დამტკიცებულ ახალ საშტატო განრიგში, ლოგისტიკის სარდლობის შტაბის უფროსის მოადგილის შტატი შენარჩუნებულია და ამ თანამდებობაზე დასანიშნად თავად მოსარჩელე არის წარდგენილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2005 წლის 27 ივნისის #1785 ბრძანება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ადმინისტრაციული აქტი; მოსარჩელე რ. პ-მეს უარი ეთქვა მორალური ზიანის – 1001 ლარის ანაზღაურებაზე უსაფუძვლოების გამო; რ. პ-მეს ასევე უარი ეთქვა ადვოკატის ხარჯის – 500 ლარის ანაზღაურებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სადავო ბრძანებების მიღების დროს შესწავლილი იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რის გამოც დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა; ამ ნორმის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, რომლებიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი.

სასამართლომ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და მიუთითა, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი. ამასთან, საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს აქვს სადავო აქტის ბათილად ცნობის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება (ადმინისტრაციული აქტი) გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე, კერძოდ, ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელე მოსალოდნელი დათხოვნის შესახებ გააფრთხილა ზღვრული ასაკის მოტივით, ხოლო დაითხოვა შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, თანაც ისე, რომ არ გაურკვევია, ამოწურული იყო თუ არა მოსარჩელის მიერ გამოყენებული კუთვნილი შვებულების ვადა.

საქალაქო სასამართლომ მოსარჩელისათვის მორალური ზიანისა და ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურების თაობაზე განმარტა, რომ იგი დაუსაბუთებელია, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი არ არის აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, ხელშეკრულება და გადახდის ქვითრები.

პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს რ. პ-მემ და თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, 2005 წლის 10 ივნისის #122 ბრძანებაში ცვლილების შეტანით, მიეცა რ. პ-მისათვის კუთვნილი შვებულება 2005 წლის 16 მაისიდან 25 ივნისის ჩათვლით; მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, 2005 წლის 17 ივნისის #125 ბრძანებაში ცვლილების შეტანით, მიეცა რ. პ-მისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული შვებულება 2005 წლის 25 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით; ბათილად იქნა ცნობილი თავდაცვის სამინისტროს 2005 წლის 27 ივნისის #1785 ბრძანება შეიარაღებული ძალების რიგებიდან რ. პ-მის დათხოვნის თაობაზე; მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა რ. პ-მის მიმართ პოლკოვნიკის სამხედრო წოდების 2004 წლის 22 ნოემბრიდან მინიჭების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; მოსარჩელეს უარი ეთქვა 2005 წლის 1 მარტიდან პოლკოვნიკის საშტატო კატეგორიის შესაფერის თანამდებობაზე დანიშვნით მოპასუხის დავალდებულებასა

და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე; მოსარჩელეს უარი ეთქვა 2004 წლის 22 ნოემბრიდან პოლკოვნიკის სამხედრო წოდების ფულადი სარგოს ანაზღაურებაზე; მოსარჩელეს უარი ეთქვა მორალური ზიანის 1001 ლარისა და ადვოკატის ხარჯის - 500 ლარის ანაზღაურებაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება დაეფუძნა დადგენილად მიჩნეულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებებს:

კაპიტანი რ. პ-მე 1996 წელს 21-ე ბრიგადიდან გადაყვანილ იქნა შეიარაღების მთავარი სამმართველოს სასროლი იარაღისა და საარტილერიო სისტემების განყოფილების უფროსად; 2004 წლის 22 ნოემბერს ვიცე-პოლკოვნიკი რ. პ-მე წარდგენილ იქნა მორიგი სამხედრო წოდების - პოლკოვნიკის მინიჭებაზე; 2004 წლის 23 დეკემბერს რ. პ-მემ მიმართა გენერალური შტაბის უფროსს მორიგი სამხედრო წოდების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად; ანალოგიური შინაარსის პატიკით რ. პ-მემ მიმართა თავდაცვის მინისტრს 2004 წლის 29 დეკემბერს;

თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 29 დეკემბრის #402 ბრძანებით რ. პ-მე გადაყვანილი იქნა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში (კადრების განკარგულებაში); ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსის 2005 წლის 25 მარტის #64 ბრძანებით რ. პ-მეს მიეცა 2004 წლის კუთვნილი შვებულება 31 მარტიდან 15 მაისამდე, 45 დღე-ღამის ოდენობით; მოსარჩელე 2005 წლის 6 მაისიდან 10 მაისამდე იმყოფებოდა გამოკვლევებზე თავდაცვის სამინისტროს პოლიკლინიკაში და მიეცა რეკომენდაცია სტაციონარულ მკურნალობაზე; რ. პ-მე 2005 წლის 16 მაისიდან 3 ივნისამდე იმყოფებოდა სტაციონარულ მკურნალობაზე; 2005 წლის 7 ივნისიდან 14 ივნისამდე იყო დროებით უვარგისი სამხედრო სამსახურისათვის;

იგი 2005 წლის 15 ივნისიდან 25 ივნისამდე იყო დროებით უვარგისი სამხედრო სამსახურისათვის; რ. პ-მემ 2005 წლის 15 ივნისს მოითხოვა შვებულების გაგრძელება 2005 წლის 4 ივლისამდე კუთვნილი შვებულების დროს ავად გახდომის გამო; 2005 წლის 10 ივნისს #122 ბრძანებით რ. პ-მეს ავადმყოფობის მიზეზით კუთვნილი შვებულებით სარგებლობის შეწყვეტის გამო გაუგრძელდა კუთვნილი შვებულება 2005 წლის 7 ივნისიდან 15 ივნისამდე; რ. პ-მეს 2005 წლის 17 ივნისის #125 ბრძანებით მკურნალობასთან დაკავშირებით მიეცა შვებულება 2005 წლის 15 ივნისიდან 25 ივნისამდე; 2005 წლის 27 ივნისს მოსარჩელე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის («შტატების შემცირება და რეორგანიზაცია») საფუძველზე; თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 28 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცდა ლოგისტიკის სარდლობის საშტატო განრიგი, რომლის თანახმადაც საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 102 საშტატო ერთეულით (მანამდე არსებობდა 162 საშტატო ერთეული).

საქალაქო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა 2005 წლის 10 ივნისის #122 და 17 ივნისის #125 ბრძანებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რადგან საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის #609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების IX თავის მე-6 პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურიდან დასათხოვ ოფიცერს ზღვრული ასაკის, ავადმყოფობის გამო, რეორგანიზაციასთან ან შტატების შემცირებასთან დაკავშირებით დათხოვნის წინ ეძლევა კუთვნილი შვებულება, რის შემდეგაც იგი იგზავნება სამხედრო-საექიმო კომისიაზე სამსახურისათვის ვარგისიანობის დასადგენად.

საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს მიეცა 45-დღიანი შვებულება; რ. პ-მე კუთვნილი შვებულების დროს გახდა ავად - საერთო ჯამში 50 დღით, რის გამოც მოპასუხეს მისთვის შვებულება 2005 წლის 10 ივნისს #122 ბრძანებით უნდა გაეგრძელებინა 16 მაისიდან (შვებულება უმთავრდებოდა 15 მაისს) 25 ივნისამდე (10 დღე 6 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით), რასაც ემატება სტაციონარული მკურნალობის პერიოდი 30 დღე, ხოლო 2005 წლის 17 ივნისის #125 ბრძანებით შვებულება უნდა გაეგრძელებინათ 10 დღით - 25 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით, რაც მოპასუხეს არ განუხორციელებია.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის #609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულების IX თავის მე-13 პუნქტის თანახმად, შვებულება ავადმყოფობის გამო მორიგი შვებულების ანგარიშში არ ჩაითვლება. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არასწორად გაუგრძელდა კუთვნილი შვებულება #122 ბრძანებით 2005 წლის 7 ივნისიდან 15 ივნისამდე, #125 ბრძანებით 2005 წლის 15 ივნისიდან 25 ივნისამდე, რის გამოც მოპასუხეს დაავალა 2005 წლის 10 ივნისის #122 ბრძანებაში ცვლილების შეტანით რ. პ-მეს გაუგრძელოს კუთვნილი შვებულება 2005 წლის 16 მაისიდან 25 ივნისის ჩათვლით, ხოლო 2005 წლის 17 ივნისის #125 ბრძანებაში ცვლილებების შეტანით მიეცეს რ. პ-მეს შვებულება 2005 წლის 25 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით.

საქალაქო სასამართლომ ასევე საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 17 ივნისის #1785 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე. საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხის მიერ დარღვეულია შტატების შემცირების გამო მოსალოდნელი გათავისუფლების გაფრთხილების შესახებ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლის მოთხოვნა, რადგან რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით მოსარჩელე არ გაუფრთხილებიათ, ისე გადაიყვანეს 2004 წლის 29 დეკემბერს კადრების განკარგულებაში. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ ბრძანება არ უნდა

ჩათვალოს გაფრთხილებად შტატების შემცირებისა და რეორგანიზაციის გამო მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, რადგანაც კადრების განკარგულებაში გადაყვანა არ გულისხმობს მომავალში მოსამსახურის უცილობელ გადადგომას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის ბრძანება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა პოლკოვნიკის სამტატო კატეგორიის შესაფერის თანამდებობაზე დანიშვნისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების შესახებ, რადგან მოსარჩელე რ. პ-მე შტატების შემცირება-რეორგანიზაციის საფუძვლით 2004 წლის 29 დეკემბერს #402 ბრძანებით გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში. მოსარჩელეს აღნიშნული ბრძანება გათავისუფლების თაობაზე არ გაუსაჩივრებია. ამიტომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩათვალა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნის გარეშე მოსარჩელის თანამდებობაზე დანიშვნის მოთხოვნა უსაფუძვლოა. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2005 წლის 27 ივნისის ბრძანების ბათილად ცნობა არ იწვევს რეორგანიზაციამდე დაკავებულ თანამდებობაზე პირის აღდგენას, შესაბამისად, არ არსებობს რ. პ-მის პოლკოვნიკის სამტატო კატეგორიის თანამდებობაზე დანიშვნისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საფუძველი, ვინაიდან იძულებითი განაცდურის ანაზღაურების უფლება უშუალოდაა დამოკიდებული პირის გათავისუფლების ცნობის შემთხვევაში სამუშაოზე აღდგენასთან.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა პოლკოვნიკის მორიგი სამხედრო წოდების მინიჭების თაობაზე საფუძვლიანია, რადგან «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სამტატო განრიგისა და დაკავებული თანამდებობის მიხედვით სამხედრო წოდების მინიჭება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაუშვებელია სამხედრო მოსამსახურისათვის მორიგი სამხედრო წოდების მინიჭების შეფერხება. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელეს მორიგი სამხედრო წოდების - პოლკოვნიკის მინიჭების ვადა შეუსრულდა 2004 წლის 22 ნოემბერს, რის გამოც იგი უშუალო ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილ იქნა წოდების მისანიჭებლად.

საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა 2004 წლის 22 ნოემბრიდან პოლკოვნიკის სამხედრო წოდების ფულადი სარგოების ანაზღაურების თაობაზე, რადგან მოსარჩელე 2004 წლის 29 დეკემბრიდან დათხოვნილია შეიარაღებული ძალების რიგებიდან, ხოლო დღეის მდგომარეობით აღდგენილი არ არის პოლკოვნიკის სამტატო კატეგორიის შესაფერის თანამდებობაზე, რის გამოც არ არსებობს მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის სახით 1001 ლარის ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლოა; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სასამართლოს მოსაზრებით, კონკრეტული დავის შემთხვევაში, კანონი არ ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურებას. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ასევე მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატის ხარჯის - 500 ლარის ანაზღაურებაზე, იმ საფუძველით, რომ, მართალია, საქმეში წარმოდგენილია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, მაგრამ საქმეში არ არის აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს რ. პ-მემ და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 თებერვლის განჩინებით რ. პ-მის განცხადება მოსამართლე მ. ბ-მის საქმის განხილვიდან აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო რ. პ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. პ-მეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, შემდეგი განმარტებების გათვალისწინებით: სასამართლომ არ მიიჩნია დადასტურებულად ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ 2005 წლის 15 ივნისის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის სახელზე დაწერილი პატაკით მოთხოვნილ იქნა შვებულება 2005 წლის 4 ივლისამდე, ნაცვლად 2005 წლის 25 ივნისისა. აპელანტის განმარტებით, მან, მართალია, მოითხოვა შვებულების გაგრძელება 25 ივნისამდე, მაგრამ აღნიშნული იყო ტექნიკური შეცდომა, ვინაიდან მას ეკუთვნოდა შვებულება 4 ივლისამდე. ადმინისტრაცია ვალდებული იყო, წარდგენილი ცნობებით განესაზღვრა შვებულების პერიოდი. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის (მოსარჩელის) აღნიშნული მოსაზრება და განმარტა, რომ შვებულების მოთხოვნა დამოკიდებულია დასაქმებულის ნებაზე, ხოლო ადმინისტრაცია

უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა სრულად ან ნაწილობრივ, შესაბამისად მისცეს მას შვებულება მოთხოვნილი, ან უფრო ნაკლები ვადით. მოპასუხემ სწორად იმსჯელა წარდგენილი პატაკის მიხედვით შვებულების განსაზღვრის ვადაზე და #125 ბრძანებით გააგრძელა იგი 25 ივნისამდე. ამასთან, სააპელაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ზემოხსენებულ პატაკზე და მიუთითებს, რომ შვებულების გაგრძელების მოთხოვნის საფუძველად მასში მოსარჩელეს მითითებული აქვს პოლიკლინიკის #5240 ცნობა. აღნიშნული ცნობა გაცემულია 15 ივნისს სამხედრო-საექიმო კომისიის მიერ მოსარჩელის შემოწმების შედეგად. მასში მითითებულ იქნა, რომ მოსარჩელე დროებით უვარგისი იყო სამხედრო სამსახურისათვის და ესაჭიროებოდა გათავისუფლება ათი დღე-ღამის ვადით. შესაბამისად, პატაკზე დართული ცნობითაც მოსარჩელეს ეკუთვნოდა შვებულება ავადმყოფობის გამო 25 ივნისამდე. სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ 2005 წლის 7 ივნისის შვებულების პატაკით მოსარჩელემ მოითხოვა შვებულების გაგრძელება 15 ივნისამდე. მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა პოლიკლინიკის #4799 ცნობა, გაცემული 7 ივნისს, სადაც მითითებული იყო, რომ მოსარჩელეს ესაჭიროებოდა სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულებისგან გათავისუფლება 7 დღით, რაც იწურებოდა 14 ივნისს. ამდენად, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება მითითებულ პატაკებში ტექნიკური შეცდომის არსებობის თაობაზე და დასაბუთებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ #122 და #125 ბრძანებებით მოსარჩელეს სწორად გაუგრძელდა კუთვნილი შვებულების ვადა მის მიერ მოთხოვნილ ფარგლებში და მითითებული საფუძველების გათვალისწინებით. ამიტომ, სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია სასამართლოს მოტივაცია #122 და #125 ბრძანებებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელის დათხოვნის #1785 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილშიც და განმარტა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ ბრძანება არასწორად იქნა უკანონოდ მიჩნეული იმ მოტივით, რომ მოსარჩელე «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლით დადგენილი სავალდებულო გაფრთხილების გარეშე იქნა დათხოვნილი სამსახურიდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების საფუძველით. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელემ სააპელაციო სხდომაზე დაადასტურა ის გარემოება, რომ იგი გაფრთხილებული იყო გათავისუფლების თაობაზე; აღნიშნულ მოტივთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-11 მუხლზე, რომლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეებზე ამ კანონის მოქმედება ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კონკრეტული დავის მარეგულირებელი, სპეციალური კანონმდებლობით დადგენილია გათავისუფლებამდე სამხედრო პირის კარგების განკარგულებაში გადაყვანა 4 თვემდე ვადით, რა დროის გასვლის შემდეგაც, ადმინისტრაციის დისკრეციის ფარგლებში, შესაძლებელია მისი დასაქმება, ან სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა. ამასთან, ამ პერიოდში ხდება მისთვის გარკვეული საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებაც. შესაბამისად, სპეციალური კანონმდებლობით უზრუნველყოფილია სამხედრო მოსამსახურის უფლება ინფორმირებული იყოს მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ დადგინებლად ჩათვალა, რომ მოსარჩელე შვებულებაში იმყოფებოდა არა 2005 წლის 4 ივლისამდე, არამედ 25 ივნისამდე, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია 2005 წლის 27 ივნისის #1785 ბრძანებით მისი შვებულებაში ყოფნის პერიოდში სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის საფუძველზე, დაუსაბუთებლობის გამო, გაუქმებას ექვემდებარება გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოპასუხისათვის ადმინისტრაციული აქტის - რ. 3-მისთვის მორიგი სამხედრო წოდების მინიჭების თაობაზე - გამოცემის დავალდებულების ნაწილშიც. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მოსარჩელეს პოლკოვნიკის წოდების შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნაზე. მართალია, მოსარჩელემ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მიმართა ხელმძღვანელობას სამხედრო წოდების მინიჭების მოთხოვნით, მაგრამ ისე, რომ მისი მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, იგი დაითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან თადარიგში. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ ვითარებაში, როდესაც არ მომხდარა მისი დასაქმება პოლკოვნიკის წოდების შესაბამის შტატზე, შეუძლებელია, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის წოდების მინიჭების საკითხის დადებითად გადაწყვეტის თაობაზე. «სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» კანონის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს სამხედრო წოდება ენიჭება წინა სამხედრო წოდებით სამხედრო სამსახურის ვადის გასვლისას, თუკი მას უკავია ისეთი სამხედრო თანამდებობა, რომლისთვისაც შტატით გათვალისწინებულია მისანიჭებელი სამხედრო წოდების თანაბარი ან უფრო მაღალი სამხედრო წოდება. მითითებული ნორმის საფუძველზე, სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ აქტის გამოცემის ერთ-ერთ სავალდებულო პირობას წარმოადგენს ამ პირის მიერ წოდების შესაბამის თანამდებობაზე ყოფნა.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მოტივაციას მოსარჩელისთვის მორალური ზიანისა და ადვოკატის ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება და იმავე პალატის 2008 წლის 4 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ.

პ-მემ, რომელმაც მოითხოვა მათი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორი თვლის, რომ სასამართლომ არასწორად აღნიშნა თავდაცვის მინისტრის #402 ბრძანების საფუძველზე 28 დეკემბრიდან მოქმედი შტატის გაუქმება და ახალი შტატის შექმნა; რადგან მის მიერ დაკავებული ლოგისტიკური სარდლობის შტაბის უფროსის მოადგილის თანამდებობა არ გაუქმებულა და იმავე დღესვე, ე.ი. 2004 წლის 28 დეკემბერს, იგი ლოგისტიკის სარდალმა წარადგინა ამ თანამდებობაზე დასანიშნად. კადრების დეპარტამენტმა კი არ გამოსცა დანიშვნის ბრძანება. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა ის გარემოება, რომ კადრების განკარგულებაში გადაყვანამდე პოლკოვნიკის სამხედრო წოდება არასწორად არ მიანიჭეს, რითაც დაირღვა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტი; «სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» კანონის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

კასატორი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციამ არ გააფრთხილა შტატების შემცირების მოტივით, მოსალოდნელი დათხოვნის შესახებ, ხოლო დათხოვნის ბრძანება დაწერეს ზღვრული ასაკით მოსალოდნელი დათხოვნის შესახებ გაფრთხილებიდან 89-ე დღეს, ნაცვლად 30-ე დღის შემდგომი დღისა, რითაც დაირღვა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტი, 97-ე მუხლის მე-3 პუნქტი; შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლი. დათხოვნის ბრძანების გამოცემის საფუძველად მითითებულია შტატის შემცირება, მაშინ როდესაც, ასეთი შტატები არ შემცირებულა. კასატორი თვლის, რომ შტატის შემცირება რომც მომხდარიყო, მოსარჩელის უპირობოდ დათხოვნა მაინც უმართებულოა, რადგან იგი თანახმა იყო სხვა შესაფერის თანამდებობაზე დანიშნულიყო, თუმცა არ შეუთავაზებიათ და მოპასუხემ დაარღვია «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტი; «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» კანონის მე-15 მუხლის «უ» და «ფ» პუნქტები.

რ. პ-მე აღნიშნავს, რომ სამსახურიდან ისე დაითხოვეს, სამხედრო სამსახურის ვარგისიანობის დასადგენად სამედიცინო შემოწმებაზე არ გაუტარებიათ, რითაც დაირღვა «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის #609 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტი. მოსარჩელის უშუალო ხელმძღვანელობას სამსახურიდან დათხოვნაზე თანხმობა არ მიუცია, ამით კი დაირღვა «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის #609 ბრძანებულების მე-9 თავის მე-4 პუნქტი. კასატორის მითითებით, მას დათხოვნამდე 2 თვით ადრე სარჩელი ჰქონდა შეტანილი სასამართლოში და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე მოპასუხის დათხოვნის შესახებ ბრძანება არ უნდა დაეწერათ, რაც კასატორს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევად მიაჩნია. კასატორი განმარტავს, რომ ადმინისტრაციამ ერთხელ უკვე ისარგებლა თავისი კანონიერი უფლებით და სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, 2004 წლის კუთვნილი შვებულების სარგებლობის უფლება არ მისცა და 2005 წლის პირველ კვარტალში გადაუტანა. ამდენად, 2005 წელს, ადმინისტრაციას არავითარი სამართლებრივი საფუძველი აღარ გააჩნდა კუთვნილ შვებულებაში არ გაეშვა მოსარჩელე ან შვებულებისათვის განკუთვნილი ვადა ხელოვნურად შეემცირებინათ, რითაც დაარღვიეს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტი; «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის #609 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-9 თავის მე-9 და მე-13 პუნქტები. შვებულების გაგრძელების საკითხებზე მსჯელობისას სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოლიკლინიკიდან და ცენტრალური კლინიკური ჰოსპიტლიდან გაცემული ცნობების თანახმად, მკურნალობის კურსი 6 მაისს, ანუ კუთვნილი შვებულების დამთავრებამდე (15 მაისი) 10 დღით ადრე დაიწყო. ამდენად, ავადმყოფობის გამო კუთვნილი შვებულების გამოუყენებელი ეს 10 დღე, 25 ივნისიდან უნდა მიეცათ და შესაბამისად, შვებულების პერიოდი 4 ივლისამდე გაეგრძელებინათ. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ აშკარა უზუსტობას, რაც დაშვებულია შვებულების გაგრძელების თაობაზე გამოცემულ 2005 წლის 10 ივნისის #122 ბრძანებაში. ამ ბრძანების გამოცემის საფუძველად მითითებულია რ. პ-მის 2005 წლის 7 ივნისის #5375 პატაკი და #4799 სამედიცინო ბარათი. ფაქტობრივად კი, ბრძანების საფუძველად მიჩნეულ უნდა იქნეს #5375 პატაკზე თანდართული არა მარტო #4799 ცნობა, არამედ მოსარჩელის 6 მაისიდან 25 ივნისამდე ავადმყოფობისა და მკურნალობის კურსის გავლის დამადასტურებელი სხვა 4 მტკიცებულებაც. თავდაცვის სამინისტროს #122 ბრძანებაში აღიარებულია, რომ 6 მაისიდან ავადმყოფობის გამო მოსარჩელემ შეწყვიტა კუთვნილი შვებულებით სარგებლობა, რის გამოც მიეცა შვებულების გამოუყენებელი დღეები მიმდინარე წლის 7 ივნისიდან 15 ივნისამდე, ანუ მხოლოდ ის 7 დღე, რაც აღნიშნულია #5375 პატაკზე თანდართულ #4799 ცნობაში, ე.ი. 6 მაისიდან 7 ივნისამდე პერიოდში ავადმყოფობის დამადასტურებელ ზემოაღნიშნულ 4 ცნობას იგნორირება გაუკეთეს. ფაქტობრივად, კი, მოსარჩელეს შვებულება დაუმთავრდა 15 მაისს და ამდენად, შვებულება 7 ივნისიდან კი არ უნდა გაეგრძელებინათ, არამედ 15 მაისიდან. ამასთან, არა 7 დღით, არამედ 40 დღით, რაც საბოლოო ჯამში შვებულებაში ყოფნის პერიოდის 25 ივნისამდე გაგრძელებას განაპირობებდა. აქედან გამომდინარე, #122 ბრძანებაში საერთოდ გამოტოვებულია 15 მაისიდან 7 ივნისამდე პერიოდი.

კასატორმა მიუთითა რომ 2005 წლის 30 მარტს მართლაც გააფრთხილეს ზღვრული ასაკის მოტივით მოსალოდნელი დათხოვნის შესახებ. რეალურად კი, იგი დაითხოვეს რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების საფუძველზე, ისიც ზღვრული ასაკის მოტივით, გაფრთხილებიდან 89-ე დღეს, ანუ თითქმის 2 თვის დაგვიანებით. გაფრთხილების საფუძვლის შეცვლა და გაფრთხილების 30-დღიანი ვადის გასვლიდან 2 თვის შემდეგ დათხოვნის ბრძანების გამოცემა კასატორს ამ ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველად მიაჩნია.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგნად არ ქცეულა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც უარი ეთქვა მოსარჩელეს უშუალო ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილ თანამდებობაზე დანიშვნაზე. ამ საკითხების განხილვაზე რომ ყოფილიყო გამახვილებული ყურადღება, სააპელაციო პალატა დარწმუნდებოდა, რომ შვებულების გაგრძელების ბრძანებაში, თარიღები არასწორადაა მითითებული, რამაც განაპირობა მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის ბრძანების შევბულების პერიოდში დაწერა; აღნიშნული კი ეწინააღმდეგება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 111-ე მუხლის პირველ პუნქტს, რის გამოც ასეთი დარღვევებით გამოცემული ბრძანება ბათილად ცნობას ექვემდებარება.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე მ. ბ-ძის (საქმის განმხილველი სააპელაციო პალატის შემადგენლობის თავმჯდომარე) აცილების შესახებ მისი განცხადება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, ი. შ-იასა და ა. ი-იანის შემადგენლობით, ზეპირი განხილვის გარეშე 2008 წლის 4 თებერვალს განიხილა და არ დააკმაყოფილა, რაც კასატორს მიაჩნია უმართებულად. კასატორი საკასაციო სასამართლოს წინაშე აყენებს ამ განჩინების გაუქმების საკითხს, რადგან მასში ერთი სიტყვაც არ წერია იმ არგუმენტებზე, რომლებიც შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნების შესახებ საქმეების განხილვისათვის არა უგვიანეს 1 თვეს ადგენს, ნაცვლად მ. ბ-ძის მიერ გამოყენებული 10 თვისა. ამასთან, განჩინება კასატორს ჩააბარეს სააპელაციო სასამართლოს 7 თებერვლის სხდომაზე, რითაც ფაქტობრივად მას წაერთვა განჩინების სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების საშუალება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება და იმავე სასამართლოს 2008 წლის 4 თებერვლის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ რ. კ-ძემ 2008 წლის 28 იანვარს განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს და მოითხოვა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის - მ. ბ-ძის ჩამოცილება მისი საქმის განხილვასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისაგან. განცხადებული აცილების ერთადერთ საფუძველად განმცხადებელს მიაჩნია თავდაცვის სამინისტროს სახელით იმ სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება, რომელსაც ხელს აწერდა აღნიშნული სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ყოფილი უფროსი - მ. კ-შვილი. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მ. კ-შვილი არაობიექტურობისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ჯეროვნად შეუსრულებლობის გამო დათხოვნილ იქნა სამსახურიდან; მოსამართლე ბ-ძე კი არც დაინტერესებულა, თუ იურიდიული დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელობა რამდენად აღიარებდა წარდგენილ სააპელაციო საჩივარს. საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 თებერვლის განჩინებით რ. კ-ძის განცხადება მოსამართლე მ. ბ-ძის საქმის განხილვიდან აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. მოსამართლის აცილების საფუძველები განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-31-ე მუხლებით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ სააპელაციო საჩივრის წარმოდგენისას მ. კ-შვილს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 18 იანვრის #30 ბრძანებით მინიჭებული ჰქონდა აღნიშნული სამინისტროს სახელით სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლებამოსილება. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სახელმწიფო ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში თავის წარმომადგენლად, დადგენილი წესით, დანიშნოს ის თანამდებობის პირი, რომელიც ამ ადმინისტრაციულ ორგანოში მსახურობს. საკასაციო სასამართლო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის ნორმაზე დაყრდნობით, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად უფლებამოსილება შეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონის შესაბამისად შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედება ინარჩუნებს მნიშვნელობას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივრის წარმოდგენის შემდგომ მ. კ-შვილის

თანამდებობიდან დათხოვნა არ იწვევს მის მიერ სამინისტროს სახელით განხორციელებული საპროცესო მოქმედებების გაუქმებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. პ-მის განცხადებაში მითითებული გარემოება არ ქმნიდა საფუძველს მოსამართლე მ. ბ-მის საქმის განხილვიდან ასაცილებლად და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა კანონიერია.

კასატორი მიუთითებს, რომ ლოგისტიკის სარდლობის შტაბის უფროსის მოადგილის თანამდებობა, რომელიც მას ეკავა, თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 29 დეკემბრის #402 ბრძანებით არ გაუქმებულა და იმავე დღეს ლოგისტიკის სარდლის მიერ რ. პ-მე წარდგენილ იქნა ამ თანამდებობაზე დასანიშნად; დანიშნა კი არ განხორციელებულა. საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 29 დეკემბრის #402 ბრძანებით 2004 წლის 28 დეკემბრიდან გაუქმდა ლოგისტიკის სარდლობა. მის ბაზაზე ჩამოყალიბდა შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს დაქვემდებარებული ლოგისტიკის სარდლობა. რ. პ-მე თავის სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 23 თებერვლის #89 ბრძანებით ლოგისტიკის სარდლობის შტაბი გაუქმდა, მის მაგიერ შეიქმნა ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველო. საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2005 წლის 4 მარტის #3-11/696 წერილით რ. პ-მე წარდგენილ იქნა აღნიშნული დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე; თუმცა დანიშნა კვლავ არ განხორციელებულა. ამდენად, საფუძველს მოკლებულია კასატორის მოსაზრება, თითქოს მისი თანამდებობა არ იყო გაუქმებული.

კასატორი მიუთითებს, რომ თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 27 ივნისის #1785 ბრძანება მისი სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე უკანონოა იმის გამო, რომ კადრების განკარგულებაში გადაყვანამდე მისთვის დადგენილი წესით არ მიუნიჭებიათ «პოლკოვნიკის» სამხედრო წოდება. საკასაციო სასამართლო სრულიად დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორის ამ მოსაზრებას, ვინაიდან კასატორი ვერ უთითებს შესაბამის სამართლებრივ ნორმას, რომელიც დაადგენდა სამხედრო მოსამსახურის კადრების განკარგულებაში გადაყვანის აკრძალვას მორიგი სამხედრო წოდების მინიჭებამდე.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ იგი არ იქნა გაფრთხილებული შტატების შემცირების გამო მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, ხოლო სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე ბრძანება გამოცემულ იქნა ასაკის გამო გათავისუფლების შესახებ მისი გაფრთხილებიდან 89-ე დღეს, რითაც დაირღვა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე, 108-ე მუხლებისა და შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დამსაქმებელი დაწესებულებისათვის დადგენილი ვალდებულება სამსახურიდან თანამდებობათა შემცირების საფუძველზე მოხელის ერთი თვით ადრე გაფრთხილების თაობაზე განკუთვნილია თვითონ მოხელის ინტერესების დაცვისათვის: კანონით დადგენილი აღნიშნული ვალდებულების შესრულება შესაძლებლობას აძლევს მოხელეს - დროულად მოემზადოს მოსალოდნელ გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ერთი თვე არის მინიმალური დრო. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემული სამართლის ნორმის მოთხოვნის დარღვევა, მისი შინაარსისა და მიზნების გათვალისწინებით, სახეზეა მხოლოდ მაშინ, თუ დამსაქმებელი დაწესებულება საერთოდ არ გააფრთხილებს, ან მოხელეს გაათავისუფლებს გაფრთხილების მომენტიდან ერთი თვის გასვლამდე. მოცემულ შემთხვევაში, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე, არ დარღვეულა რ. პ-მის შრომითი უფლება. რაც შეეხება კასატორის მითითებას შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლზე, რომლის თანახმად თუ შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შრომითი ურთიერთობა ფაქტიურად გრძელდება და არც ერთმა მხარემ არ მოითხოვა მისი შეწყვეტა, ხელშეკრულების მოქმედება ითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რ. პ-მესა და თავდაცვის სამინისტროს შორის არ ყოფილა გაფორმებული შრომის კანონთა კოდექსით დადგენილი შრომის ხელშეკრულება, მითუმეტეს - ვადიანი ხელშეკრულება. კასატორის სამართლებრივი ურთიერთობანი ემყარებოდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონს და სამხედრო სამსახურის მომწესრიგებელ სპეციალურ კანონმდებლობას; რ. პ-მე თავის დროზე თანამდებობაზე გამწესებული იყო არა შრომითი ხელშეკრულების დადებით, არამედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით. ამდენად, მითითებული ნორმის გამოყენება მოცემული სადავო სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

კასატორი აცხადებს, რომ მისი სამსახურიდან დათხოვნა უკანონოა, ვინაიდან იგი არ გაატარეს სამედიცინო შემოწმებაზე, რათა დაედგინათ მისი შესაბამისობა სამხედრო სამსახურისადმი ვარგისიანობაზე. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-601 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულია ის დარღვევები, რომლებიც ჩაითვლება არსებითად, კერძოდ, ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით აქტის მომზადება ან გამოცემა, ან დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევა, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობისას მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო

მიუთითებს, რომ რ. პ-ძის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული, თუ რატომ გამოიწვევდა მისი სამედიცინო შემოწმებაზე გაყვანა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებას. ამდენად, აღნიშნული საფუძვლით რ. პ-ძის სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 27 ივნისის #1785 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

კასატორი უთითებს, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლებისას დაირღვა «ხელქვეითობის წესი», რაც გამოიხატა იმაში, რომ მინისტრის ბრძანება მისი გათავისუფლების თაობაზე გამოიწვია რ. პ-ძის უშუალო ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად, რომელიც არათუ მისი გათავისუფლების, არამედ მისი თანამდებობაზე დანიშვნის წინადადებით მიმართავდა სამინისტროს ხელმძღვანელობას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის მე-20 მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის თანახმად, სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად მინისტრი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს საშტატო განრიგით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს სამინისტრო მიეკუთვნება იმ სახელმწიფო დაწესებულებას, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად. იმავე კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტი განსაზღვრავს, რომ თანამდებობაზე პირის დანიშვნის უფლება აქვს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელს; ხოლო იმავე კანონის 93-ე მუხლის თანახმად მოხელე შეიძლება სამსახურიდან გაათავისუფლოს პირმა, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. აღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის მინისტრი უფლებამოსილი იყო ერთპიროვნულად, სხვა თანამდებობის პირებთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, გამოეცა რ. პ-ძის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ 2005 წლის 27 ივნისის #1785 ბრძანება და მისი ბათილად ცნობის მოთხოვნა მოცემული საფუძვლით დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავის საგანს ასევე წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსის 2005 წლის 10 ივნისის #122 და 2005 წლის 17 ივნისის #125 ბრძანებებში სათანადო ცვლილებების შეტანა შვებულების ვადის გაგრძელების თაობაზე. კასატორი (მოსარჩელე) უთითებს, რომ ბრძანების გაცემისას არ იქნა გათვალისწინებული მის პატაკებზე დართული დოკუმენტაცია სრულად და შვებულება მიეცა იმაზე უფრო ნაკლები ვადით, ვიდრე მას ეკუთვნოდა აღნიშნული დოკუმენტაციით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსის 2005 წლის 10 ივნისის #122 ბრძანებას, რომლითაც რ. პ-ძეს მიეცა შვებულება 2005 წლის 7 ივნისიდან 15 ივნისამდე, ერთ-ერთ საფუძვლად დაედო რ. პ-ძის 07.06.05 წ. #5375 პატაკი, რომლითაც მან მოითხოვა შვებულების გაგრძელება 2005 წლის 15 ივნისამდე. პატაკს თან ერთვის თავდაცვის სამინისტროს პოლიკლინიკის სამხედრო საექიმო კომისიის მიერ სწორედ 2005 წლის 7 ივნისს გაცემული #4799 ცნობა, რომლის თანახმად რ. პ-ძე მიჩნეულ იქნა სამხედრო სამსახურისათვის დროებით უვარგისად, რის გამოც ჩაითვალა, რომ მას ესაჭიროებოდა გათავისუფლება სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულებისაგან 7 დღე-ღამის ვადით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსის 2005 წლის 17 ივნისის #125 ბრძანებას, რომლითაც რ. პ-ძეს მიეცა შვებულება მკურნალობასთან დაკავშირებით 2005 წლის 15 ივნისიდან 25 ივნისამდე, საფუძვლად დაედო რ. პ-ძის 15.06.05 წ. #5654 პატაკი, რომლითაც მან მოითხოვა შვებულების გაგრძელება 2005 წლის 25 ივნისამდე. პატაკს თან ერთვის თავდაცვის სამინისტროს პოლიკლინიკის სამხედრო საექიმო კომისიის მიერ სწორედ 2005 წლის 15 ივნისს გაცემული #5240 ცნობა, რომლის თანახმად რ. პ-ძე მიჩნეულ იქნა სამხედრო სამსახურისათვის დროებით უვარგისად, რის გამოც ჩაითვალა, რომ მას ესაჭიროებოდა გათავისუფლება სამხედრო სამსახურს მოვალეობათა შესრულებისაგან 10 დღე-ღამის ვადით.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შვებულებით სარგებლობის უფლება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით წარმოადგენს საჯარო მოსამსახურის ძირითად უფლებას, გარანტიას მისი ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნებისათვის. შვებულების უფლების გამოყენებას, გამოყენების მომენტსა და შვებულების ხანგრძლივობას, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მაქსიმალური ხანგრძლივობის ფარგლებში, წყვეტს თვითონ საჯარო მოსამსახურე. ამასთან, დამსაქმებელი დაწესებულება არ არის ვალდებული საჯარო მოსამსახურეს მისცეს შვებულება იმაზე უფრო ხანგრძლივი პერიოდით, ვიდრე ამას მოითხოვს დასაქმებული (საჯარო მოსამსახურე).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსის 2005 წლის 10 ივნისის #122 და 2005 წლის 17 ივნისის #125 ბრძანებების გამოცემისას მოპასუხემ იმოქმედა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, თვითონ რ. პ-ძის მიერ გამოხატული ნების შესაბამისად. მოპასუხე არ იყო ვალდებული, რ. პ-ძისათვის მიეცა ავადმყოფობის გამო შვებულება იმაზე მეტი ხანგრძლივობით, ვიდრე ამ უკანასკნელის მიერ იქნა მოთხოვნილი. ამდენად, საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ საქართველოს

თავდაცვის მინისტრის 27.06.05 წ. #1785 ბრძანების გამოცემისას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსის 2005 წლის 10 ივნისის #122 და 2005 წლის 17 ივნისის #125 ბრძანებებით რ. პ-მისათვის მიცემული შვებულება დასრულებული იყო. შესაბამისად, არ არსებობს თავდაცვის მინისტრის 27.06.05 წ. #1785 ბრძანების უკანონოდ მიჩნევის, კასატორის მიერ მითითებული, აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საფუძველი.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას «პოლკოვნიკის» სამხედრო წოდების შესაბამის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოთხოვნა ამ ნაწილშიც უსაფუძვლოა, ვინაიდან კასატორს სადავოდ არ გაუხდია საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 29 დეკემბრის #402 ბრძანება მისი კადრების განკარგულებაში გაყვანის თაობაზე; საკასაციო პალატა ყირადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თუნდაც მისი შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის თაობაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 27 ივნისის #1785 ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაში აღდგება აღნიშნული ბრძანების გამოცემაზე არსებული მდგომარეობა: რ. პ-მ კვლავ ჩაითვლება კადრების განკარგულებაში გაყვანილად, კონკრეტულ თანამდებობაზე დაუნიშვნელად. მისი მოთხოვნა «პოლკოვნიკის» სამხედრო წოდების შესაბამის თანამდებობაზე 2005 წლის 1 მარტიდან აღდგენის თაობაზე ფაქტიურად წარმოადგენს განცხადებას თანამდებობაზე მიღების თხოვნით, რომლის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების საკითხი მთლიანად განეკუთვნება მითითებულ თანამდებობაზე პირის დანიშვნის უფლების მქონე თანამდებობის პირის - თავდაცვის მინისტრის დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომლის განხორციელებაში, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს ჩარევის სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს. ამდენად, სარჩელისა და საკასაციო საჩივრის მოთხოვნა ამ ნაწილშიც სრულიად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა. შესაბამისად, ასევე უსაფუძვლოა მოთხოვნა 2005 წლის 1 მარტიდან სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დაუნიშვნელობის შედეგად იძულებითი გაცდენით მიუღებელი ფულადი სარგოების ანაზღაურების თაობაზე.

კასატორი ითხოვს 2004 წლის 22 ნოემბრიდან «პოლკოვნიკის» სამხედრო წოდების დამტკიცებას და ამავე დღიდან «პოლკოვნიკის» სამხედრო წოდების კუთვნილი ფულადი სარგოს ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად სახელმწიფოს მიერ სამხედრო მოსამსახურისათვის გარანტირებულია საშტატო განრიგისა და დაკავებული თანამდებობის მიხედვით სამხედრო წოდების მინიჭება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაუშვებელია სამხედრო მოსამსახურისათვის მორიგი სამხედრო წოდების მინიჭების შეფერხება; ასევე, «სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» კანონის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმად სამხედრო მოსამსახურეს სამხედრო წოდება ენიჭება წინა სამხედრო წოდებით სამხედრო სამსახურის ვადის გასვლისას, თუკი მას უკავია ისეთი სამხედრო თანამდებობა, რომლისთვისაც შტატით გათვალისწინებულია მისანიჭებელი სამხედრო წოდების თანაბარი ან უფრო მაღალი სამხედრო წოდება.

მითითებულ ნორმებზე დაყრდნობით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მორიგი სამხედრო წოდების მინიჭების მომენტისათვის პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: იგი უნდა იყოს სამხედრო მოსამსახურე; მას უნდა ეკავოს ისეთი საშტატო თანამდებობა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას მას მიენიჭოს როგორც მორიგი, ასევე, უფრო მაღალი სამხედრო წოდება.

მოცემულ საქმეზე სადავო არ გამხდარა ის გარემოება, რომ 2004 წლის 22 ნოემბერს რ. პ-მეს წარმოუშვა უფლება - მიეღო «პოლკოვნიკის» სამხედრო წოდება, რადგან მას ეკავა შესაბამისი საშტატო თანამდებობაც და გასული იყო წინა სამხედრო წოდებით სამსახურის ვადაც. მაგრამ «პოლკოვნიკის» სამხედრო წოდების მინიჭება არ მომხდარა. ისიც უდავოა დადგენილი, რომ უფლების სასამართლო წესით დაცვის საკითხის დაყენებისას რ. პ-მე იყო გაყვანილი კადრების განკარგულებაში, ე.ი. გათავისუფლებული იყო თანამდებობიდან. ამდენად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას - გამოიტანოს გადაწყვეტილება «პოლკოვნიკის» სამხედრო წოდების მინიჭების მოპასუხისათვის დავალების თაობაზე, რადგან მორიგი წოდების მინიჭება შესაბამის სამხედრო თანამდებობაზე არმყოფი პირისათვის დაუშვებელია. მოცემულ საქმეში საკასაციო სასამართლო გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოებას, რომ არც საქმის ქვემდგომ სასამართლო ინსტანციებში და არც საკასაციო წესით განხილვისას კასატორი (მოსარჩელე) არ აკმაყოფილებდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით პირისათვის დადგენილ კრიტერიუმებს მორიგი სამხედრო წოდების მინიჭებისათვის.

კასატორი ითხოვს მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 1001 ლარის გადახდის დაკისრებას მოპასუხისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე დაყრდნობით, განმარტავს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. იმავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია, რომ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. იმავე კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილიც ითვალისწინებს ამ მუხლით დაცული ისეთი სახის სიკეთის ბრალეული ხელყოფისას მორალური ზიანის ანაზღაურებას, როგორცაა: სახელის ტარების უფლებაში შეცილება ან სხვისი სახელით უნებართვო სარგებლობა, პირის პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა და საქმიანი რეპუტაცია. საკასაციო სასამართლო

კანონიერად თვლის მოპასუხის ქმედებას რ. კ-მის სამსახურიდან დათხოვნასთან დაკავშირებით; ამასთან, კასატორი ვერ ასაბუთებს მორალური ზიანის მიყენებს ფაქტს მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრალეული ქმედებით, რომელმაც გამოიწვია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შერყევა, ვინაიდან მხოლოდ ჰიპოტეტიური მსჯელობა სამსახურიდან გათავისუფლებული ადამიანის სტრესულ მდგომარეობაზე ვერ გახდება საფუძველი მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის; კასატორი ვერ უთითებს მორალური ზიანის ანაზღაურების კანონის შესაბამისად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და სამართლებრივ საფუძველებზე, რის გამოც საკასაციო სასამართლო უსაფუძველოდ მიიჩნევს კასატორის აღნიშნულ მოთხოვნას.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, დაეკისრება მეორე მხარეს. ვინაიდან მიღებულია გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, არ არსებობს მოსარჩელის მიერ წარმომადგენლის დახმარებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააკველაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია და რ. კ-მის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. რ. კ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააკველაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება და იმავე სასამართლოს 2008 წლის 4 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო; იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

განჩინება

#ბს-580-558(კ-08) 12 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლამე,
ლ. მურუსიძე (მოსამართლეები)

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ჯ-შვილმა 2007 წლის 16 აპრილს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიმართ და მოითხოვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 13 თებერვლის #32/3, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2007 წლის 13 თებერვლის #9 ბრძანების ნაწილობრივ და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის 2007 წლის 15 მარტის ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2007 წლის 4 თებერვლის გაფრთხილების ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 1996 წლიდან 2007 წლის 15 მარტამდე მუშაობდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სხვადასხვა საშტატო თანამდებობებზე. 2007 წლის 15 მარტიდან გათავისუფლებული იქნა საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ბეჭდური გამოცემების ელექტრონული არქივის წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან, 2007 წლის 15 მარტის #99

ბრძანების საფუძველზე. მოსარჩელის მოსაზრებით, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით უშუალოდ მიაღება ზიანი, ვინაიდან, გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2007 წლის 13 თებერვალს ბრძანება #9-ის საფუძველზე გაუქმდა ეროვნული ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, სადაც დასაქმებული იყო მოსარჩელე. აღნიშნული ბრძანების საფუძველად კი მითითებულია პარლამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 13 თებერვლის 32/3 ბრძანება, ეროვნული ბიბლიოთეკის დებულების, საშტატო განრიგის და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ. მოსარჩელე თვლის, რომ ზემოაღნიშნული აქტები უკანონოა, ვინაიდან არ არის დასაბუთებული მათი მიღების აუცილებლობა, სამართლებრივი მიზანშეწონილობა. ადმინისტრაციულ ორგანოს არ უმსჯელია იმის თაობაზე, თუ რამდენად საჭირო იყო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის გაუქმება. მოსარჩელის მოსაზრებით, მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება მიღებულია არაუფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ, ასევე არაუფლებამოსილი პირის მიერაა მიღებული 13 თებერვლის ბრძანება, ვინაიდან ბ. გ-უა წარმოადგენს პარლამენტის ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს და არა გენერალურ დირექტორს; საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულების მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის «დ» პუნქტის მიხედვით გენერალური დირექტორი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ეროვნული ბიბლიოთეკის საჯარო მოსამსახურეებს, განსაზღვრავს მათ უფლება-მოვალეობებს და ამტკიცებს თანამდებობრივ ინსტრუქციებს, ამავე დებულების მე-8 პუნქტის შესაბამისად, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამდებობის პირები არიან: გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე, სამეცნიერო მეთოდური საბჭოს მდივანი, დეპარტამენტის დირექტორები და მათი მოადგილეები, განყოფილების უფროსები. მოსარჩელის მითითებით, არც კანონით და არც დებულებით გათვალისწინებული არ არის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შტატი ან მისი ფუნქციები. ამდენად, მოსარჩელე თვლის, რომ ბ. გ-უას არ ჰქონდა კანონიერი უფლება მისი თანამდებობიდან გათავისუფლებისა, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე არ იყო უფლებამოსილი, დაემტკიცებინა არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებული ბრძანება. მას მიაჩნია, რომ სამუშაოდან მისი გათავისუფლების ბრძანება სრულად არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტისათვის დამახასიათებელ აუცილებელ რეკვიზიტებს, კერძოდ, გათავისუფლების ბრძანებაში არ არის მითითებული ბრძანების გასაჩივრების წესი. მ. ჯ-შვილმა სარჩელში ასევე მიუთითა, რომ ბ. გ-უას 2007 წლის #9 ბრძანების შესაბამისად გაუქმდა ეროვნული ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი და მასში შემავალი ბეჭდური გამოცემების ელექტრონული არქივის განყოფილება გარდაიქმნა საქართველოში ნაბეჭდი და ელექტრონული გამოცემების განყოფილებად და დაექვემდებარა საბიბლიოთეკო რესურსების განყოფილებას, რომელმაც მოიცვა გაუქმებული საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ფუნქციები. მ. ჯ-შვილი თვლის, რომ მის მიერ დაკავებული თანამდებობა არ გაუქმებულა, მხოლოდ შემცირდა, ასევე დარჩა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაც უცვლელია, თუმცა შემცირებისას დაირღვა მისი უფლებები, როდესაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან და არ მიეცა საშუალება გაეგლო ტესტირება - რაც წარმოადგენს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლის დარღვევას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ჯ-შვილს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლოდ გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 13 თებერვლის #32/3 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულება, საშტატო განრიგი და თანამდებობრივი სარგოები. ბრძანების ამოქმედების თარიღად მითითებულ იქნა 2007 წლის 15 მარტი. მოცემული #32/3 ბრძანების საფუძველზე, იმავე დღეს, გამოცემულ იქნა საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის #9 ბრძანება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სტრუქტურული რეორგანიზაციის, საშტატო ერთეულების ოპტიმიზაციისა და საშტატო რიცხოვნობის შემცირების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომლითაც გაუქმებულ იქნა ეროვნული ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე 2007 წლის 14 თებერვალს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გაფრთხილებული იქნა 2007 წლის 15 მარტიდან თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ხოლო 2007 წლის 15 მარტს, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე და 108-ე მუხლების საფუძველზე, გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის #99/3 ბრძანებით გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

სასამართლომ გაიზიარა საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლების პოზიცია მასზე, რომ «საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ» კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 260-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილი იყო, მიეღო ბრძანება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულების, საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ. ასევე, ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიც იყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით

შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული ბიბლიოთეკის საშტატო ერთეული, რიცხოვნობა და სტრუქტურა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის #32/3 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებასთან, საშტატო განრიგთან და თანამდებობრივ სარგოებთან. ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 13 თებერვლის #32/3 ბრძანება და საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის სადავო ბრძანება არ ეწინააღმდეგება კანონს და შესაბამისად არ არსებობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე განხორციელებული იქნა არამარტო დაწესებულების რეორგანიზაცია, არამედ შემცირებულ იქნა შტატები 520 ერთეულიდან 476 ერთეულამდე. მოცემული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლისა და 97-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე უფლებამოსილი იყო შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების მოტივით მოსარჩელე თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა. ამასთან, დაცული იქნა ამავე კანონის 108-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა - თანამდებობის შემცირებისას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მოსარჩელე გაფრთხილებული იქნა წერილობითი სახით ერთი თვით ადრე.

სასამართლომ განმარტა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 112-ე და 127-ე მუხლების თანახმად, მოხელე ექვემდებარება თანამდებობაზე აღდგენას და იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში იმ შემთხვევაში, თუ სამსახურიდან დათხოვნის ბრძანება სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა არაკანონიერად. სასამართლომ იქვე მიუთითა, ვინაიდან მოსარჩელის მიმართ არ დასტურდება სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნა, შესაბამისად უსაფუძვლოდ ჩათვალა მ. ჯ-შვილის სარჩელი თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ჯ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინებით მ. ჯ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების საკითხს.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სადავო 2007 წლის 13 თებერვლის #32/3 ბრძანება და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის 2007 წლის 13 თებერვლის #9 ბრძანება გამოცემულ იქნა კანონის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა «საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ» კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, ეროვნული ბიბლიოთეკის სტრუქტურისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს დებულება. ეროვნული ბიბლიოთეკის დებულებას, საშტატო განრიგს და შრომის პირობებს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. ამასთან, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 260-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ეროვნული ბიბლიოთეკის დებულებას, საშტატო განრიგს და შრომის ანაზღაურების პირობებს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. სასამართლომ ჩათვალა, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილებას წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაბამისობაში მოექცია ეროვნული ბიბლიოთეკის საშტატო ერთეულის რიცხოვნობა და სტრუქტურა პარლამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 23 თებერვლის #32/3 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებასთან, საშტატო განრიგთან და თანამდებობრივ სარგოებთან. ამიტომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მითითება იმის შესახებ, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში არ იყო აღნიშნული ის მიზანი, თუ რას ემსახურებოდა ამ უკანასკნელის გამოცემა და მისი მიღების აუცილებლობა. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია 520 ერთეულიდან შტატების შემცირება 476 ერთეულამდე. სადავო ბრძანება სწორედ შტატების შემცირების საფუძველს დაეყრდნო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლის და 97-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე. გარდა ამისა, გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემამდე უფლებამოსილმა პირმა დაიცვა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 108-ე მუხლის დანაწესები და გასათავისუფლებელი პირი გააფრთხილა მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოდავე მხარე არამართლმომიერად მიიჩნევს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების შეზღუდვას, გამოეცა გათავისუფლების შესახებ ბრძანება, მაშინ როცა პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულების მე-

4 მუხლის მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნული ბიბლიოთეკის საჯარო მოხელეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური დირექტორი და ასევე, ამავე დებულების მე-8 მუხლის შესაბამისად თანამდებობის პირს წარმოადგენს გენერალური დირექტორი. თუმცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 14 დეკემბრის #165/ ბრძანება, რომლითაც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ზ. ა-მე განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დირექტორის მოვალეობის შესრულება დაეკისრა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილეს, რომელსაც ასეთის შემთხვევაში უფლებამოსილება გააჩნდა გამოეცა თანამშრომლის გათავისუფლების შესახებ ბრძანება, მით უფრო, რომ ის აღიჭურვა ყველა იმ უფლებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გენერალური დირექტორის მიმართ.

თბილისის სააკადემიო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ჯ-შივლიმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 2007 წლის 13 თებერვლის #9 ბრძანების შესაბამისად გაუქმდა ეროვნული ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი და მასში შემავალი ბეჭდური გამოცემების ელექტრონული არქივის განყოფილება გარდაიქმნა საქართველოში ნაბეჭდი ელექტრონული გამოცემების განყოფილებად და დაექვემდებარა საბიბლიოთეკო რესურსების განყოფილებას. სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო ახალი დებულება, რომლითაც განისაზღვრა ეროვნული ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანა და ფუნქციები. აღნიშნული დებულების მე-3 მუხლის «ლ» პუნქტის შესაბამისად, ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საქართველოს ეროვნული ელექტრონული ბიბლიოთეკისა და ციფრული მემკვიდრეობის არქივის შექმნა, ასევე ინტერნეტის გამოყენება საბიბლიოთეკო პროცესებსა და მკითხველთა მომსახურებაში, ქართული ინტერნეტის სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შედგენა და გამოქვეყნება, ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებ-გვერდის სრულყოფა და ორგანიზაციული მხარდაჭერა, მაშინ როცა აღნიშნული ფუნქცია გააჩნდა გაუქმებულ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს. კასატორი მიუთითებს, რომ გაუგებარია რას დააფუძნა ადმინისტრაციულმა ორგანომ ტექნოლოგიების დეპარტამენტის გაუქმება, მაშინ როცა ეროვნულ ბიბლიოთეკას ახალი დებულებით იგივე ფუნქციების განხორციელება ევალება რომელსაც ადრე ასრულებდა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის გაუქმების საფუძველზე არ არსებობდა. კასატორის მოსაზრებით, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაფინანსების შემცირება არ მომხდარა და სახელმწიფო ბიუჯეტში იგივე თანხებია გათვალისწინებული, რაც საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის გაუქმებამდე იყო გათვალისწინებული. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ზ. გ-უამ გამოსცა ბრძანება #13 საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოხელეთა ატესტაციის შესახებ, რომელიც ჩატარდა 2007 წლის 10, 11, 12 და 13 მარტს. ატესტაციის ჩატარებიდან ორი დღის შემდეგ ზ. გ-უამ გამოსცა ბრძანება, რომლითაც იგი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, არასწორად დაადგინა საქმეში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რასაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოყვა შედეგად. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მ. ჯ-შივლის გათავისუფლების ბრძანება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტისათვის დამახასიათებელ აუცილებელ რეკვიზიტებს, კონკრეტულად არ არის მითითებული ბრძანების გასაჩივრების წესი, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევაა, რომლის შესაბამისად წერილობითი ფორმით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს იმ ორგანოზე, სადაც შესაძლებელია ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა. კასატორი თვლის, რომ სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული ის გარემოება, რომ მას არ მიეცა საშუალება, მონაწილეობა მიეღო ატესტაციაში, რაც «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლის დარღვევაა, რადგან რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ატესტაციის შედეგები; მას კი არ მისცეს უფლება მონაწილეობა მიეღო ატესტაციაში. კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლოებმა არ იმსჯელეს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის გაუქმების აუცილებლობაზე, მის მიზანშეწონილობაზე მაშინ, როდესაც ახალი დებულებითაც ეროვნულ ბიბლიოთეკას გააჩნია ის ფუნქცია, რაც გააჩნდა ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

საკასაციო საჩივარში ყურადღება გამახვილებულია იმის შესახებ, რომ ანალოგიურ საქმეზე ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4-ე მუხლის შესაბამისად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის

მოვალეობის შემსრულებლის ბ. გ-უას 2007 წლის 15 მარტის ბრძანებები და მოპასუხე საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და ფაქტების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში. სასამართლომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 13 თებერვლის #32/3 ბრძანების საფუძველზე მიღებული და დამტკიცებული იქნა ახალი დებულება დანართი #1, 2007 წლის 13 თებერვლის #32/3 ბრძანება და მასთან ერთად საშტატო განრიგის დანართი #2 და თანამდებობრივი სარგო დანართი #3, რომლის ამოქმედების ვადა განისაზღვრა 2007 წლის 15 მარტიდან. ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ მიღებული იქნა 2007 წლის 13 თებერვლის #9 ბრძანება, რომელსაც საფუძვლად დაედო ჯერ არ ამოქმედებული საშტატო განრიგი და თანამდებობრივი სარგო, რასაც მოჰყვა #9 ბრძანების ამოქმედება #1, #2 და #3 დანართების ამოქმედებამდე. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტების გამოცემის დროს არ იქნა გათვალისწინებული საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 97-ე, 108-ე მუხლები, ასევე ამავე კანონის 81-87 მუხლები. სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევას. ასევე ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების დარღვევას. კასატორი აღნიშნავს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხებზე და 2007 წლის 18 ოქტომბერს გამოსცა ბრძანება #794კ, რომლითაც, მართალია, მოსარჩელენი გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან, მაგრამ მათ მიეცათ იძულებითი განაცდური სამსახურში იძულებით არ ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. ამდენად, საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ აღნიშნულ შემთხვევაში ფაქტობრივად აღიარა თავისი თანამშრომლების სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი, არ გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება და გამოსცა ბრძანება, რომლითაც მოსარჩელებს ანალოგიურ დავაზე აუნაზღაურდათ განაცდური, ხოლო მისი საქმის განხილვისას სასამართლომ არ გაითვალისწინა ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები. (იხილეთ 2007 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება და 2007 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება #794-კ). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლომ არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, არასწორად დაადგინა საქმეში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რასაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოყვა შედეგად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 13 თებერვლის #32/3 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულება, საშტატო განრიგი და თანამდებობრივი სარგოები. ბრძანების ამოქმედების თარიღად მითითებულ იქნა 2007 წლის 15 მარტი. საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა 2007 წლის 13 თებერვალს მიიღო #9 ბრძანება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სტრუქტურული რეორგანიზაციის, საშტატო ერთეულების ოპტიმიზაციისა და საშტატო რიცხოვნობის შემცირების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომლითაც გაუქმდა მთელი რიგი სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის, ის დეპარტამენტიც, სადაც მ. ჯ-შვილი მუშაობდა, კერძოდ, ეროვნული ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ «საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 260-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილი იყო მიეღო ბრძანება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულების, საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ; ხოლო ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ვალდებული იყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაბამისობაში მოეყვანა ეროვნული ბიბლიოთეკის საშტატო ერთეული, რიცხოვნობა და სტრუქტურა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის #32/3 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებასთან, საშტატო განრიგთან და თანამდებობრივ სარგოებთან. ამიტომ საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 13 თებერვლის #32/3 ბრძანება და საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის სადავო ბრძანება არ ეწინააღმდეგება კანონს და

შესაბამისად არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

საქმეში მოცემულია საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2007 წლის 9 იანვრის #01/9 მიმართვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისადმი, სადაც მითითებულია, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რეორგანიზაციასთან, მისი სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით აუცილებელია სტრუქტურაში განხორციელდეს მთელი რიგი ცვლილებები, კერძოდ, უნდა გაუქმდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რადგან ის პრაქტიკულად ვერასოდეს ვერ ახორციელებდა ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებისა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ავტომატიზაციას, თანამედროვე ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნას და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, როგორც ეს ამ დეპარტამენტის ძირითად ამოცანად იყო განსაზღვრული წინა სტრუქტურაში. ეროვნული ბიბლიოთეკის კომპიუტერული ტექნიკის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად კი საკმარისია მხოლოდ კომპიუტერული ტექნიკისა და მომხმარებელთა ასისტირების განყოფილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის გაუქმება ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.

მ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ გახდება კასატორის მიერ მითითებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება #3/933-07, რადგან ერთიან სასამართლო პრაქტიკას განსაზღვრავს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

მართალია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის «საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის, საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების თაობაზე» 2007 წლის 13 თებერვლის #32/3 ბრძანების ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 2007 წლის 15 მარტი, მაგრამ საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა კასატორის მიერ სადავოდ გამხდარი 2007 წლის 13 თებერვლის #9 ბრძანებით განსაზღვრა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სტრუქტურული რეორგანიზაციის, საშტატო ერთეულების ოპტიმიზაციისა და საშტატო ერთეულების რიცხოვნების შემცირების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, რის გამოც იგი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით მიღებულად არ უნდა ჩაითვალოს.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მ/შ-ს 2007 წლის 14 თებერვლის წერილი, რომლითაც მ. ჯ-შვილი გაფრთხილებულ იქნა 2007 წლის 15 მარტიდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების საფუძველით გათავისუფლების თაობაზე; მ. ჯ-შვილი ამ წერილს გაცენა 2007 წლის 15 თებერვალს; ხოლო საქმეში მოცემულია ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მ/შ 2007 წლის 15 მარტის #99/კ ბრძანება იმავე დღიდან მ. ჯ-შვილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე და 108-ე მუხლების საფუძველზე. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოპასუხემ მ. ჯ-შვილის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ აცნობა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლის I ნაწილის პირველი წინადადების მოთხოვნათა დაცვით. ამ ნორმის თანახმად მოხელეს ერთი თვით ადრე უნდა ეცნობოს დაწესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების, ატესტაციის არადაკმაყოფილებელი შედეგების ან ასაკის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია ასევე მ. ჯ-შვილის მითითება იმის შესახებ, რომ იგი სამსახურიდან არაუფლებამოსილი პირის ბრძანებით იქნა გათავისუფლებული. ს.ფ. 26-ზე მოცემულია ზაალ ა-ძის გათავისუფლებისა და ბ. გ-უასათვის გენერალური დირექტორის მოვალეობის შესრულების დაკისრების შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 14 დეკემბრის #165/3 ბრძანება; საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნული ბიბლიოთეკის საჯარო მოხელეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური დირექტორი და ასევე, ამავე დებულების მე-8 მუხლის შესაბამისად თანამდებობის პირს წარმოადგენს გენერალური დირექტორი. ამდენად, ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მ. ჯ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების მომენტისათვის აღჭურვილი იყო ყველა იმ უფლებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გენერალური დირექტორის მიმართ.

საკასაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში საშტატო განრიგი შემცირდა 520 ერთეულიდან 476 ერთეულამდე და აღნიშნული მ. ჯ-შვილსაც სადავოდ არ გაუხდია. შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. ჯ-შვილის სამსახურიდან დათხოვნის ბრძანების სამართლებრივ საფუძველად სწორად იქნა მითითებული «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლი; საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კასატორის სამუშაოდან დათხოვნის დროისათვის, ე.ი. 2007 წლის 15 მარტისათვის მოქმედი «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლი პირველი და მესამე ნაწილისაგან შედგება, ამ მუხლის მეორე ნაწილი 2005 წლის 23 დეკემბერს იქნა ამოღებული. ამ მუხლის პირველ ნაწილში

აღნიშნულია, რომ მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას, ხოლო იმავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გაფრთხილების ვადის გასვლიდან პირველივე დღეს.

საკასაციო პალატა მ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველად ვერ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მ/შ-ის მიერ 2007 წლის 22 თებერვალს მიღებულ იქნა ბრძანება ატესტაციის ჩატარების შესახებ და ატესტაციის ჩატარების თარიღად განისაზღვრა 13, 14 და 15 მარტი, მ. ჯ-შვილმა განცხადებით მოითხოვა დაემვათ ატესტაციაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ მისი თხოვნა არ დაკმაყოფილდა. საკასაციო პალატა თვლის, რომ ატესტაციაში მონაწილეობის მიღებაზე მ. ჯ-შვილისათვის დაუსაბუთებლადაც რომ ეთქვათ უარი, აღნიშნული ვერ გახდებოდა მისი სამუშაოდან დათხოვნის ბრძანების უკანონოდ მიჩნევის საფუძველი, რადგან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლის მესამე ნაწილში მითითებულია, რომ დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ატესტაციის შედეგები. საკასაციო სასამართლო ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე თვლის, რომ შტატების შემცირებით რეორგანიზაციის დროს ატესტაციის შედეგების გათვალისწინება არ არის სავალდებულო დაწესებულების ხელმძღვანელისათვის და მის დისკრეციას წარმოადგენს ატესტაციაგავლილი მოხელის სამუშაოზე დატოვების საკითხის გადაწყვეტა. მით უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ იგი ატესტაციის ჩატარების თაობაზე ბრძანების მიღებამდე, 2007 წლის 15 თებერვალს ადმინისტრაციამ გააფრთხილა 2007 წლის 15 მარტიდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების საფუძველით გათავისუფლების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია ასევე მ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივრის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მ. ჯ-შვილის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტისათვის დამახასიათებელ აუცილებელ რეკვიზიტებს, კონკრეტულად არ არის მითითებული ბრძანების გასაჩივრების წესი, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევაა. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2007 წლის 15 მარტის #99/კ ბრძანება მ. ჯ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 97-ე და 108-ე მუხლების, «საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულების, საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების თაობაზე» საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 13 თებერვლის #32/3 ბრძანების და «საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სტრუქტურული რეორგანიზაციის, საშტატო ერთეულების ოპტიმიზაციის და საშტატო რიცხოვნობის შემცირების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ» საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2007 წლის 13 თებერვლის #9 ბრძანების საფუძველზე საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ბეჭდური გამოცემების ელექტრონული არქივის წამყვანი სპეციალისტი მ. ჯ-შვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2007 წლის 15 მარტიდან. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მიეცა მ. ჯ-შვილს კომპენსაცია ორი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის I ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული ბრძანება გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისათვის და გამოცემისათვის დადგენილი წესების დაცვით და მისი გამოცემისას რაიმე სახის არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები სწორად მიიჩნია დადგენილად, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. ჯ-შვილს ასეთი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც მ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. გათავისუფლება სამსახურის ლიკვიდაციის გამო

სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მერის კომპეტენციისა და უფლებამოსილების
ფარგლები

განჩინება

#ბს-829-791(კ-07)

5 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 15 ივნისს ი. მ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ქ. თბილისის მერიის მიმართ, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 2004 წლის 2 აგვისტოდან მუშაობდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. ქ. თბილისის მერის 2005 წლის 17 მაისის #159 განკარგულებით იგი გათავისუფლდა სამსახურიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96.1 მუხლის შესაბამისად, სამსახურის ლიკვიდაციის მოტივით.

მოსარჩელის განმარტებით, საქალაქო სამსახურის ლიკვიდაცია განხორციელდა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებით, #40 ბრძანებით კი შეიქმნა იგივე სამსახური, მხოლოდ რეორგანიზებული და შემცირებული შტატებით, ანუ, ფაქტობრივად, სამსახურმა განიცადა რეორგანიზაცია შტატების შემცირებით.

მოსარჩელის მითითებით, ქ. თბილისის მერს არ ჰქონდა საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის უფლება, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულება მას აღნიშნული ქმედების განხორციელების საფუძველს არ აძლევდა, კერძოდ, დებულების მე-3 ნაწილით, ქ. თბილისის მერს უნდა უზრუნველყო პრეზიდენტის ბრძანებულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. ახალი დებულებით, მისი სამსახური, კერძოდ, მთავარი სპეციალისტის - იურისტის თანამდებობა არ გაუქმებულა და შესაბამისად, იგი გათავისუფლდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლისა და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 36-ე და 42.1 მუხლების მოთხოვნათა დარღვევით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულების ბათილად ცნობას, სამუშაოზე აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. მ-მის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; არაკანონიერად იქნა ცნობილი თბილისის მერიის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულება ი. მ-მის სამსახურიდან გათავისუფლების ნაწილში; მოსარჩელე ი. მ-მე აღდგენილ იქნა ქ. თბილისის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო

სამსახურის საქმეთა მმართველობის მთავარი სპეციალისტ-იურისტის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იმულებითი განაცდური, სამუშაოდან დათხოვნის დღიდან სამუშაოზე აღდგენის დღემდე.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ ი. მ-მე თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96.1 მუხლის საფუძველზე, სამუშაოდან გათავისუფლდა სამსახურის ლიკვიდაციის მოტივით. ლიკვიდაცია, სასამართლოს განმარტებით, გულისხმობდა დაწესებულების არსებობის შეწყვეტას იმგვარად, რომ წყდება დაწესებულების უფლებამოსიანობა და მისი უფლება-მოვალეობები ახალ სუბიექტს არ გადაეცემა. რეორგანიზაცია, ხშირ შემთხვევაში, ლიკვიდაციის მსგავსად იწვევს დაწესებულების არსებობის შეწყვეტას, მაგრამ მას თან ახლავს უფლებამონაცვლეობა და იმ დაწესებულების უფლებები და მოვალეობები, რომლის არსებობაც წყდება, გადადის ახლად შექმნილ დაწესებულებაზე - მის უფლებამონაცვლეზე, როგორც მოცემულ შემთხვევაში მოხდა. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულების» მე-2 პუნქტის თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქ. თბილისის კეთილმოწყობის სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობის ცენტრი. ამავე ბრძანებულების საფუძველზე გამოცემული ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით დამტკიცებული «ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულების სტრუქტურისა და საშტატო ერთეულის ნუსხის დამტკიცების შესახებ» დანართით, «ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის» დებულების მე-6 პუნქტის თანახმად, აღნიშნული სამსახური წარმოადგენს ლიკვიდირებული ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლეს. ამრიგად, მერის მითითებული ბრძანების გამოცემით მერიას უარი არ უთქვამს იმ ფუნქციის განხორციელებაზე, რასაც მანამდე ასრულებდა ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური, რის გამოც, სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, ფაქტობრივად, განხორციელდა სამსახურის რეორგანიზაცია შტატების შემცირებით, ხოლო ტერმინი «ლიკვიდაცია,» რომელიც მერის ბრძანებაში მიეთითა, თავისი ნამდვილი მნიშვნელობით და თანამდევით შედეგით უთანაბრდება რეორგანიზაციას, ამიტომ სამართლებრივ ურთიერთობებს, მათ შორის შრომით სამართალურთიერთობებსაც, უნდა მოჰყოლოდა ის იურიდიული შედეგები, რასაც, ჩვეულებრივ, დაწესებულების რეორგანიზაცია იწვევს.

სასამართლოს განმარტებით, რეორგანიზაცია შტატების შემცირების გზით გამორიცხავდა მოხელის უპირობო გათავისუფლებას და დაწესებულებაში ისეთი ახალი თანამშრომლის მიღებას, რომელსაც აღნიშნულ სისტემაში არ უმუშავია და ამასთან, არ გაირკვეოდა სამსახურში არსებულ მოხელეთა შემდგომი დასაქმების საკითხი მათი უპირატესი დარჩენის უფლების გათვალისწინებით, რაც არ შესრულებულა. მოსარჩელე ისე გაათავისუფლეს სამსახურიდან, რომ არც მისი შტატი შემცირებულა და არც მისი შემდგომი დასაქმების შესაძლებლობა გარკვეულა, რამდენადაც თბილისის პრემიერის 2004 წლის 22 ივნისის #225 განკარგულებით დამტკიცებული «ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ერთეულის ნუსხის დამტკიცების შესახებ» ქ. თბილისის პრემიერის 2004 წლის 14 ივნისის #209 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ» დანართი #2-ის თანახმად, სულ მთავარი სპეციალისტის შტატი იყო 17, ხოლო აღნიშნული სამსახურის საქმეთა მმართველობაში მთავარი სპეციალისტ - იურისტის შტატი - 1, სადაც მოსარჩელე მუშაობდა. თბილისის მერის 2005 წლის #40 ბრძანებით დამტკიცებული «ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცების შესახებ» დანართი #2-ის თანახმად კი საქმეთა მმართველობაში კვლავ დარჩა მთავარი სპეციალისტ - იურისტის 1 საშტატო ერთეული, ხოლო სულ სამსახურში - 8 შტატი. ამასთან, თბილისის მერიის 2005 წლის 13 ივნისის #752 განკარგულებით, მითითებული სამსახურის ინფრასტრუქტურისა და სატარიფო პოლიტიკის განყოფილებაში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშნულია მოვალეობის შემსრულებელი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებით ქ. თბილისის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის ფაქტი და არასწორად განმარტა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96.1 მუხლი. სასამართლომ ასევე დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე, 386-ე მუხლების, 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტისა და 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ი. მ-მის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ «ქ. თბილისის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანებით «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» კანონის 22.3»ნ» მუხლისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61.1 მუხლის შესაბამისად, ლიკვიდირებულად ჩათვალა «ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების შექმნის შესახებ» ქ. თბილისის მერის 1999 წლის 24 მარტის #15 ბრძანების თანდართული ქ. თბილისის მთავრობის კომპეტენციებს მიკუთვნებული სოციალურ-ეკონომიკური დარგების მართვის საქალაქო სამსახურები; «ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის თანამშრომელთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ» ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულებით ი. მ-მე გათავისუფლდა მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96.1. მუხლის შესაბამისად; «ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცების შესახებ» ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» კანონის 22.3»ნ» მუხლის, «საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების» შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულების მე-3»ე» და მე-12 «ნ» მუხლების შესაბამისად, დამტკიცდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულება, სტრუქტურა და საშტატო ნუსხა.

საპელაციო სასამართლოს მითითებით, ლიკვიდაციის შედეგად ფუნქციონირება შეწყვიტა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურმა, როგორც მერიის სტრუქტურულმა ერთეულმა და ქ. თბილისის მერიაში შეიქმნა ახალი საქალაქო სამსახური იმავე დასახელებით, თუმცა განსხვავებული სტრუქტურითა და საშტატო განრიგით. საპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, კონკრეტულ შემთხვევაში მოხდა სამსახურის მხოლოდ მმართველობით-ფუნქციონალური უფლებამონაცვლეობა და არა რეორგანიზაცია შტატების შემცირებით, რის გამოც მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96.1. მუხლით უნდა მომხდარიყო, რომლითაც არ არის დადგენილი, რომ დაწესებულების ლიკვიდაციის დროს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებისას სავალდებულოა ამ მოხელისთვის რაიმე სხვა თანამდებობის შეთავაზება, ხოლო 96.2 მუხლი მსგავს დათქმას ითვალისწინებს მხოლოდ მაშინ, როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება. განსახილველ შემთხვევაში კი, საპელაციო სასამართლოს განმარტებით, ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია ან შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირება არ განხორციელებულა, არამედ მოხდა აღნიშნული სამსახურის ლიკვიდაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა და ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში უსაფუძვლოა. შესაბამისად, გადაწყვეტილება უსაფუძვლოა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და მოპასუხისათვის «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 112-ე მუხლის თანახმად იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების ნაწილშიც.

საპელაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველი დავის საგანს არ წარმოადგენდა ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანება «ქ. თბილისის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ», რის გამოც სასამართლო საქართველოს კანონმდებლობასთან მის შესაბამისობაზე ვერ იმსჯელებდა.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. მ-მემ.

კასატორის მითითებით, მისი სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულებით «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რაც ითვალისწინებს საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას სამსახურის ლიკვიდაციის გამო. სინამდვილეში კი ლიკვიდაცია არ მომხდარა, ვინაიდან სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით, ლიკვიდაცია დაწესებულების არსებობისა და უფლებამონაცვლეობის შეწყვეტას გულისხმობს, მისი უფლება-მოვალეობები ახალ სუბიექტს არ გადაეცემა და შესაბამისად, უფლებამონაცვლეობაც დაუშვებელია. კონკრეტულ შემთხვევაში კი მოხდა არა ლიკვიდაცია, არამედ - სამსახურის რეორგანიზაცია, რითაც პირდაპირი და უშუალო ზიანი მიადგა მის კანონიერ ინტერესებს, ვინაიდან, მართალია, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლი ითვალისწინებს დაწესებულების ლიკვიდაციის გამო მოხელის თანამდებობიდან დათხოვნის შესაძლებლობას, მაგრამ ხსენებული კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის «ბ» ნაწილით საჯარო დაწესებულებას წარმოადგენს მხოლოდ მერია და არა მისი სტრუქტურული ერთეულები, კონკრეტულ შემთხვევაში - ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური, ხოლო, რადგან მერიის ლიკვიდაციის აქტი არ გამოცემულა და მერიას ფუნქციონირება არ შეუწყვეტია, არც მისი სამსახურიდან დათხოვნის სამართლებრივი საფუძველი არსებობდა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულების» მე-2 პუნქტის მიხედვით ლიკვიდირებულ იქნა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირები: ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრი. ბრძანებაში პირდაპირ აღინიშნა, თუ, კონკრეტულად, რომელი სამსახურების

ლიკვიდაცია მოხდა, ხოლო ამავე ბრძანების მე-3 მუხლის «ე» პუნქტში პირდაპირ განისაზღვრა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური, სადაც გათავისუფლებამდე მუშაობდა. ამდენად, კასატორის აზრით, მისი სამსახურის ლიკვიდაცია არ მომხდარა, ხოლო თბილისის პრემიერის 2005 წლის 5 მაისის #482 განკარგულების თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადდა თბილისის პრემიერის 2004 წლის 14 ივნისის #209 განკარგულება «ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცების შესახებ». ამავე დროს თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის #40 ბრძანებით დამტკიცდა თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ახალი დებულება, სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების ნუსხა, რომელშიც იდენტური ფუნქციებით შევიდა აღნიშნული სამსახური და ლიკვიდირებული სამსახურის უფლებამონაცვლედ გამოცხადდა, ე.ი. ფაქტობრივად, განხორციელდა მითითებული სამსახურის რეორგანიზაცია შტატების შემცირებით და არა ლიკვიდაცია, რაც უნდა გულისხმობდეს სამსახურის ფუნქციონირების სრულ შეწყვეტას, ქონების აღრიცხვას, ბეჭდის და ანგარიშის ჩაბარებას, სალიკვიდაციო ღონისძიებათა გატარებას და ა.შ. რომელსაც მის შემთხვევაში არ მომხდარა. სამსახურის ლიკვიდაცია რომ არ მომხდარა, კასატორის მოსაზრებით, იმითაც დასტურდება, რომ თბილისის მერიის მიერ მითითებული თარიღითვე გამოტანილი განკარგულებით ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროს ა. მ-შვილსა და მის მოადგილე ზ. ა-მეს გაუფორმდათ სამსახურებრივი მივლინებები საზღვარგარეთ, რაც ზემოხსენებულ ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად ადასტურებს, რომ ტერმინი «ლიკვიდაცია», რომელიც გამოყენებულია თბილისის მერის #25 ბრძანებასა და მისი გათავისუფლების #154 განკარგულებაში, თავისი სამართლებრივი შინაარსითა და თანამდევი შედეგით წარმოადგენს რეორგანიზაციას, რასაც უნდა მოჰყოლოდა ის შედეგები, რაც სამართლებრივ ურთიერთობებში თან ახლავს რეორგანიზაციას. ამდენად, კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები და არასწორად გამოიყენა 96.1 მუხლი, შესაბამისად, მისთვის 97.2 მუხლის მოთხოვნათა დაცვით არავის შეუთავაზებია არანაირი სამუშაო ადგილი და არც დაწესებულებაში მოხელეთა უპირატესი დარჩენის საკითხი ყოფილა განხილული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რითაც დაირღვა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-14 მუხლისა და შრომის კანონთა კოდექსის 36.2 და 42¹ მუხლების მოთხოვნები, მაშინ როდესაც, ჰყავს სამი მცირეწლოვანი შვილი, უმუშევარი მეუღლე, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი და სტიქიის შედეგად დაზარალებული - ჩამოსახლებული აჭარიდან.

კასატორის მითითებით, «თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცების შესახებ» ბრძანების #2 დანართის თანახმად, საქმეთა მმართველობაში კვლავ დარჩა მთავარი სპეციალისტ - იურისტის 1 საშტატო ერთეული, ხოლო სულ სამსახურში - მთავარი სპეციალისტის 8 შტატი. 2005 წლის 4 თებერვალს მერიას ჩაჰბარდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მისი დაუყოვნებლივ სამსახურში აღდგენის განჩინება, რა დროისთვისაც მისი შტატი, ფაქტობრივად, ვაკანტური იყო და მერიას უნდა აღედგინა თანამდებობაზე, მაგრამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის სასამართლო აღმასრულებლის მრავალჯერადი მიმართვისა და მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება, რომელიც მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია, არ აღსრულდა. მოგვიანებით კი, 2005 წლის 21 ნოემბერს, აღნიშნული შტატი სამსახურის უფროსის ინიციატივითა და მერის განკარგულებით გადატანილ იქნა იმავე სამსახურის სტრატეგიული განვითარების განყოფილებაში, სადაც მთავარი სპეციალისტის შტატი იყო ორი და მესამის დამატებას არ საჭიროებდა, ხოლო თუ საჭიროებას წარმოადგენდა, მაშინ აღნიშნულ თანამდებობაზე იგი უნდა დაენიშნათ და არა პირი, რომელსაც მერიის სისტემაში საერთოდ არ უმუშავია, მით უმეტეს, რომ მისი დანიშვნა კონკურსის წესით არ მომხდარა.

კასატორის მოსაზრებით, 2005 წლის 5 მაისის #25 ბრძანება გამოიცა არაუფლებამოსილი ორგანოსა და პირის მიერ და ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 და მე-60^დ მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან ქალაქის მერმა 2005 წლის 5 მაისის ბრძანებას საფუძვლად დაუდო «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» კანონის 22.3^ნ მუხლი და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61.1 მუხლი, რომელთა თანახმად, ქალაქის მერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს და უფლებამოსილია, ძალადაკარგულად გამოაცხადოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი. მოცემული ნორმები კი არ შეესაბამება იმ სპეციალურ კანონმდებლობას, რომელიც განსაზღვრავს თბილისის მერის, როგორც დედაქალაქის უმაღლესი თანამდებობის პირის, უფლებამოსილებას, კერძოდ, «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ» კანონითა და «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულებით» მერს არ ჰქონდა მინიჭებული მსგავსი უფლება. საქალაქო სამსახურების გაუქმების უფლებამოსილება მერს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულების» 25-ე მუხლის შესაბამისად, რაც ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით. ხსენებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დამტკიცდა «საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულება», რომლის მე-2 პუნქტის თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობის ცენტრი.

ამასთან, კასატორის მითითებით, დამტკიცებულ იქნა მერიის ახალი სტრუქტურა, რომელშიც იდენტური დასახელებით შევიდა თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური, როგორც მერიის სტრუქტურული ერთეული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 მარტის განჩინებით ი. მ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულება ი. მ-ძის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში; ქ. თბილისის მერიას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან ერთი თვის ვადაში; ი. მ-ძეს აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური ხელფასი გათავისუფლების დღიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ «ქალაქ თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულების, სტრუქტურისა და სამტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცების შესახებ» თბილისის მერის 05.05.2005 წლის #40 ბრძანებით დამტკიცდა ქალაქ თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის, დებულება, სტრუქტურა და სამტატო ერთეულების ნუსხა. დებულების მე-6 პუნქტის თანახმად, აღნიშნული სამსახური წარმოადგენს ქალაქ თბილისის მერის 05.05.2005 წლის #25 ბრძანებით ლიკვიდირებული ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლეს. საგულისხმოა, რომ ქალაქ თბილისის მერის 05.05.2005 წლის #25 ბრძანება «ქალაქ თბილისის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ» ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული მისივე გამომცემი ორგანოს მიერ.

მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 მარტის განჩინების განმარტების თანახმად, რამდენადაც სამართლებრივი ლიკვიდაცია გამორიცხავდა უფლებამონაცვლეობას, ამდენად, ტერმინი «ლიკვიდაცია» ზემოაღნიშნულ ბრძანებებში გამოყენებულ იქნა რეორგანიზაციის შინაარსობრივი დატვირთვით. მოსარჩელის საუშაოდან გათავისუფლების დროისათვის - 2005 წლის 16 მაისს უკვე შექმნილი იყო ეკონომიკის საქალაქო სამსახური, იმ სამსახურის უფლებამონაცვლე, სადაც დასაქმებული იყო მოსარჩელე, შესაბამისი სამტატო ერთეულებით, რაც გამორიცხავდა მოსარჩელის გათავისუფლებას დაწესებულების ლიკვიდაციის საფუძველით.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის (2005 წლის 16 მაისის რედაქცია) 96.1 მუხლის თანახმად, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო. ამ კანონის 96.2 მუხლის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად, როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო კანონის 97-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, მოხელე არ შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ იგი თანახმაა, დაინიშნოს სხვა თანამდებობაზე.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება (რაც აპელანტმა მხარეშიც დაადასტურა სასამართლოს სხდომაზე), რომ გათავისუფლებისას მოსარჩელისათვის არ შეუთავაზებიათ სხვა თანამდებობაზე დანიშვნა, რითაც დაირღვა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97.2 მუხლის იმპერატიული მოთხოვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტების თანახმად, შეთავაზებული შეიძლება იყოს სხვა, იგივე ან უფრო დაბალი რანგის თანამდებობა, ან სამუშაო ადგილი, მაგრამ შეთავაზება აუცილებლად უნდა მოხდეს და მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება ადმინისტრაციას, მიიღოს გადაწყვეტილება მუშაკის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სადავო ბრძანების გამოცემისას არ იქნა გათვალისწინებული «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-14 მუხლის 97.2 და შრომის კანონთა კოდექსის 36.2 მუხლის «ა» ქვეპუნქტის მოთხოვნები. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 96.2 მუხლების თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სადავო ბრძანება მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე. «საჯარო სამსახურის შესახებ» (2005 წლის 16 მაისის მოქმედი რედაქცია) საქართველოს კანონითა და შრომის კანონთა კოდექსით, მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლებისას დადგენილი პროცედურული საკითხების უგულებელყოფა წარმოადგენს სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველს. ამასთან, აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა სცილდება სასამართლო კომპეტენციის ფარგლებს და განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებას, რის გამოც სასამართლომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძველზე, სადავო საკითხის - მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო თბილისის მერის 2005 წლის 16 მაისის #154 განკარგულება ი. მ-ძის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში და ქალაქ თბილისის მერიას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან ერთი თვის ვადაში. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 112-ე მუხლით, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია, მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად, უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელე ი. მ-ძის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და უნდა აუნაზღაურდეს ხელფასი სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდისათვის, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ «ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების შექმნის შესახებ» ქ. თბილისის მერის 24.03.99 წ. #15 ბრძანებით შეიქმნა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური. ამ ბრძანების ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძველად მითითებულ იქნა «საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 10.112.98 წ. #685 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 25-ე მუხლი.

საქართველოს პრეზიდენტის #685 ბრძანებულება «საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ» ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 01.03.05 წ. #120 ბრძანებულებით.

«ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად მიღებული (გამომცემი) ყველა ნორმატიული აქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მერს არათუ უფლება, არამედ ვალდებულებაც ეკისრებოდა - საქართველოს პრეზიდენტის #120 ბრძანებულების ძალაში შესვლის შემდეგ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოეცხადებინა საქართველოს პრეზიდენტის 10.12.98 წ. #685 ბრძანებულების საფუძველზე და შესასრულებლად გამოცემული თავისივე 24.03.99 წ. #15 ბრძანება «ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების შექმნის შესახებ», რაც განხორციელდა კიდეც ქ. თბილისის მერის 05.05.05 წ. #25 და 24.06.05 წ. #49 ბრძანებებით.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად არ გაიზიარა ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივრის მითითება, რომ იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება, რომლის საფუძველზედაც შექმნილია ესა თუ ის საქალაქო სამსახური, ნიშნავს ამ სამსახურის საქმიანობისათვის იურიდიული საფუძვლის გამოცვლას, მისი საქმიანობის დასრულებას და შესაბამისად, ამ სამსახურის ლიკვიდაციას. მით უფრო, რომ ქ. თბილისის მერი, «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ვალდებულიც იყო გამოეცა 05.05.05 წ. #25 ბრძანება. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რაც უნდა გამოეყენებინა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინებაში დიდი პალატა მიუთითებდა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტული სამართალურთიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისივე აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტულ შემთხვევაში. ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანი მთავრდება იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი ზუსტად უთითებს მოცემული ურთიერთობისათვის ამა თუ იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების აუცილებლობას ან ეს გამომდინარეობს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის თავისებურებიდან.

კასატორის მითითებით, სასამართლო ხელისუფლებას უფლება აქვს - შეფასება მისცეს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებას, იმსჯელოს მის მართლზომიერებაზე, მაგრამ სასამართლო კონტროლის ცნება არ მოიცავს იმ საკითხს, რომ სასამართლოს შეუძლია უკარნახოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, თუ რა ფორმით განახორციელოს მან მის წინაშე მდგარი ამოცანები.

სასამართლო ხელისუფლებას უფლება არა აქვს - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებულ საქმიანობის ფორმას (თუნდაც უკანონოს და არასრულყოფილს) შეუცვალოს სახელწოდება და ადმინისტრაციული აქტის სუბიექტს (ადრესატს) შესთავაზოს მისი უფლების დაცვის სხვა საშუალება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის განმარტებით, როგორც პირველი, ისე მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ უგულვებელყოფილ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლების პრინციპი, კერძოდ:

ქ. თბილისის მერია წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოთა სისტემას, რომელიც ერთობლიობაში, კანონმდებლობის საფუძველზე, ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებებს. ქ. თბილისის მერიის საქმიანობას წარმართავს ქ. თბილისის მერი, ქალაქის უმაღლესი თანამდებობის პირი და მთავრობის ხელმძღვანელი და ის, რომ გააგრძელოს თუ არა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულმა ერთეულმა საქმიანობა იმავე სახით, მოხდეს მისი რეორგანიზაცია თუ ლიკვიდაცია – მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, მისი საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას და მას უფლება აქვს, თავისუფლად აირჩიოს – მისი ლიკვიდაცია თუ რეორგანიზაცია.

საქართველოს პრეზიდენტი არ იყო უფლებამოსილი – ძალადაკარგულად გამოეცხადებინა «ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის შექმნის შესახებ» ქ. თბილისის მერის 24.03.99 წ. #15 ბრძანება, რადგან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს, ანუ პრეზიდენტმა შექმნა ახალი საქალაქო სამსახურები, ძველის გაუქმებას კი ვერ მოახდენდა, რაც განხორციელა კიდეც ქ. თბილისის მერმა 05.05.05 წ. #25 ბრძანებით, კანონის სრული დაცვით.

ის გარემოება, რომ ქ. თბილისის მერის 05.05.05 წ. #40 ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ახლად შექმნილი სამსახური წარმოადგენს ქ. თბილისის მერის 05.05.05 წ. #25 ბრძანების საფუძველზე ლიკვიდირებული ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრეს, არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც სამსახურის რეორგანიზაცია, რადგან აქ შეიძლება საუბარი იყოს სამსახურის მხოლოდ მმართველობით-ფუნქციონალურ სამართალმემკვიდრეობაზე (უფლებამონაცვლეობაზე), ვინაიდან ქ. თბილისის მერის 05.05.05 წ. #25 ბრძანების პირველი პუნქტი ცალსახად მიუთითებს სამსახურის ლიკვიდაციაზე (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 31 ოქტომბრის განჩინების (საქმე #ბს-1081-661(კ-05) განმარტების თანახმად).

კასატორის მითითებით, აღნიშნული ბრძანებულების მე-2 პუნქტით ლიკვიდირებულ იქნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირები: ქ. თბილისის კეთილმოწყობის სამსახური და საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობის ცენტრი; ხოლო მე-5 პუნქტით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 28.02.03 წ. #63 ბრძანებულება «საჯარო სამსახურის - ქ. თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის შექმნის შესახებ» და საქართველოს პრეზიდენტის 21.02.03 წ. #54 ბრძანებულება «საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობის ცენტრის შექმნის შესახებ». ქ. თბილისის მერიისთვის ამ სუბიექტების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების დავალება კი მოხდა იმიტომ, რომ ქ. თბილისის მერია განსაზღვრულ იქნა ამ ორ სუბიექტზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოდ «საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ» კანონის შესაბამისად.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების დანარჩენი ნაწილის დასაბუთებაც სწორედ ლიკვიდაციის აქტის არასწორ შეფასებაზეა აგებული, კერძოდ, სააპელაციო პალატა უთითებს, რომ, ვინაიდან მოხდა სამსახურის რეორგანიზაცია და არა ლიკვიდაცია, ქ. თბილისის მერის 16.05.05 წ. #154 განკარგულება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ უკანონოა, რადგან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად არ შეუთავაზებიათ მოსარჩელისათვის სხვა თანამდებობაზე დანიშვნა.

კასატორის მოსაზრებით, ქ. თბილისის მერის 05.05.05 წ. #25 ბრძანებით მოხდა ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაცია. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი ლიკვიდაციის შემთხვევაში აღარ ითვალისწინებდა აღარავითარი გარემოებების შეფასებასა და გამოკვლევას, თუ ვინ ისარგებლებდა სამსახურში დარჩენის უპირატესი უფლებით, არც არავითარ შეთავაზებას სხვა თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, არამედ ადგენს ლიკვიდირებული დაწესებულების ყველა თანამშრომლის უპირობო გათავისუფლებას თანამდებობიდან დაწესებულების საქმიანობის შეწყვეტის დღიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ქ. თბილისის მერის 16.05.05. #154 განკარგულების კანონიერებაზე მსჯელობისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების შესაბამისად გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

კასატორის მითითებით, უსაფუძვლოა და უკანონოა სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილშიც, რომლითაც ქ. თბილისის მერიას ეკისრება ვალდებულება – აუნაზღაუროს მოსარჩელეს იძულებით მიუღებელი ხელფასი (განაცდური).

სასამართლომ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან, ამ ნორმის მეორე წინადადების თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებას სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული

ორგანოსათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ იღებს მხოლოდ მაშინ, თუ ამისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რაში მდგომარეობდა მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის. მოსარჩელის მოთხოვნა არ ყოფილა სადავო საკითხის გადაწყვეტლად ქ. თბილისის მერის 16.05.05 წ. #154 განკარგულების ბათილად ცნობა და საკითხის განსახილველად დაბრუნება ქ. თბილისის მერიისათვის. სასამართლოს არც ის დაუკონკრეტებია, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე თუ რომელი გარემოებების შეფასება-გამოვლევა არ განუხორციელებია ქ. თბილისის მერიას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სწორადაა შეფასებული საქმის გარემოებები, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია კანონის მართებული გამოყენებისა და განმარტების საფუძველზე, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების პროცესუალური წანამდგვრები.

საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

ქ. თბილისის მერიის 05.05.2005 წლის #25 ბრძანებით, ლიკვიდირებულად ჩათვალია «ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის შექმნის შესახებ» ქ. თბილისის მერის 24.03.99 წ. #15 ბრძანების თანდართული ქ. თბილისის მთავრობის კომპეტენციებს მიკუთვნებული სოციალურ-ეკონომიკური დარგების მართვის საქალაქო სამსახურების ნუსხით გათვალისწინებული ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური.

ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე, ქ. თბილისის მერიის 16.05.05 წ. #154 განკარგულებით პროცესუალური მოწინააღმდეგე იუსიფ მ-ძე გათავისუფლდა მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96.1 მუხლის შესაბამისად, სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო მითითებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეფასების ნაწილში იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და კასატორის ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებზე:

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს დედაქალაქის თბილისის მერიის დებულება. ამავე ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის #685 ბრძანებულება «საქართველოს დედაქალაქის ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ».

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით განისაზღვრა ქ. თბილისის მერიის სტრუქტურა, რომელშიც ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური შევიდა როგორც ქ. თბილისის მერიის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მითითებას ქ. თბილისის მერიის ვალდებულებაზე, «ნორმატიული აქტების შესახებ»

კანონის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, გამოეცა #25 ბრძანება სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ და აღნიშნავს, მას შემდეგ, რაც ქ. თბილისის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური საქართველოს პრეზიდენტის #120 ბრძანებულებით შეყვანილი და გათვალისწინებული იქნა მერიის სტრუქტურაში, ქ. თბილისის მერი არ იყო უფლებამოსილი მიეღო აქტი მითითებული სამსახურის ლიკვიდაციის თაობაზე. აღნიშნული მოსაზრების განვითარების საფუძველს საკასაციო სასამართლოს აძლევს ასევე საქართველოს პრეზიდენტის იმავე ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულება», რომლის მე-12 მუხლის «ნ» ქვეპუნქტის შესაბამისადაც, ქ. თბილისის მერის უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქალაქო სამსახურის დებულების, სტრუქტურისა და სამტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცება.

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის #120 ბრძანებულება ძალაში შევიდა იმავე წლის 2 მარტს.

ქ. თბილისის მერის #25 ბრძანება სამსახურის ლიკვიდაციის თაობაზე, რომელიც საფუძველად დაედო ი. მ-ძის სამსახურიდან გათავისუფლებას, მიღებულია 2005 წლის 05 აპრილს.

ამდენად, სამსახურის ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტში ძალაში იყო საქართველოს პრეზიდენტის #120 ბრძანება, რომელიც მკვეთრად განსაზღვრავდა სამსახურების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მერის კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებს.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმას აკეთებს იმ გარემოებაზე, რომ მერიისათვის სამსახურის დებულების დამტკიცების უფლების მინიჭება, არ ნიშნავს მისთვის სამსახურის შექმნის უფლების

მინიჭებას და აღნიშნავს, სახელმწიფოებრივი მოწყობის უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. ადმინისტრაციულ ორგანოს კონკრეტული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გააჩნია საქმიანობის სამართლებრივი ინსტრუმენტი, მაგალითად, ადმინისტრაციული აქტის გამოცემის უფლება, ამასთან ამ ბერკეტის ამოქმედების პროცესში ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდულია კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს, იმოქმედოს მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო კვლავაც ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინებაში წარმოდგენილ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტული სამართალურთიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისივე აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტული მიზნის მისაღწევად. მაგრამ აქვე საკასაციო სასამართლო ხაზგასმას აკეთებს იმ გარემოებაზე, რომ მითითებული მსჯელობა არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს ნების აბსოლუტურ თავისუფლებას, ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდულია კანონისმიერი ბოჭვის ფარგლებით და არ არის უფლებამოსილი გასცეს კანონით მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებს.

საკასაციო სასამართლო ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მითითებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 31 ოქტომბრის განჩინებაზე და კასატორის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ წინამდებარე დავისაგან განსხვავებით განხილულ შემთხვევაში სადავო არ იყო საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლები, რაც პრინციპულად ცვლის განსახილველი დავის არსს.

საკასაციო სასამართლო ასევე არსებითად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ქ. თბილისის მერი იმავე დღეს, რა დღესაც აცხადებს სამსახურის ლიკვიდაციას, იღებს მეორე აქტს (ბრძანება #40), რომლითაც ამტკიცებს ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულებას, სტრუქტურასა და სამტატო ერთეულების ნუსხას. საგულისხმოა, რომ მერი მითითებული ბრძანებით ქმნის არა ახალ სამსახურს, არამედ ამტკიცებს მის დებულებას.

ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულების 1.6 მუხლის შესაბამისად, სამსახური წარმოადგენს ქ. თბილისის მერის 05.05.2005 წ. #25 ბრძანების საფუძველზე ლიკვიდირებულ ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრეს.

ზემოაღნიშნული აქტების სამართლებრივი ანალიზი საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაადასტუროს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის მართებულობა და თვლის, რომ წინამდებარე შემთხვევაში ადგილი აქვს სამსახურის ფაქტობრივ რეორგანიზაციას, რაც «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96.2 მუხლის საფუძველზე არ წარმოადგენდა მოსარჩელის უპირობო გათავისუფლების საფუძველს. კერძოდ, მითითებული მუხლის შესაბამისად (საუბარია 2006 წლის 1 იანვრამდე მოქმედ რედაქციაზე), დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. იმავე 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოხელე არ შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ იგი თანახმაა, დაინიშნოს სხვა თანამდებობაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ მოხელისათვის სხვა თანამდებობის შეთავაზება წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერ ვალდებულებას, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სააპელაციო სასამართლოს მიერ მართებულად იქნა მიჩნეული კანონდარღვევით მიღებულად, რაც წარმოადგენს მითითებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველს.

რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევიან, რაში გამოიხატებოდა მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სააპელაციო სასამართლოს მიერ ბათილდაა ცნობილი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 და არა მე-3 ნაწილის საფუძველზე, რაც სასამართლოს არ აკისრებს მხარის გადაუდებელი ინტერესის კვლევის ვალდებულებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა, არ ემყარება კანონის შესაბამის ნორმებს და არ არსებობს მისი გაზიარებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გათავისუფლება სამსახურის ლიკვიდაციის გამო

განჩინება

#ბს-941-902(კ-07)

20 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე (მოსამართლეები)

დავის საგანი: მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2007 წლის 16 თებერვლის #14 ბრძანების 22-ე პუნქტის ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ლ-იამ 2007 წლის აპრილში სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხე მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2007 წლის 16 თებერვლის #14 ბრძანების 22-ე პუნქტის ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა. მან სასარჩელო მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ 1978 წლის 19 ოქტომბრიდან სამუშაოდან დათხოვნამდე მუშაობდა მარტვილის ადგილობრივი მმართველობის რაიონულ საფინანსო სამსახურში. ბოლოს იგი მუშაობდა მთავარი სპეციალისტის საბიუჯეტო საკითხებში თანამდებობაზე. 2007 წლის 2 თებერვალს მარტვილის მუნიციპალიტეტმა დაამტკიცა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურა, რომლის მიხედვით 7-ის ნაცვლად დაშვებული იყო 6 შტატი. თანამდებობა, რომელიც მას ეკავა, დარჩა, ოღონდ ახალი სახელწოდებით, სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების საკითხებში. მოსარჩელის მოსაზრებით, მთავარი სპეციალისტი საბიუჯეტო საკითხებში და სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების საკითხებში ფუნქციურად და შინაარსობრივად იდენტური წოდებებია. მოსარჩელის მითითებით, 2007 წლის 20 მარტს განცხადებით მიმართა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელს და მოსთხოვა საფინანსო სამსახურში მისი ხელახლა დანიშვნა, რადგან თანამდებობისთვის ყველაზე შესაფერის კანდიდატურას წარმოადგენდა სპეციალისტის, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მხრივ. 2007 წლის 28 მარტის #137 წერილით მას განუმარტეს, რომ ვაკანსია 2007 წლის 16 თებერვლიდან შევსებულია, მოსარჩელისათვის სანაცვლო არაფერი არ შეუთავაზებიათ. მოსარჩელის მოსაზრებით, მის ნაცვლად დანიშნული პირი არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს. მან სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლები, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 32-ე მუხლები.

მარტვილის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებით ლ. ლ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2006 წლის 1 ოქტომბრის #01-03110136 წერილის საფუძველზე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 108-ე მუხლის თანახმად, რაიონის გამგეობებს დაევალით ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების მოსამსახურეების გაფრთხილება დაკავებული თანამდებობიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. მარტვილის რაიონის გამგებლის 2006 წლის 25 ოქტომბრის #453 წერილობითი გაფრთხილებით მოსარჩელე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 108-ე მუხლის თანახმად გაფრთხილებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ კანონით დადგენილი წესით ერთი თვით ადრე. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 65^ა მუხლის თანახმად, ამ კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებულ იქნა ამავე კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველობის ერთეული, მათ შორის, მარტვილის რაიონის გამგეობაც. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 2 თებერვლის #5/3 დადგენილებით მოხდა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს - მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო სტრუქტურის დამტკიცება. აღნიშნულის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მოსამსახურეები, მათ შორის, ლ. ლ-ია გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. ახალი საშტატო განრიგით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური განისაზღვრა 6 საშტატო ერთეულით, რაც იმას ნიშნავს, რომ გამგეობის ლიკვიდაციის შემდეგ მოხდა შტატების შემცირება. ახალ სტრუქტურაში საბიუჯეტო საკითხებში მთავარი სპეციალისტის ნაცვლად შემოღებულ იქნა სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების საკითხებში, რაც არ არის ძველი სტრუქტურით გათვალისწინებული თანამდებობის იდენტური და მას, როგორც შინაარსობრივად, ასევე ფუნქციონალურად უფრო დიდი დატვირთვა აქვს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო არ

დაეთანხმა მოსარჩელის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საფინანსო სამსახურის სტრუქტურა და თანამდებობა რომელიც მას ეკავა, არ შეცვლილა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ლ-იამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განჩინებით ლ. ლ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მარტვილის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ლ. ლ-ია 1978 წლიდან მუშაობდა მარტვილის ადგილობრივი მმართველობის რაიონული საფინანსო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე, სამუშაოდან გათავისუფლებისას იყო მთავარი სპეციალური საბიუჯეტო საკითხებში. იგი მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2007 წლის 16 თებერვლის #14 ბრძანებით «მარტვილის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის ლიკვიდაციისა და თანამშრომელთა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ» საფუძველზე სამსახურიდან იქნა გათავისუფლებული. აღნიშნული #14 ბრძანება გამგებლის მიერ გამოცემულია «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 65¹ მუხლის პირველი პუნქტისა და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე. სააპელაციო პალატამ დადგინდა ჩათვალა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2006 წლის 1 ოქტომბრის #01-03110136 წერილის საფუძველზე რაიონის გამგეობებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 108-ე მუხლის თანახმად, ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების მოსამსახურეების დაკავებული თანამდებობიდან მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ გაფრთხილება დაევალით. მარტვილის რაიონის გამგებლის 2006 წლის 25 ოქტომბრის #453 წერილობითი გაფრთხილებით ლ. ლ-ია «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 108-ე მუხლის თანახმად გაფრთხილებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან შესაძლო განთავისუფლების შესახებ. სააპელაციო სასამართლოს მიერ ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 65¹ მუხლის თანახმად ამ კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებულ იქნა «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველობის ერთეული, ე.ი. მარტვილის რაიონის გამგეობა კანონის შესაბამისად ლიკვიდირებულ იქნა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 2 თებერვლის #5/3 დადგენილებით ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ერთეულის სტრუქტურა დამტკიცდა. მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2007 წლის 16 თებერვლის #14 ბრძანებით ლ. ლ-ია დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 65¹ მუხლის პირველი პუნქტისა და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მარტვილის რაიონის გამგეობის ლიკვიდაციისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 2 თებერვლის #5/3 დადგენილების საფუძველზე მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო სტრუქტურის დამტკიცებასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ზემოხსენებულ #14 ბრძანებაში ჩამოყალიბებულია, რომ სახეზეა კანონისმიერი ლიკვიდაცია მარტვილის რაიონის გამგეობისა და «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონით ამოქმედდა და ჩამოყალიბდა მარტვილის მინიციპალიტეტის გამგეობა თავისი საშტატო სტრუქტურით. «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის შესაბამისად ჩამოყალიბებული ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს - მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის და არა სასამართლოს დისკრეტულ უფლებამოსილებას განეკუთვნება პირის ამა თუ იმ თანამდებობაზე დანიშვნა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოხდა დაწესებულების რეორგანიზაცია, ასევე, შტატების შემცირება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლის მეორე და 97-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად უსაფუძვლოა. სააპელაციო პალატამ ასევე მართებულად ჩათვალა რაიონული სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ 2007 წლის 16 თებერვლის #14 ბრძანება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, იგი კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განჩინებაზე საკასაცო საჩივარი შეიტანა ლ. ლ-იამ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება. კასატორის განმარტებით, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2007 წლის 16 თებერვლის #14 ბრძანება გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით. ეს ბრძანება არ პასუხობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც წერილობითი ფორმით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული უნდა იყოს იმ ორგანოს დასახელება, სადაც ამ აქტის გასაჩივრება იქნება შესაძლებელი, ასევე მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა. ზემოაღნიშნული ბრძანება ასევე არ აკმაყოფილებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მოთხოვნას, იგი არ შეიცავს დასაბუთებას, ხოლო დასაბუთება კი კანონის თანახმად წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს.

კასატორმა მიუთითა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის #14 ბრძანება არ არის გამოცემული გადაუდებელი აუცილებლობით და ამის დამადასტურებელი არც რაიმე სახის დოკუმენტი არ მოიპოვება საქმეში. გადაუდებელი აუცილებლობით წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების გარეშე გამოცემის შემთხვევაში წერილობითი დასაბუთება აუცილებლად უნდა გამოიცეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ერთი კვირის ვადაში, რასაც ადგილი არ ჰქონია.

კასატორის მითითებით, სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ მას არაოფიციალურად ეცნობა 2007 წლის 16 თებერვალს და ასევე არაოფიციალურად ფლობდა ინფორმაციას, რომ ხდებოდა რეორგანიზაცია და იგი ხელახლა იქნებოდა დანიშნული გარკვეულ თანამდებობაზე. გათავისუფლების შესახებ ბრძანება მას ჩაჰბარდა 2007 წლის 9 მარტს, საიდანაც მისთვის ცნობილი გახდა რომ ხდებოდა არა რეორგანიზაცია არამედ ლიკვიდაცია, რაც, მისი მოსაზრებით, კანონის დარღვევით განხორციელდა, ვინაიდან არ შექმნილა სალიკვიდაციო კომისია. კასატორმა მიუთითა ასევე, რომ მის ნაცვლად თანამდებობაზე დატოვებულ პირს მასზე ნაკლები შრომის სტაჟი და კვალიფიკაცია აქვს, არანაირი ეკონომისტის განათლება არ აქვს, რასაც მათი შრომის წიგნაკის ამონაწერები ადასტურებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ლ. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ლ. ლ-ია მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2007 წლის 16 თებერვლის #14 ბრძანების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მის გათავისუფლებას საფუძველად დაედო ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მარტვილის რაიონის გამგეობის ლიკვიდაციისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 2 თებერვლის #5/3 დადგენილება, რომელიც მიღებულ იქნა «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 65¹ მუხლის პირველი პუნქტისა და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ლ. ლ-ის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების გამოცემისას დაცულია «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 65¹ მუხლის პირველი ნაწილისა და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები. «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 65¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებულია «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეული. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო. «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად მარტვილის რაიონის გამგეობა, სადაც კასატორი მუშაობდა, ლიკვიდირებულ იქნა ზემოაღნიშნული კანონის გამოქვეყნებისთანავე. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ კასატორი გაფრთხილებული იქნა მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ კანონით დადგენილი წესით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება #14 არ არის გამოცემული კანონით დადგენილი წესით, კერძოდ, მისი გამოცემისას დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 53-ე მუხლის მოთხოვნები. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა თვლის, რომ ის გარემოება, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის სადავო ბრძანება არ შეიცავს მითითებას მისი გასაჩივრების წესის თაობაზე, არ წარმოადგენს კანონის ისეთ დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ასევე უსაფუძვლოა კასატორის მითითება იმ გარემოებაზე, რომ მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანება გამოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის დარღვევით; საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ეს ბრძანება შეიცავს ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ წერილობით დასაბუთებას. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს. მასში მითითებულია ის საკანონმდებლო აქტი და ნორმა,

რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამდენად, სადავო ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია და ლ. ლ-იას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ლ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განჩინება.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გათავისუფლება სამსახურის ლიკვიდაციის გამო

განჩინება

#ბს-832-800(კ-08) 25 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე

მ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 22 ივნისს ნ. შ-მემ სარჩელი აღძრა მარნეულის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მარნეულის რაიონის გამგეობის 2006 წლის 10 ოქტომბრის #9 ბრძანებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გაათავისუფლეს ამავე გამგეობის აპარატის მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან, სადაც მუშაობდა 1995 წლიდან, ხოლო ხსენებული ბრძანების ასლი ჩაჰბარდა 2007 წლის 7 ივნისს. მარნეულის რაიონის გამგეობის 2006 წლის 10 ოქტომბრის #9 ბრძანება იყო უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი. საქართველოში არ მომხდარა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ლიკვიდაცია და მათ შორის - არც მარნეულის რაიონში, გასაჩივრებული ბრძანებით კი მოსარჩელე გაათავისუფლეს დაწესებულების ლიკვიდაციის გამო. მოსარჩელეს არც გაფრთხილება მიუღია დაწესებულების ლიკვიდაციის შესახებ, მას გაათავისუფლების შესახებ არავინ აცნობა, ჩვეულებრივ აგრძელებდა მუშაობას დაკავებულ თანამდებობაზე 2006 წლის 17 ნოემბრამდე და იღებდა ხელფასს. თანამდებობა, საიდანაც მოსარჩელე გაათავისუფლეს, ვითომდა დაწესებულების ლიკვიდაციის გამო, იმჟამადაც იყო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში და მისი გაათავისუფლების შემდეგ ამ თანამდებობაზე მუშაობდნენ სხვა პირები. მოსარჩელეს თანამდებობაზე მუშაობის მთელ პერიოდში დარღვევა არ ჰქონია, მაღლობა გამოცხადებული ჰქონდა რამდენიმეჯერ, ხოლო 2006 წლის ივნისში ჩატარებული ატესტაციისას მხოლოდ მან მიიღო მარნეულის რაიონის საჯარო მოხელეთა ატესტაციაზე უმაღლესი შეფასება - 10 ქულა. სამსახურიდან უკანონოდ გაათავისუფლების გამო, მოსარჩელეს მიადგა გარკვეული მორალური და მატერიალური ზარალი და არ მიუღია ხელფასი, რომელიც თვეში შეადგენდა 270 ლარს. 2006 წლის ნოემბერში მოსარჩელე მუშაობდა და შესაბამისად, მიიღო თანამდებობრივი

სარგო, ხოლო 2006 წლის დეკემბერსა და 2007 წლის იანვარში გადაუხადეს კომპენსაცია, ხელფასი კი უკანონო გათავისუფლების გამო, არ მიუღია 2007 წლის თებერვლის შემდეგ, ანუ 5 თვის განმავლობაში, რაც შეადგენდა 1350 ლარს, რომელიც მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობას უნდა აენაზღაურებინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა თანამდებობიდან მისი გათავისუფლების შესახებ მარნეულის რაიონის გამგეობის 2006 წლის 10 ოქტომბრის #9 ბრძანების უკანონოდ ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა და სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება, რაც შეადგენდა 1350 ლარს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მარნეულის რაიონულ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ სარჩელი არა მარტო უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, არამედ დაუშვებელიც იყო. შესაგებლის ავტორმა მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველ პუნქტზე და განმარტა, რომ ნ. შ-მეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - მარნეულის რაიონის გამგეობის 2006 წლის 10 ოქტომბრის #9 ბრძანება ჩაჰბარდა არა 2007 წლის 7 ივნისს (როგორც თავად მიუთითებდა სარჩელში), არამედ იგი დაზღვეული ფოსტით გაეგზავნა 2007 წლის 1 თებერვალს, რომელიც მარნეულის ფოსტის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, იმავე წლის 4 თებერვალს გადაეცა ადრესატის ოჯახის წევრს, ანუ ხსენებული ბრძანების გასაჩივრების ერთთვიანი ვადის ათვლა დაიწყო 2007 წლის 4 თებერვალს (და არა 7 ივნისს) და დასრულდა იმავე წლის 4 მარტს. შესაბამისად, ამ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადა მოსარჩელის მიერ გაშვებულ იქნა. მოსარჩელე ნ. შ-მემ 2007 წლის 19 ივნისს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიმართა განცხადებით, რომელშიც აღნიშნა, რომ მისთვის ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ბრძანება არ მიუღია და ითხოვა ხსენებული ბრძანების ხელზე გაცემა, მაშინ, როდესაც მოსარჩელემ მიუთითა, რომ იმავე ბრძანების ასლი მას 2007 წლის 7 ივნისს ჩაჰბარდა. აღნიშნული განცხადების პასუხად, ნ. შ-მეს წერილობით ეცნობა, რომ მას დაზღვეული ფოსტით გაეგზავნა აღნიშნული ბრძანების ასლი და დამატებით, კიდევ ერთხელ გადაეცა მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც თან ერთვოდა ფოსტის მიერ გაცემული ცნობის ასლი. მოსარჩელეს, ლიკვიდაციის საფუძველზე გათავისუფლებასთან დაკავშირებით, 2006 წლის 18 დეკემბერს, კომპენსაციის სახით, მიღებული ჰქონდა 2 თვის თანამდებობრივი სარგო, რაც მეტყველებდა იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელისათვის გადაწყვეტილება მისი გათავისუფლების შესახებ ცნობილი იყო 2007 წლის 7 ივნისამდე გაცილებით ადრე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაგებლის ავტორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა განაცდურთან დაკავშირებული მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვა სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელ პერიოდში მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება, რაც შეადგენდა 2530 ლარს.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მარნეულის რაიონის გამგეობის 2006 წლის 10 ოქტომბრის #9 ბრძანება მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და მოპასუხე მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა, იმავე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, საქმეზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; მოპასუხეს დაევალა მოსარჩელისთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან მოსარჩელესთან მიმართებაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დღემდე.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ და 96-ე მუხლები. რაიონულმა სასამართლომ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 და მე-60¹ მუხლების პირველ ნაწილებზე და მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დარღვეული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიეღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთმეჯერების საფუძველზე. იმავე კოდექსის მე-2 მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოცემულიყო ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, როგორც თვით ამ აქტით და მხარეთა განმარტებებით დგინდებოდა, გამოცემული იყო «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 65¹ მუხლის საფუძველზე, ხოლო ხსენებული კანონი საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ იქნა 2006 წლის 10 ნოემბერს და ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე. მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება კი გამოიცა აღნიშნულიდან ერთი თვით ადრე - 2006 წლის 10 ოქტომბერს, ანუ იმ დროს, როდესაც მასში მითითებულ სამართლებრივ საფუძველს არ ჰქონდა კანონის ძალა. ყოველივე ხსენებული მეტყველებდა იმაზე, რომ მითითებული

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ იყო გამოცემული ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დარღვეული იყო, აგრეთვე, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, მოხელეს ერთი თვით ადრე უნდა ცნობებოდა დაწესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების, ატესტაციის არადამაკმაყოფილებელი შედეგების ან ასაკის გამო გათავისუფლების შესახებ. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომელსაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, ეკისრებოდა მტკიცების ტვირთი, სასამართლო სხდომაზე ვერ წარმოადგინა დაწესებულების ლიკვიდაციის შესახებ მოსარჩელის გაფრთხილების დამადასტურებელი მტკიცებულება, მოსარჩელის განმარტებით კი, მას ასეთი გაფრთხილება არ მიუღია.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლისა და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა უფლება, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განეხორციელებინა რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება მიღებული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონითა და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლებისათვის დადგენილი პროცედურული საკითხების უგულვებელყოფით, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა სცილდებოდა სასამართლოს კომპეტენციას და იგი ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, მოცემულ შემთხვევაში, გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და სადავო საკითხის - მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის გადაუწყვეტლად, ბათილად ყოფილიყო ცნობილი მარნეულის რაიონის გამგეობის 2006 წლის 10 ოქტომბრის #9 ბრძანება და მოპასუხეს დავალებოდა, იმავე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ყველა გარემოების შესწავლის შემდეგ, მოსარჩელესთან მიმართებაში გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. იმავე დროს, მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე პერიოდის იძულებითი განაცდურის ხელფასის სახით, რადგან ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მუშაკის გათავისუფლება სამსახურიდან, ხოლო მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ ბრძანება იმჟამად ბათილად იყო ცნობილი და ხელფასის გაუცემლობის საფუძველი არ არსებობდა.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 აპრილის განჩინებით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მარნეულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებულ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო კანონიერი და, შესაბამისად, არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველები. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ზ» ქვეპუნქტი, 65-ე მუხლი, სამოქალაქო კოდექსის 90-ე და 52-ე მუხლები. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა - ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტი, მე-5, მე-60¹, 96-ე მუხლები, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილი. გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით - არ იქნა შესრულებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების მოთხოვნები, რამაც არასწორი განჩინების მიღება გამოიწვია.

კასატორის მტკიცებით, ასევე არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» და «ე¹» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლები – გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. გასაჩივრებულ განჩინებაში არაფერია მითითებული სააპელაციო საჩივრის საფუძვლებსა და გარემოებებზე. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მარნეულის რაიონის გამგეობასა და მოსარჩელე ნ. შ-ძეს შორის არსებობდა ადმინისტრაციული ხელშეკრულება. ამ რაიონის გამგებელმა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დაუკავშირა ამავე რაიონის გამგეობის ლიკვიდაციას, რომელიც უნდა მომხდარიყო «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 65¹ მუხლით გათვალისწინებულ ვადებში. ამდენად, ფაქტობრივად, დაიღო სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ პირობითი გარეგება, რომლის თანახმადაც, შრომითი ურთიერთობები უნდა შეწყვეტილიყო დაწესებულების ლიკვიდაციისას. ამ შემთხვევაში, მარნეულის რაიონის გამგებელი უფლებამოსილი იყო, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე, შეეწყვიტა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა ხელშეკრულების შეწყვეტის გზით, რა დროსაც გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული და სამოქალაქო კოდექსების ნორმები.

კასატორის განმარტებით, «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 65¹ მუხლი გასაჩივრებული ბრძანების გამოცემის დროისათვის მიღებული იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მარნეულის რაიონის გამგეობამ ნ. შ-ძისა და სხვათა სამსახურიდან დათხოვნა (შრომითი ხელშეკრულების მოშლა) დაუკავშირა ჯერ კიდევ უცნობ მოვლენას – შესაძლო ლიკვიდაციას, ხოლო თუ არ მოხდებოდა ლიკვიდაცია, არ შეწყდებოდა შრომითი ურთიერთობებიც. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. შ-ძესთან შრომითი ურთიერთობა, ფაქტობრივად, შეწყდა ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ. არც პირველ და არც სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებს ამ გარემოებებზე არ უმსჯელიათ. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამორკვევა-შეფასებისა და დასაბუთების გარეშე. დაუსაბუთებელია ასევე სასამართლოს დასკვნა განაცდურის ანაზღაურების შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, ნ. შ-ძეს არ უნდა აუნაზღაურდეს განაცდური, რადგან მან თავისი უმოქმედობით ხელი შეუწყო განაცდურის ვადის მისთვის გახანგრძლივებას – თუ მას საკომპენსაციო თანხის გადაცემისას არ გადასცეს სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანება, შეეძლოს მაშინვე მოეთხოვა იგი და გაერკვია, რის საფუძველზე გაიცა საკომპენსაციო თანხა. სასამართლოს არ გაურკვევია, ახალი აქტის გამოცემის რა იურიდიული ინტერესი შეიძლება ჰქონოდა ნ. შ-ძეს, რა ადგილი შეიძლება მისთვის შეეთავაზებინათ ლიკვიდირებულ ორგანოში, რა განაცდურზე იყო საუბარი ლიკვიდაციის შემდეგ ან რამდენად იყო უფლებამოსილი მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამოეცა ახალი აქტი ლიკვიდირებული გამგეობის ნაცვლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 28 ივლისის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 9 ოქტომბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2008 წლის 20 ნოემბერს, 11.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

აკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მარნეულის რაიონის გამგეობის 2006 წლის 10 ოქტომბრის #9 ბრძანებით, «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 65¹ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნ. შ-ძე გათავისუფლდა მარნეულის რაიონული გამგეობის მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან. მარნეულის რაიონის გამგეობის 2006 წლის 10 ოქტომბრის #119 ბრძანების თანახმად, «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 65¹ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე განისაზღვრა, რომ რაიონული გამგეობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით უნდა განხორციელებულიყო რაიონული გამგეობის თანამშრომელთა გათავისუფლება და მათთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება სალიკვიდაციო ღონისძიებების დასრულებამდე; ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილ თანამშრომელთა შრომითი

ანაზღაურება უნდა განსაზღვრულიყო იმავე ოდენობით, რა ოდენობაც იყო დადგენილი ლიკვიდაციის საფუძველზე გათავისუფლებამდე; მარნეულის რაიონული გამგეობის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, უნდა შექმნილიყო მარნეულის რაიონული გამგეობის სალიკვიდაციო კომისია და აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა ხსენებული სალიკვიდაციო კომისიის შემადგენლობა. მარნეულის რაიონული გამგეობის (ყოფილი გამგეობის) 2008 წლის 28 ნოემბრის სალიკვიდაციო აქტის თანახმად, მარნეულის რაიონული გამგეობის (ყოფილი გამგეობის) სალიკვიდაციო კომისიამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, 2006 წლის 10 ოქტომბრიდან 2006 წლის 28 ნოემბრამდე პერიოდში შეასრულა მარნეულის რაიონული გამგეობის სალიკვიდაციო სამუშაოები.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია 2006 წლის 11 ოქტომბრის შრომითი ხელშეკრულება (კონტრაქტი), რომლის მხარეებს წარმოადგენდნენ, ერთი მხრივ - მარნეულის რაიონული გამგეობის სალიკვიდაციო კომისია, მისი თავმჯდომარე - ა. შ-ძის სახით, ხოლო, მეორე მხრივ - ნ. შ-ძე, თუმცა აღნიშნული ხელშეკრულება არ ამოქმედებულა, ვინაიდან იგი არ ყოფილა ხელმოწერილი ნ. შ-ძის მიერ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოწინააღმდეგე მხარის, ნ. შ-ძის მოსაზრებას, რომ განხორციელდა მარნეულის რაიონის გამგეობის არა ლიკვიდაცია, არამედ - ორგანიზაცია, რის გამოც არ არსებობდა მის მიმართ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 65¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებულია «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეული. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონით განსაზღვრული რაიონის, იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, გამგებელი (მერი) ან მისი მოვალეობის შემსრულებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს სალიკვიდაციო აქტებს და ახორციელებს «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და რაიონის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სხვა სალიკვიდაციო ღონისძიებებს 2006 წლის 15 დეკემბრამდე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 65¹ მუხლის პირველი პუნქტით «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებულ იქნა «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეული. ამდენად, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოსარჩელის მითითებას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა მარნეულის რაიონის გამგეობის რეორგანიზაცია და არა ლიკვიდაცია და მიუთითებს, რომ რაიონის გამგეობის ლიკვიდაციის საკითხი პირდაპირ არის განსაზღვრული კანონით. ამასთან, სასამართლო ვერ შეიჭრება ადმინისტრაციული ორგანოს კანონით მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებაში, სასამართლოს შეუძლია მხოლოდ შეამოწმოს, თუ რამდენად კანონიერად განახორციელა ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი დისკრეციული უფლებამოსილება, ანუ მოცემულ შემთხვევაში - ადგილობრივი მმართველობის ორგანოსა და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეულის ლიკვიდაცია.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, მართალია, სწორად დაადგინა, რომ ნ. შ-ძე მარნეულის რაიონის გამგეობის 2006 წლის 10 ოქტომბრის #9 ბრძანებით მარნეულის რაიონის ლიკვიდაციამდე გათავისუფლდა თანამდებობიდან, მაგრამ არ დაადგინა, თუ როდის დასრულდა მარნეულის რაიონში გამგეობის ლიკვიდაცია. საგულისხმოა, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ორგანული კანონის 65¹ მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და რაიონის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სხვა სალიკვიდაციო ღონისძიებების 2006 წლის 15 დეკემბრამდე დასრულებას, თუმცა სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლისა და მე-19 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, არ დაადგინა, თუ კონკრეტულად როდის გამოსცა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამგებელმა მარნეულის რაიონის გამგეობის სალიკვიდაციო აქტი.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე დაავალა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობას ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომ არ იმსჯელა, თუ რამდენად უფლებამოსილი იყო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ლიკვიდირებული მარნეულის რაიონის გამგეობის ნაცვლად და გადაეწვიტა ნ. შ-ძის დასაქმების საკითხი, მაშინ, როდესაც მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს საჯარო მოხელის სამუშაოზე მოწყობის სპეციალურ წესს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილშიც, რადგან სააპელაციო სასამართლომ ისე დაადგინა მოპასუხისათვის ნ. შ-ძის სასარგებლოდ განაცდური ხელფასის ანაზღაურება, სამსახურიდან

გათავისუფლების დღიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, რომ არ იმსჯელა, თუ როდემდე ეკუთვნოდა ნ. შ-ძეს იძულებითი განაცდური ხელფასი - ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, თუ მარნეულის რაიონის გამგეობის ლიკვიდაციამდე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს და აღნიშნულ გარემოებას არც მხარეები ხდიან სადავოდ, რომ ნ. შ-ძეს მიღებული აქვს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, სამსახურიდან გათავისუფლებისას მისაღები 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით საკომპენსაციო თანხა. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმის მასალებით არ დგინდება, თუ როდემდე აქვს მიღებული ნ. შ-ძეს ხელფასი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ზუსტად უნდა დაადგინოს, თუ რომელ რიცხვამდე აქვს მიღებული ნ. შ-ძეს ხელფასი და გამოიკვლიოს, როდის დასრულდა მარნეულის რაიონის გამგეობის ლიკვიდაცია, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, ვინაიდან სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში, სწორედ ხსენებულ ფარგლებში უნდა იმსჯელოს სასამართლომ ნ. შ-ძისათვის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს არ განუმარტავს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 108-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა (განთავისუფლება გაფრთხილების გარეშე) წარმოშობს მხოლოდ კომპენსაციის მიღების უფლებას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის «გ» და «ე» ქვეპუნქტებისა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე¹» ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი - სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე¹» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სამსახურიდან გათავისუფლება ატესტაციის შედეგების გამო

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

#ბს-1001-958(კ-07)

14 თებერვალი, 2008 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ჩინჩალაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 14 ნოემბრის #276-კ, 2005 წლის 20 დეკემბრის #309 ბრძანებებისა და ატესტაციის შედეგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 14 დეკემბერს ც. გ-შვილმა, გ. დ-მემ, შ. ხ-იამ, გ. ქ-მემ, რ. გ-უამ, მ. ჯ-მემ და ც. კ-შვილმა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ და მოითხოვეს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 14 ნოემბრის #276-კ, 2005 წლის 20 დეკემბრის #309 ბრძანებებისა და ატესტაციის შედეგების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს და მოითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით ც. გ-შვილის, გ. დ-მის, შ. ხ-იას, გ. ქ-მის, რ. გ-უას, მ. ჯ-მისა და ც. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ც. გ-შვილის, გ. დ-მის, შ. ხ-იას, გ. ქ-მის, რ. გ-უას, მ. ჯ-მისა და ც. კ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩატარებული ატესტაციის შედეგები მოსარჩელებთან მიმართებაში; ბათილად იქნა ცნობილი სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 14 ნოემბრის #276-კ ბრძანება «საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ჩატარებული ატესტაციის შედეგების საფუძველზე მოხელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გაფრთხილების თაობაზე» მოსარჩელებთან მიმართებაში; ბათილად იქნა ცნობილი სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის #309-კ ბრძანება «საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ჩატარებული ატესტაციის შედეგების საფუძველზე მოხელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ» მოსარჩელებთან მიმართებაში; მოსარჩელები: გ. ქ-მე, რ. გ-უა, მ. ჯ-მე და შ. ხ-ია აღდგენილ იქნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვებისა და ქონების მართვის სამმართველოში მთავარ სპეციალისტებად; მოსარჩელები: ც. გ-შვილი და ც. კ-შვილი აღდგენილ იქნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიული განვითარებისა და ანალიტიკურ სამმართველოში მთავარ სპეციალისტებად; მოსარჩელე გ. დ-მე აღდგენილ იქნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს საფინანსო სამმართველოში მთავარ სპეციალისტად; მოპასუხე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება დღიდან მათი სამსახურიდან გათავისუფლებისა მოსარჩელების სამსახურში აღდგენამდე პერიოდში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებანი. შესაბამისად, იგი არასწორ სამართლებრივ დასკვნამდე მივიდა, როდესაც განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის #309-კ ბრძანება გამოცემული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მთელი მტკიცების ტვირთი დააკისრა მოსარჩელებს, მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17.2 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით წარდგენილ სარჩელებზე მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, როგორც საქალაქო სასამართლოს, ასევე მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება, რომ ატესტაცია ჩატარდა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 მარტის #174 ბრძანებულების მე-9 მუხლით, ასევე ამ ბრძანებულების საფუძველზე სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 4 ოქტომბრის #2-227 ბრძანებით დამტკიცებული სოფლის მეურნეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების

მე-6 მუხლით დადგენილი იყო, რომ კომისიის სხდომაზე უნდა გაფორმებულიყო ოქმი. ატესტაციის მიმდინარეობის ერთ-ერთი პროცედურა მოხელეებთან გასაუბრების - ინტერვიუს ჩატარება იყო. აღნიშნული განხორციელებული უნდა ყოფილიყო კომისიის სხდომაზე, რაც აისახებოდა შესაბამის ოქმში და ხელმოწერილი იქნებოდა თავმჯდომარისა და დამსწრე კომისიის წევრების მიერ. სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ოქმები არასრულყოფილი იყო და ისინი არ ასახავდა გასაუბრების მიმდინარეობას, არსებით მომენტებს, სხდომის დაწყებასა და დამთავრებას, დამსწრე პირების შეკითხვებს, პასუხებს, შენიშვნებს, რითაც შეუძლებელი იყო დავის საგნის დადგენა, რამდენად მოხდა გასაუბრების დროს ატესტაციის მიზნის - მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობის და პირადული თვისებების დაკავებული თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

უფრო მეტიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმეში წარდგენილი ოქმები იმდენად არასრულყოფილი იყო, რომ ჩნდებოდა საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ იგი შედგენილი იყო არა უშუალოდ გასაუბრების დროს, არამედ - გაცილებით უფრო გვიან.

დაფიქსირებული იყო სხვა სახის დარღვევებიც, კერძოდ:

ა) საატესტაციო კომისიის წევრი ჯ. ე-მე ხელს არ აწერდა შვიდივე მოსარჩელის პიროვნული შეფასების კრიტერიუმების შედეგებს, თუმცა, ამავე დროს, ხელს აწერდა ოქმებსა და დასკვნებს;

ბ) კომისიას არ ესწრებოდა ც-აია, მაგრამ იგი ხელს აწერდა ოქმს;

გ) კომისიის სხდომის ოქმებში ყველგან მდივნად მითითებული იყო მ. დ-მე, მაგრამ იგი მას ხელს არ აწერდა;

დ) #1 სხდომის ოქმში ი-შვილი კომისიის წევრად იყო მითითებული, ხოლო ბოლოში კი - სხდომის თავმჯდომარის მოადგილედ;

ე) ჯ-ერი 2005 წლის 15 ოქტომბრამდე კომისიის წევრი იყო, თუმცა მისი ხელმოწერა არ იყო საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის #1 ოქმზე, რომელიც 13 ოქტომბრითაა დათარიღებული.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ოქმი უფრო გვიან, უკანა რიცხვით ხომ არ იქნა შედგენილი, რადგან ჯ-ერი იმ დროს აშშ-ში გაემგზავრა და, ამდენად, იგი ოქმზე ხელს ვერ მოაწერდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 4 ოქტომბრის #2-227 ბრძანებით დამტკიცებული «საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების» მე-10.9 მუხლით განისაზღვრა, რომ კომისია ვალდებული იყო, მოტივირებული დასაბუთებით მოემზადებინა დასკვნა თითოეული მუხლის მიმართ (ატესტაციაგავლილი პირი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ექვემდებარება დაწინაურებას, ჩამოკვეთილებას თუ არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას), რაც უნდა გაფორმებულიყო სხდომის ოქმის სახით. მოწინააღმდეგე მხარემ სასამართლოს წარუდგინა საბოლოო დასკვნები მოსარჩელეთა დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის თაობაზე, ხოლო, რაც შეეხება დებულებით იმპერატიულად განსაზღვრულ კომისიის ვალდებულებას დასკვნას მოტივირებული დასაბუთების თაობაზე, კომისიის მიერ არ იქნა შესრულებული და შესაბამისად, სამინისტრომ იგი სასამართლოს ვერ წარუდგინა.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, არ შეესაბამება სინამდვილეს მოწინააღმდეგე მხარის მტკიცება იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2005 წლის 4 ნოემბრის შემაჯამებელ სხდომის ოქმში #3 ასახულია თითოეული მოხელის მიმართ დასაბუთებული დასკვნა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებული იყო ემტკიცებინა აქტის შესაბამისობა კანონთან, რაც სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოპასუხემ ვერ შეძლო. მან ვერ წარადგინა სასამართლოში მტკიცებულებები, თუ როგორი წესით ან რის საფუძველზე ხდებოდა მოსარჩელეთა მენეჯერული უნარ-ჩვევების, წერილი კომუნიკაციის უნარის, ანალიზის უნარის ან პერსპექტივის, დამატებითი განათლების მიღების შეფასება.

უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლო მოწმეთა (მერი დოკაძე, იმპურგი მეფარიშვილი, თამარ ზედგინიძე) დაკითხვის შემდეგ, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 2005 წლის 18 ოქტომბერს 16 საათიდან 18 საათამდე პერიოდში ჩატარებულ კომისიის სხდომას, როდესაც ხდებოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეებთან, კონკრეტულად კი წარმოდგენილ 7 მოსარჩელესთან გასაუბრება, კვორუმი არ არსებობდა. გასაუბრებას ესწრებოდა საატესტაციო კომისიის მხოლოდ 2-3 წევრი (მოწმეთა და მხარეთა ახსნა-განმარტების შედეგად, კომისიის ორი წევრის: მ. ი-შვილის და გ. ც-აიას იდენტიფიცირება მოხდა, რომლებიც ნამდვილად ესწრებოდნენ და წარმართავდნენ მოსარჩელებთან გასაუბრების პროცესს), მაშინ, როდესაც კომისიის შემადგენლობაში 7 წევრი იყო. ამრიგად, გასაუბრებები ტარდებოდა კვორუმის არარსებობის პირობებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, გაურკვეველი იყო, თუ რით ხელმძღვანელობდა საატესტაციო კომისია მოსარჩელებთან მიმართებაში, როდესაც მან დაასკვნა, რომ ისინი არ შეესაბამებოდნენ დაკავებულ თანამდებობას. თუ კომისიის წევრთა 2/3 არ ესწრებოდა გასაუბრებას, გაუგებარია, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით მივიდა კომისიის წევრთა ხსენებული უმრავლესობა აღნიშნულ დასკვნამდე, რადგან საქმეში წარმოდგენილი დანართი II-ის მიხედვით, უშუალო უფროსები დადებითად ახასიათებდნენ მოსარჩელებს და უთითებდნენ, რომ ისინი შეესაბამებოდნენ დაკავებულ თანამდებობას და ზოგიერთი მათგანი დაწინაურებასაც იმსახურებდა.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებდა, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 4 ოქტომბრის #2-227 ბრძანებით დამტკიცდა «საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება» დანართი #1 დანართ #2-თან ერთად. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ატესტაციის დაქვემდებარებულ მოხელეთა შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობებთან კომისიამ მოახდინა მის მიერვე 2005 წლის 13 ოქტომბრის სხდომაზე, წინასწარ განსაზღვრული და მიღებული შეფასების კრიტერიუმების - დანართი #3 და დანართი #4-ის მიხედვით. ხსენებული დებულების შესაბამისად, კომისია არ იყო უფლებამოსილი, შეექმნა ახალი შეფასების კრიტერიუმები. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია სამინისტროს წარმომადგენლის მოსაზრება, რომ დებულების მე-2.2 მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილი იყო, შეფასების დამატებითი კრიტერიუმები შემოეღო, რადგან საპელაციო სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს უფლება, განახორციელოს ისეთი ქმედება, რისი უფლებაც მას კანონით მინიჭებული არ აქვს.

ადმინისტრაციულმა ორგანომ (საატესტაციო კომისია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე იყო შექმნილი და იგი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2.1 მუხლის «ა» პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებდა თავის უფლებამოსილებას) ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე დაასკვნა, რომ მოსარჩელები არ შეესაბამებოდნენ დაკავებულ თანამდებობებს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, ატესტაციის ჩატარების დროს საატესტაციო კომისიამ კანონმდებლობა დაარღვია, რითაც შეილახა მოსარჩელეთა უფლებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩატარებული ატესტაციის შედეგები მოსარჩელებთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, უკანონო იყო აგრეთვე სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 14 ნოემბრის #276-კ ბრძანება «საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ჩატარებული ატესტაციის შედეგების საფუძველზე მოხელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გაფრთხილების თაობაზე» მოსარჩელებთან მიმართებაში. საატესტაციო კომისიის დასკვნები იყო არაობიექტური (არ იყო გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებანი) და, შესაბამისად, ხსენებულ მოხელეთა გაფრთხილებასაც სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ (როგორც თანამდევნი შედეგი) არ ჰქონდა არანაირი სამართლებრივი საფუძველი, რითაც დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.5 მუხლი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებსა და არგუმენტებზე, რომლებიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, ამ ნაწილშიც სარჩელი საფუძველიანია და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.1 მუხლის მიხედვით, გასაჩივრებული ბრძანება მოსარჩელებთან მიმართებაში ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ასევე უკანონოა «საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ჩატარებული ატესტაციის შედეგების საფუძველზე მოხელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ» სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის #309-კ ბრძანება მოსარჩელებთან მიმართებაში.

სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევდა, რომ მინისტრს ხსენებული ბრძანების გამოცემამდე ცალკე ადმინისტრაციული წარმოება არ ჩატარებია, არამედ გასაჩივრებული ბრძანება სრულად ეფუძნებოდა საატესტაციო კომისიის დასკვნებს. მინისტრი ვალდებული იყო, შეეფასებინა კომისიის მიერ წარდგენილი დასკვნა და ემსჯელა, რეალურად არსებობდა თუ არა მოსარჩელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი, რაც მას არ გაუკეთებია.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ იყო, თავისი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, რომლებიც არ იყო სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი. ამავე კოდექსის მე-5 და 96.2 მუხლების თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც საფუძველად დაედება ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული. მინისტრი დაეყრდნო საატესტაციო კომისიის დასკვნებს, რომლებიც, თავის მხრივ, იყო უკანონო, რის გამოც გასაჩივრებული ბრძანებაც უკანონოა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, ამ ნაწილშიც სარჩელი საფუძველიანია და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.1 მუხლის მიხედვით, გასაჩივრებული ბრძანება მოსარჩელებთან მიმართებაში ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127.5 მუხლის მიხედვით, მოსარჩელები: გ. ქ-მე, რ. გ-უა, მ. ჯ-მე და შ. ხ-ია აღდგენილ უნდა იქნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვებისა და ქონების მართვის სამმართველოში მთავარ სპეციალისტებად; მოსარჩელები: ც. გ-შვილი და ც. კ-შვილი აღდგენილ უნდა იქნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიული განვითარებისა და ანალიტიკურ სამმართველოში მთავარ სპეციალისტებად; მოსარჩელე გ. დ-მე

აღდგენილ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საფინანსო სამმართველოში მთავარ სპეციალისტად.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა გათავისუფლების უკანონოდ ცნობა და ხელფასის ანაზღაურება, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელებმა კიდევაც მოითხოვეს. აღნიშნულის გამო, მოპასუხე - სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოსარჩელების სასარგებლოდ უნდა დაეკისროს იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება დღიდან მათი სამსახურიდან გათავისუფლებისა მოსარჩელების სამსახურში აღდგენამდე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულიად უსაფუძვლოდ არ იქნა გაზიარებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტებები ატესტაციის კანონიერად ჩატარების თაობაზე და სოფლის მეურნეობის მინისტრის #2-227 ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების მე-6 მუხლის მოთხოვნები კომისიის სხდომაზე ოქმის გაფორმების თაობაზე ასევე ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე იქნა მიჩნეული დარღვეულად.

სასამართლომ რატომღაც ოქმად არ მიიჩნია საქმეში არსებული საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომისა და მოხელეებთან გასაუბრების ოქმები, რომლებშიც აღწერილ იქნა არა მარტო კომისიის სხდომების, არამედ ატესტაციის სხვა პროცედურების, კერძოდ, გასაუბრებების მიმდინარეობა და უგულვებელყო ის გარემოება, რომ ოქმების დეტალიზაციის ხარისხი კომისიის დებულების არც ერთი ნორმით არ ყოფილა დადგენილი და არც კითხვა-პასუხის (ინტერვიუს) დეტალური ასახვის სამართლებრივი ვალდებულება გააჩნდა კომისიას.

სასამართლოს მიერ, კასატორის აღნიშვნით, არ იქნა მითითებული არც ერთი ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც კომისიას გასაუბრების ოქმების დეტალური, ან თუნდაც არადეტალური შედგენის ვალდებულება ჰქონდა.

კასატორი აღნიშნავდა, რომ გასაუბრების მიზანი იყო, მოხელის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება და მოხელის შესახებ ახალი ინფორმაციის მოგროვება სისტემატიზებული ფორმით, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედებოდა კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებას. თვით გასაუბრების ოქმში ცალსახადაა აღნიშნული, რომ კომისიის წევრები მოხელის მიერ შევსებულ ანკეტაში არსებული ინფორმაციის დაზუსტებისა და სრულყოფის მიზნით შეკითხვებს უსვამდნენ გასაუბრების მონაწილეებს მათი განათლების, კვალიფიკაციის, შრომითი გამოცდილების, დაკისრებული მოვალეობებისა და ფუნქციების, დამსახურებებისა და პიროვნული თვისებების შესახებ. გასაუბრებისას შემოწმებულ იქნა, აგრეთვე, მოხელეთა მენეჯერული უნარ-ჩვევები, ზეპირი კომუნიკაციისა და ანალიზის უნარი, კომისიის მიერ თითოეული თანამშრომლის შესახებ დამატებითი განათლების მიღების პერსპექტივისა და ზოგადად პიროვნული შთაბეჭდილებების შეფასების მიზნით, დასმული იქნა აგრეთვე სხვადასხვა დამატებითი შეკითხვები.

გარდა ამისა, თვით გასაუბრების ოქმში არაორაზროვნადაა აღნიშნული, რომ «გასაუბრების შედეგად მიღებული მონაცემები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომას». კომისიის სხდომა კი, კასატორის მითითებით, კომპლექსურად ახდენდა არა მხოლოდ გასაუბრებაზე დამსახურებული ცალკეული წევრების შეფასებების გაანალიზებასა და დაჯამებას, არამედ იხილავდა მოხელისა და მისი ხელმძღვანელის მიერ შევსებულ #1 და #2 დანართებს. მოხელეების მიერ შედგენილ დოკუმენტებს, გასაუბრებაზე კომისიის წევრების მიერ გაკეთებულ აღნიშვნებსა და შენიშვნებს თითოეულ მოხელესთან დაკავშირებით გამოვლენილ შეუსაბამობებსა და უზუსტობებს და ა.შ. და მხოლოდ ამ შინაარსის სხდომის (4-6 ნოემბრის სხდომის) ჩატარების შემდგომ მიიღო კომისიამ საბოლოო დასკვნები და რომ ეს პროცესი, ანუ შემაჯამებელი სხდომა 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სწორედ თითოეული მოხელის შესახებ არსებული ინფორმაციის სიმრავლიდან გამომდინარე და იმ დოკუმენტებისა და დასკვნების მოცულობებიდან გამომდინარე, რისი გაანალიზებაც განხორციელდა 4, 5 და 6 ნოემბერს და სწორედ ამიტომ დასჭირდა ამ პროცესს კომისიის ინტენსიური საქმიანობა 3 დღის განმავლობაში.

შესაბამისად, კასატორის მითითებით, როდესაც განმცხადებლები თავიანთი #კოლ-102 განცხადებით (17.11.2005) ითხოვდნენ ოქმებს, მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე, კომისიამ მათ გადასცა კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი - 4-6 ნოემბრის ოქმი.

ზოგიერთი განცხადება საერთოდ არანაირი დოკუმენტის გადაცემის მოთხოვნას არ შეიცავდა. მაგალითად, 22 ნოემბრით დათარიღებული განცხადება #კოლ-107, ასევე, 17 ნოემბრით დათარიღებული #კოლ-99, ისინი, მხოლოდ ჩატარებული ატესტაციის პროცესის კანონშესაბამოზაზე საუბრობენ, მაგრამ რაიმე დოკუმენტის, მათ შორის, გასაუბრების ოქმების გადაცემას არ ითხოვენ.

კასატორის აღნიშვნით, მოხელეებს არასდროს მოუთხოვიათ გასაუბრების ოქმები, ხოლო სასამართლომ როგორც კი მოითხოვა, სამინისტრომ დაუყოვნებლივ წარუდგინა მას გასაუბრების ყველა ოქმი (გასაუბრების ოქმი #1-17.10.05; #2-18.10.05; #3-19.10.05; #4-20.10.05; #5-27.10.05; #6-4.11.05).

გასაუბრების ოქმებში მითითებულია, როდის და რომელ საათზე დაიწყო გასაუბრების პროცედურა, კომისიის რომელი წევრები ესწრებოდნენ გასაუბრებას, რომელმა მოხელეებმა და რა თანამიმდევრობით გაიარეს გასაუბრება. მართალია, ოქმებში არ არის შეტანილი მოხელეებთან გასაუბრების კითხვა-პასუხების სტენოგრამა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ არ გააკეთა კომისიამ, რომ ამისი გაკეთების ვალდებულება მას არ ეკისრებოდა არც ერთი ნორმატიული აქტით. ასეთი ვალდებულება რომელიმე აქტში რომ ყოფილიყო დაფიქსირებული, კომისია მას განუხრელად დაიცავდა.

არც ერთ მოხელეს არც სექტემბრის და არც ოქტომბრის თვეების განმავლობაში არ შეუნიშნავთ არანაირი დარღვევა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მხრიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სწორედ სექტემბერ-ოქტომბრის თარიღებით შეიტანდნენ განცხადებებს კომისიისა თუ მინისტრის სახელზე და ეს განცხადებები სასამართლოშიც იქნებოდა წარდგენილი.

მთელი ატესტაციის პროცესი, რომელიც სექტემბრიდან ნოემბრამდე გრძელდებოდა, ასევე, თითოეული მისი ცალკეული პროცედურა (ატესტაციის გამოცხადება, კომისიის წევრების დანიშვნა, დოკუმენტაციის წარდგენა, გასაუბრება, შედეგების შეჯამება კომისიის სხდომებზე და ა.შ.). ჩატარდა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, კასატორის აზრით, იარსებებდა რომელიმე მოხელის თუნდაც ერთი საჩივარი, დათარიღებული სექტემბრის ან ოქტომბრის თვეებით.

კასატორის აღნიშვნით, პირველი საჩივარი მხოლოდ 14 ნოემბრის ბრძანების გამოცემიდან რამდენიმე დღეში გამოჩნდა და ლოგიკურია, რომ ატესტაციის შედეგებით უკმაყოფილო მოხელეებმა დაიწყეს მთელი პროცესის კანონიერების გაპროტესტება, რადგანაც ისინი საბოლოო შედეგით იყვნენ უკმაყოფილო.

კასატორის მითითებით, გასაუბრების ოქმი იყო სრულიად სხვა დოკუმენტი, ხოლო კომისიის სხდომის ოქმი კი - სრულიად სხვა.

კომისიის სხდომის ოქმს, კომისიის დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები, ხოლო გასაუბრების ოქმს ხელს აწერს მხოლოდ კომისიის მდივანი.

შესაბამისად, მათ მიერ სასამართლოსათვის წარდგენილ იქნა კომისიის სხდომის 5 ოქმი (#1-13.10.05; #2-15.10.05; #3-4 - 6.11.05; #4-30.11.05; #5-9.12.05), რომლებსაც ყველას ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები და ასევე მოხელეებთან გასაუბრების 6 ოქმი (#1-17.10.05; #2-18.10.05; #3-19.10.05; #4-20.10.05; #5-27.10.05; #6-4.11.05), რომელზეც ხელს აწერს მხოლოდ კომისიის მდივანი.

კასატორის აღნიშვნით, მათ მიერ სასამართლოს ასევე წარედგინა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის 4 ბრძანება (#1-12.10.05 - კომისიის შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე; #2-13.10.05 - კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნის თაობაზე; #3-13.10.05 - კომისიის მდივანად მ. ღ-მის დანიშვნის თაობაზე; #4-15.10.05 - კომისიის წევრ გ. ჯ-ერისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე). თუმცა, კასატორის აზრით, სასამართლოს მიერ სრულყოფილად არ იქნა ისინი გაანალიზებული

კასატორის მითითებით, სასამართლომ აგრეთვე არასწორი შეფასება მისცა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს და მიიჩნია, რომ კომისიას მათი დადგენის არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა. აღნიშნული მსჯელობით სასამართლომ კიდევ ერთხელ მისცა არასწორი შეფასება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, ვინაიდან საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ, რომელიც მოქმედებდა დებულებით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და ასრულებდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით ატესტაციისათვის განსაზღვრულ პირობებს, მისი კომპეტენციის ფარგლებში წარმართა ატესტაციადაქვემდებარებულ პირთა შესაფასებელი პროცედურა, კერძოდ, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 81-ე მუხლის პირველი პუნქტი ატესტაციის ცნებას განმარტავს, როგორც მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირადული თვისების დაკავებული (ან დასაკავებელი) თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებას.

იმავე დებულებას შეიცავს საქართველოს პრეზიდენტის #174 ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ფუნქციას პიროვნების პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაფასებელი პროცედურის წარმართვა. აღნიშნული დებულება ასევე მეორდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების მე-2 მუხლშიც.

აღსანიშნავია, რომ კომისიას, კასატორის აღნიშვნით, არ დაურღვევია კანონმდებლობა, როცა მან თავის პირველ სხდომაზე დაიწყო მზადება პროცესის დაწყებისათვის და ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები. კომისიას ხომ ზემოდასახელებული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ავალდებუნენ «პიროვნების პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაფასებელი პროცედურის წარმართვას», შესაბამისად, კომისიამ მხოლოდ და მხოლოდ ამ ფუნქციის ზედმიწევნით ორგანიზებულად და სრულყოფილად განხორციელების მიზნით, დააზუსტა ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეთა სია.

კომისიის დებულებით დამტკიცებული იყო ორი დანართი: დანართი #1 მოხელის განათლების, კვალიფიკაციისა და მუშაობის გამოცდილების აღწერის და დანართი #2 - მოხელის დახასიათების.

კასატორს მიაჩნია, რომ ეს ორი დანართი, თავისთავად, არ წარმოადგენს რაიმე ნორმატიული ხასიათის დოკუმენტს, ისინი უბრალოდ არიან დამხმარე ფორმები, ანუ ბლანკები, რომელთა მეშვეობითაც კომისია შეაგროვებდა მაქსიმალურ ინფორმაციას მოხელის განათლების, კვალიფიკაციისა და მუშაობის გამოცდილების შესახებ. ასევე, მიიღებდა მოხელის უშუალო უფროსის შეხედულებებს მოხელის შესახებ.

კომისიის დებულება, კასატორის მითითებით, არის ნორმატიული აქტი, ანუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი და მისი თითოეული პუნქტის შესრულება სავალდებულოა, რადგან ისინი ადგენენ მნიშვნელოვან და სავალდებულო ხასიათის ქცევის წესებს, ანუ ნორმებს კომისიისათვის, თუ როგორ უნდა იმუშაოს მან, მაგრამ აღნიშნული დებულების #1 და #2 დანართები, თავისთავად, არ წარმოადგენს ნორმატიული ხასიათის დოკუმენტებს, ისინი წარმოადგენენ ბლანკებს ანუ ფორმებს, რომელთა მეშვეობით კომისია აგროვებს ინფორმაციას.

მოხელის მიერ შევსებულ #1 დანართში შეტანილი ინფორმაციის გადამოწმება და გაანალიზება ხდებოდა გასაუბრებაზე და კომისიის წევრები ახდენდნენ მოხელის განათლების, კვალიფიკაციისა და მუშაობის გამოცდილების შეფასებას იმ მრავალრიცხოვანი შეკითხვებით, რასაც გასაუბრებაზე უსვამდნენ მოხელეებს.

თუმცა, ამ დანართებში თავმოყრილი ინფორმაცია არ იყო საკმარისი კომისიაზე დაკისრებული ფუნქციის - «პირის პროფესიული ცოდნის, ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირადული თვისებების შეფასების პროცედურის» წარმართვისათვის, რადგან კომისიას, ფაქტობრივად, არ გააჩნდა რაიმე ფორმით/ბლანკზე გამოხატული ინფორმაცია პირის ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადული თვისებების შესახებ, შესაბამისად, იგი ვერ შეძლებდა თავისი დასკვნა დაეფუძნებინა კონკრეტული მოხელის არა მხოლოდ პროფესიული და კვალიფიკაციის გაანალიზების პროცედურაზე, არამედ ყოველმხრივ და სრულყოფილად გამოეკვლია მოხელის სხვა პირადი ჩვევები, შესაძლებლობები და პირადული თვისებები და ასევე, მათი გაანალიზება დაედო დასკვნის საფუძველად. დასკვნა კი, დებულების მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, არსებობს ხუთგვარი და შესაბამისად, კასატორის აღნიშვნით, როგორ უნდა დაასკვნას კომისიამ, რომ ესა თუ ის მოხელე ექვემდებარება დაწინაურებას.

კომისიამ თავის პირველ სხდომაზე მიიღო #3 და #4 დანართები, თუმცა აღნიშნულით რაიმე ახალი და უცხო ნორმა კი არ დაადგინა, არამედ ორგანიზებული ფორმა მისცა «პირის ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადული თვისებების» განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, ხოლო #3 დანართი უბრალოდ წარმოადგენს ბლანკს, რომელშიც კომისიის წევრებს თავისი შეფასება შეჰქონდათ და ამით გაადვილებული იყო ქულათა დაჯამება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კასატორისათვის გაუგებარია, რა ფორმით უნდა მოეხდინა კომისიას მოხელეთა ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადული თვისებებების შეფასება.

კასატორი აღნიშნავდა, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ #4 დანართით მხოლოდ სამ ნაწილად დაყო ყველა შეფასების კრიტერიუმები, ანუ სამ ჯგუფში გაერთიანა ისინი და კომისიას არ დაუდგენია არანაირი ახალი შინაარსის კრიტერიუმები თუ მოთხოვნები.

რამდენადაც კომისიის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კომისიის ფუნქცია იყო «პირის პროფესიული ცოდნის, ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირადული თვისებების შეფასების პროცედურის წარმართვა», კომისიამ დასახელებული ხუთი მიზნიდან, გამოყო ორი ტიპის, ანუ ორი ჯგუფის თვისებები: ა) პროფესიული, რომელშიც გაერთიანდა პროფესიული ცოდნა და კვალიფიკაცია და ბ) პიროვნული, რომელშიც გაერთიანდა ზოგადად მოხელის ჩვევები, შესაძლებლობები და პირადული თვისებები.

კომისია ვერ და არ შეისწავლიდა და შეაფასებდა მოხელის ყველა ჩვევას, შესაძლებლობასა თუ პირადულ თვისებას. კომისიას უნდა შეესწავლა და შეეფასებინა მოხელის მხოლოდ ის ჩვევები, შესაძლებლობები და პირადული თვისებები, რომელთაც მნიშვნელობა ექნებოდათ მოხელეზე დაკისრებული ფუნქციური მოვალეობების წარმატებულად და ეფექტურად შესრულებისათვის.

რაც შეეხება #3 დანართს, კასატორის აღნიშვნით, კომისიას აღნიშნული დანართის დამტკიცებით არ დაუდგენია არანაირი ახალი ნორმა ან მოთხოვნა. იგი წარმოადგენს მხოლოდ ბლანკს ანუ ფორმას, სადაც კომისიის წევრების მიერ მიცემული შეფასებები შეიტანებოდა. ასევე, საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ #4 დანართის მიღებითაც კი არ შეიმუშავა და შემოიღო რაიმე ახალი ნორმები თუ მოთხოვნები, არამედ იგი, დაეყრდნო რა #1 და #2 დანართების შესაბამისი პუნქტების საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას, სამ პირობით ჯგუფად გაყო #1 და #2 დანართების ქვეპუნქტებით მიღებული ინფორმაცია მოხელის შესახებ, რისი ერთადერთი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ შეფასების პროცედურის ორგანიზებულად და ეფექტურად წარმართვა იყო, რომელი ფუნქციაც მას კანონმდებლობით ჰქონდა დაკისრებული.

კასატორის აღნიშვნით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონმდებლობა კომისიების ფუნქციებთან და უფლებამოსილებებთან დაკავშირებით და მოცემული საქმის გარემოებათა ყოველმხრივი შესწავლის გარეშე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

კასატორის მითითებით, სასამართლომ ყოველგვარი სამართლებრივი არგუმენტირებული მოტივაციის გარეშე ცნო ბათილად სოფლის მეურნეობის მინისტრის #309-კ (20.12.2005) ბრძანება, რომელიც წარმოადგენს ისეთ ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც გამოცემულია კანონთან სრულ შესაბამისობაში, ეფუძნება ყოველმხრივ გამოკვლეულ და შესწავლილ გარემოებებს, შესაბამისად, დაცულია ამ ადმინისტრა-

ციული აქტის მომზადებისა და გამოცემის კანონით დადგენილი წესი და ცხადია, რომ არ არსებობს ამ ბრძანების ბათილობის კანონისმიერი საფუძველი.

სასამართლომ სამართლებრივად ვერ დასაბუთა ვერც ერთი არგუმენტი, რომელიც ატესტაციის მსვლელობისას მისი ჩატარების წესისა და პროცედურის თუნდაც უმნიშვნელო დარღვევას დაადასტურებდა.

სასამართლომ ადმინისტრაციული აქტის ფორმალური კანონიერების შემოწმებისას უგულვებელყო მისი გამოცემის სამართლებრივი და ფაქტობრივი წანამდებრები და ყოველგვარი დასაბუთებისა და შესაბამის გარემოებებზე მითითების გარეშე ცნო ბათილად სოფლის მეურნეობის მინისტრის #309-კ ბრძანება, რომელიც გამოცემულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძოდ, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 98-ე მუხლის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო - ატესტაციის შედეგების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში კანონი დაწესებულებისაგან ითხოვს მხოლოდ მოხელის ერთი თვით ადრე გაფრთხილებას სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, როდესაც მიუთითა, რომ ოქმებში მითითებული უნდა იყოს შემფასებლების მოტივაციები, ის, თუ რით იქნა დასაბუთებული, ვინ გაირა, ვინ ვერ გაირა ატესტაცია და რატომ.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არასწორად განმარტა აგრეთვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლი, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად არის დარღვეული მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, «ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში კი, კასატორის აღნიშვნით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ არც კანონის და არც სხვა რაიმე ნორმატიული აქტის მოთხოვნები დარღვეული არ ყოფილა და, შესაბამისად, არანაირი საფუძველი არ არსებობდა სადავო აქტის ბათილად ცნობისათვის.

კასატორი მიიჩნევდა, რომ სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული სასამართლოს არგუმენტები ატესტაციის არსებითი დარღვევით ჩატარების შესახებ, ვინაიდან, არც ერთი ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს ატესტაციის ჩატარებისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიების საქმიანობის წესსა და პირობებს, არ კრძალავს არასამუშაო დღეების წინა დღეს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის მოწვევასა და მასზე გადაწყვეტილებების, მათ შორის, კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე, მიღებას. მით უფრო, რომ აღნიშნული კრიტერიუმებით არ იქნა წამოყენებული რაიმე დამატებითი მოთხოვნა კანონის, საერთაშორისო შეთანხმების ან სხვა ნორმატიული აქტის ცოდნის შესახებ, ანუ არაფერი არ იყო ახალი და გაუგებარი, რაც რაიმე დამატებით მომზადებას საჭიროებდა და კრიტერიუმები ერთი დღით, კვირით, თუ თვით ადრე ეცოდინებოდათ კონკურსსანტებს, შეფასებაზე ვერანაირად ვერ იმოქმედებდა.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს, არ იმსჯელა და სათანადოდ არ შეაფასა კონკრეტული დავის არსი და შესაბამისი სამართლებრივი დასაბუთებისა და ყოველგვარი მოტივაციის გარეშე მიიჩნია სარჩელი საფუძველიანად.

კასატორის მითითებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროში კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით გამოცხადდა ატესტაცია; ასევე, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების მე-3 და მე-5 მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით დაინიშნენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები; სამინისტროს აპარატის მოხელეები; კომისიის დებულების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ატესტაციის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე იქნენ ინფორმირებულნი ატესტაციის ჩატარების თარიღის შესახებ; ყველა მოხელემ და მათმა ხელმძღვანელმა ატესტაციის ჩატარებამდე კომისიას წარუდგინა დებულების მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად შევსებული #1 და #2 დანართები; კომისია შეიკრიბა რა მის პირველ სხდომაზე (სხდომის ოქმი #1-13.10.05), დააზუსტა ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეთა სია, რითაც დაიცვა დებულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, კომისიამ ასევე შეადგინა ატესტაციის ჩატარების გრაფიკი და გამოაკრა იგი სამინისტროს შენობაში გასაცნობად; კომისიამ ასევე გამოყო სამინისტროს შენობაში ატესტაციის ჩატარების ადგილი - კოლეგიის სხდომათა დარბაზი; გარდა ამისა, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ატესტაციის გასაუბრების ფორმით ჩატარების თაობაზე, რითაც აღასრულა კომისიის დებულების მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა; დებულების მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი ითვალისწინებდა საპატიო მიზეზით მოხელის ატესტაციაზე გამოუცხადებლობის შესაძლებლობას და კომისიამაც განუხრელად დაიცვა ეს მოთხოვნა; ვინაიდან კომისიამ მოხელეებთან გასაუბრების პროცედურა კი არ დაამთავრა 17-20 ოქტომბერს, არამედ 3 მოხელესთან გასაუბრება გადადო და განახორციელა 27 ოქტომბერს, ხოლო 1 მოხელესთან გასაუბრება კი 4 ნოემბერს. რამდენადაც დასახელებული 3 მოხელე 17-20 ოქტომბრამდე სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფებოდა, ხოლო 1 მოხელე სასწავლო მივლინებით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. სწორედ ეს ორი მივლინება გახდა იმის მიზეზი, რომ გასაუბრების პროცედურები 20 ოქტომბერს კი არ დასრულდა, არამედ 4 ნოემბრამდე გაგრძელდა და ვიდრე ბოლო მოხელემ არ გაირა გასაუბრების პროცედურა,

კომისიამ არ დაადგინა ატესტაციის საბოლოო შედეგი და ამ მოქმედებითაც, კასატორის აღნიშვნით, კომისიამ განუხრელად დაიცვა დებულების მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნები.

სასამართლოს ხელთ არსებული საქმის მასალებიდან, კასატორის აზრით, არ მტკიცდება, რომ რომელიმე კომისიის წევრს რაიმე საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა განსხვავებული აზრი ან, რომ იგი არ ეთანხმებოდა კომისიის რომელიმე გადაწყვეტილებას, შესაბამისად, არც ერთ წევრს განსხვავებული მოსაზრება არ დაურთავს სხდომის ოქმისათვის და არც სასამართლო პროცესების მსვლელობისას განუცხადებია რომელიმე კომისიის წევრს, რომ მას ჰქონდა ასეთი განსხვავებული აზრი და არ მოხდა მისი ასახვა კომისიის სხდომის ოქმში და არც მოსარჩევეებს წარმოუდგენიათ სასამართლოსათვის მსგავსი მტკიცებულებები.

მოხელეებთან გასაუბრებისა თუ კომისიის სხდომების მიმდინარეობა აღწერილია გასაუბრების 6 და კომისიის სხდომების 5 ოქმში, რის საფუძველზეც 4-6 ნოემბრის შემაჯამებელი სხდომის ოქმის #2 დანართით, თითოეულ მოხელეზე მოტივირებული დასაბუთებით, შედგა დასკვნა, რომელიც გაფორმდა სხდომის ოქმის სახით, მას ხელი მოაწერეს კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის თითოეულმა წევრმა, რითაც, კასატორის აღნიშვნით, განუხრელად იქნა დაცული კომისიის დებულების მე-10 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების მოთხოვნები.

კომისიამ საბოლოო შედეგების შეჯამებიდან (6 ნოემბრიდან) ერთი კვირის ვადაში ყველა შედეგი წარუდგინა სოფლის მეურნეობის მინისტრს, რითაც ზუსტად შეასრულა კომისიის დებულების მე-10 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნები, ხოლო მინისტრმა ატესტაციის ჩატარებიდან ერთი თვის განმავლობაში მიიღო გადაწყვეტილება მოხელის წახალისების, დაწინაურების, დაკავებულ თანამდებობაზე დატოვების, ჩამოქვეითების ან სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რასაც ადასტურებს მინისტრის 2005 წლის 14 ნოემბრის #276-კ ბრძანება «საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ჩატარებული ატესტაციის შედეგების საფუძველზე მოხელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გაფრთხილების თაობაზე», რითაც სამინისტროს მხრიდან განუხრელად იქნა დაცული კომისიის დებულების მე-10 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ პროცესუალური მოწინააღმდეგეები სულ 7 ფიზიკური პირი წარმოადგენდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებს, რომლებსაც სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 10 ოქტომბრის #2-234 ბრძანების საფუძველზე ჩაუტარდათ ატესტაცია და ატესტაციის შედეგებზე მითითებით იმავე სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის ბრძანებით გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან.

ზემოაღნიშნულმა ფიზიკურმა პირებმა სადავოდ გახადეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2005 წლის 4-6 ნოემბრის შემაჯამებელი ოქმი #3, სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 14 ნოემბრის #276-კ ბრძანება - სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ჩატარებული ატესტაციის შედეგების საფუძველზე მოხელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გაფრთხილების თაობაზე და მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის ბრძანება #309-კ - სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ჩატარებული ატესტაციის შედეგების საფუძველზე მოხელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, მათ ნაწილში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული აქტები ეწინააღმდეგებოდა კანონს, არსებითად იყო დარღვეული მათი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რის გამოც მითითებული აქტები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი.

კასატორი - სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ ეთანხმება სასამართლოს შეფასებას ზემოაღნიშნულ აქტებთან მიმართებაში და თვლის, რომ სასამართლოს მოტივაცია მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

საკასაციო სასამართლომ კასატორის მოთხოვნის საფუძველზე შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შედეგადაც საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას სადავო ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებთან მიმართებაში და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული აქტების შეფასებისას მართებულად გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და სწორად შეუსაბამა მითითებული კოდექსის ნორმები განსახილველ სამართლებრივ ურთიერთობას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება არის მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის სავალდებულო კომპონენტი. კომისიის გადაწყვეტილება არის იურიდიული ფაქტი, რომელსაც ეფუძნება ადმინისტრაცია გადაწყვეტილების მიღებისას. მიუხედავად იმისა, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისია წარმოადგენს მინისტრის ბრძანების საფუძველზე

დამტკიცებულ ე.წ შიდაქვედანაყოფს, მას უდავოდ გააჩნია კანონმდებლობით განსაზღვრული გარკვეული უფლებამოსილება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ შემთხვევაში უფლებამოსილებები ერთგვარად გაიმიჯნა, კერძოდ, საკონკურსო-საატესტაციო კომისია უფლებამოსილია გამოიტანოს სავალდებულო გადაწყვეტილება, მაგრამ მოკლებულია შესაძლებლობას ადასრულოს იგი. შესაბამისად, ორგანიზაციის ხელმძღვანელი (მინისტრი) უფლებამოსილია ადასრულოს გადაწყვეტილება, მაგრამ არ არის უფლებამოსილი გამოიტანოს გადაწყვეტილება კონკრეტული კანდიდატის ატესტირების შედეგების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას მინისტრის დისკრეციის ნაწილში და თვლის, რომ მინისტრი მოკლებულია უფლებამოსილებას თანამდებობაზე დანიშნოს ის პირი, რომელმაც არ ან ვერ გაიარა კონკურსი ან ატესტირების საფუძველზე დაექვემდებარა თანამდებობიდან გათავისუფლებას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მინისტრის დისკრეცია თანამდებობაზე დანიშნოს ან გაათავისუფლოს პირი ამ შემთხვევაში არ არის აბსოლუტური და იგი ეფუძნება კომისიის გადაწყვეტილებას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი აქტი ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას და მისი კანონიერების შემოწმება უნდა მოხდეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნული მსჯელობა საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების შეფასებისას სასამართლომ მართებულად მიუთითა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან აქტის გამოცემისას ფორმალური და მატერიალური კანონიერების დაცვის სავალდებულობაზე.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სასამართლოს მსჯელობას მოხელეთა ატესტაციის პროცედურის კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით ჩატარების თაობაზე და აღნიშნავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 81-ე მუხლის საფუძველზე, მოხელის ატესტაცია არის მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობის და პირადი თვისებების დაკავებულ (ან დასაკავებელ) თანამდებობასთან წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. ამდენად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ გარემოების დადგენა, რამდენად შეესაბამება ესა თუ ის პირი დაკავებულ თანამდებობას, რა შემთხვევაშიც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებას.

საკასაციო სასამართლო ცალსახად ადასტურებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოხელის შეფასება წარმოადგენს კომისიის დისკრეციას, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მოხელე მოკლებულია უფლებას მოითხოვოს მის მიერ გაცემული პასუხებისადმი შეფასების ობიექტური კრიტერიუმის გამოყენება.

«საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების» მე-12 მუხლის შესაბამისად, დავა, რომელიც წარმოიშობა ატესტაციის შედეგების გამო, შეიძლება გასაჩივდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

იმ ვითარებაში, როდესაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილი არ იქნა არცერთი დოკუმენტი, რომელიც ასახავს გასაუბრების მიმდინარეობას, დასმულ შეკითხვებსა და მათზე გაცემულ პასუხებს, გაუგებარი ხდება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის კონტროლის რა მექანიზმი რჩება თუნდაც იმავე ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, რომლის გამოყენების შესაძლებლობასაც არ გამოორიგხავს დებულების ზემოაღნიშნული მუხლი. და რაც, თავის მხრივ, ართმევს სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისა და იმის დადგენის შესაძლებლობას, თითოეული მოხელის შეფასებისას იყო თუ არა განმსაზღვრელი მოხელის პროფესიონალიზმი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას და ადასტურებს, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მხრიდან დარღვეულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების 6.4 და 10.9 მუხლების მოთხოვნები. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ოქმები შედგენილია მითითებული ნორმების უგულვებელყოფით. საქმეში წარმოდგენილია აპარატის მოხელეებთან წარმოებული გასაუბრების ოქმები, რომელშიც ასახული არ არის გასაუბრების პროცედურა, ოქმს ხელს აწერს მხოლოდ კომისიის მდივანი, ოქმი შეიცავს ზოგად მითითებას იმის თაობაზე, რომ გასაუბრების შედეგად მიღებული მონაცემები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომას.

საქმეში დაცული სხდომის ოქმების ანალიზი საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს ოქმის შეფასების ნაწილში დაეთანხმოს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და თვლის, რომ გაურკვეველია, სად ჰყოფა ასახვა საბოლოო მონაცემებმა, შეფასების პროცესში რა კრიტერიუმებს ეფუძნებოდა კომისია და რას დაეყრდნო იგი გადაწყვეტილების მიღებისას. რაც საკასაციო სასამართლოს აძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ საკითხის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომაზე განხილვა ატარებდა ფორმალურ ხასიათს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას წარმოდგენილი ოქმების სრულყოფილების თაობაზე და აღნიშნავს, მართალია, ოქმის წარმოების პროცედურა მკვეთრად გაწერილი არ არის დებულებით, მაგრამ ოქმის დანიშნულებას და მისი წარმოების სამართლებრივ მიზანს წარმოადგენს სხდომის მსვლელობის აღწერა და იმ ფაქტების დეტალიზაცია, რასაც ადგილი

ჰქონდა სხდომაზე. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმეში წარმოდგენილია მშრალი, არაინფორმაციული ხასიათის გასაუბრების ოქმები, რომლებიც არ იძლევიან გასაუბრების პროცესის ანალიზის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო განმეორებით მიუთითებს რა კომისიის სრულ უფლებამოსილებაზე დამოუკიდებლად განსაზღვროს მოხელის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან, იმავდროულად არსებითად მიიჩნევს თითოეული მოხელისათვის უზრუნველყოფილი და იმთავითვე ცნობილი იყოს გასაუბრების თემატიკა და შეფასების კონკრეტული საფუძველი, რომელთა არარსებობაც სასამართლოს მხრიდან მიჩნეულ უნდა იქნეს მოხელეთა უფლებების უხეშ დარღვევად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მოხელეთა თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში და მიუთითებს შემდეგზე: «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ატესტაციას ექვემდებარება მოხელე 3 წელიწადში ერთხელ; მოხელე, რომელიც წამოყენებულია სამსახურებრივი დაწინაურებისათვის; რეზერვში ჩარიცხული პირი; კანდიდატი მოხელის თანამდებობაზე, თუ თანამდებობა კონკურსის წესით უნდა დაიკავოს.

მოსარჩელები სადავოდ არ ხდიან მათი ატესტაციისადმი დაქვემდებარების საკითხს, წინამდებარე სარჩელის საფუძველს არ წარმოადგენს მითითება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელები უკანონოდ დაექვემდებარენ ატესტაციას. ის გარემოება, რომ ატესტაცია ჩატარდა პროცედურული წესების დარღვევით, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ იძლევა მითითებული პირების ატესტაციის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველს, რა თვალსაზრისითაც საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოსარჩელეთა სამსახურში უპირობო აღდგენას და თვლის, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2005 წლის 4-6 ნოემბრის შემაჯამებელი სხდომის ოქმი #3 მოსარჩელეთა მიმართ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალოს, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონისა და «საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ» სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნათა შესაბამისად ატესტაციის ჩატარების გზით, მოახდინოს მოსარჩელეთა შეფასება, გასაუბრების შედეგების გათვალისწინებითა და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის #309-კ ბრძანებას, საკასაციო სასამართლო, იმის გათვალისწინებით, რომ მითითებულ ბრძანებას საფუძვლად უდევს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დასკვნა, რომელიც ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა გამო ექვემდებარება ბათილობას, ხოლო რაიმე სხვა გარემოება ხსენებული ბრძანების გამოცემას საფუძვლად არ დასდებია, მიიჩნევს, რომ სახეზეა მითითებული ბრძანების მოსარჩელეთა გათავისუფლების ნაწილში ბათილად ცნობის საფუძველი. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ ბრძანება მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სასამართლოს მიერ ბათილდაა მიჩნეული, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37.1 მუხლისა და ამავე კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სახეზეა ადმინისტრაციის მხრიდან მოსარჩელებზე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების კანონისმიერი ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო ძირითადად ადასტურებს რა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებისა და შეფასებების მართებულობას, იმავდროულად არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას მოსარჩელეთა სამსახურში უპირობო აღდგენის ნაწილში, რის გამოც თვლის, რომ საქმეზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით, მიღებულ უნდა იქნას ახალი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. ც. გ-შვილის, შ. ხ-იას, რ. გ-უას, ც. კ-შვილის, მ. ჯ-ძის, გ. დ-ძის და გ. ქ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2005 წლის 4-6 ნოემბრის შემაჯამებელი ოქმი #3 მოსარჩელეთა მიმართ და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალოს, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონისა და «საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების» მოთხოვნათა შესაბამისად ჩატაროს ატესტაცია,

გასაუბრების შედეგებისა და საქმისათვის არებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

5. ბათილად იქნეს ცნობილი ატესტაციის შედეგების საფუძველზე მიღებული საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 14 ნოემბრის #276-კ ბრძანება - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ჩატარებული ატესტაციის შედეგების საფუძველზე მოხელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გაფრთხილების თაობაზე;

6. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის ბრძანება #309-კ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ჩატარებული ატესტაციის შედეგების საფუძველზე მოხელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მოსარჩელეთა ნაწილში და მოპასუხეს დაევალოს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ატესტაციის შედეგების, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელეთა მიმართ, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

7. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისროს განაცდური ხელფასის ანაზღაურება ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე;

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება ატესტაციის შედეგების გამო

განჩინება

#ბს-886-848(3კ-07)

6 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ჩინჩალაძე,

ლ. ლაზარაშვილი

სარჩელის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 29 აგვისტოს მ. გ-ძემ, მ. გ-შვილმა, ო. კ-ძემ და მ. ჯ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების - ფინანსთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მ. გ-ძე და ო. კ-ძე მუშაობდნენ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო «დასავლეთის» საბაჟო გაფორმების ქუთაისის განყოფილების ინსპექტორებად, ხოლო მ. გ-შვილი - რეგიონალური საბაჟო «დასავლეთის» საბაჟო გაფორმების ქუთაისის განყოფილების უფროს ინსპექტორად. ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 11 აგვისტოს #403-კ ბრძანების საფუძველზე მ. გ-ძე, ო. კ-ძე და მ. გ-შვილი გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან. ფინანსთა სამინისტროს რეგიონალური საბაჟო «დასავლეთის» საბაჟო გაფორმების ქუთაისის განყოფილებაში ინსპექტორად მუშაობდა მ. ჯ-შვილიც, რომელიც დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 9 აგვისტოს #395-კ ბრძანების საფუძველზე.

მოსარჩელებმა სამსახურიდან მათი გათავისუფლების შესახებ ბრძანებები უკანონოდ მიიჩნიეს და განმარტეს, რომ სამსახურიდან მათ გათავისუფლებას წინ უძღოდა ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ 2006 წლის 30 ივლისს ჩატარებული ატესტაცია-გასაუბრება, რომლის საფუძველზეც 2006 წლის 1 აგვისტოს შედგა ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის #42 სხდომის ოქმი, რომლითაც გადაწყდა მოსარჩელების გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან. მოსარჩელები არ დაეთანხმნენ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ხსენებულ გადაწყვეტილებას და აღნიშნული გადაწყვეტილება ფინანსთა სამინისტროს საპრეტენზიო კომისიაში გაასაჩივრეს. ხსენებულმა საპრეტენზიო კომისიამ კი თავისი გადაწყვეტილებით, რომელიც დაფიქსირდა 2006 წლის 8 აგვისტოს #8 სხდომის ოქმში, არ დააკმაყოფილა არც ერთი მათგანის პრეტენზია, თუმცა ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ეთხოვა მ. გ-შვილის სხვა დაბალ თანამდებობაზე, ხოლო მ. ჯ-შვილის სხვა თანამდებობაზე შესაძლო დანიშვნის საკითხის განხილვა.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 9 აგვისტოს #395-კ და იმავე წლის 11 აგვისტოს #403-კ ბრძანებები, ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2006 წლის 1 აგვისტოს #42 და იმავე სამინისტროს საპრეტენზიო

კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს #8 სხდომის ოქმები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, იმავე კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილი იყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად დარღვეული იყო მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

მოსარჩელეთა განმარტებით, ზემოხსენებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადებისა და გამოცემისას დარღვეული იყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის კანონით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, დარღვეული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლები. სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არ იყო დასაბუთებული და მათი გამოცემისას არ იყო გარკვეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, კერძოდ, მართალია, საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ გასაუბრების შედეგად 2006 წლის 1 აგვისტოს #42 სხდომის ოქმის შესაბამისად მიიღო მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება, თუმცა გაურკვეველი და დაუსაბუთებელი იყო, რა კრიტერიუმებით ისარგებლა კომისიამ ხსენებული გადაწყვეტილების მიღებისას. საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილება კი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა პრეტენზიები, არ შეიცავდა სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებას, რითაც საპრეტენზიო კომისიამ ზემოაღნიშნული ნორმების გარდა, დაარღვია «საქართველოს საბაჟო ორგანოში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის იმპერატიული მოთხოვნა, განეხილა პრეტენზიები განსაზღვრულ დროში და საკონკურსო-საატესტაციო კომისიისათვის წარედგინა სამართლებრივად სრულყოფილი დასკვნა.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 9 აგვისტოს #395-კ და იმავე წლის 11 აგვისტოს #403-კ ბრძანებების მიღების საფუძვლად მითითებული იყო ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულება». აღნიშნული დებულება დაედო სამართლებრივ საფუძვლად, აგრეთვე, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2006 წლის 1 აგვისტოს #42 და საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს #8 სხდომის ოქმებს, მაშინ, როდესაც სწორედ ხსენებული დებულების მოთხოვნები უგულბებლყოფილ იქნა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გასაუბრების ჩატარებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დროს, ასევე საპრეტენზიო კომისიის მიერ, მოსარჩელეთა პრეტენზიების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების და ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ - შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დროს.

მოსარჩელებმა ასევე აღნიშნეს, რომ ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულების» მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს ატესტაციის შესახებ ეცნობებოდა ერთი თვით ადრე მაინც, იმავე დებულების მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, მოხელეს ატესტაციის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე ეცნობებოდა არადაამაკმაყოფილებელი შედეგის გამო სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. იმავე მოთხოვნას ითვალისწინებდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 108-ე მუხლიც, რომლის თანახმად, მოხელეს ერთი თვით ადრე ეცნობებოდა ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

მოსარჩელეთა განმარტებით, კანონმდებლობის ზუსტი მითითების მიუხედავად, ერთი თვით ადრე გაეფრთხილებინათ მოხელე ატესტაციისა და ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგის გამო სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, მოსარჩელები აღნიშნულის თაობაზე ერთი თვით ადრე არ გაუფრთხილებიათ, რაც ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულების» უხეშ დარღვევასა და შესაბამისად, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულების» მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ატესტაცია შეიძლება ჩატარებულიყო მხოლოდ გასაუბრების გზით, მაგრამ იმავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, გასაუბრების გზით ხდებოდა მოხელის მხოლოდ ცოდნის დონისა და კვალიფიკაციის შემოწმება, ხოლო მოხელის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება, ხსენებული დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უნდა მომხდარიყო სპეციალური მეთოდის მიხედვით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა, ასეთი სპეციალური მეთოდიკა შესაბამისი კომისიის მიერ შემუშავებულიც კი არ იყო.

მოსარჩელეთა განმარტებით, ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულების» 33-ე მუხლის თანახმად, გასაუბრებას ესწრებოდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელიც საკონკურსო-საატესტაციო კომისიას წარუდგენდა მოხელის

დახასიათებასა და ანგარიშს მოხელის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა, რითაც დაირღვა ზემოხსენებული დებულებით გასაუბრებისთვის გათვალისწინებული წესი.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2006 წლის 1 აგვისტოს #42 და საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს #8 სხდომის ოქმები შედგენილი იყო ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულების» დარღვევით და არც ერთი მათგანი არ შეიძლება მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი ყოფილიყო. ხსენებული დებულების 34-ე მუხლის თანახმად, გასაუბრების შემდეგ კომისია ახდენდა მოხელის შეფასებას მის დაუსწრებლად. მოხელის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება კი ხდებოდა გამოყენებული მეთოდის მიხედვით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამ შემთხვევაში, ერთეულოვანი ატესტაციის ჩატარებისას, კომისიის თითოეული წევრი მოხელეს აფასებდა 10-ქულიანი სისტემით, რის შემდეგაც ხდებოდა საშუალო ქულის გამოთვლა, რომელიც ენიჭებოდა მოხელეს. 10-ქულიანი სისტემა შედგებოდა ორი კომპონენტის ჯამისაგან: მოხელის პროფესიული ცოდნის დონის შეფასება - 5 ქულა და მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების ხარისხისა და პროფესიული ცოდნის დონის შეფასება - 5 ქულა. მოსარჩელეთა განმარტებით, ზემოხსენებული არც ერთი კანონიერი მოთხოვნა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2006 წლის 1 აგვისტოს სხდომაზე არ გაუთვალისწინებია. აღნიშნულ სხდომაზე შედგენილი #42 ოქმის შესაბამისად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას რეკომენდაცია გაუწია მოსარჩელეთა დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების თაობაზე, თუმცა ხსენებული ოქმის მიხედვით შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ რა შეფასება მისცეს კომისიის წევრებმა თითოეულ მათგანს და რამდენი ქულა მიენიჭა მათ გასაუბრების შედეგად. მოსარჩელებმა ასევე უკანონოდ მიიჩნიეს საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც ყოველგვარი დასაბუთებისა და განმარტების გარეშე, არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა განცხადებები, რითაც დაირღვა ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულების» მე-7 მუხლი. მოსარჩელებიდან - მ. გ-მე და მ. ჯ-შვილი პირველად 2004 წლის 2 აგვისტოს გაათავისუფლეს სამსახურიდან, რომლებიც 2006 წლის 20 იანვარს სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე აღდგენილ იქნენ ფინანსთა სამინისტროს რეგიონალური საბაჟო «დასავლეთის» საბაჟო გაფორმების ქუთაისის განყოფილების ინსპექტორის თანამდებობაზე, თუმცა თანამდებობაზე დანიშვნის მიუხედავად, მ. გ-მესა და მ. ჯ-შვილს არ მიეცათ დაკავებულ თანამდებობაზე განსაზღვრული მოვალეობების შესრულების საშუალება, ვინაიდან მათ არ გადასცეს სამუშაოს წარმოებისათვის აუცილებელი პირადნომრიანი ბეჭედი. პირადნომრიანი ბეჭედი მათ გადასცეს მხოლოდ 2006 წლის 2 ივნისს, რომელიც იძულების წესით, ყოველგვარი განმარტების გარეშე, 2006 წლის 14 ივნისს ჩამოართვეს. ამდენად, მ. გ-მე და მ. ჯ-შვილი ატესტაციამდე უკანასკნელი წლის მანძილზე სამსახურებრივ მოვალეობას 6 თვეზე ნაკლები ვადით ასრულებდნენ, რის გამოც «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 83-ე მუხლის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში ისინი ატესტირებას შემდეგ წელს ექვემდებარებოდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მ. გ-მე და მ. ჯ-შვილი უკანონოდ დაუქვემდებარეს ატესტაციას, რაც მათ მიმართ გამოცემული სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის კიდევ ერთ საფუძველს წარმოადგენდა.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 9 აგვისტოს #395-კ ბრძანება მ. ჯ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიღებული იყო ფინანსთა სამინისტროს საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს #8 სხდომის ოქმის საბაჟო დეპარტამენტში წარდგენამდე, რასაც ადასტურებდა ის გარემოებაც, რომ მ. ჯ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებაში მისი გათავისუფლების საფუძველად არ იყო მითითებული საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს #8 სხდომის ოქმი.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ ო. კ-მე 2006 წლის 28 ივლისიდან 7 აგვისტომდე იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, მას მაინც ჩაუტარეს გასაუბრება, რაც კანონის დარღვევას წარმოადგენდა და აღნიშნული გასაუბრების შედეგად მიღებული ო. კ-მის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების უკანონობაზე მეტყველებდა.

მოსარჩელებმა ასევე აღნიშნეს, რომ 2006 წლის 30 ივლისის გასაუბრება საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ მოაწყო კომისიის სამი წევრის შემადგენლობით, რაც კანონის უხეშ დარღვევას წარმოადგენდა და სამკაცრიანი კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება უკანონო იყო, თუმცა ხსენებული კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერდა კომისიის 6 წევრი, რაც შესაბამისი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მათ ნაწილში ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2006 წლის 1 აგვისტოს სხდომის გადაწყვეტილების, ფინანსთა სამინისტროს საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს სხდომის გადაწყვეტილების, მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების ნაწილში ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 9 აგვისტოს #395-კ და იმავე წლის 11 აგვისტოს #403-კ ბრძანებების ბათილად ცნობა, მ.

გ-მის, ო. კ-მისა და მ. ჯ-შვილის ფინანსთა სამინისტროს რეგიონალური საბაჟო «დასავლეთის» საბაჟო გაფორმების ქუთაისის განყოფილების ინსპექტორის თანამდებობებზე, ხოლო მ. გ-შვილის ფინანსთა სამინისტროს რეგიონალური საბაჟო «დასავლეთის» საბაჟო გაფორმების ქუთაისის განყოფილების უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე აღდგენა, მოსარჩლეების სამსახურიდან გათავისუფლებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტისთვის დაკისრება და მოსარჩელეთა სამსახურში აღდგენის ნაწილში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება მოითხოვეს.

მოპასუხე ფინანსთა სამინისტრომ სარჩელი არ ცნო, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შესაგებელში აღნიშნა, რომ ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულების» 39-ე მუხლით განსაზღვრული იყო ატესტაციის დროს მოხელეთა შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, კერძოდ, საკონკურსო-საატესტაციო კომისია კონკურსის შედეგების გათვალისწინებით იღებდა გადაწყვეტილებას მოხელის დაწინაურების, ჩამოქვეითების თუ გათავისუფლების შესახებ. იმავე კომისიის გადაწყვეტილება შეიტანებოდა საატესტაციო ფურცელში. ამდენად, მოსარჩელეთა პრეტენზია იმის თაობაზე, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისია ვალდებული იყო დასაბუთებული გადაწყვეტილება აესახა სხდომის ოქმში, უსაფუძვლო იყო და ეწინააღმდეგებოდა ხსენებული დებულებით დადგენილ წესს, ვინაიდან სხდომის ოქმში მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების შეტანა ხდებოდა, ხოლო დასკვნის - საატესტაციო ფურცელში. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება გამოტანილი იყო ზემოხსენებული დებულების მე-7 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, ამ კომისიას მითითებული მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეეძლო ემსჯელა მხოლოდ მოხელის განცხადებით (პრეტენზიით) გასაჩივრებულ კითხვებზე, თუ დასმულ კითხვას რამდენიმე სწორი პასუხი ჰქონდა ან თუ კითხვა სცილდებოდა საგამოცდო პროგრამის ფარგლებს. მოცემულ შემთხვევაში საპრეტენზიო კომისია ადგენდა ოქმს და ხსენებული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წარუდგენდა საატესტაციო კომისიას მოტივირებულ დასკვნას. ამდენად, მხოლოდ მითითებული დებულების მე-7 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში ადგენდა საპრეტენზიო კომისია მოტივირებულ დასკვნას და შემდგომ წარუდგენდა მას საატესტაციო კომისიას, ხოლო, ვინაიდან მოსარჩელეთა განცხადებაში მე-7 მუხლით გათვალისწინებული საკითხები არ იყო დაყენებული, საპრეტენზიო კომისია საატესტაციო კომისიას მოტივირებულ დასკვნას ვერ წარუდგენდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაგებლის ავტორმა უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელეთა მტკიცება იმის თაობაზე, რომ საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო და ეწინააღმდეგებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლებს, ვინაიდან კომისია არ იყო უფლებამოსილი, განეხორციელებინა ისეთი მოქმედება, რომელიც ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულებით» არ იყო განსაზღვრული. ამდენად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიისა და საპრეტენზიო კომისიის სხდომების ოქმები მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით იქნა შედგენილი.

შესაგებლის ავტორმა უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელეთა განმარტება იმის თაობაზე, რომ ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულების» თანახმად, ატესტაციის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე მოსარჩლეები გაფრთხილებული უნდა ყოფილიყვნენ მოსალოდნელი ატესტაციის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, შესაგებლის ავტორმა მიუთითა, რომ 2006 წლის 30 იანვარს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო «დასავლეთის» საჯარო მოსამსახურეები გააფრთხილეს მოსალოდნელი ატესტაციისა და ატესტაციის შედეგებთან დაკავშირებით სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, ხოლო, რაც შეეხებოდა იმ მოსაზრებას, რომ საბაჟო დეპარტამენტის ადმინისტრაცია ვალდებული იყო ზუსტად ერთი თვით ადრე ეცნობებინა მოხელისათვის მოსალოდნელი ატესტაციის შესახებ, უსაფუძვლო იყო, ვინაიდან ზემოხსენებული დებულების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს ატესტაციის შესახებ ეცნობებოდა ერთი თვით ადრე მაინც, ანუ აღნიშნული დებულება ადგენდა შეტყობინების ვადის მინიმუმს.

შესაგებლის ავტორმა უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელეთა განმარტება იმის თაობაზეც, რომ საბაჟო დეპარტამენტის ადმინისტრაციამ დაარღვია «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 108-ე მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან მოხელეები ატესტაციის შედეგებთან დაკავშირებით სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ გაფრთხილებული უნდა ყოფილიყვნენ ერთი თვით და არა დროის უფრო დიდი მონაკვეთით ადრე. შესაგებლის ავტორმა მიუთითა, რომ ხსენებული მუხლი ადგენდა შეტყობინების ვადის მინიმუმს, რაც არ გულისხმობდა მოხელეთა გაფრთხილებას ზუსტად კალენდარული ერთი თვით ადრე. ამდენად, საბაჟო დეპარტამენტის ადმინისტრაციის მიერ ატესტაციამდე ერთ თვეზე მეტი ხნით ადრე მოსარჩლეების გაფრთხილება ატესტაციის შედეგებთან დაკავშირებით სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, არ წარმოადგენდა კანონის დარღვევას.

შესაგებლის ავტორმა ასევე მიუთითა, რომ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ თითოეულ მოხელეზე შედგა დახასიათება წერილობითი ფორმით, რაც ატესტაციის დროს წარედგინა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას.

შესაგებლის ავტორმა უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელეთა განმარტება იმის თაობაზე, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ დაარღვია ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულების» 34-ე მუხლი, ვინაიდან შესაბამის სხდომის ოქმში არ იყო ასახული მოხელეთათვის მინიჭებული ქულები. ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, მითითებული მუხლი განსაზღვრავდა ქულების სისტემას, რის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო გამოსაცდელი პირის შეფასება. კომისიის წევრები ფარული კენჭისყრით მოხელეს აფასებდნენ 10-ქულიანი სისტემით, მაგრამ მითითებული მუხლის არც ერთი პუნქტი კომისიას არ ანიჭებდა უფლებას, ქულები აესახა სხდომის ოქმში, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულების» 39-ე მუხლის შესაბამისად ფიქსირდებოდა საატესტაციო ფურცელში.

შესაგებლის ავტორმა მ. ჯ-შვილის გათავისუფლების შესახებ ბრძანებასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ ის გარემოება, რომ ხსენებულ ბრძანებაში მითითებული არ იყო საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილება, წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს და არ ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ შესაბამისი ბრძანება საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებამდე იყო გამოცემული. ამასთან, საპრეტენზიო კომისიის სხდომის ოქმი 2006 წლის 8 აგვისტოს იყო შედგენილი, ხოლო მ. ჯ-შვილის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანება 2006 წლის 9 აგვისტოს გამოიცა.

შესაგებლის ავტორმა უსაფუძვლოდ მიიჩნია ის მოსაზრებაც, რომ ო. კ-მე 2006 წლის 28 ივლისიდან 7 აგვისტომდე იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე, რის გამოც იგი არ ექვემდებარებოდა ატესტაციის გავლას. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 89-ე მუხლის თანახმად, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძველს წარმოადგენდა დროებითი შრომისუუნარობა, რომლის დროსაც აუცილებელი იყო, რომ ო. კ-მეს ავადმყოფობის შესახებ ეცნობებინა მისი უშუალო ხელმძღვანელისათვის, რაც მას არ განუხორციელებია. ამასთან, იგი ვალდებული იყო, საავადმყოფო ფურცელი მისი დახურვის შემდეგ წარედგინა ხელმძღვანელობისათვის, რაც მას ასევე არ შეუხრულებია. საქმეში წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცელი დაიხურა 2006 წლის 7 აგვისტოს, ანუ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემამდე. ამდენად, საბაჟო დეპარტამენტის ადმინისტრაცია ინფორმირებული არ იყო მოსარჩელის ავადმყოფობის შესახებ, არც ატესტაციისა და არც მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემისას.

შესაგებლის ავტორმა ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელეთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისია სამი წევრის შემადგენლობით ატარებდა ატესტაციას და აღნიშნა, რომ ატესტაციას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. გ-ძის, მ. გ-შვილის, ო. კ-ძის, მ. ჯ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი ფინანსთა სამინისტროს საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს სხდომის გადაწყვეტილების ნაწილი მოსარჩელეთა საპრეტენზიო განცხადებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 9 აგვისტოს #395-კ და 2006 წლის 11 აგვისტოს #403-კ ბრძანებები მოსარჩელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში და დადგინდა, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად მიღებული უნდა ყოფილიყო ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები; მოსარჩელებს აუნაზღაურდათ იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი გასაჩივრებული ბრძანებების გამოცემიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. გ-მე და ო. კ-მე მუშაობდნენ ფინანსთა სამინისტროს რეგიონალური საბაჟო «დასავლეთის» საბაჟო გაფორმების ქუთაისის განყოფილების ინსპექტორებად, მ. გ-შვილი კი იმავე განყოფილების უფროს ინსპექტორად, რომლებიც 2006 წლის 11 აგვისტოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის #403-კ ბრძანების საფუძველზე გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან. მ. ჯ-შვილი მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს რეგიონალური საბაჟო «დასავლეთის» საბაჟო გაფორმების ქუთაისის განყოფილებაში ინსპექტორად, რომელიც ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 9 აგვისტოს #395-კ ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მათი გათავისუფლების საფუძველი გახდა 2006 წლის 30 ივლისს ჩატარებული ატესტაცია. 2006 წლის 1 აგვისტოს შედგა ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომა, რომელზეც იმავე კომისიის გადაწყვეტილებით რეკომენდაცია გაეწია მოსარჩელებს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. მოსარჩელებმა მიმართეს საპრეტენზიო კომისიას, რომლის 2006 წლის 8 აგვისტოს სხდომის ოქმით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა პრეტენზიები. ამასთან, მ. ჯ-შვილის შესახებ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს ეთხოვა მისი სხვა თანამდებობაზე გადაყვანის, ხოლო მ. გ-შვილის შესახებ - უფრო დაბალი თანამდებობის შეთავაზების საკითხის განხილვა. ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის

თავმჯდომარის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოსარჩელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს #8 სხდომის ოქმი არ წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს უარი მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე. 2006 წლის 30 ივლისს ჩატარებული ატესტაციის შედეგები მოსარჩელეთა მიერ გასაჩივრებული იყო საპრეტენზიო კომისიაში, რაც განხილული უნდა ყოფილიყო, როგორც მათ მიერ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ი» ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული საჩივარი წარმოადგენდა დაინტერესებული პირის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ წერილობით მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების, შეცვლის ან ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ისეთი მოქმედების განხორციელების, ან მოქმედებისგან თავის შეკავების თაობაზე, რაც არ გულისხმობდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. შესაბამისად, მოსარჩელეთა განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარი წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მასზე ვრცელდებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით იმავე აქტისათვის დადგენილი მოთხოვნები.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2006 წლის 1 აგვისტოს სხდომის ოქმი არ აკმაყოფილებდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს. საპრეტენზიო კომისიის სხდომის ოქმის დასაბუთებულობას კი ითვალისწინებდა «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსის და ატესტაციის ჩატარების დებულება». მითითებული დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საპრეტენზიო კომისიის მიზანი იყო ატესტაცია-კონკურსის ჩატარების დროს პრეტენზიების განსაზღვრულ ვადებში განხილვა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიისათვის სამართლებრივად სრულყოფილი დასკვნის წარდგენა.

საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ზემოხსენებული ნორმის იმგვარი განმარტება, თითქოს საპრეტენზიო კომისიას მხოლოდ მაშინ ჰქონდა სრულყოფილი დასკვნის წარდგენის ვალდებულება, თუ დასმული კითხვა ბუნდოვანი იყო, არ არსებობდა შეკითხვაზე სწორი პასუხი ან კითხვა სცილდებოდა საგამოცდო პროგრამის ფარგლებს. «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსის და ატესტაციის ჩატარების დებულების» მე-7 მუხლის მე-13 პუნქტი ითვალისწინებდა ასეთ შემთხვევებში საპრეტენზიო კომისიის მიერ გამოვლენილი ხარვეზების შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილებას და წინადადებათა საკონკურსო-საატესტაციო კომისიისათვის წარდგენის შესაძლებლობას. წარმოდგენილი საპრეტენზიო კომისიის სხდომის ოქმით მოსარჩელებს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი ეთქვათ განცხადების დაკმაყოფილებაზე. იმავე ოქმით ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ეთხოვა, ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში, მ. გ-შვილისა და მ. ჯ-შვილის სხვა თანამდებობებზე გადაყვანის საკითხის განხილვა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითებოდა ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

საქალაქო სასამართლომ განმარტებით, მოპასუხეთა მხრიდან ზემოაღნიშნულ ნორმათა დარღვევის შედეგად, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების გარეშე. დაუშვებელი იყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძვლად ისეთი გარემოების ან ფაქტის მითითება, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ იყო გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ამასთან, ზემოაღნიშნული გასაჩივრებული აქტი არ შეიცავდა დასაბუთებას იმ გარემოებების მითითებით, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებისას.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა ატესტაციის ჩატარებისას მოსარჩელეთა მიერ მითითებული დარღვევების არსებობა, რომლებიც არსებით დარღვევას წარმოადგენდა და რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეთა მიერ დაცული იყო ატესტაციის დაქვემდებარებულ პირთა გაფრთხილების წესი, რაც ითვალისწინებდა მათ გაფრთხილებას ერთი თვით ადრე მაინც. აღნიშნული ნორმა მიზნად ისახავდა ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთათვის გონივრული ვადის განსაზღვრას ატესტაციისათვის მოსამზადებლად. შესაბამისად, მოსარჩელეთა რამდენიმე თვით ადრე გაფრთხილების ფაქტი არ შეიძლებოდა კანონის დარღვევად ჩათვლილიყო.

საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელეთა მოსაზრება ო. კ-ძის, მ. გ-ძისა და მ. ჯ-შვილის ატესტაციას დაქვემდებარების დაუშვებლობასთან დაკავშირებით. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, «საჯარო

სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის გამოყენება ამ მუხლში ჩამოთვლილ პირთა მიმართ ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური კანონმდებლობით სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 21 აპრილის #244 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს საბაჟო ორგანოში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის «ა» ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, საბაჟო ორგანოს თანამშრომელი ატესტაციას ექვემდებარებოდა სამ წელიწადში ერთხელ, აღნიშნულ პერიოდში სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების ვადის მიუხედავად. ამასთან, საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა განმარტება იმის თაობაზე, რომ პირადნომრიანი ბეჭდის არქონის გამო, მ. გ-ძესა და მ. ჯ-შვილს შეჩერებული ჰქონდათ სამსახურებრივი ურთიერთობა, ვინაიდან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 89-ე მუხლით განსაზღვრული იყო სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევები, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა.

საქალაქო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელეთა მოსაზრება ო. კ-ძის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შესახებაც და განმარტა, რომ საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებითა და საქმეზე დართული ვიდეოფირით არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ ო. კ-ძემ შეატყობინა საბაჟო დეპარტამენტის ადმინისტრაციას მისი შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და ატესტაციაზე გაუსვლელი საფუძვლის არსებობის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ გასაუბრებისას საატესტაციო კომისიის შემადგენლობასთან დაკავშირებით, დადგინდა მიიჩნია, რომ არ არსებობდა კომისიის უფლებამოსიანობაში ექვსის შეტანის საფუძველი. ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულების» მე-5 მუხლით განსაზღვრული იყო იმავე კომისიის რეგლამენტი, რომლის თანახმად, კომისიის სხდომა უფლებამოსილი იყო, თუ მას ესწრებოდა წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის წევრთა რაოდენობას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას. საქმის მასალებით დადგინდა იყო, რომ 2006 წლის 30 ივლისის გასაუბრების შედეგები კომისიის მიერ განხილულ და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2006 წლის 1 აგვისტოს გამართულ სხდომაზე, რაც აისახა #42 სხდომის ოქმში. სადავო არ იყო ის გარემოება, რომ 2006 წლის 1 აგვისტოს სხდომას ესწრებოდა კომისიის ექვსი წევრი. ამდენად, მოსარჩელეთა მითითება, რომ გასაუბრებისას კომისია არ მონაწილეობდა სრული შემადგენლობით, არ დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით. ამასთან, დაცული იყო კანონმდებლობის მოთხოვნები გასაუბრების მიმდინარეობისას დასმული კითხვა-პასუხის წერილობით დაფიქსირების თაობაზეც. შესაბამისად, 2006 წლის 1 აგვისტოს სხდომაზე იმავე კომისიას კანდიდატთა ობიექტური შეფასების სრული შესაძლებლობა ჰქონდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების შესაძლებლობა და გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი - სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება მოსარჩელეთა განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მის საფუძველზე მიღებული ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის გასაჩივრებული ბრძანებები. ფინანსთა სამინისტროს დავალებოდა საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გათვალისწინებით, განეხილა მოსარჩელეთა საპრეტენზიო განაცხადებები, ხოლო ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს - საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, მიეღო გადაწყვეტილება მოსარჩელეთა ატესტაციის შედეგების შესაბამისად, საბაჟო დეპარტამენტში მათი შემდგომი დასაქმების თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებს უნდა ანაზღაურებოდათ გათავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე იძულებითი განაცდური ხელფასი, რადგან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო. მოცემულ შემთხვევაში ბრძანება მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სასამართლოს მიერ ბათილად იყო ცნობილი და შესაბამისად, არ არსებობდა ხელფასის გაუცემლობის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება მ. გ-ძემ, მ. გ-შვილმა, ო. კ-ძემ და მ. ჯ-შვილმა სააპელაციო წესით გასაჩივრეს იმ ნაწილში, რომლითაც მათი სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აპელანტებმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება ფინანსთა სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა სააპელაციო წესით ცალ-ცალკე გასაჩივრეს იმ ნაწილში, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა. აპელანტებმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილებაზეც უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივნისის საოქმო განჩინებით ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განჩინებით ო. კ-ძის, მ. გ-ძის, მ. გ-შვილისა და მ. ჯ-შვილის, ფინანსთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილად მიჩნეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულის გამაბათილებელი არგუმენტები აპელანტებს არ წარმოუდგენიათ და მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერი და დასაბუთებული იყო, რის გამოც არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ ატესტაცია ჩატარებული იყო შესაბამისი ბრძანების გარეშე, ვინაიდან ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 13 სექტემბრის #879 ბრძანების შესაბამისად, საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟოების საჯარო მოსამსახურეების, თანამდებობასთან წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ატესტაცია უნდა ჩატარებულიყო 2005 წლის 15 ოქტომბრიდან იმავე წლის 31 დეკემბრამდე, ატესტაცია კი ჩატარდა 2006 წლის 30 ივლისს, ხოლო აღნიშნულთან დაკავშირებით, არც ახალი ბრძანება გამოცემულა და არც ზემოთ მითითებულ ბრძანებაში შესულა რაიმე ცვლილება.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულების» მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, საპრეტენზიო კომისიის სხდომის გადაწყვეტილება ფორმდებოდა ოქმით, რომელსაც ხელს აწერდა საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე და წევრები, რაც მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ ოქმს არ ჰქონდა, ვინაიდან საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2006 წლის 1 აგვისტოს #42 სხდომის ოქმს ხელს აწერდა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მ. ბ-შვილი და სხდომის მდივანი ქ. რ-მაშვილი და არა იმავე კომისიის წევრები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განჩინება მ. გ-ძემ, მ. გ-შვილმა, ო. კ-ძემ და მ. ჯ-შვილმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორები გასაჩივრებულ განჩინებას უკანონოდ მიიჩნევენ და განმარტავენ, რომ სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი შეფასებები და აღნიშნა, რომ მათი გამაბათილებელი არგუმენტები აპელანტებს არ წარმოუდგენიათ, თუმცა იქვე დადგენილად მიიჩნია, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ ატესტაცია ჩატარდა შესაბამისი ბრძანების გარეშე, ვინაიდან ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 13 სექტემბრის #879 ბრძანების შესაბამისად, საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟოების საჯარო მოსამსახურეებს, თანამდებობასთან წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ატესტაცია უნდა ჩატარებულიყო 2005 წლის 15 ოქტომბრიდან იმავე წლის 31 დეკემბრამდე, ატესტაცია კი ჩატარდა 2006 წლის 30 ივლისს, რასთან დაკავშირებით არც ახალი ბრძანება გამოცემულა და არც ზემოთ მითითებულ ბრძანებაში შესულა რაიმე ცვლილება. ამასთან, ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულების» მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, საპრეტენზიო კომისიის სხდომის გადაწყვეტილება ფორმდებოდა ოქმით, რომელსაც ხელს აწერდა საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე და წევრები, რაც მოცემულ შემთხვევაში არ იყო შესრულებული, ვინაიდან საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2006 წლის 1 აგვისტოს #42 სხდომის ოქმს ხელს აწერდნენ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მ. ბ-შვილი და სხდომის მდივანი ქ. რ-მაშვილი და არა იმავე კომისიის წევრები. კასატორთა განმარტებით, სწორედ აღნიშნული საფუძველით ითხოვდნენ მოსარჩელები სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას, სხვა ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებასთან ერთად.

კასატორები უსაფუძვლოდ მიიჩნევენ სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ აპელანტებს გამაბათილებელი არგუმენტები არ წარმოუდგენიათ. აღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორები მიუთითებენ, რომ ფინანსთა სამინისტრომ ატესტაცია 2006 წლის 30 ივლისს ჩატარა თვითნებურად, შესაბამისი ბრძანების გარეშე, რაც წარმოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განჩინება საკასაციო წესით ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმაც გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ფინანსთა სამინისტროს საპრეტენზიო კომისია ადმინისტრაციული ორგანოა, საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8

ავგისტოს სხდომის ოქმი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო საპრეტენზიო განცხადება - ადმინისტრაციული საჩივარი. შესაბამისად, სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ შესაბამისი აქტის გამოცემისას ფინანსთა სამინისტრომ დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, ხსენებული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციული ორგანო აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მითითებულა ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შედეგად გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების გარეშე, ვინაიდან დასახელებული ოქმი არ შეიცავდა დასაბუთებას იმ გარემოებებზე მითითებით, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აქტის გამოცემის დროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებისას. სასამართლომ მიიჩნია, რომ დარღვეული იყო ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულების» მე-7 მუხლის მოთხოვნებიც, ვინაიდან საპრეტენზიო კომისიის საკონკურსო-საატესტაციო კომისიისათვის უნდა წარედგინა სამართლებრივად სრულყოფილი დასკვნა.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საპრეტენზიო განცხადება ადმინისტრაციულ საჩივარს წარმოადგენს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ საჩივარს იხილავს და წყვეტს ზემდგომი თანამდებობის პირი ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ისე მიიჩნია საპრეტენზიო განცხადება ადმინისტრაციულ საჩივრად, რომ არ იმსჯელა, იყო თუ არა საპრეტენზიო კომისია საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ზემდგომი ორგანო და ზოგადად, ადმინისტრაციული ორგანო. აღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორი მიუთითებს, რომ საპრეტენზიო კომისია არ იყო უფლებამოსილი, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება გაუქმებინა. ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების დებულების» მე-7 მუხლის თანახმად, საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წარედგინებოდა წინადადების სახით, რომელსაც, თავის მხრივ, შეეძლო არ დათანხმებოდა საპრეტენზიო კომისიისა და გაფართოებულ სხდომაზე გამოეტანა გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოო იყო, ანუ საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოო არ იყო. ამასთან, ზემოხსენებული დებულების მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათის იყო, მას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა თანამდებობაზე დანიშნვისა და თანამდებობიდან გათავისუფლებაზე უფლებამოსილი პირი - ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე. ამდენად, კასატორი მიუთითებს, რომ საპრეტენზიო კომისია არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, ვინაიდან იგი არ არის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ზემდგომი ორგანო და მისი გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. ამასთან, საპრეტენზიო კომისიის ოქმი არ არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვინაიდან იგი არ არის გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და მასში ასახული გადაწყვეტილებები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა, ხოლო საპრეტენზიო განცხადება არ არის ადმინისტრაციული საჩივარი.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ზემოხსენებული დებულების მე-7 მუხლით საპრეტენზიო კომისიის მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეეძლო ემსჯელა მხოლოდ მოხელის განცხადებით (პრეტენზიით) გასაჩივრებულ კითხვებზე, თუ დასმულ შეკითხვას ჰქონდა რამდენიმე სწორი პასუხი, თუ კითხვა სცილდებოდა საგამოცდო პროგრამის ფარგლებს. მოცემულ შემთხვევაში საპრეტენზიო კომისია ადგენდა ოქმს და ხსენებული დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წარუდგენდა კომისიის მოტივირებულ დასკვნას. ამდენად, მხოლოდ აღნიშნული დებულების მე-7 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში ადგენდა კომისია მოტივირებულ დასკვნას და შემდგომ წარუდგენდა მას საატესტაციო კომისიას, ხოლო, ვინაიდან მოსარჩელეთა განცხადებაში ზემოხსენებული დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული საკითხები არ იყო დაყენებული, საპრეტენზიო კომისია შესაბამისი დებულებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოკლებული იყო შესაძლებლობას, საატესტაციო კომისიისათვის წარედგინა მოტივირებული დასკვნა.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ გაურკვეველი იყო, თუ რომელი საკითხი უნდა ყოფილიყო უკეთ შესწავლილი. გარდა ამისა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე სასამართლომ უნდა განესაზღვრა, რომ თუ ყველა გარემოების გამოკვლევის შემდეგ თანამდებობაზე დანიშნვისა და თანამდებობიდან გათავისუფლებაზე უფლებამოსილი პირი მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელები უნდა გათავისუფლებულიყვნენ დაკავებული თანამდებობიდან, ამ შემთხვევაში რა დროიდან უნდა ამოქმედებულიყო ახლად გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - მოსარჩელების თანამდებობიდან გათავისუფლების, თუ ახალი აქტის გამოცემის დღიდან. ამდენად, სასამართლო ვალდებული იყო, განესაზღვრა სადავო აქტების მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები.

კასატორი ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოსარჩელეთა სასარგებლოდ იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრებას, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად, იძულებითი არყოფნის მთელ პერიოდში იგულისხმება მოხელის გათავისუფლებიდან მისი სამსახურში აღდგენის შესახებ აქტის გამოცემამდე პერიოდი. ამდენად, შესაბამისი კანონი არ ითვალისწინებს ხელფასის ანაზღაურებას იმ შემთხვევაში, თუ მოხელე არ აღდგება სამსახურში, ანუ მოხელეს ხელფასი უნდა აუნაზღაურდეს მხოლოდ სამსახურში იძულებითი არყოფნის პერიოდის განმავლობაში, თუ არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელე აღდგება სამსახურში და განაგრძობს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებით არ განისაზღვრა, თუ რომელ მოპასუხეს დაევალა მოსარჩელეთა სასარგებლოდ იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

ამდენად, კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ი» ქვეპუნქტი, 53-ე და 96-ე მუხლები, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი, ამასთან, არ გამოიყენა ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის დებულება», ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-7 ნაწილი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლი, რომლებიც უნდა გამოიყენებინა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განჩინება ფინანსთა სამინისტრომაც გაასაჩივრა საკასაციო წესით და იმავე საფუძველზე და გარემოებებზე მიუთითებს, რასაც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური მიუთითებს საკასაციო საჩივარში და მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინებებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. გ-ძის, მ. გ-შვილის, ო. კ-ძისა და მ. ჯ-შვილის, ფინანსთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები; მხარეებს მიეცათ უფლება, ხსენებული განჩინებების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივრები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2007 წლის 28 ნოემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინებით მ. გ-ძის, მ. გ-შვილის, ო. კ-ძისა და მ. ჯ-შვილის, ფინანსთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2008 წლის 24 იანვარს, 11.30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შემოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მ. გ-ძე და ო. კ-ძე მუშაობდნენ ფინანსთა სამინისტროს რეგიონალური საბაჟო «დასავლეთის» საბაჟო გაფორმების ქუთაისის განყოფილების ინსპექტორებად, მ. გ-შვილი კი იმავე განყოფილების უფროს ინსპექტორად, რომლებიც ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 11 აგვისტოს #403-კ ბრძანების საფუძველზე გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან, ხოლო მ. ჯ-შვილი მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს რეგიონალური საბაჟო «დასავლეთის» საბაჟო გაფორმების ქუთაისის განყოფილებაში ინსპექტორად, რომელიც ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის (უფლებამონაცვლე - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური) თავმჯდომარის 2006 წლის 9 აგვისტოს #395-კ ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, მათი გათავისუფლების საფუძველი კი გახდა 2006 წლის 30 ივლისის ჩატარებული ატესტაცია. 2006 წლის 1 აგვისტოს შედგა ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომა და #42 ოქმის თანახმად, იმავე კომისიის გადაწყვეტილებით (დანართი - ატესტაციის შედეგები) რეკომენდაცია გაეწია მოსარჩელეებს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. იმავე ოქმის კიდევ ერთი დანართის მიხედვით, ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში იყო 6 წევრი. ფინანსთა სამინისტროს საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს სხდომის #8 ოქმით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა განცხადებები პრეტენზიების შესახებ, ამასთან, მ. ჯ-შვილის შესახებ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს (უფლებამონაცვლე - ფინანსთა სამინისტროს

შემოსავლების სამსახური) ეთხოვა მისი სხვა თანამდებობაზე შესაძლო დანიშვნის, ხოლო მ. გ-შვილის შესახებ - უფრო დაბალ თანამდებობაზე შესაძლო დანიშვნის საკითხის განხილვა. ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის #879 ბრძანებით განისაზღვრა საბაჟო დეპარტამენტის (უფლებამონაცვლე - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური) რეგიონალური საბაჟოების საჯარო მოსამსახურეების დაკავებულ თანამდებობასთან წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, მათთვის ატესტაციის ჩატარება 2005 წლის 15 ოქტომბრიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე, ატესტაცია კი უნდა ჩატარებულიყო გასაუბრების ფორმით. მოსარჩელები 2006 წლის 30 იანვარს ხელმოწერებით გააფრთხილეს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის #879 ბრძანების თანახმად, ატესტაციის ჩატარების შესახებ. მოსარჩელები 2006 წლის 30 იანვარს ასევე ხელმოწერებით გააფრთხილეს სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. ფინანსთა სამინისტროს 2006 წლის 25 ოქტომბრის #02-01/10938 წერილის თანახმად, 2006 წლის 30-31 ივლისს ატესტაცია ჩატარდათ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის (უფლებამონაცვლე - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური) რეგიონალური საბაჟო «დასავლეთის» საბაჟო გაფორმების ქუთაისის განყოფილების მოხელეებს და საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ ატესტაცია ჩატარა 6 წევრის შემადგენლობით, რომლებიც ხელს აწერენ იმავე კომისიის 2006 წლის 1 აგვისტოს სხდომის #42 ოქმის დანართს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 81-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, მოხელის ატესტაცია არის მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობისა და პირადი თვისებების დაკავებული (ან დასაკავებელი) თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. ამავე კანონის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ატესტაციის ჩატარების დროს განსაზღვრავს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების ხელმძღვანელი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ გარემოების დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის პირი მის მიერ დაკავებულ თანამდებობას, რა შემთხვევაშიც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამ პირის კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ობიექტური თვალსაზრისით, დადგენილი წესით შეფასებას, საბოლოო ჯამში კი, მოხელეთა ატესტაცია ემსახურება საჯარო სამსახურისა და საჯარო დაწესებულებათა ნორმალური, სტაბილური და უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ, მართალია, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ ატესტაციის საფუძველზე მოხელის შეფასება წარმოადგენს ამავე კომისიის დისკრეციას, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მოხელე მოკლებულია უფლებას, მოითხოვოს მის მიერ გაცემული პასუხების მიმართ შეფასების ობიექტური კრიტერიუმის გამოყენება, ხოლო თუ მიიჩნევა, რომ შეფასება არ მოხდა ობიექტურად, წარადგინოს განცხადება-პრეტენზია საპრეტენზიო კომისიაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 9 აგვისტოს #395-კ და იმავე წლის 11 აგვისტოს #403-კ ბრძანებების სამართლებრივ საფუძველზე მიეთითა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 21 აპრილის #244 ბრძანებულებით დამტკიცებულ «საქართველოს საბაჟო ორგანოში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების» 21-ე მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტსა და მე-2 პუნქტის «ა» ქვეპუნქტზე, ასევე ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის» 39-ე მუხლის პირველი პუნქტის «გ» ქვეპუნქტზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 21 აპრილის #244 ბრძანებულებით დამტკიცებულ «საქართველოს საბაჟო ორგანოში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულებაზე», რომლის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საბაჟო ორგანოს თანამშრომლის ატესტაცია არის მისი პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების დაკავებულ (ან დასაკავებელ) თანამდებობასთან წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება, ხოლო ატესტაციას ექვემდებარება საბაჟო ორგანოს თანამშრომელი სამ წელიწადში ერთხელ (საატესტაციო პერიოდი), აღნიშნულ პერიოდში სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების ვადის მიუხედავად. ხსენებული დებულების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტის მიხედვით, საბაჟო ორგანოს თანამშრომელი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაკავებული თანამდებობიდან შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო, ხოლო იმავე მუხლის მე-2 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საბაჟო ორგანოს თანამშრომელი მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის მოტივით შეიძლება დათხოვნილ იქნეს ატესტაციის შედეგების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის» მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარებას, რეზერვის ფორმირებას ახორციელებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია და კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები. ხსენებული

წესის მე-7 მუხლის პირველი, მე-9 და მე-13 პუნქტების თანახმად, საპრეტენზიო კომისია იქმნება ფინანსთა მინისტრის მიერ საკონკურსო-საატესტაციო კომისიისაგან დამოუკიდებლად. თუ საპრეტენზიო კომისია მიიჩნევს, რომ განცხადებაში (პრეტენზიაში) მოყვანილი შეკითხვა ბუნდოვანია, დასმულ შეკითხვაზე არ არსებობს სწორი პასუხი, პასუხები არასწორადაა მითითებული, კითხვაზე არსებობს რამდენიმე სწორი პასუხი, კითხვა სცილდება საგამოცდო პროგრამის ფარგლებს, იგი უფლებამოსილია, შეადგინოს ოქმი გამოვლენილი ხარვეზის შესახებ და წარუდგინოს წინადადება კომისიას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. იმავე დებულების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, ატესტაციის შედეგების გათვალისწინებით, ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომ მოხელე უნდა გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

კასატორები - მ. გ-ძე, მ. გ-შვილი, ო. კ-ძე და მ. ჯ-შვილი მიუთითებენ, რომ, როგორც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია დადგენილად, ფინანსთა სამინისტროს მიერ ატესტაცია ჩატარდა შესაბამისი ბრძანების გარეშე, ვინაიდან ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 13 სექტემბრის #879 ბრძანების შესაბამისად, საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟოების საჯარო მოსამსახურეებს, თანამდებობასთან წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ატესტაცია უნდა ჩატარებოდათ 2005 წლის 15 ოქტომბრიდან იმავე წლის 31 დეკემბრამდე, ატესტაცია კი ჩატარდა 2006 წლის 30 ივლისს, რასთან დაკავშირებით არც ახალი ბრძანება გამოცემულა და არც ზემოთ მითითებულ ბრძანებაში შესულა რაიმე ცვლილება, ანუ ფინანსთა სამინისტრომ ატესტაცია 2006 წლის 30 ივლისს ჩატარა თვითნებურად, შესაბამისი ბრძანების გარეშე, რაც წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორების ზემოაღნიშნული მოსაზრება არ წარმოადგენს მათი საკასაციო საჩივრისა და შესაბამისად, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების საფუძველს, რადგან, მართალია, ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 13 სექტემბრის #879 ბრძანება გამოიცა 2005 წლის 15 ოქტომბრიდან იმავე წლის 31 დეკემბრამდე ატესტაციის ჩატარების თაობაზე, ხოლო ატესტაციის 2006 წლის 30 ივლისს ჩატარების შესახებ არ გამოცემულა ფინანსთა სამინისტროს ცალკე ბრძანება, მაგრამ აღნიშნული გარემოება ვერ დაედება საფუძველად მოსარჩელეთა ნაწილში ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2006 წლის 1 აგვისტოს სხდომის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და მით უმეტეს, მანამდე დაკავებულ თანამდებობებზე მათ პირდაპირ აღდგენას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ სხდომაზე გაკეთებული დასკვნა თავისთავად არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგს, არამედ იგი ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება არის მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის სავალდებულო კომპონენტი. კომისიის გადაწყვეტილება არის იურიდიული ფაქტი, რომელსაც ეფუძნება ადმინისტრაცია გადაწყვეტილების მიღებისას. მიუხედავად იმისა, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისია წარმოადგენს მინისტრის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულ ე.წ. შიდა ქვედანაყოფს, მას უდავოდ გააჩნია კანონმდებლობით განსაზღვრული გარკვეული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დაწესებულებასა და ამავე დაწესებულების ფარგლებში შექმნილ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შორის უფლებამოსილებათა ერთგვარ გამიჯვნას, კერძოდ, საკონკურსო-საატესტაციო კომისია უფლებამოსილია, გამოიტანოს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება, მაგრამ მოკლებულია შესაძლებლობას, თვითონ აღასრულოს იგი. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი უფლებამოსილია, აღასრულოს გადაწყვეტილება, თუმცა, იმავდროულად, არ არის უფლებამოსილი, გამოიტანოს გადაწყვეტილება კონკრეტული კანდიდატის ატესტირების შედეგების თაობაზე. რაც შეეხება საპრეტენზიო კომისიას, ამ კომისიასაც გააჩნია კანონმდებლობით განსაზღვრული გარკვეული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილება, რომლის ფარგლებშიც, აღნიშნული კომისია, ისევე, როგორც საკონკურსო-საატესტაციო კომისია თავის საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს. რაც შეეხება საპრეტენზიო განცხადებას, ადმინისტრაციული საჩივრის ლეგალური დეფინიციიდან გამომდინარე, საპრეტენზიო განცხადებაც წარმოადგენს სწორედ წერილობით მოთხოვნას იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ დარღვეული უფლების აღდგენის თაობაზე.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 9 აგვისტოს #395-კ და იმავე წლის 11 აგვისტოს #403-კ ბრძანებების საფუძველად მიეთითა ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის #42 ოქმი. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 11 აგვისტოს #403-კ ბრძანებაში ასევე მიეთითა ფინანსთა სამინისტროს საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს სხდომის #8 ოქმი, ხოლო ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 9 აგვისტოს #395-კ ბრძანებაში ფინანსთა სამინისტროს საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს სხდომის #8 ოქმი არ არის მითითებული. ამდენად, დასახელებული ოქმი და შესაბამისად, ხსენებული ბრძანებები, საბოლოო ჯამში კი, მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლება არ არის სამართლებრივად დასაბუთებული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული «ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის» მე-7 მუხლის მე-3 პუნქტში იმპერატიულად არის მითითებული, რომ საპრეტენზიო კომისიის მიზანია ატესტაცია-კონკურსის ჩატარების დროს

პრეტენზიების განსაზღვრულ ვადებში განხილვა და კომისიისათვის სამართლებრივად სრულყოფილი დასკვნის წარდგენა. ამდენად, აღნიშნული პუნქტის თანახმად, საპრეტენზიო კომისია ვალდებულია, ყველა შემთხვევაში წარუდგინოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიას სამართლებრივად სრულყოფილი, ანუ დასაბუთებული დასკვნა, რაც წარმოადგენს საპრეტენზიო კომისიის ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ფინანსთა სამინისტროს საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს სხდომის #8 ოქმში არ არის მითითებული მოსარჩელეთა განცხადებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველზე, ანუ იგი საერთოდ არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას, მაშინ, როდესაც ზემოხსენებული დებულების მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, საპრეტენზიო კომისიის სხდომის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის (უფლებამონაცვლე - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური) თავმჯდომარის 2006 წლის 9 აგვისტოს #395-კ და იმავე წლის 11 აგვისტოს #403-კ ბრძანებების, ასევე ფინანსთა სამინისტროს საპრეტენზიო კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს #8 სხდომის ოქმის გამოცემისას დაირღვა ზემოთ დასახელებული წესით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, დასახელებული ოქმი და შესაბამისად, ხსენებული ბრძანებები, საბოლოო ჯამში კი, მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლება არ არის დასაბუთებული.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორებს - ფინანსთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს (ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის უფლებამონაცვლე), რომ, ვინაიდან მოსარჩელეთა განცხადებაში ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 17 დეკემბრის #409 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის» მე-7 მუხლით გათვალისწინებული საკითხები არ იყო დაყენებული, საპრეტენზიო კომისია შესაბამისი დებულებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოკლებული იყო შესაძლებლობას, საატესტაციო კომისიისათვის წარუდგინა მოტივირებული დასკვნა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხსენებული დებულების მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში საპრეტენზიო კომისიას უფლება ჰქონდა გამოვლენილი ხარვეზების შესახებ შეედგინა ოქმი და წინადადებით მიემართა საკონკურსო-საატესტაციო კომისიისათვის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით. გასაჩივრებული საპრეტენზიო კომისიის სხდომის ოქმით კი მოსარჩელეებს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ეთქვათ უარი განცხადებების, ანუ პრეტენზიების დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ლ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების რეალიზების დროს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვა, რომლის მატერიალური შინაარსი მდგომარეობს საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერ გაწონასწორებასა და მათ მართლზომიერ დაბალანსებაში. ამასთან, დაუშვებელია სხვა ნებისმიერი ორგანოსა თუ პირის ჩარევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკუთარი, მისთვის კანონმდებლობით ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, რასაც შეიძლება, საბოლოო ჯამში, შედეგად მოჰყვეს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოსთვის მინიჭებული თავისუფალი მოქმედების შეზღუდვა და აღნიშნული უფლებამოსილების რეალიზებაში მისთვის დაბრკოლებების შექმნა.

კასატორები - ფინანსთა სამინისტრო და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის უფლებამონაცვლე) ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევენ მოსარჩელეთა სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 112-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია, მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 112-ე მუხლის აღმქურველი ნორმა არ განასხვავებს იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას იმისდა მიხედვით, აღდგენილი იქნება თუ არა მოხელე წინანდელ სამსახურში და არსებით მნიშვნელობას ანიჭებს სამსახურიდან მოხელის უკანონოდ გათავისუფლებას, ხოლო თუ სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურდა მოხელის გათავისუფლების უკანონობა და შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი ამის თაობაზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, განაცდურის ანაზღაურებისათვის აღარ აქვს მნიშვნელობა, აღდგენილი იქნება თუ არა მოხელე წინანდელ სამსახურში, რადგან მისი სამსახურში იძულებითი არყოფნა გამოწვეული იყო სწორედ დაწესებულების ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებით და შესაბამისად, ამ შემთხვევაში არ არსებობს ხელფასის გაუცემლობის საფუძველი, მოპასუხე დაწესებულებისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება შრომითი მოწყობის თაობაზე კი უზრუნველყოფს სამსახურში იძულებითი არყოფნის პერიოდისა და შესაბამისად, იძულებითი განაცდური ხელფასის ოდენობის დაზუსტებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ვინაიდან მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებები სასამართლომ მართებულად ცნო ბათილად და დადასტურებულია კანონის დარღვევით მათი გამოცემა, შესაბამისად, მოსარჩელებს უნდა აუნაზღაურდეთ იძულებითი განაცდური ხელფასი გასაჩივრებული ბრძანებების გამოცემიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

კასატორები - ფინანსთა სამინისტრო და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის უფლებამონაცვლე) ასევე აღნიშნავენ, რომ სასამართლომ გადაწყვეტილებით არ განსაზღვრა, თუ რომელ მოპასუხეს დაევალა მოსარჩელეთა სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ლ» ქვეპუნქტით რეგლამენტირებულ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის (ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის უფლებამონაცვლე) დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, სადაც მოსარჩელები მუშაობდნენ სამსახურიდან გათავისუფლებამდე.

გარდა ამისა, კასატორები - ფინანსთა სამინისტრო და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის უფლებამონაცვლე) კასაციის ერთ-ერთ მიზეზად მიუთითებენ იმაზე, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60⁺ მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე სასამართლოს უნდა განესაზღვრა, რომ თუ ყველა გარემოების გამოკვლევის შემდეგ თანამდებობაზე დანიშნასა და თანამდებობიდან გათავისუფლებაზე უფლებამოსილი პირი მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელები უნდა გათავისუფლებულიყვნენ დაკავებული თანამდებობიდან, ამ შემთხვევაში რა დროიდან უნდა ამოქმედებულიყო ახლად გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - მოსარჩელების თანამდებობიდან გათავისუფლების თუ ახალი აქტის გამოცემის დღიდან და ამდენად, სასამართლო ვალდებული იყო, განესაზღვრა სადავო აქტების მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ განსაზღვრა სადავო აქტების მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები, რაც გამოიხატა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დავალებასა და მოსარჩელებისათვის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურებაში გასაჩივრებული ბრძანებების გამოცემიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მიიღო კანონიერი და დასაბუთებული განჩინება, კასატორებს კი არ წარმოუდგენიათ რაიმე დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მ. გ-ძის, მ. გ-შვილის, ო. კ-ძისა და მ. ჯ-შვილის, ფინანსთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის (ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება ატესტაციის შედეგების გამო განჩინება

#ბს-322-313(კ-08)

17 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

**ნ. სხირტლაძე,
დ. სულაქველიძე (მოსამართლეები)**

დავის საგანი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის #309-კ ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა; სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. მ-შვილმა 2006 წლის 18 იანვარს სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. მან სარჩელი დაასაბუთა იმით, რომ 2005 წლის 20 ივლისს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დანიშნულ იქნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს უფროსად. 2005 წლის 10 ოქტომბერს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დადგინდა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში უნდა ჩატარებულიყო მოხელეთა ატესტაცია. აღნიშნული ბრძანება შეეხო რ. მ-შვილს, რის შედეგადაც ატესტაციის არადაამკმაყოფილებელი შედეგის გამო გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის ბრძანებით. მოსარჩელის განმარტებით, მის მიმართ არ უნდა გავრცელებულიყო მოთხოვნა მოხელეთა ატესტაციის გავლის შესახებ, ვინაიდან იგი თანამდებობაზე დანიშნული იყო 2005 წლის 20 ივლისს, ხოლო ატესტაცია გამოცხადდა 10 ოქტომბერს. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილით იგი, როგორც მოხელე, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა ექვს თვეზე ნაკლები ვადით, ექვემდებარებოდა მომავალ წელს ატესტირებას. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ კანონსაწინააღმდეგო იყო მისი ატესტირებას დაქვემდებარება და, შესაბამისად, ატესტაციის შედეგების გამო სამსახურიდან გათავისუფლება. რ.მ-შვილმა მიიჩნია, რომ მისი სამუშაოდან დათხოვნა ეწინააღმდეგებოდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 83-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება თანახმად საქართველოს კანონის «საჯარო სამსახურის შესახებ» 112-ე და 127-ე მუხლებისა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა; რ. მ-შვილს უარი ეთქვა სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის #309-კ ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეში არსებული მასალების შესაბამისად დადგენილად მიიჩნია, რომ რ. მ-შვილი 2005 წლის 20 ივლისს დაინიშნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე სამი თვის საგამოცდო ვადით. 2005 წლის 10 ოქტომბერს მინისტრის #2-234 ბრძანებით გამოცხადდა სამინისტროს მოხელეთა ატესტაცია, რომლის შესახებ კანონით დადგენილი წესით ეცნობათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებს. 17 ოქტომბერს მოსარჩელემ გაიარა გასაუბრება, ხოლო 15 ნოემბერს, გაფრთხილებულ იქნა ატესტაციის არადაამკმაყოფილებელი შედეგების გამო სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე. იგი გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან 20 დეკემბერს ატესტაციის შედეგების გამო.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გაცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ვერ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული ბრძანება არ შეესაბამება კანონს და იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 98-ე მუხლი ითვალისწინებს ატესტაციის არადაამკმაყოფილებელი შედეგების გამო მოხელის სამუშაოდან დათხოვნის შესაძლებლობას, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია რომ გასაჩივრებული ბრძანება შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან «საჯარო სამსახურის შესახებ».

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ იგი, როგორც ექვს თვეზე ნაკლები ვადით მომუშავე მოხელე ექვემდებარებოდა ატესტაციას მომავალ წელს, მაგრამ ჩათვალა, რომ აღნიშნული გარემოება არ შეიძლება ჩაითვალოს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების და გამოცემის წესის არსებით დარღვევად და შესაბამისად ბრძანების ბათილად ცნობის საფუძვლად. საქართველოს კანონის «საჯარო სამსახურის შესახებ» 81-ე მუხლის მიხედვით, ატესტაცია არის მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობის და პირადული თვისების დაკავებულ თანამდებობასთან წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ ატესტაციის შედეგი აღმოჩნდა არადაამკმაყოფილებელი, კანონი ითვალისწინებს მოხელის სამსახურიდან დათხოვნას. საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე დანიშნული იყო თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით, რაც «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, ისევე როგორც ატესტაცია, მიზნად ისახავს მისი პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობების და პირადი თვისებების დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის შემოწმებას. სასამართლოს მითითებით, მოხელის გამოსაცდელი ვადა დასრულდა 20 ოქტომბერს, ხოლო მან ატესტაცია გაიარა 17 ოქტომბერს. შესაბამისად, გამოსაცდელი ვადის დასრულებამდე შეფასდა მისი თანამდებობასთან შესაბამისობა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ დაადასტურა მოპასუხის მიერ მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ გამოქვეყნებული იქნა სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 10 ოქტომბრის ბრძანება #2-234. ამ ბრძანების მიხედვით ცენტრალური აპარატის ყველა მოხელე დაექვემდებარა ატესტაციას. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-6 მუხლის მიხედვით მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო თანამდებობაზე. შესაბამისად, მოსარჩელეზე გავრცელდა მინისტრის #2-234 ბრძანების მოქმედება. გამოქვეყნებული იქნა გრაფიკი, სადაც მითითებული იყო, რომ მოსარჩელეს უნდა გაველო ატესტაცია 17 ოქტომბერს. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია არც ზემოაღნიშნული ბრძანება და შესაბამისად ატესტაციისათვის მისი დაქვემდებარება. მან ნებაყოფლობით გაიარა ატესტაცია, რითაც თანხმობა გამოთქვა მისი შეფასების და შესაბამისად ატესტაციის შედეგების მასზე გავრცელების თაობაზე. ამდენად, სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე არ ექვემდებარებოდა ატესტაციას, სასამართლოს მითითებით არ შეიძლება გახდეს რ. მ-შვილის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ძალაშია და სადავოდ არ გამხდარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა ატესტაციისთვის დაქვემდებარების შესახებ.

რ. მ-შვილმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა - უცვლელი დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა სასამართლო კოლეგიის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. პალატის განმარტებით, აპელანტს არ წარმოუდგენია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული მოტივების გამაბათილებელი არგუმენტი.

რ. მ-შვილმა საკასაციო საჩივარი შეიტანა ზემოაღნიშნულ განჩინებაზე, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო საჩივრით რ.მ-შვილი განმარტავს, რომ 2006 წლის 17 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა მის სარჩელს დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული სარჩელის მოთხოვნა იყო სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის #309-კ ბრძანების იმ ნაწილის ბათილად ცნობა, რომელიც თანამდებობიდან მის გათავისუფლებას ეხებოდა, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ხელფასის ანაზღაურების დაკისრება.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინებით უცვლელი დარჩა ზემოხსენებული გადაწყვეტილება, რომელსაც არა აქვს მოტივაცია და სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ იმის მითითებით, რომ სრულად იზიარებს სასამართლო კოლეგიის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებას. რის გამოც მიაჩნია კასატორს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და აგრეთვე არასწორად განმარტა კანონი.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მისი პოზიცია იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული ბრძანება არ შეესაბამება კანონს და იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. აღნიშნულის დასასაბუთებლად სასამართლომ მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 98-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების გამო მოხელის სამუშაოდან დათხოვნის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიუთითა, რომ თითქოს გასაჩივრებული ბრძანება შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან «საჯარო სამსახურის შესახებ». საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს. საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 83-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მოხელე, რომელიც საატესტაციო პერიოდის უკანასკნელი წლის მანძილზე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა 6 თვეზე ნაკლები ვადით, ექვემდებარება მომავალ წელს ატესტირებას. რ. მ-შვილი კი თანამდებობაზე დაინიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 ივლისის #186-კ ბრძანებით. შესაბამისად, მისი დანიშნულებიდან ატესტაციამდე მხოლოდ სამი თვე იყო გასული, რადგან ატესტაცია 2005 წლის ოქტომბერში ჩატარდა. აქედან გამომდინარე, კანონის შეუსაბამოდ მოხდა მისი გასვლა ატესტაციაზე და აღნიშნული ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების გამო სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის ბრძანებით იქნა გათავისუფლებული თანამდებობიდან. აღნიშნული ბრძანების საფუძვლად მიეთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისადაც მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო ატესტაციის შედეგების საფუძველზე. კასატორს მიაჩნია, რომ ამავე კანონის 83-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, უკანონოდ გაატარეს ატესტაციაზე. შესაბამისად თვლის, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველი

უკანონოა, ეწინააღმდეგება კანონს და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის შესაბამისად ცნობილ უნდა იქნეს ბათილად.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მისი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ იგი, როგორც ექვს თვეზე ნაკლები ვადით მომუშავე მოხელე, ექვემდებარებოდა ატესტაციას მომავალ წელს, მაგრამ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება არ შეიძლება ჩაითვალოს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების და გამოცემის წესის დარღვევად და შესაბამისად, ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველად. რ. მ-შვილის განმარტებით, მან სასამართლო სხდომაზე არაერთხელ აღნიშნა, რომ ბრძანება უნდა ყოფილიყო ცნობილი ბათილად, იმის გამო, რომ იგი ეწინააღმდეგება კანონს. შესაბამისად, მიიჩნია რომ სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის აღნიშნული არგუმენტიც მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

კასატორის მოსაზრებით მოსამართლე ასევე მიუთითებს, რომ დანიშნული იყო თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით. მისი გამოსაცდელი ვადა სრულდებოდა 2005 წლის 20 ოქტომბერს, ატესტაცია კი გაიარა 2005 წლის 17 ოქტომბერს და თითქოს გამოსაცდელი ვადის დასრულებამდე მოხდა თანამდებობასთან მისი შესაბამისობის შეფასება. აღნიშნული არგუმენტიც დაუსაბუთებლად მიიჩნია კასატორს, რადგან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოსაცდელი ვადის არადაამაყოფილებელი შედეგები სამსახურიდან გათავისუფლების დამოუკიდებელი საფუძველია. გასაჩივრებულ ბრძანებას კი საფუძველად «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტი დაედო (სამსახურიდან გათავისუფლება ატესტაციის შედეგების საფუძველზე), შესაბამისად, ბრძანებაში მითითებული გათავისუფლების საფუძველი არანაირ კავშირში არ არის გამოსაცდელ ვადასთან. გარდა ამისა კასატორი დანიშნული იყო გამოსაცდელი ვადით - სამი თვით, ხოლო სამსახურიდან გათავისუფლდა 5 თვის შემდეგ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ არგუმენტის უსაფუძველობას.

კასატორი განმარტავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის არგუმენტად იმის მოყვანა რომ სადავოდ არ გამხდარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა ატესტაციის დაქვემდებარების შესახებ და შესაბამისად, არ შეიძლება იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომლითაც მოხდა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება ასევე უსაფუძველოა, რადგან რ. მ-შვილის კანონიერი უფლება და ინტერესი დაირღვა მაშინ, როდესაც მოხდა მისი სამსახურიდან გათავისუფლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, რ. მ-შვილის საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების, მხარეთა განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ რ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უცვლელი უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის განჩინება შემდეგი გარემოებების გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, რ. მ-შვილი 2005 წლის 20 ივლისს დაინიშნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე სამი თვის საგამოცდო ვადით. 2005 წლის 10 ოქტომბერს სოფლის მეურნეობის მინისტრის #2-234 ბრძანებით გამოცხადდა სამინისტროს მოხელეთა ატესტაცია, რომლის შესახებ კანონით დადგენილი წესით ეცნობათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებს. 17 ოქტომბერს მოსარჩელემ გაიარა გასაუბრება, ხოლო 4 ნოემბერს გაფრთხილებულ იქნა ატესტაციის არადაამაყოფილებელი შედეგების გამო სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე. იგი გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან 20 დეკემბერს ატესტაციის შედეგების გამო.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას იმის შესახებ, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს ის მოსაზრება, რომლითაც მან უსაფუძველოდ მიიჩნია რ. მ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა ატესტაციისადმი დაქვემდებარების თაობაზე. კასატორი თვლის, რომ მისი კანონიერი უფლება დაირღვა სწორედ იმ მომენტში, როდესაც გაათავისუფლეს სამსახურიდან.

დადგენილია, რომ რ. მ-შვილმა სარჩელით მოითხოვა სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის #309-კ ბრძანების იმ ნაწილის ბათილად ცნობა, რომელიც მის თანამდებობიდან გათავისუფლებას ეხება; მან მოითხოვა ასევე თავის თანამდებობაზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის სადავო ბრძანების საფუძველად მითითებულია სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 14 ნოემბრის #276-კ ბრძანება. ეს უკანასკნელი კი ეხება სხვა თანამშრომლებთან ერთად რ. მ-შვილის გაფრთხილებას სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ჩატარებული ატესტაციის არადაამაყოფილებელი შედეგის გამო დაკავებულ თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე. საქმის მასალებით დადგენილია და თავად რ. მ-შვილიც ადასტურებს, რომ მას არ გაუსაჩივრებია და არ მოუთხოვია ამ ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე, სადავოდ არ გაუხდია ატესტაციაზე მისი გასვლის საკითხი, იგი თავისი ნებით გავიდა ატესტაციაზე მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 83-ე მუხლის მეორე

ნაწილის შინაარსი; მას ასევე სადავოდ არ გაუხდია სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ჩატარებული ატესტაციის შედეგები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ რ. მ-შვილის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება, რომელსაც საფუძვლად უდევს ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და რომელთა კანონიერება სადავოდ არ გამხდარა, არ ეწინააღმდეგება კანონს, რის გამოც არ არსებობს ამ ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. რ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.